K 1627 3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმი

დომენჯი ქორიძე

მაჯერიალური კულტურის უძველესი ძეგლები

(ნაჩხერის რაიონი)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1961

902.6(С41)
Ж 666

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმი

დომენიკი ქორიძე

მაჯერიალური კულტურის უძველესი ძეგლები

(სამეცნიერო რეფერატი)

К 1627/3

ბიბლიოთეკა
Библиотека

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1961

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დ. ქორიძის მონოგრაფია, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები საჩხერის რაიონიდან, მიზნად ისახავს საჩხერის რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იმ ძეგლების შესწავლას, რომლებიც განეკუთვნება გვიან ბრინჯაოს პერიოდს და ჩვ. მ. ჩ. ... ნელთაღრიცხვის V საუკუნემდე. მასში მთლიანად შეეგიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში დაცული ამ პერიოდის ძეგლები.

როგორც ცნობილია, საჩხერე და მისი მიდამოები ძველიდანვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას, როგორც ძველი მეტალურგიის ერთ-ერთი ცენტრი საქართველოში.

საჩხერე და მისი მახლობელი ადგილები ეს ისეთი ტერიტორია იყო, სადაც ხდებოდა ფართო შეხვედრები და კულტურულ მიღწევათა გაცვლა, როგორც აღმოსავლურ და დასავლურ-ქართულ ისე კოლხურ-ყობანურ და იბერულ-ყობანურ კულტურებს შორის.

აღნიშნული მასალების შესწავლის საფუძველზე შრომაში მოცემულია ცდა აჩვენოს საჩხერის ტერიტორიაზე იმ დროს მცხოვრები მოსახლეობის კავშირურთიერთობა მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებლებთან. შრომის ძირითადი მიზანი მაინც ამ ეტაპზე ის იყო, რომ არქეოლოგიურად შესწავლილიყო ეს ვიწრო ლოკალური რაიონი და ამ რაიონში მოპოვებული მასალები, გამოაშკარავებულიყო და დადგენილიყო ამ მასალების თავისებურებანი. ეს კი უთუოდ რამდენადმე დაეხმარება მკვლევრებს დასავლეთ საქართველოს მთიანეთის უძველესი ისტორიის შესწავლაში — ამ მთიანეთისა და ბარის, აგრეთვე კავკასიონის ჩრდილო კალთებზე მცხოვრები ტომების ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

შესავალი

მდ. ყვირილის ხეობა, და განსაკუთრებით მისი ზემოწელი ძველთაგანვე იპყრობდა ჩვენი მკვლევრების ყურადღებას როგორც მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლებით მდიდარი მხარე, როგორც მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი ადრეული და მნიშვნელოვანი კერა ჩვენს ტერიტორიაზე.

ყველაზე ადრე საჩხერის არქეოლოგიურ ძეგლებზე ყურადღება გაამახვილა პროფ. ე. ტვალჩინელმა. მან 1910 წელს საჩხერეში, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის ადგილას, სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა, გათხარა ყორღანული ტიპის სამარხები და გამოავლინა ადრე ბრინჯაოს პერიოდის მეტად მნიშვნელოვანი სპილენძ-ბრინჯაოს ნივთები: სპილენძის ცულები, სატევრის პირები, ქინძისთავები და სხვა ნივთები. მანვე მიუთითა ამ ძეგლის მნიშვნელობაზე და იმთავითვე სწორად გაიგო მისი ხასიათი, აღიარა რა, რომ საჩხერეში მის მიერ გათხრილ ყორღანში გამოვლინებული არქეოლოგიური ძეგლები წინ უსწრებს ყობანის კულტურისათვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ ძეგლებს[1].

დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული საჩხერის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის პროფ. ბ. კუფტინს. ჯერ კიდევ 1936 წელს მან მოიხილა ის ადგილები, სადაც 1910 წელს ე. ტვალჩინელი მუშაობდა, ხოლო 1939 წელს უშუალოდ დაიწყო იქ არქეოლოგიური გათხრების წარმოება. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში აწყობდა მუშაობას საჩხერის რაიონში (ყვირილის ზემო წელზე) სამარშრუტო და ჩვეულებრივი ექსპედიციების გზით და ამის შედეგად ორიოდე მნიშვნელოვანი ძეგლი გამოავლინა, როგორც ადრე ბრინჯაოს პერიოდისა, ისე მისი მომდევნო განვითარებული ბრინჯაოს ხანისა. ამ მასალის ერთი ნაწილი მან შეისწავლა და გამოაქვეყნა[2], ხოლო სიცოცხლის ბოლანასკნელ წლებში მოპოვებული მასალების შესწავლა-გამოცემა მან ვერ მოასწრო.

საჩხერისა და მისი მიხლობელი ადგილების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაზე კარგა ხანია მუშაობს დოც. ო. ჯაფარიძე; კერძოდ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადრეული ხანის ძეგლების შესწავლას[3]. მისი გათხრების შედეგად საჩხერის რაიონში (ს. საირხეში) გამოვლენილია ენეოლითური პერიოდის ძეგლებიც და ამავე დროს ადრე და გვიანი ბრინჯაოს პერიოდის მეტად საინტერესო მასალებიც.

---

[1] Такайшвили Е. С., О Сачхерском кургане Шорапанского уезда, Изв. Кавказского отделения Московского Археологического Общества, вып. 3, Тифлис, 1913.

[2] Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, გვ. 64—82.

[3] ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 76—95, ტაბ. I—VI.

საჩხერის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ რამდენიმე საგაზეთო სტატია გამოაქვეყნა სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მ. გოგატიშვილმა, რომლის ხელმძღვანელობითაც სკოლამ შეძლო არქეოლოგიური ძეგლებით საკმაოდ მდიდარი სასკოლო მუზეუმი შეექმნა.

საჩხერის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ერთი ნაწილი შემთხვევითია გამოვლენილი და ხშირად ერთი ადგილიდან მომდინარე კოლექცია სხვადასხვა პერიოდის ძეგლებს შეიცავს. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში სტრატიგრაფიაზე ანდა ამ მასალების ზუსტ თარიღზე ლაპარაკი ძალზე ძნელია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ძეგლებს, რომლებიც ადრე ან შუა ბრინჯაოს პერიოდა ეკუთვნის და ჩვენთვის ხელმისაწვდომია, დიდი მნიშვნელობა აქვს და უთუოდ იმსახურებს ყურადღებას.

დიდ ინტერესს იწვევს თავისი ხასიათითა და მრავალფეროვნებით ჯერ კიდევ 1910 წელს პროფ. ივ. თაყაიშვილის მიერ მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც საქ. სახ. მუზეუმის ფონდებშია დაცული (კოლექცია 94—10). აღნიშნული მასალა მთლიანად გამოქვეყნებულია საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური მასალების კატალოგში[4]. დიდი ნაწილი ამ ძეგლებისა, სწორედ მეტალურგიის განვითარების ადრეული საფეხურისათვის—ადრეული ბრინჯაოს პერიოდისათვისაა დამახასიათებელი. მასში არის მოგვიანო პერიოდის მასალებიც, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. აღნიშნული კოლექციიდან, პირველ ყოვლისა, ყურადღების ღირსია სპილენძის ცულები, რომელთაგან ძირითადად ორი სახესხვაობის გამოყოფა შეიძლება: ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულებისა. ყუადაქანებულ ცულებს სატარე ხვრელი მრგვალი აქვს, ტანი სქელი, ოდნავ მოხრილი, პირისაკენ თანდათან განიერდება და მორკალული პირით მთავრდება[5].

ყუამილიანი ცულები, ყუადაქანებული ცულებისაგან განსხვავდება იმით, რომ მათ სატარე ხვრელი მრგვალი და გრძელი—მილისებრი აქვთ, ხოლო ყუის უკანა ნაწილი ნაკლებ დაქანებული[6].

საზოგადოდ აღნიშნული ცულების, როგორც პირველი, ისე მეორე სახეობა ძირითადად სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულებისა იყო. მაგრამ ყუამილიან ცულებს შორის გვხვდება ისეთები, რომლებიც საეჭვოა გამოყენებული ყოფილიყო საბრძოლო მოქმედების დროს, ანდა სამეურნეო საქმიანობაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ყუამილიანი ცულების ის ეგზემპლარები, რომელთაც გრძელ მილისებრ სატარე ხვრელთან ერთად, თითქმის ნამგლისებურად მოხრილი ტანი, ხოლო პირი ძალზე გაფართოებული და სწორი, ოღონდ ძალზე დამრეცი აქვთ ისე, რომ ამ იარაღით რაიმეს მოჭრა ან მისი გამოყენება საზოგადოდ სამეურნეო საქმიანობაში შეუძლებელი იქნებოდა. ზოგიერთი სპეციალისტი იმ აზრისაა, რომ ეს ცულები რიტუალური დანიშნულების შეიძლებოდა ყოფილიყო[7]. მართლაც ისინი ახვა მიზნისათვის გამოუსადეგარი, რიტუალური დანიშნულებისა ანდა ხელისუფლების ემბლემა (გვარის თუ ტომის ნეთაურისათვის), საზეიმო პარადული დანიშნულების იარაღი უნდა ყოფილიყო. ამ

[4] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტომი II, თბილისი, 1955, ტაბ. I—VI.

[5] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტაბ. I, სურ. 1,2.

[6] იქვე, ტაბ. I, სურ. 2,3, ტაბ. II, სურ. 1—7.

[7] Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 г., в Юго-Осетию и Имеретию, зз. 71.

ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ყუამილიანი ცულის ის ეგზემპლარი, რომელიც კოხტაა—ლამაზად ნაკეთები, მისი სატარის ზედაპირი ბოლოდან შუამდე დახრახნილია, ხოლო ყუა ზემოდან ზედაპირდაღარულია და ბურთულით დამთავრებული, „ხორთუმისებრი" წანაზარდი[8] აქვს.

აღნიშნულ კოლექციაში რამდენიმე ცალია ტარშეტრჩენელი სპილენძის სატევრისპირი[9]. მათ ძალზე თხელი და სამკუთხა პირი აქვთ, ქედი სრულებით არ გაჩნიათ, ხოლო მათი ყუნწი თხელია, ბრტყელი და მოგრძო.

საბრძოლო და სამეურნეო იარაღებს გარდა კოლექცია შეიცავს სამკაულებს, სამკაულები კი თავის მხრივ სხვადასხვა დანიშნულებისაა. არის საკინძები, სამაჯურები, ხვეულები. საკინძების რამდენიმე სახეობა გვაქვს. ერთი დიდი ნაწილი საკინძებისა გრძელია და საკმაოდ მსხვილი მავთულისაგან ნაკეთები, მათი ბოლოები სრულდება ჰორიზონტალური ღერძით, ხოლო ღერძის ბოლოები დისკოებით, ე. ი. საკინძის ბოლო მაგვარი თავით მთავრდება[10]. არის ისეთი საკინძები, რომლებიც აგრეთვე მსხვილი მავთულისაგანაა ნაკეთები, ძალზე გრძელებია, ოღონდ თავები მავთულებმოხვეულებია და მარყუჟით დასრულებული. ღეროსაგან კი იგი კვირისტავისებრი ნაწილითაა გამოყოფილი[11]. საინტერესოა ის საკინძები, რომელთაც მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ზედა ნაწილი სამ ტოტადაა გაყოფილი, ხოლო ტოტები წყვილ თვალს უერთდება. თვლები საზიდის თვლების მაგვარია, შიგნით სათანადო ღერძებით. სამივე ტოტი და თვლები შემკულია წნული ორნამენტით[12].

თავისი გაფორმებით არის T მაგვარი საკინძების სახესხვაობაც. ერთი მათგანის ღერო ოთხკუთხგანივკვეთიანია, იგი ზედა ნაწილში ბრტყელია და ორნამენტირებული. საკინძის თავი კი წარმოადგენს ბურთულებისაგან შემდგარ ღერძს, რომლის მიმართ ღერო პერპენდიკულარია[13]. მეორის ღერძს გამოეყოფა ორი შტო, რომლებიც განსაზღვრული მანძილის შემდეგ ერთდებიან და სამკუთხედს ქმნის. სამკუთხედიდან ღეროსაკენ ოვალური ნახვრეტია (ყუნწისმაგვარი)[14]. არის ისეთი საკინძიც, რომელსაც ორად გაბშტოებული და ჩახვეული თავი აქვს და ღეროს ზედა ნაწილი ბრტყელია[15].

საინტერესოა კოლექციაში შემავალი სპირალური სამაჯურები, ისინი რამდენიმე ხვიასაგანაა შემდგარი, არის შვიდხვიანი, ექვსხვიანი, ხუთხვიანი და ა. შ. ყველა მათი შიდაპირი გაბრტყელებულია, ხოლო ზედაპირი მრგვალი. თავები კი გაბრტყელებული აქვთ[16]. დაბოლოს კოლექციაში შედის სპირალური საყიდები[17]. ისინი შედარებით წვრილი მავთულისაგანაა ნაკეთები და ბოლოები გაწვრილებულია.

---

[8] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტაბ. I, სურ. 5.

[9] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტაბ. III, სურ. 1—6.

[10] К у ф т и н Б. А., Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, გვ. 14, рис, II, 1,2.

[11] არქეოლ. მასალების კატალოგი, ტაბ. IV, სურ. 2,4,5,6,7.

[12] „ „ „ „ IV, სურ. 1—3.

[13] „ „ „ „ IV, სურ. 11—13—15.

„ „ „ IV, სურ. 8.

[14] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, სურ. 115.

[15] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტაბ. IV, სურ. 9,

[16] „ „ „ ტაბ. V, სურ. 15, 16, 17,

[17] „ „ „

საქ. სახ. მუზეუმის № 27—44 კოლექციიდან, რომელიც სახეხერის რაიონში აღმოჩენილი და მის ერთ ნაწილს ჩვენს წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი, ყურადღებას იმსახურებს ცარცია გორაზე აღმოჩენილი სპილენძის შუბი (ინვ. 27—44:28). იარაღი გრძელია—ყუნწი წახნაგოვანია და მასიური, ხოლო პირი ფოთლისებრია[18] იმავე კოლექციიდან შეიძლება დასახელდეს ყუადაქანებული ცულები და ძალზე გრძელი T-ს მაგვარი საკინძები.

ყველაზე დიდი რაოდენობითა და შედარებით დოკუმენტირებულია სახეხერის რაიონიდან მომდინარე ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც პროფ. ბ. კუფტინის სამარშრუტო და ჩვეულებრივი ექსპედიციების მიერაა წლების განმავლობაში მოპოვებული და შეტანილია ჩვენ მიერ 1957 წ. მუზეუმის საინვენტარო წიგნში (იხ. კოლექცია 1—57).

კოლექციის ერთი დიდი ნაწილი თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი ძალზე დიდია და ძირითადი ნიშნებით იმეორებს ენეოლითური კერამიკის ფორმებს თუმცა უფრო დახვეწილია და ზოგიერთი თავისებურებით მისგან განსხვავებული[19].

თიხის ჭურჭლის გარდა კოლექცია შეიცავს დიდი რაოდენობით ჩვეულებრივი ტიპის ყუადაქანებულ და ყუამილიან ცულებს, საკინძების სხვადასხვა ტიპებსა, მრავალრიცხოვან ტარშეურჩენელ ყუნწიან, თხელ, ფქუდო და სამკუთხაპირიან სატევრის პირებს. ჩვეულებრივ მარტივ ტარშეურჩენელ სატევრების გვერდით, იქ აღმოჩენილია სპილენძისტარიანი სატევარი[20]. მისი ტარი ჩამოსხმულია ცალკე, ხოლო პირი გამოჭედილი და შემდეგი ერთმანეთზე მიკავშირებული. პირი სამკუთხაა, ფქედო, ვადა მორკალული, ტარი განიკვეთში ოთხკუთხაა, ბოლო გახვრეტილია და შემკულია განივი ტალღისებრი რელიეფური სახეებით. ძალზე საინტერესოა ცარცის გორიდან მომდინარე შუბიხიშტი, რომელიც იშვიათობას წარმოადგენს და წინა აზიაში აკადსა და ელამში აღმოჩენილ ძვ. წ. XXV—XXII სს. ეგზემპლარებთან პოულობს გენეტიკურ კავშირს[21].

არ შეიძლება სპეციალურად არ მოვიხსენიოთ ბრინჯაოს საკინძები. ერთი მათგანი (ინვ. 1—57:139)[22] ჰორიზონტალურრერძიანია (T-ს მაგვარი), ღერძის შუა ნაწილზე რქისმაგვარი ორი შეერილია, რაც ალბათ ხარის რქების სტილიზებული გადმოცემაა, ხოლო ბოლოვდება იგი დისკოებით, დისკოები დაფანჯრულია, რაც საზიდის ბორბლებს უნდა გამოხატავდეს. ამრიგად ის ფაქტი, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს ორბორბლიანი საზიდის ძალზე სქემატური გადმოცემა, რომელშიც შემბმული ჩანს გამწევი ძალა (ხარი), მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ნესაქონლეობა აქ საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა და, როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, ხარი გამოყენებული ყოფილა გამწევ ძალად[23].

უთუოდ საინტერესოა თავისი გაფორმებით ცარცის გორაზე აღმოჩენილი ერთი საკინძი (ინვ. 1—57:37)[24], თავზე ჰორიზონტალური ღერძით, რომელიც

[18] К у ф т и н Б. А., Арх. маршр. экспедиция. 1945, табл. IX.

[19] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—77, ტაბ. XIII, ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 92, ტაბ. XVI—XVII.

[20] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. X.

[21] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი დასახ. ნაშრ., გვ. 74, სურ. X.

[22] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XI, სურ. 1.

[23] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, იქვე, გვ. 93.

[24] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, დასახ., ნაშრ., ტაბ. X.

თითქოს ერთმანეთზე მიმაგრებულ 8 ბურთულისაგან შედგება. ღერო განსაზღვრულ მანძილზე ბრტყელია, შემდეგ წვერისაკენ ერთბაშად განივკვეთში მრგვალი ხდება. საკინძის ბრტყელი ნაწილი ორივე მხარეზე რელიეფური პარკეტული სახეებითაა შემკული, ოღონდ აქას გარდა ერთ მხარეზე, შემკულობის აღნიშნულ მოტივთან ერთად, გველის რელიეფური დაკლაკნილი გამოსახულებაა გამოყვანილი.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია ბასიეთში (ს. ქორეთი) აღმოჩენილი ყორღანის სამარხეული ინვენტარი, რომლის ერთი ნაწილი (შემთხვევით აღმოჩენილი) ს. ქორეთის საშუალო სკოლის, სასკოლო მუზეუმშია დაცული[25]. სასკოლო მუზეუმში დაცული ნივთებიდან მეტად საინტერესოა სპილენძისტარიანი სატევარი, რომლის ტარი ჩამოსხმულია, ხოლო პირი ნაჭედი, და შემდეგაა ერთმანეთზე მიკავშირებული. ტარი განივკვეთში მრგვალია, ბოლო გახვრეტილი. იგი წნული და სპირალური რელიეფური სახეებითაა შემკული. აქვეა აღმოჩენილი ჩვეულებრივი ტიპის ყუადაქანებული ცულები, მარტივი სატევრის პირები, ბრტყელყუნწიანი, საკინძები (T-ს მაგვარი) და საერთოდ საჩხერის ადრე ბრინჯაოს პერიოდისათვის დამახასიათებელი „ვარდისფერსარჩულიანი" და შავზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ამ მცირედი, არასრული და ზოგადი მიმოხილვიდანაც აშკარად ჩანს, რომ საჩხერის რაიონი საკმაოდ მდიდარია ლითონის წარმოების ადრეული ხანის ძეგლებით. ეს ძეგლები მომდინარეობს არა ერთი რომელიმე ადგილიდან, არამედ რამდენიმე პუნქტიდან, და ძირითადად იმეორებს ერთიმეორეს. ამდენად კულტურის განვითარების ერთ წრესთან — „ერთ საწარმოო რაიონთან უნდა გვქონდეს საქმე"[26].

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარი, რომლის შორის საკმაო რაოდენობით დახვეწილი, კარგად ნაკეთები საბრძოლო და სამეურნეო ხასიათის ნივთებია და მათ შორის ნივთები მაღალი გემოვნებით შესრულებული სამკაულებითაც გვხვდება, მიუთითებს იმაზედ, რომ საჩხერის ტერიტორიაზე იმ პერიოდში საკმაოდ დახელოვნებულ ხელოსნებს უცხოვრიათ და მეტალურგიული წარმოება საკმაოდ განვითარებული ყოფილა.

[25] ყორღანის გათხრა დაასრულა არქ. ო. ჯაფარიძემ და საინტერესო მასალები მოიპოვა.
[26] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

თავი პირველი

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული ხანის ძეგლები საჩხერიდან

ჩვენ მიერ განსახილველ საჩხერის რაიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან ყველაზე ადრეულად მიგვაჩნია ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატევრები და გინიერი სამაჯურები, რომლებიც 1910 წელს აღმოჩნდა საჩხერეში ყორღანული სამარხების გათხრების დროს. ამ ყორღანების არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა აკად. ექვთიმე თაყაიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის მატერ. კულტურის ისტორიის განყოფილებაში დაცულ კოლექციაში (ინვ. 94—10) შემავალი ინვენტარი ერთდროული არ არის. უმრავლესობა მასალისა, როგორც სათანადო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ადრე ან შუა ბრინჯაოს პერიოდისა უნდა იყოს, ხოლო ჩვენ მიერ ქვემოთ მოცემული ამ კოლექციის ნაწილი კი გვიანი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის. აქაც პერიოდა შეიძლება მივაკუთვნოთ ს. ქორეთში 1957 წ. შენთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები.

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 94—10:50) ტარშეურჩენელი, სამკუთხოვანი, პირი წვერისაკენ შევიწროებულია, წვერი წვეტიანია და მკვეთრად გამოყოფილი. ოდნავ შესამჩნევი განიერი ქედი ყუნწთან განიერია და წვერისაკენ თანდათან ვიწროვდება, ყუნწი სამკუთხაა და ტარის დასამაგრებლად მხრებზე თითო სამაჯვალი აქვს. ყუნწის ნაწილი ჩამომტვრეულია (ტაბ. I, სურ. 1).

სატევრის სიგრძე 11,8 სმ-ია. უდიდესი სიგანე—4,0 სმ, სისქე 0,3 სმ. სატევრის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu) — 89—46%, კალა (Sn)—8,03%, დარიშხანი—(As)—0,84%.

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 94—10:51), ტარშეურჩენელი, ფოთოლისებრი მოყვანილობისა, ქედი ვიწრო აქვს და სუსტად გამოხატული, სატევრე ნაწილი სამკუთხა მოყვანილობისაა და დაბალი, მხრებზე თითო სამსჯვალით, ტარის დასამაგრებლად. კარგად შეიმჩნევა თუ სატევრის რა ნაწილზე იყო ტარი დამაგრებული (ტაბ. I, სურ. 3). სიგრძე—15,5 სმ, უდიდესი სიგანე—4,2 სმ, სისქე—0,5 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—93,00%, კალა (Sn)—1,99%, დარიშხანი (As.)—5,0%.

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 94 — 10:49) ტარშეურჩენელი, სამკუთხა ფოთლისებური. ქედი ვიწროა და სუსტად გამოხატული, სატევრე სამკუთხაა და მაღალი, მხრებზე თითო სამსჯვალი აქვს. ტარის დასამაგრებლად (ტაბ. I, სურ. 2.) სიგრძე—14,5 სმ, უდიდესი სიგანე—4,3 სმ, სისქე—0,4 სმ. ნივთის ქიმიურ შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—94,5%, კალა (Sn)—2,83%, დარიშხანი (As)—2,22%.

სამაჯური ბრინჯაოსი (ინვ. 94—10:26) ბრტყელი და განიერი, გახსნილია, თავები ერთიმეორისაგან ძლიერ დაშორებულია. ბოლოებს შუა ადგილზე თითო ნახვრეტი აქვს. ზედაპირი შემკულია სამწყება რელიეფური წნული ხოლებით, მათ შორის ორ წყებადაა განლაგებული სპირალურ ხვიათი რიგი, თითოეულ წყებაში 14 ასეთი ხვიაა. ერთ ბოლოზე ნაპირთან კლაკნილი რელიეფური ხაზია (ტაბ. I, სურ. 4). სამაჯურის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—93,0%, კალა (Sn) —2,83%, დარიშხანა (As)—2,96%, ანთიმონი (Sb)—0,97%. წონა—156 გრ, გარეგანი დიამეტრი—6,8 სმ, სიგანე—3,6 სმ, სისქე—0,5 სმ, თავთა დაცილება—3,4 სმ.



სურ. 1. სამაჯური ბრინჯაოსი (განიერი) ინვ. 94—10:26

სამაჯური ბრინჯაოსი (ინვ. 94—10:27) ზუსტად ისეთივე ფორმისა, როგორიც წინ აღწერილი სამაჯურია (ინვ. 94—10:26)—ოდნავ დეფორმირებული (ტაბ. I, სურ. 5). ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—95,76%, დარიშხანი (Sn)—2,96%, წონა—161 გრ, უდიდესი დიამეტრი—6,5 სმ, სიგანე—3,6 სმ, სისქე—0,5 სმ.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს განვიხილოთ სატევართა გენეზისის საკითხი და წარმოვადგინოთ მისი თანდათანობითი განვითარების სურათი. აღნიშნულ საკითხზე არა ერთ უცხოელ და ქართველ მეცნიერს უმუშავნია. ჩვენი სურვილია საჩხერეში აღმოჩენილი, ზემოთ აღწერილი სატევრისპირებს მოვუხაზოთ ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვადასხვა ტიპის სატევართა შორის და დავათარიღოთ იგი.

საჩხერეში 1910 წელს აღმოჩენილ ტარშეურჩენელ ფოთლისებრ სატევრისპირებს (ინვ. 94—10:49, 50, 51) მრავალრიცხოვანი ახლო პარალელი მოეპოვება შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სატევრისპირებს შორის. ეს შეიძლება ითქვას, როგორც ვიწრო, ოდნავ შესამჩნევ ქედიან ფოთლისებრ სატევრისპირზე, რომლებსაც ბრტყელი სამკუთხა მოყვანილობის ტარის დასამაგრებელი აქვს ორი სამსჭვალით, აგრეთვე იმ სატევრისპირზე, რომელსაც ყუნწის მაგვარი განიერი ტარის დასამაგრებელი აქვს ორი სამანჭვლით და პირის მთელ სიგრძეზე არა ვიწრო და დაბალი ქედი, არამედ განიერი ბრტყელი ქედი გაუყვება. განსაკუთრებით მრავლადაა მსგავსი სატევრები სამოთაროს უძველეს ორმოსამარხებში აღმოჩენილ მასალათა შორის.

გ. ლომთათიძე თავის ნაშრომში „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში“, საფუძვლიანად განიხილავს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ სატევარ-მახვილებს. იგი უძველესი სამარხებიდან წარმომდგარ ტარშეურჩენელ ფოთლისებრ სატევრისპირებს სამ ქვეტიპად ჰყოფს. პირველ ქვეტიპად მიიჩნევს უქედო სატევრისპირებს, მეორე ქვეტიპად ვიწრო ქედიანებს, ხოლო მესამე ქვეტიპად განიერქედიან სატევრისპირებს. (გვ. 75). ჩვენ მიერ აღწერილი ბრინჯაოს სატევრები გ. ლომთათიძის მიერ შემუშავებულ მეორე და მესამე ქვეტიპს შეესატყვისება.

საინტერესოა ამ ტიპის სატევრისპირების გავრცელების არეალი. იგი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მის სიღრმეში, შავი ზღვის სანაპიროების ჩათვლით: იშვიათად გვხვდება. ამ ადგილებში (ოღონდ ოდნავ უფრო მოგვიანო პერიოდში) ჩვენ გვხვდება გამსხვავებული ტიპის სატევრები. გრძელი ყუნწით, ხანდახან განიერი და მრგვალქედიანი, ზოგჯერ კი დაღარულქედიანი სატევრები, რომლებსაც ფოთლისებრი მოყვანილობის პირი არ აქვს. ტარშერჩენილი ფოთლისებრი სატევრები რაჭაში სოფ. ღარშიაცაა აღმოჩენილი. აქ გვხვდება ისეთი ეგზემპლარები, რომელთა პირები უქედონია, ტარის დასამაგრებლად ერთნახვრეტიანი ყუნწი აქვთ (ინ. 6—02).

სოფ. ღარიდან ისეთი ეგზემპლარებიცაა, რომელთაც სამკუთხა ტარის დასაგები გააჩნიათ ორი სამანჭველით და ამავე დროს პირზე მაღალი, მკვეთრი ქედი გაუყვება (ინ. 6—02:70, 74, 75, 76).

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ფოთლისებრი ტარშეურჩენელი სატევრისპირები, სამთავროს უძველესი სამარხების ტიპისა, გვხვდება ჩრდილო კავკასიაში (ყობანში), ისინი აქ წარმოდგენილია როგორც თითქმის უქედონი, ტარის დასამაგრებელი სამკუთხა ნაწილით, რომელსაც მხრებზე ორი სამანჭველი აქვს[1], ისე შედარებით გამოკვეთილი და ვიწროქედიანია[2] და აგრეთვე განიერი და ბრტყელქედიანი, რომლებსაც აგრეთვე სამკუთხა მოყვანილობის ტარის დასამაგრებელი აქვს[3]. ირიალეთშიც ბეშთაშენის სამაროვანზედაც არის აღმოჩენილი ვიწრო და განიერქედიანი ფოთლისებრი ტარშეურჩენელი სატევრის პირები.[4] რაც შეეხება ისეთი ტიპის სატევრების აღმოჩენას აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია იქაური არქეოლოგიური მასალებით—თითქმის უცნობია. ამიტომ იყო რომ გ. ლომთათიძე ზემოთ დასახელებულ ნაშრომში (გვ. 260) აღნიშნავდა „ჩვენი აზრით სრული უფლება გვაქვს და აუცილებელიც სამთავროს ფოთლისებრი სატევრის პირების ძირითადი მასა („სამთავროული ვარიანტი“), ადგილობრივი, უფრო პრიმიტიული ფორმებიდან განვითარებული, საკმაოდ სრულყოფილ იარაღებად მივიჩნიოთ და უცხოური პარალელებისაგან თავი შევიკავოთო“. ანდა სხვა ადგილს იგი აღნიშნავს (გვ. 297) „მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ფოთლისებრი სატევრისპირების მთავარ ბუდეთ სამთავრო უნდა მივიჩნიოთ და უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ მათი „სამთავროული ვარიანტის“ შესახებ, რომელიც ქართლში და კახეთშიდაც არის“.

---

[1] МАК, вып. VIII, таб. XIII, сер. 2.

[2] იქვე, таб. XI, сер. 3.

[3] МАК, вып. VIII, таб. XII, сер. 1,2

[4] Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, таб. X, IV, вв. 323.

ტ. ჩუბინიშვილი განიხილავს რა სამთავროს შუა ბრინჯაოს პერიოდის № 243 ყორლანული სამარხის ინვენტარს, დიდ ყურადღებას აქცევს „სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ირქეული ფორმის ყუნწიან, ბრტყელ დანისპირს". იძლევა რა შიდა ქართლში სატევრების განვითარების ერთგვარ სქემას იგი თვლის, რომ აღნიშნული „დანისპირი" სამთავროს უძველეს ორმო-სამარხებში აღმოჩენილი ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატევრისპირების წინამორბედია"[5]. შრომის სხვა ადგილს იგი აღნიშნავს: „როგორც დავინახეთ, ამ ტიპის დანისპირი, მსგავსად ხულისა და ქვასაოელის შუბისპირისა და ისრისპირისა, სამთავროს უძველეს ორმო-სამარხებში მოპოვებულ იარაღს განუტიკურად უკავშირდება. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში აღმოჩენილი ფოთლისებური სატევრისპირები, ქართლის ტერიტორიაზე შემუშავებული ტიპის იარაღად ჩავთვალოთ"[6].

ამრიგად, თავისებური სახეობა ფოთლისებრი ტარშეურჩენელი სატევრისპირებისა, როგორც მასალებიდან ჩანს, ჩამოყალიბდა და განვითარდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე, თუმცა ასეთი იარაღის ადრეული სახეები რამდენადმე შემჩნეულია დასავლეთ საქართველოში (რაჭა, ღები). ასეთი იარაღი შიდა ქართლის გარდა გამოყენებული ყოფილა ნაწილობრივ კახეთის, ქვემო ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, იგი ამავე დროს მცირედ გამოყენებული ჩანს ჩრდილო კავკასიაში—ყობანში.

ფოთლისებრ ტარშეურჩენელ სატევართა მოპოვება შიდა ქართლის მოსაზღვრე და რამდენადმე დაცილებულ ზემოთ აღნიშნულ რაიონებში კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ გვიან ბრინჯაოს პერიოდში მჭიდრო ურთიერთობა ჩანს შიდა ქართლისა, დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებსა და ყობანში მცხოვრებ ტომებს შორის და რომ ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ საწარმოო-მეტალურგიულ გამოცდილებას.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სატევრისპირების დათარიღების საკითხი მეტად საძნელო საქმეა. ამის მიზეზი ის არის, რომ არა გვაქვს ზუსტი ცნობები სატევართა აღმოჩენის ვითარებაზე და არ ვიცით მათი თანმხლები ინვენტარი; მიუხედავად ამისა ჩვენ შეეცდებით, სათანადოდ დოკუმენტირებული პარალელური მასალების მოშველიებით, მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ სატევართა ხნოვანება.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ჩვენ მიერ აღწერილი საჩხერის სატევრები ახლო პარალელს წარმოადგენს სამთავრულ ვიწრო და განიერქედიან ფოთლისებრი სატევრებისას. სამთავროს სამაროვანზე ამ ტიპის სატევრისპირები უძველეს ორმო-სამარხებში ჩნდება; ისინი ძირითადად გვხვდება იმ სამარხებში, რომლებიც ინვენტარით შედარებით ღარიბია. მცირე ასორტიმენტის ნივთებს შეიცავს და ეს ნივთები თითქმის უმრავლეს სამარხებისათვის ერთგვაროვანია. მასრაგახსნილი შუბის ან ხელშუბისპირი, სამკუთხა თხელფირფიტოვანი ისრის წვერები, თავხვია საკინძი, უხეშად დამუშავებული, ლუქისფერი სარდიონის მძივები, დამუშავებული ირმის რქის ძირი და თიხის ჭურჭელი. აი რა ნივთები გვხვდება შეცვლით, ხან კი ერთად იმ სამარხებში, რომლებშიაც ფოთლისებრი ტარშეურჩენელი სატევრის პირებია აღმოჩენილი...

[5] ტ. ჩუბინიშვილი, სამთავროს ყორდანული სამარხი № 243, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 21.

[6] იქვე, გვ. 22.

გ. ლომთათიძე აჯგუფებს რა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ იარაღ-საჭურველს, მეორე ჯგუფში ათავსებს ფოთლისებრ სატევრისპირებს და ასკვნის: ორმო-სამარხთა უძველესი ფენა (რომლებშიაც ჩადგება ფოთლისებრი სატევრისპირები), ეკუთვნის „განვითარებულ ბრინჯაოს ხანას", ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარს, ორმო-სამარხთა შუაფენა კი (სამარხები, რომლებშიაც აღმოჩენილია ბრინჯაოსტარიანი სატევრები და მახვილები), განვითარებულ ბრინჯაოს ხანას, რკინის ინდუსტრიის საწყისი ელემენტებით ძვ. წ. XII—VIII საუკუნეები (დასახ. ნაშრ. გვ. 355—356)

სამთავროს ადრეული პერიოდის სამარხების შესწავლამ ტ. ჩუბინიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ისინი ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი საფეხურის ძეგლებზე უფრო ადრეულია და თავსდებიან შუა ბრინჯაოს ხანასა და ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ საფეხურებს შორის. გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ამ ადრეულ საფეხურს იგი ათარიღებს ძვ. წ. XV — XIV სს[7].

ჩვენც ერთ-ერთ ნაშრომში განვიხილეთ ფოთლისებრპირიანი და ბრინჯაოსტარიანი სატევარი (ტარი ოთხკუთხა განივკვეთიანია) და იგი სამთავროს ფოთლისებრი ტარშეურჩენელი ეიწროქედიანი სატევრის თანადროულად ჩავთვალეთ. აღნიშნული სატევარი, მისი თანმხლები ინვენტარით დავათარიღეთ ძვ. წ. XIV—XIII სს-ით[8].

საჩხერეში აღმოჩენილი ზემოთ აღწერილი ვიწრო და განიერქედიანი, ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატევრისპირებიც შეიძლება მივაკუთვნოთ გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურებს და დავათარიღოთ XIV—XIII საუკუნით. ამავე მოსაზრებას მხარს უჭერს ნივთთა ქიმიური შედგენილობა. არც ერთ მათგანში არ არის კლასიკური ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი ნაერთი. ვიწროქედიანი სატევრების ქიმიური შედგენილობა უახლოვდება საჩხერულ შუა და ადრეული ბრინჯაოს ნივთთა ქიმიურ შედგენილობას. ასე მაგალითად ერთ მათგანში (ინვ. 91—10:49) კალა (Sn)—2,83%-ია, ხოლო დარიშხანი (As)—2,22% და სპილენძი კი 94,59. მეორე სატევრის (94—10:51) ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—93,00%, კალა (Sn)—1,99%, ხოლო დარიშხანი (As)—5%, რაც შეეხება განიერქედიან ტარშეურჩენელ სატევარს აქ ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს. მისი ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu) 89,46%, კალა (Cu)—8,03%, დარიშხანი (As)—0,84%, მაგრამ არც ეს უკანასკნელია კლასიკური ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი შედგენილობისა.

* * *

განიერი ბრტყელფირფიტოვანი, ბირსნილი სამაჯურების (ინვ. 94—10:26,27) ზუსტი ანალოგები იშვიათად მოიპოვება არქეოლოგიურ მასალებსა და ლიტერატურაში. საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში თითქმის არ არის ზუსტი პარალელი აღნიშნული სამაჯურებისა. მართალია ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი სამაჯურები მოიპოვება ფონდებში, რომლებიც სევანის ტბის მიდამოებშია შემოვებული, მაგრამ ისინი რამდენადმე განსხვავებულია საჩხერულ განიერი სამაჯურებისაგან. ერთი მათგანი (ინვ. 64—C5:IX—17) თავებგადმოკეცილია,

[7] Чубинишвили Т. Н., К истории культуры раннего этапа позднебронзовой эпохи Шида Картли. Автореферат. Тбилиси, 1954, зз. 17.

[8] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 1, თბილისი, 1955, გვ. 152,

ნაპირები გასქელებული და შუა ნაწილზე ირგვლივ რელიეფური ზოლი (ქედი) გაუყვება (მისი სიგანე—3,0 სმ-ს უდრის). მეორე (ინვ. 20——05:IV-30), აგრეთვე თხელფირფიტოვანია (სიგანით 1,71), ბოლოები გახვრეტილი აქვს და სადაა. ერთ მათგანს კი (ინვ. 20—05:IV—3, სიგანით 1,9 სმ) გარედან ტეხილხაზოვანი ჩაღრმავებული ორნამენტი ამკობს.

განიერი თხელფირფიტოვანი სამაჯურები აღმოჩენილი ყოფილა ყობანში, ერთი მათგანის ზედაპირი ხუთ ზოლათაა დაყოფილი[9]. იგი განიერია და ბოლოები ლამაზადაა შემოკეთებული. საჩხერის სამაჯურების პარალელები სტრატიგრაფიულად შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლთა შორის თითქმის არ გეხვდება, მაგრამ ახლადგელობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ წნული და კონცენტრული რელიეფური სახეები დაახლოებით იმგვარი, როგორიც აღნიშნულ სამაჯურებზეა სამკაულად, საჩხერულ არქეოლოგიური ძეგლების შესამკობად გამოყენებულია ჯერ კიდევ ადრეულ და შუა ბრინჯაოს პერიოდში (იხ. სოფ. ქორეთში 1954 წელს ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი სატევარი ბრინჯაოს მრგვალ განიკვეთიანი ტარით. ტარი შემკულია წნული რელიეფური სახეებით, ხოლო ვადა კონცენტრული წრეებით). ასეთი ორნამენტი დამახასიათებელია აგრეთვე თრიალეთის შუა ბრინჯაოს პერიოდის ძვირფასი ლითონების შესამკობად.[10], ამავე დროს სამაჯურების ქიმიური შედგენილობა მათ ეწევა შუა ბრინჯაოს პერიოდისაკენ. ვფიქრობ, რომ სამაჯურები დავათარიღოთ შუა ბრინჯაოდან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდით (გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურით).

1957 წელს სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები

1957 წლის მაისში სოფ. ქორეთის სამხრეთ განაპირა უბანში „ოთხზიარას" ფართობზე, სიმინდის დასათესად ტრაქტორით მიწის ღრმად მოხვნის დროს შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი. იგი თვით მხვნელს (ტრაქტორისტს) ვერ შეუმჩნევია. 28 მაისს მოსწავლეებს—გოგუცა, ვალოდია და ჭაბუკი ქაბუშაძეებს შემთხვევით გაუვლიათ ამ ადგილას და შეუმჩნევიათ ადამიანის ჩონჩხის ძვლები და სარდიონის მძივები. შეუგროვებიათ ზედაპირული მასალები და შეუტყობინებიათ ს. ქორეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელ მ. გოგატიშვილისათვის. ამ დღესვე ისტორიის მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად ჩაუტარებია ტრაქტორის მიერ გადაბრუნებული მიწის შემოწმება და უპოვნიათ ბრინჯაოს საბრძოლო ნივთები და სამკაულები.

ჩვენც ჩავატარეთ მცირედი სადაზვერვო სამუშაოები აღნიშნულ ადგილზე, მაგრამ სარდიონის მძივების გარდა ვერაფერი ვიპოვნეთ. დათვალიერებისა და სადაზვერვო სამუშაოების ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ არქეოლოგიური ნივთები და ადამიანის ძვლები ნაპოვნია დაახლოებით 4—5 მ² ფართობზე. ადამიანის ძვლები საკმაო რაოდენობით იყო ამოყრილი მიწის ზედაპირზე, შესაძლოა ერთზე მეტი ყოფილიყო ჩონჩხი, თიხის ჭურჭელსა და მის ნამტვრევებს ჩვენ ვერ წავაწყდით. ამ მიდამოებში, სადაც ნივთები აღმოჩნდა, ხშირადაა ყრილები, ერთი შეხედვით ყორღანებს მოგვაგონებს ისინი, მაგრამ ჩვენი აზრით, ისინი მინდვრის გაშენების შედეგად შეგროვილი ყორეები უნდა იყოს

[9] МАК в VIII, рис. 76, §§. 81.

[10] Куфтин Б. А., Арх. раск. в Триалети, таб. XCIII, XCVII. сур. 3,4,5 და CII.

და არა ყორღანები. „ოთხზიარას“ მინდორზე აღმოჩენილი ნივთები დროით უახლოვდება სამთავროს უძველეს ორმო-სამარხების ინვენტარს.

მოგვყავს ნივთების აღწერილობა:

1. სატევარი ბრინჯაოსი, ტარშეურჩენილი ფოთლისებრი მოყვანილობის პირი რამდენადმე გაღუნული ერთ მხარეზე. ქედი ვიწროა მაგრამ რელიეფური, ტარის დასაგები ნაწილი სამკუთხაა, მაგრამ ამავე დროს ყუნწიც გააჩნია, სატარის სამკუთხა ნაწილს ორი სამანჭველა აქვს. წვერი წატეხილია, შუაზეც გატეხილი, ყუნწი კი ნაკლულია (ტაბ. II, სურ. 5). სიგრძე—14,5 სმ, უდ. სიგანე—5 სმ, ყუნწის სიგრძე—2.0 სმ.

2. სატევარი ბრინჯაოსი, ტარშეურჩენელი, ფოთლისებრი, მოკლეა და პირის ორივე მხარეზე მონაღლო ქედია გაველებული, რომელიც წვერთან ეკრება. ტარის დასაგები ნაწილი სამკუთხაა და მასზე ოთხი სამანჭველაა. სატარე ნაწილი რამდენადმე დაზიანებულია, თვით სატევარიც წვერისაკენ გატეხილია (ტაბ. II, სურ. 3). სიგრძე—14,3 სმ, პირის უდიდესი სიგანე—5,5 სმ.

3. შუბისპირი ბრინჯაოსი, მასრას შეუკერელი მილის მოყვანილობა აქვს, იმგვარად, რომ გახსნილობა ბოლოსაკენ უფრო ფართოა, პირისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება. პირის დასაწყისში კი მასრა შეიკერება. ფრთებს შორის მოკეცილი მილი, რომელიც სატარე ნაწილია გაგრძელებას წარმოადგენს, ორწახნაგა ამაღლებული ქედის სახით გაუყვება პირს, რომელიც წვერისაკენ თანდათან დაბლდება და ვიწროვდება. წვერთან იარაღი რომბული განივკვეთისაა და წვეტიანი. მასრის ბოლოზე ორი სამანჭველაა, პირი ფოთლისებრია. მხრები მორკალული. პირი რამდენიმე ადგილისაა გაღუნული (დეფორმირებულია), (ტაბ. II, სურ. 1). სიგრძე—23 სმ, მასრის სიგრძე—12 სმ, უდ. სიგანე—3.8 სმ.

4. თავხვია საკინძი ბრინჯაოსი, თავი გაბრტყელებულია და დახვეული. ღერო თავთან ოთხკუთხი განივკვეთიანია, წვერისაკენ მრგვალდება და თანდათან წვრილდება (ტაბ. II. სურ. 2). სიგრძე—7.5 სმ.

5. საკინძი თავხვია ბრინჯაოსი. თავი ამ შემთხვევაშიც გაბრტყელებულია და დახვეული, ღერო თითქმის ნუამდე. გრეხილისებრია, შემდეგ განივკვეთში მრგვალია და წვერისაკენ თანდათან ვიწროვდება (ტაბ. II, სურ. 7). სიგრძე—14,0 სმ.

6. ბალთა ქამრისა ბრინჯაოსი, ბრტყელია და ნახევარსფეროსებრი საკმაოდ სქელი. ზედაპირს ნაპირზე ორწყვილი წვრტილოვანი ჭდეები შემოუყვება, ხოლო ზედაპირზე სამრიგი ერთმანეთზე გადაბმული ხაზიანი ჩაღრმავებული სპირალებია ამოკვეთილი. უკანა მხარეზე, ბოლო ნაწილში სიმეტრიულად განლაგებული, ქამარზე დასამაგრებელი სამი რგოლია, წვეროსთან კი ქამრის შესაბნევად კაუჭი აქვს. (ტაბ. II, სურ. 9). სიგანე—5 სმ, სიგრძე—3,8 სმ.

7. საკიდი (სასაფეთქლე სამკაული) ბრინჯაოსი, ქვემო ნაწილი შედგება ფოთლისებრი მოყვანილობის რკალებად მოხრილი სამი ფირფიტისაგან, ფირფიტები ერთმანეთთან წვრილი ღეროთია დაკავშირებული, რომელთაგან ერთი გრძელია და მისი საშუალებით ხდებოდა, ალბათ, სამკაულის ჩამოკიდება. ფირფიტები ერთიმეორის გვერდითაა თანმიმდევრულად განლაგებული (ტაბ. II, სურ. 4).

უდ. სიმაღლე—2,0 სმ.

8. სამაჯური ბრინჯაოს მავთულისა. სადა და დეფორმირებული, ერთი ბოლო გადმოღუნულია (ტაბ. II, სურ. 10).

9. მძივები სარდიონისა 22 ცალი დიდ-პატარა, 15 ცალი უხეშად ნაბობი.

გაუშანდაკებელი, მრგვალ-ბრტყელი. ზოგიერთ მათგანზე შეიმჩნევა, რომ ისინი ცეცხლშიც ყოფილა. ზოგიერთ მათგანს გადასდევს მოთეთრო ზოლი, ორი ცალი მოწითალოა და მრგვალი, დანარჩენი პატარები მრგვალბრტყელი, ზოგიერთი მოთეთრო ზოლიანი (ტაბ. 11, სურ. 6).

10. გარდა ზემოაღწერილი მასალისა, რომელიც კომპლექსი შეიძლება იყოს ს. ქორეთში 1956 წელს შემთხვევით უპოვნიათ ბრინჯაოს სატევარი—სამკუთხაპირიანი. ქედი პირზე არ არის მკვეთრად გამოყვანილი, სატარე ნაწილი ბრტყელია და სამკუთხა, საკმაოდ მოხრდილი. ორი სამანჭვლით. ნაწილი წვერისაკენ აკლია (ტაბ. 11, სურ. 8). სიგრძე— 12,5 სმ.

ამრიგად, ძეგლი საინტერესოა, იგი საბრძოლო იარაღებისა და სამკაულებისაგან შედგება. ერთი სატევარი სამკუთხა ფოთლისებრი და ტარშეურჩენელი, ზუსტად იმეორებს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ამავე ტიპის იარაღის ფორმებს და ალბათ თანადროულია სამთავროს სამაროვნის უძველესი ორმო-სამარხებისა. მეორე სატევარის პარალელები შიდა ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის იშვიათია. პირით იმეორებს რა სამკუთხა ფოთლისებრი სატევრის ფორმებს—ტარდასაგები ნაწილით ისინი განსხვავებულია. ჩვეულებრივ ტარდასაგებ განიერ სამკუთხა ნაწილს და სათანადო სამანჭვლეებს გარდა მასზე მოკლე ყუნწია, რომელიც წვერისაკენ თანდათან ვიწროდება (წვრილდება). დაახლოებით ამდაგვარი სატევრები აღმოჩენილი ყოფილა სოფ. ლარში (რაჭა) (იხ. კოლექცია 6—02:70 და 77). მსგავსი სატევარი აღმოჩენილა აგრეთვე სამთავროს სამაროვანზე ჩრდილო უბანზე 1939 წ. № 80 სამარხში, რომელიც უძველესი ორმო-სამარხების ჯგუფს ეკუთვნის.

თრიალეთის ტერიტორიაზე, ბეშთაშენის გზაზე, საფარ-ჩარაბასთან № 21 სამარხში გამოვლენილია მსგავსყუნწიანი სატევარი, გრძელ გახსნილმასრიან შუბისპირსა და თავზვია საკინძთან ერთად[11], ხოლო გრძელ გახსნილმასრიან შუბისპირს პარალელები მრავლად მოიპოვება გვიან ბრინჯაოს ადრეული პერიოდის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. რაც შეეხება თავზვია საკინძებს, ისინი სწორედ გვიან ბრინჯაოს პერიოდისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ერთი მათგანი, ღერო დაგრეხილი, შედარებით უფრო მოგვიანო ჩანს, ვიდრე სადა და მოკლე თავზვია საკინძი, რომლის არსებობა უფრო გვიან ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურს ემთხვევა, თუმცა თვით დაგრეხილღეროიანი საკინძის არსებობა არ უნდა ცილდებოდეს გვიან ბრინჯაოს პერიოდის დასასრულს.

ბრინჯაოს ქაბრის ბალთის ანალოგია არის 1946 წელს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ № 261 ორმო-სამარხში. ოღონდ თუ ქორეთის ბალთის მთელი ზედაპირი ერთმანეთზე გადაბმული სპირალური ორნამენტითაა შემკული, სამთავრის ეგზემპლარს მხოლოდ ცენტრალურ ნაწილზე აქვს გამოყვანილი სამი ერთმანეთზე გადაბმული სპირალი. ბალთის გარდა სამარხის ინვენტარი შედგება — ფოთლისებრი ტარშეურჩენელი სატევრისპირისა, კონუსურთავიანი საკინძისა, ირმის რქის ძირისა და თიხის ჭურჭლისაგან. აქაური სარდიონის მძივები ნაპობია და გაუპრიალებელი, რაც აგრეთვე გვიან ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურისათვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება ბრინჯაოს აგრაფებს, იგი დიდი ხნის განმავლობაში ყოფილა ყოფაში და ძალზე გავრცელებული ჩანს ჩვენს ტერიტორიაზე. გვხვდება როგორც ბრინჯაოსი, ისე ვერცხლისა და ოქროსი, ოღონდ განსხვავებული ფორმებისა.

---

[11] ბ. კუფტინი, არქეოლ. კათხრები თრიალეთში, ტაბ. 11, სურ. 1,2,4.

ავრაფების საკითხის განხილვისას გ. გობეჯიშვილი მიმოიხილავს არსებულ ლიტერატურას აღნიშნულ საკითხზე. სათანადო საბუთების მოშველიებით იგი არ ეთანხმება ბ. ა. ქუეტინს, რომელიც ფიქრობდა, რომ უფრო ადრეულია ოქროს ავრაფები, რომ ოქროს ავრაფების იმიტაციაა ბრინჯაოს ავრაფები, და იგი (გ. გობეჯიშვილი) თელის, რომ უფრო ადრეულია ბრინჯაოს ავრაფები[12], ჩვენ ვეთანხმებით გ. გობეჯიშვილის მოსაზრებას. ამის ერთი საბუთია ჩვენი ადრეული პერიოდის კომპლექსში ავრაფის აღმოჩენა და ისიც ადრეული სახისა.

ამრიგად, ძეგლის ერთდროულობა თითქოს არ უნდა იწვევდეს ეჭვს. ძირითადი ნაწილი ნივთებისა დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურისათვის, ე. ი. მათი ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი უნდა განსაზღვროთ ძვ. წ. XIV საუკუნით, მასალათა შორის რამდენადმე ოხალგაზრდად გამოიყურება ღეროდაგრეხილი თავხვია საკინძი, რომლის მსგავსი საკინძები, როგორც მასალებიდან ჩანს, ჩნდებიან ძვ. წ. XIII საუკუნეში და საკმაო დროის განმავლობაში განაგრძობენ არსებობას. ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ შესადარებელ მასალებს, ძეგლის თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეები.

[12] გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული ძველნდელი ბალთები, ნაწ. 1, თბილისი, 1942, გვ. 143—144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

სოფ. დურევში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები

კოლექცია 27—44-ში შემავალი არქეოლოგიური ნივთების დიდი ნაწილი აღმოჩენილი ყოფილა სოფ. დურევში, (საჩხერის რაიონი) „ნაევნახევი" ადგილის დამუშავების დროს. მაგრამ ზუსტი ცნობები აღმოჩენის ვითარებაზე არ არის. კოლექცია სხვადასხვა დროისა და ტიპის იარაღებსა და სამკაულებს შეიცავს[1]. მასში არის ყუამილიანი ცულები, კოლხური ცული ბრინჯაოსი, გრძელი განშტოებულთავიანი საკინძები, ტარშეურჩენელი, ყუნწიანი, სხვადასხვა ზომის სატევრები, დაწახნაგებული და გრძელყუნწიანი შუბისპირი, მასრიანი შუბისა და ხელშუბისპირები, სატევრები და სხვა. ეჭვს არ იწვევს მასალის ქრონოლოგიური სხვადასხვაობა. ჩვენი შესწავლის ობიექტი ამ კოლექციიდან ის ნივთებია, რომლებიც გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ან უფრო მოგვიანო დროისაა. ჩვენი განხილვის ობიექტი ამჯერად შემდეგი ნივთებია:

შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ინვ. 27—44:1), გრძელმასრიანი, რომელსაც შეუკვრელი ნილის მოყვანილობა აქვს, იმგვარად, რომ გახსნილობა ბოლოსაკენ უფრო ფართოა, პირისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება და პირის დასაწყისში მასრა შეკრულია. ფრთებს შორის მოქცეული ფილა, რომელიც სატარე ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს, ორწახნაგა ამაღლებული ქედის სახით გაუყვება პირს, რომელიც წვერისაკენ თანდათან დაბლდება და ვიწროვდება. მასრა თითქმის თანაბარი დიამეტრისაა როგორც ბოლოში, ისე პირის დასაწყისში და ბოლოზე ორი სამსჭვალი აქვს. პირი ფოთლისებრია, მხრები დამრეცია და მომრგვალებული. მასრის თითქმის მთელი ზედაპირი დაფარულია ხუთ რიგად გავლებული ერთმანეთზე გადაბმული სპირალური ჩაღრმავებული, ხაზოვანი ორნამენტით. ფრთებს შორის მოქცეული ორწახნაგა ქედის თითოეულ წახნაგზე ერთმანეთზე გადაბმული სპირალური სახეების ერთი რიგია ამოკაწრული. წვერმოტეხილია (ტაბ. III, სურ. 2). შუბისპირის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—87,9%, კალა (Sn)—11,34%, დარიშხანი (As)—0,44%. სიგრძე—31.0 სმ, მასრის სიგრძე—19.5 სმ. პირის უდ. სიგანე—4,5 სმ. მასრის უდ. დიამეტრი — 1,5 სმ.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ინვ. 27—44:2) გრძელმასრიანი, მასრას შეუკვრელი ფილის მოყვანილობა აქვს. გახსნილობა ბოლოსაკენ მეტია და ამდენად მასრის ბოლოს დიამეტრიც ოდნავ დიდია. შუას ქვემოთ მასრა თითქმის თანაბარი დიამეტრისაა და პირის საწყისთან შეიკრება. ფრთებს შორის მოქცეული ფილი, რომელიც სატარე ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს, ორწახნაგა

[1] Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети I, Тбилиси, 1941, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი ქედის სახით გაუყვება პირის ორივე მხარეს წვერამდე. პირი ფოთლისებურია, მხრები დაქანებული და მომრგვალებული, ფრთები რკალისებურია და შუბისპირის შუა ნაწილს ცილდება. წვერისაკენ პირი სამკუთხაა, მკვეთრად შევიწროებული, სადაა, ფხები ოდნავ დახიანებული აქვს (ტაბ. III, სურ. 1). სიგრძე—31,0 სმ, პირის სიგრძე—14,0 სმ, პირის უდ. სიგანე—3,2 სმ, მასრის უდ. დიამეტრი—1,5 სმ. შუბის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu) —87,3%, კალა (Sn)—11,0%, დარიშხანი—(As)—0,5%, ანთიმონი (Sb)—0,5%.

ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:3), მასრას შეუკვრელი მილის მოყვანილობა აქვს ისე, რომ გახსნილობა ბოლოსაკენ უფრო ფართოა, პირისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება. პირის დასაწყისში მასრა შეიკვრის. ფრთებს შორის მოქცეული მილი, რომელიც სატარე ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს, მომრგვალებული ქედის სახით გაუყვება პირს. ქედის ამაღლებულ ნაწილზე სამი რელიეფური წიბურია გავლებული. შუა წიბური გრძელდება მასრაზე და ჩქარა ქრება, ორი წიბური კი პირის საწყისთან უხვევს და უერთდება ფრთების საწყისს. წიბურების გავლების შედეგად მაღალ ქედზე ორი ღარია წარმოქმნილი. პირი ფოთლისებრია, მხრები დაქანებული. ფრთები ვიწრო. წვერი მოტეხილია. ნაკლულია მასრაც (ტაბ. III, სურ. 4).

სიგრძე —16,0 სმ, მასრის სიგრძე — 8,0 სმ, უდ. სიგანე—2,3 სმ, ხელშუბისპირის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი—(Cu)—84,05%, კალა (Sn)—14,15%, ანთიმონი (Sb)—0,31%.

ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:4), გრძელმასრიანი. მასრას შეუკვრელი მილის მოყვანილობა აქვს, გახსნილობა ბოლოსაკენ მეტია, იგი პირისაკენ თანდათან ვიწროვდება, უახლოვდება რა პირს მასრა შეიკვრის და მილის სახეს ღებულობს, ფრთებს შორის მოქცეული მილი, რომელიც მასრის გაგრძელებას წარმოადგენს ერთ მხარეზე შუამდე მაღალი განიერი და მრგვალი, შუადან წვერამდე ვიწრო მომაღლო, ხოლო მეორე მხარეზე დაბალი მომრგვალებული ქედის სახით გაუყვება, თანდათან დაბლდება და წვერთან ქრება. პირი მოკლეა, ფოთლისებრი (ოვალური), ფრთები თითქმის არათანაბარია. მასრა დახიანებულია (ტაბ. III, სურ. 5). სიგრძე —14,2 სმ, პირის სიგრძე—5,5 სმ, პირის უდ. სიგანე—2,8 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—88,81%, კალა (Sn)—10,41%.

ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:5), მასრას დიდი ნაწილი აკლია. როგორც დარჩენილი ნაწილიდან ჩანს, მასრა შეკრული უნდა ყოფილიყო. მასრა პირისაკენ თანდათან ვიწროვდება და ფრთებს შორის მოქცეული მილი. რომელიც მასრის გაგრძელებას წარმოადგენს მრგვალი ქედის სახით გაუყვება პირის ორივე მხარეს, წვერისაკენ თანდათან დაბლდება და წვერთან ქრება. პირი ფოთლისებრია. მხრები დაქანებული, ფრთები არათანაბარია და ერთ მხარეზე გახვრეტილი (ტაბ. III, სურ. 7).

სიგრძე—11,5 სმ, პირის სიგრძე—8,0 სმ, პირის სიგანე—3,5 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—96,1%, დარიშხანი (Sn)—0,4%.

ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:6), გრძელმასრიანი, მასრას შეუკვრელი მილის მოყვანილობა აქვს, გახსნილობა ბოლოსაკენ მეტია, მიუხედავად ამისა, მასრის დიამეტრი თითქმის თანაბარია და ზემო ნაწილში, ორი სამსჭვალი აქვს. მასრა პირის საწყისთან შეიკვრის. პირს წვერისაკენ დიდი

ნაწილი აკლია. დარჩენილ ნაწილს, განსხვავებით სხვა შუბისპირებისაგან, ფრთები თითქმის არ აქვს და პირის განიკვეთი რომბულია. მასრის ბოლო დაზიანებულია (ტაბ. III, სურ. 6). სიგრძე—15,7 სმ, მასრის სიგრძე—11,1 სმ, პირის უდ. სიგანე—1,3 სმ, მასრის დიამეტრი—1,2 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—90,9%, კალა (Sn)—5,1%, დარიშხანი (As)—0,68%.

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:7), ტარშეურჩენელი, პირს სამკუთხა მოყვანილობა აქვს და ორივე მხარეზე მორგვალებული და განიერი ქედი გაუყვება, ხოლო ქედის ამაღლებულ ნაწილზე ორი ღარის გაყოლებით სამი წიბური წარმოიშვება. ყუნწი განიკვეთში მრგვალია და პირთან შეერთების ადგილას (იღლიებთან) ნახვრეტები აქვს, ალბათ, ტარის დასამაგრებლად. ფხები ბასრია და მასზე ლესვის კვალი შეიმჩნევა. სატევარი დაზიანებულია, ფხები აქა-იქ ჩამომტვრეულია. სიგრძე—27,5 სმ, პირის სიგრძე—24,0 სმ. პირის უდ. სიგანე—4,0 სმ (ტაბ. IV, სურ. 1).

სატევრის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—86,62%, კალა (Sn)—11,0%, დარიშხანი (As)—0,5%.

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:8), ტარშეურჩენელი, ყუნწთან განიერი, შემდეგ ოდნავ შეიწროებული. პირი დიდ ნაწილზე თითქმის თანაბარი სიგანისაა. წვერისაკენ ოდნავ ვიწროვდება და წვერი მომრგვალებულია. პირს ორთავ მხარეზე, მთელ სიგრძეზე, მკვეთრი ვიწრო და მაღალი ქედი გაუყვება. ყუნწის ძირთან ორი ნახვრეტია (ტარის დასამაგრებლად). ფხები აქა-იქ დაზიანებულია. სამანჭველეებიც ჩამომტვრეულია (ტაბ. IV, სურ. 2). სიგრძე—17,5 სმ, პირის სიგრძე—15,5 სმ, უდ. სიგანე—4,0 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—95,00%, დარიშხანი (As)—1,5%.

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:27), ტარშეურჩენელი, პირი ყუნწთან განიერია. შემდეგ ოდნავ შეიწროებული, პირის დიდი ნაწილი თითქმის თანაბარი სიგანისაა. მის ორთავ მხარეზე—მთელ სიგრძეზე განიერი და მომრგვალებული ქედია გაყოლებული ისე, რომ ფხა ძალზე ვიწრო აქვს. ყუნწი მოკლეა, ბრტყელი და განიერი. ბოლოზე ორი სამსჭვალი ქონია, ტარის დასამაგრებლად. წვერი მოტეხილი აქვს. მცირედ დაზიანებულია სატევრის ფხაც. სიგრძე—38,0 სმ, პირის სიგრძე—33,0 სმ, უდ. სიგანე—5,5 სმ (ტაბ. IV, სურ. 3). სატევრის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—87,33%, კალა (Sn)—11,6%, დარიშხანი (As)—0,3%.

ცულიკოლხური ტიპისა ბრინჯაოსი (ინვ. 27—44:12). ყუა მაღალია და დაბლაგვული, ალბათ მუშაობის შედეგად. სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისა. მისი წინაპირი 0,25 სმ-ით მაღალია და 0,2 სმ განიერი, ვიდრე უკანა პირი, რაც, ალბათ ტარის მკვეთრად დაგებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. სატარეს ქედლებს გარედან სამი წიბური და შესაბამისად მათ შორის ორი ღარი გაუყვება. წინა და უკანა წიბური წელთან წახნაგებია. წიბურად იქცევა და წინა და უკანა ნიღრამდე აღწევს, შუალა კი სცილდება სატარეს და აღწევს იმ ადგილამდე, სადაც ლურსმნის თავისებრი წამონაზარდია. შუბლი შეეტილია და ორწახნაგა, ორწახნაგია კაჩაც, წელი ექვსადია დაწახნაგებული, პირი ვორდია და ასიმეტრული. უკანა ნიღრი უფრო მაღალია ვიდრე წინა. პირი ფხისაკენ თხელდება. ცულის ფხა ოდნავ დაზიანებულია, ზედაპირიც დაჟანგვის შედეგად მცირედ დაზიანებულია. სიგრძე 21,0 სმ, სიგანე—8,3 სმ, სისქე—3,4 სმ, (ტაბ. IV, სურ. 5).

ცულის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—94,1%, კალა (Sn)—4,1%, დარიშხანი (As)—1,7%.

სოფ. დურევში აღმოჩენილ მასალათა შორის ყურადღებას იპყრობს კოლხური ცული, რომელიც ფორმით, ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით[2], II ტიპისაა უფრო მისი ქვეტიპი. მასზე სატარე ხვრელის გარეთა შუა წიბურის ძირზე წელთან ორივე მხარეზე მეჭეჭისებრი კოპია.

ამგვარი ტიპის ცულების რამდენიმე ეგზემპლარია ჩვენთვის ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კოლხურ ცულთა შორის. საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია სვანეთში აღმოჩენილი ამდაგვარი კოლხური ცული (ინვ. 3—42:1). მაგრამ სამწუხაროდ აღნიშნული ცულის აღმოჩენის ვითარება ჩვენთვის არ არის ცნობილი, არ არის ცნობილი აგრეთვე ცულის თანმხლები ინვენტარი.

სოფ. დურევის ბრინჯაოს ცულის ანალოგია კომპლექსურ მასალებშიც გვხვდება. ერთი ასეთი ცული აღმოჩენილია I ტიპის კოლხურ ცულებთან, ბრინჯაოს პირფართო, წელში მოხრილ თოხთან და წალდთან ერთად ს. ხევში 1953 წ. განძის სახით (ინვ. 9—54).

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ქვიშარის მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლი. იქ აღმოჩენილ სხვადასხვაგვარ არქეოლოგიურ მასალათა შორის ერთი ცალია კოლხური ცულის ის ვარიანტი, რომელიც მეორე ტიპის ქვეტიპად შეიძლება ჩაითვალოს და სატარე ხვრელის ზედაპირზე დაშვებულ შუა წიბურის ბოლოზე ლურსმნის თავისებრი კოპი აზის (ინვ. 8—46:2). ქვიშარის კოლექცია კი შედგება I ტიპის კოლხური ცულისა, რომლის ზედაპირი გეომეტრიული სახეებითაა გრავირებული, II ტიპის კოლხური ცულებისა, ბრტყელი ცულებისა, სატეხისა, პირგანიერი თოხებისა, ნამგლისა, სიტულის ყურისა, სამაჯურებისა და რგოლი მონეტისაგან[3].

ჩვენ დავასახელებთ ს. დურევის ცულის კიდევ ერთ საინტერესო ანალოგიას. სუხუმის მთის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ყოფილა ბრინჯაოს ნივთების განძი[4], რომელიც 12 დიდი და ერთი მომცრო ბრინჯაოს კოლხური ცულისა და სხვა ნივთებისაგან შედგება. აღნიშნულ ცულთაგან ალ. კალანდაძე გამოყოფს ერთ ცულს, და მას სპეციალურად განიხილავს. ამ ცულის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ ის განძში შემავალ ცულთაგან ყველაზე უგრძესია, მაგრამ ნაკლებ მასიურია. იძლევა რა ცულის ვრცელ აღწერილობას ის დასძენს, რომ ცულის სატარის გარეთა ნაწილის შუა წიბური ბოლოვდება ლურსმნისთავისებრი კოპითო[5].

ამრიგად, კოლხური ცულის მეორე ტიპის ეს ვარიანტი შედარებით ტლანქი და თავისებური იერის მატარებელია და როგორც ჩანს, ცულთა ეს ტიპი მთიან კოლხეთშია ძირითადად გავრცელებული (სვანეთი, ლეჩხუმი, დურევი, ხევი და „აფხაზეთის სანაპიროს მთიანი ზოლი"). ეთანხმება რა ო. ჯაფარიძის მოსაზრებას, ალ. კალანდაძე აღნიშნავს, რომ მსგავსი ნაკეთობის და შემკულობის ცულები უმეტესად მთიან კოლხეთშია გავრცელებული. ამდენად მისი აღმოჩენა აფხაზეთის სანაპიროს მთიან ზოლში მოულოდნელ მოვლენას არ წარ-

[2] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კოლხური ცული. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, გვ. 69.

[3] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVB, თბილისი, 1948, სურ. 3, 4, 5, 8, 10, 11, 12, 13, 14.

[4] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, ტ. 12, 15,2, ტაბ. 1.

[5] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, ტაბ. 1, სურ. 13.

მოადგენს. ჩვენის აზრით, ეს გარემოება შეგვიძლია ძველი კოლხური მოსახლეობის საწარმოო, მეტალურგიული ცოდნა-გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მანიშნებელ ფაქტად მივიჩნიოთ[6]. სოხუმის წთის განძის ცულების დანიშნულებაზე ალ. კალანდაძე აღნიშნავს: „ცულების ასეთი სიმძიმე და საერთოდ სიდიდე მათ მეურნეობაში გამოყენებას უფრო მიგვითითებს, ვიდრე საომარი მიზნით მოხმარებას"[7]. მივაქცევდით რა ყურადღებას ამ ტიპის ცულების საერთო სიტლანქეზე, რომლებიც საკმაოდ განსხვავდება ამ იარაღთა სხვა ტიპის ცულებისაგან, ყუის უხეშად დამუშავებასა და ზოგიერთ სხვა მომენტებზე, ჩვენ ვეთანხმებით ალ. კალანდაძეს, რომ მართლაც ასეთი ტიპის ცულები შესაძლოა ძირითადად გამოყენებული ყოფილიყო სამეურნეო საქმიანობაში.

რაც შეეხება ლურსმნისთავისებური კოპის დანიშნულების საკითხს, რომელიც ცულის სატარეს გარეთა ნაწილის შუა წიბურის ბოლოზეა, გარკვევით რამეს თქმა გვეძნელება. რ. ვირხოვი[8] და ზოგიერთი სხვა მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი ნამდვილი ლურსმნის იმიტაციაა, რომელიც ერთ დროს იხმარებოდა ცულზე ტარის დამაგრების მიზნით. შესაძლოა მართალი იყოს ეს მოსაზრება, მაგრამ ჩვენ საეჭვოდ მივაჩნია: ერთი იმიტომ, რომ კავკასიის ტერიტორიაზე ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია ტრადიცია, როდესაც სამსჭვალით თუ ლურსმნით მაგრდება ტარი ამ ტიპის იარაღთან, ყოველ შემთხვევაში კოლხური ცულის წინამორბედებზედაც არა ჩანს ასეთი რამ. მაშ საიდან უნდა აეღოთ ხელოსნებს მაგალითი?

ამავე დროს აღნიშნული კოპი თუ ლურსმნის თავის იმიტაციაა, მაშინ იგი უნდა გაეკეთებინათ უფრო ზევით სატარე ხვრელთან და არა შუა წელზე, იმ ადგილზე, რომელთანაც არაფერი საერთო არა აქვს ტარს და არც შეიძლებოდა ქონოდა (თუმც სვანეთის ცულს იგი სატარე ხვრელის ძირზე აქვს) და მესამე—როგორც ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი ბასალეგიდან ჩანს, ასეთი ცულები ისეთ კომპლექსებშია, სადაც I ტიპის კოლხური ცულებია, II ტიპის კოლხური ცულებიცაა, მაგრამ ამ გამონაკლისებს გარდა ასეთი ნიშანი არც ერთ ცულზე არ არის. გადაჭრით არაფრის თქმა შეგვიძლია, მაგრამ შესაძლოა იგი მხოლოდ ნივთის გაფორმებისათვის იყო ხელოსნის მიერ გაკეთებული.

ს. დურევის ცულის მსგავსი ცულის და მასთან დაკავშირებული კომპლექსის საკითხი სპეციალურად განიხილა ალ. კალანდაძემ. იგი ფიქრობს, რომ სოხუმის მთის განძს, რომელშიც ცამეტი თითქმის მსგავსი ცულია და აგრეთვე ერთი ისეთი ცული, რომელიც ზუსტი განმეორებაა ს. დურევის, ცულისა, „შეუძლია არსებითი დახმარება გაუწიოს მკვლევარს, რომელსაც საერთოდ კოლხური ცულის წარმოშობისა და განვითარების ისტორია აინტერესებს. ასეთ ინტერესს, პირველ კოვლისა ამ განძის შედარებით არქაული იერი იწვევსო"[9].

მოჰყავს რა ის დამახასიათებელი მომენტები, რომლებიც მისი დაკვირვებით ამ ცულებს არქაულ იერს აძლევს (ორნამენტი, ცულთა ჩამოსხმის პრიმიტიულობა, სიდიდე და სიმძიმე) იგი ასკვნის: „თუ ეს მსჯელობა სწორია მაშინ განვითარებული კოლხური ცულების წინამორბედად ჩვენი განძის ცულების ტიპის დასახელეც იქნებ არ იყოს უსაფუძვლო"[10].

---

[6] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16, 17.

[7] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[8] R. Virchow, Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin, 1883, გვ. 33.

[9] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[10] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

ალ. კალანდაძე ამ განძის აბსოლუტური თარიღის შესახებ იძლევა წინასწარულ მოსაზრებას. იგი აღნიშნავს, რომ „წინასწარი მოსაზრებით ჩვენ მას ივ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის დასაწყისით ვსაზღვრავთ, ყოველ შემთხვევაში განძი არ უნდა იყოს X—IX საუკუნეზე უფრო გვიანი მოვლენა"[11].

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლი შერეული კომპლექსია, სხვადასხვა ტიპისა და შეიძლება ითქვას სხვადასხვა პერიოდისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ნივთების ნაერთია, მასში ს. დურევის ცულის ზუსტი ანალოგიაცაა. პროფ. გ. ნიორაძე ფიქრობს, რომ ამ განძის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. XII საუკუნეზე ადრეულ პერიოდს არ უნდა მივაკუთვნოთო[12]. პროფ. გ. ნიორაძე სავსებით მართალია თუკი მხოლოდ ამ ძეგლის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარზე ვიმსჯელებთ, მაგრამ იგი არ იძლევა ამ ძეგლის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს. ო. ჯაფარიძე კი ფიქრობს, რომ ოლხური ცულის არსებობის ძირითადი ხანა საქართველოში II ათასწლეულის ბოლოზე მოდის[13].

ზემოთ მოტანილი ანალოგიების მიხედვით (ერთის მხრივ, სოხუმის მთის განძი, მეორეს მხრივ, ქვიშარის და ხევის განძი), ს. დურევის ცულის ზუსტი ანალოგიები გვხვდება, როგორც შედარებით ადრეულ, ისე ოდნავ მოგვიანო პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. მხედველობაში გვაქვს ერთის მხრივ, გვიან ბრინჯაოს პერიოდის მასალები და, მეორეს მხრივ, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეების მასალები, მაგრამ ვითვალისწინებთ რა იმას, რომ დურევის არქ. ძეგლებში შედარებით მოგვიანო პერიოდის მასალები თითქმის არ არის და ამავე დროს ს. დურევის ცულების მსგავსი ცულები გვიან ბრინჯაოს პერიოდშიც გვხვდება. ჩვენ აღნიშნული ცულის თარიღი შეიძლება განვსაზღვროთ ძვ. წ. XII—X საუკუნით. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ს. დურევის სხვა არქეოლოგიური მასალები.

ს. დურევის არქეოლოგიურ ძეგლთა შორის, რომლებიც გვიანი ბრინჯაოს ან ოდნავ მოგვიანო პერიოდის შეიძლება იყოს, ყურადღებას იპყრობს საბრძოლო იარაღთა ორი ჯგუფი: ბრინჯაოა ტარშეურჩენელი სატევრები და შესანიშნავად ნახელავი შუბისა და ხელშუბისპირები. იქ აღმოჩენილ სატევართაგან (სულ 3 ცალია) ყველას დამოუკიდებელი ფორმა და დამუშავების თავისებური ტექნიკური ხერხები ახასიათებს, ამიტომ ჩვენ მეტ-ნაკლები სისრულით ყოველი მათგანის ცალ-ცალკე განხილვა მოგვიხდება.

პირველ ყოვლისა ჩვენი ყურადღება მიიქცია დიდი ზომის ტარშეურჩენელმა „სატევარმა" (ინვ. 27—44:27), რომლის ზუსტი ანალოგია თითქმის არ შეგვხვედრია ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ მასალებსა და ლიტერატურაში. იარაღისათვის დამახასიათებელია: მომრგვალებული და განიერი ქედი, რომელიც ჭრილში რკალისებურია; ვიწრო ფხა, რომელიც თითქოს ოდნავ შესაჩხვევი ღარით გამოყოფილია ქედისაგან. განსხვავებით დასავლეთ საქართველოს ამ დროისათვის დამახასიათებელ უმეტეს სატევრებისაგან, რომლებსაც სატარე ვიწრო აქვთ და მთავრდება ღეროვანი გრძელი წანაზარდებით, ხოლო სამანჭველები—ერთი მეორის მახლობლად, ყუნწის პირზე გადასვლის ადგილს, ს. დურევის ეგზემპლარს ბრტყელი და განიერი სატარე აქვს, ხოლო ტარის

[11] იქვე, გვ. 21.
[12] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ქვიშრის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 20.
[13] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ოლხური ცული, საქ. სახ. მუზეუმის ნოამბე. XVIII, გვ. 83.

დასამაგრებელი სამსჭვალი იმ ადგილასაა, სადაც მხრები გადადის ფხებში. იგი საერთოდ სიდიდითაც განსხვავდება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ თანადროული სატევრებისაგან. მისი სიგრძე სატარითურთ 38 სმ-ია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სატევარს წვერი მოტეხილი აქვს, ხოლო წვერის რეკონსტრუქციის მიხედვით მას 3-4 სმ სიგრძე ემატება, გამოდის, რომ ტარის დასაგებ ყუნწთან ერთად სატევრის სიგრძე 42 სმ-მდე აღწევს.

სატევრის ტარის დასაგებ ნაწილზე კარგად შეიმჩნევა ის ადგილი, სადამდეც სატევრის შესაძლო ხის ან ძვლის ტარი უნდა ყოფილიყო დაგებული. ტარის დასაგები ნაწილიდან სატევრისპირის სიგრძე აწეამად 33 სმ-ია, მას თუ დავუმატებთ 3—4 სმ, რომელსაც შესაძლოა უდრიდეს სატევრის ის ნაწილი (წვერი), რომელიც წამტვრეულია, გამოდის, რომ სატევრისპირის (სატარეს და საერთოდ ტარის გარეშე) სიგრძე—37,0 სმ-მდე უნდა ყოფილიყო და თუ ვივარაუდებთ, რომ სატევრის ნორმალური ტარი 8—10 სმ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, გამოდის, რომ ამ იარაღის სიგრძე მაშინ, როდესაც იგი გამოჭედა და გაკეთა ხელოსანმა არა ნაკლებ 45—47 სმ იქნებოდა. ამავე დროს სატევარი საკმაოდ მასიურია და მიმეც. როგორც ცნობილია, ამ დროის (და საერთოდ) კოლხური კულტურა არ იცნობს მთლიანადსხმულ სატევარ-მახვილებს. იმ დროს როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია ძალზე მდიდარია სხვადასხვა ტიპის მახვილებით (ბოლომომრგვალებული და ბასრი, ბოლოკვეთილი, ბოლოწაწვეტებული, ბოლომომრგვალებული და დაბლაგვული), რომელთა შორის საკმაო რაოდენობითაა ისეთები, რომლებიც სიგრძით არ აღემატება 41-დან 47 სმ. ვითვალისწინებთ რა იარაღის სიმძიმეს, მის სიგრძეს და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში მოკლე მახვილების არსებობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ს. დურეევის იარაღებიდან განხილული ეგზემპლარი ასრულებდა მახვილის ფუნქციას, თუმცა ამ მოსაზრების სისწორეს ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ამ იარაღის პირის დიდი ნაწილი მრგვალი ამაღლებული ქედითაა დაფარული, ფუძეები კი ვიწროა.

ს. დურეევის მასალათაგან მეორე სატევარი (ინვ. 27—44:7) აგრეთვე ტარშეურჩენელია. ისე როგორც წინათ განხილულ იარაღს, ამ სატევარსაც განიერი მომრგვალებული ქედი აქვს, მაგრამ მის ამაღლებულ ნაწილზე ორი ვიწრო ღარის გაკეთების შედეგად სამი მკვეთრი წიბური წარმოიშვება. იგი წვერიდან ტარამდე აღწევს. ტარდასაგები ნაწილის (ყუნწის) დაბოლოება განივკვეთში მრგვალია, პირთან იგი ოდნავ გაგანიერებულია და ორი სამსჭვალი აქვს. აღნიშნული იარაღის ზუსტი ანალოგიები უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა შორის გვხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჭიათურის რაიონის სოფ. ნიქოზეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები (ინვ. 17—51) (ტაბ. V). მასალები, მასწავლებელ გ. ჯოშვილის გადმოცემით, სამარხეულია და კომპლექსს წარმოადგენს. იგი შეიცავს მეტ-ნაკლების სიგრძის ერთნაირ ორ სატევარს (ინვ. 17—51:11, 12) (ტაბ. V, სურ. 11, 12), რომელთაც აგრეთვე განიერი მომრგვალებული ქედი გააჩნიათ და მის ამაღლებულ ნაწილზე ორი ღარის გაკეთებით სამი მკვეთრი წიბური წარმოიშვება. ამ ორ სატევართა შორის სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ ნიგოზეთის სატევრებს არ გააჩნია ტარის დასამაგრებელი სამსჭვალი, კოლექციის შემადგენლობაშის აგრეთვე სატევრის ნაწილი ბრინჯაოსი. წვერისაკენ იგი ვიწროა და მასზე მკვეთრად გამოსახული მაღალი ქედია.

კომპლექსი აგრეთვე შეიცავს იშვიათ ეგზემპლარს, შესანიშნავად ნახელავ ბრინჯაოს ბალთას (ინვ. 17—51), (ტაბ. V, სურ 1), რომლის ერთი თავი წარმოადგენს ოდნავ შეზნექილ დისკოს, კონუსური წვეტით, ხოლო მეორე თავი საინტერესოა იმით, რომ იგი ლამაზად აწვდილფრთებიან აღმოსავლურ ჭართული ცულისპირის გამოსახულებას წარმოადგენს. ამ ორ ბოლოს აკავშირებს ბრტყელი ღერო, რომელიც დაღარულია და სიგრძეზე წნული ორნამენტი დაუყვება. ბალთის ზედაპირი შემკულია გეომეტრიული—წრიული და ირიბი ამოკაწრული ხაზებით. ამათ გარდა კოლექცია შეიცავს ბრინჯაოს ძალზე დაზიანებულ შუბისპირს, მშვილდ საკინძის ნაწილს, ბრინჯაოს დუგმის ნაწილს, ბალთის ნაწილს და ბრინჯაოს რგოლს.

ს. დურევის სატევარის ზუსტი ანალოგია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზედაც რამდენიმე ეგზემპლარია აღმოჩენილი. ერთი ასეთი სატევარი აღმოჩენილია ს. ზინდისში (სურამის მახლობლად) (ინვ. 12—32:50). მეხ, ისევე როგორც ს. დურევის ცალს, განიერი მომრგვალებული ქედი გაუყვება პირის მთელ სიგრძეზე და ქედია ამაღლებულ ნაწილზე სამი მკვეთრი წიბური აქვს. ყუნწი ძირზედაც ორი სამსჭვალია ტარის პირზე დასამაგრებლად.

ს. დურევის სატევრის მსგავსი იარაღი თრიალეთში ბეშთაშენ საფარ-ხარაბას სამაროვანზედაც არის № 20 სამარხის მშვენიერ კომპლექსშიცაა აღმოჩენილი. სატევრისპირის მოყვანილობა ზუსტად ემთხვევა დურევისას, ყუნწი ბრტყელია და ოთხკუთხა, ყუნწის ძირზე სამანჭვლე ნაჩერეტია. პირზე ორი მკვეთრი წიბურია გავლებული[14]. № 20 სამარხში სატევართან ერთად აღმოჩენილია: შუბისპირი გახსნილი, გრძელი მასრით და ვიწრო პირით. პირზე საკმაოდ მკვეთრი ქედი გაუყვება. კვერთხის თავი გვერდზე შვერილებით. მილისებრი წამოსაცმელი ჯოხისა, ბრტყელი ცული, სამაჯურები და სხვა ნივთები[15].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დურევის სატევრებს (განსაკუთრებით განიერ და მრგვალქედიანის ანალოგია კახეთში ბაკურციხეშიც აღმოჩნდა (ინვ. 12 — 32:54), ტარის დასაგები ნაწილი. ყუნწითურთ იმეორებს დურევის სატევრის შესატყვის ნაწილს. ქედიც მომრგვალებული და განიერია ოღონდ იგი წვერისაკენ ჭრება, განსხვავებით დურევის სატევრებისგან, წვერი მომრგვალებული და ბასრი აქვს.

ზუსტად ამავე ფორმის (სამკუთხა) ტარშეურჩენელი სატევრები, ოღონდ ქედით განსხვავებული, აღმოჩენილია აფხაზეთში[16]. მისი პირი სამკუთხაა და საკმაოდ მკვეთრი ქედი გაუყვება ოღონდ იგი არ არის დაღარული და ამდენად, მასზე არც მკვეთრი წიბურებია წარმოქმნილი. ტარის დასაგები ყუნწი ორი სამსჭვალით ჩვეულებრივია.

ერთი მსგავსი ფორმის სატევარი, ოღონდ განიერი დაღარული ქედის მაგივრად, ვიწრო მკვეთრი ქედით, აღმოჩენილია ყობანში[17]. ამგვარი სატევრის ერთი ეგზემპლარი აღმოჩენილი ყოფილა აგრეთვე სოფ. ნიგოზეთში, ჭიათურის რაიონი, რომელიც ამჟამად იხახება ქუთაისის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში[18].

---

[14] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ტაბ. L.

[15] დასახ. ნაშრომი, ტაბ. L.

[16] Лукин А. Л., Археология Банбской Абхазии, Труды отдела Истории первобытной культуры, I, Ленинград, 1941, таб. XIII.

[17] МАК, Т. VIII XI.

[18] Иващенко М. М., Материалы к изучению культуры колхиз. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი 1941, სურ. 4.

ამრიგად, ს. დურეევის სატევრის იმ ეგზემპლარს, რომელსაც განიერ ქედზე ორი ღარის გავლებით 3 წიბური გაუყვება, ანალოგიები მოეპოვება როგორც დას. საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში (თუმცა იშვიათად) და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მასალებში (ერთეული შემთხვევები) და ბოლოს ს. დურეევის მასალათა შორის არის ისეთი სატევარი (ერთი ეგზემპლარი, ინვ. 27—44:8), რომელიც თავისი ფორმით ახლო ანალოგიას პოულობს ტარშეურჩენელ ფოთლისებრ სატევრებთან, რომლებიც ძირითადად შიდა ქართლის გვიან ბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის გვხვდება და განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი სამთავროს უძველეს ორმო-სამარხებში. ერთეული შემთხვევები ასეთ სატევართა აღმოჩენისა სამხრეთ საქართველოდანაცაა.[19] ასეთი სატევრების აღმოჩენის ფაქტები იშვიათია დასავლეთ საქართველოში. სამი ცალი ფოთლისებრი სატევარი აღმოჩენილია საჩხერეში 1910 წელს (ინვ. 94—10). ასეთივე სატევრების აღმოჩენის შემთხვევები (ინვ. 6—03:70—76) ჩრდილო კავკასიაში—ყობანშიც არის[20].

ამრიგად, ს. დურეევის სატევრების ერთი ნაწილი, ტარშეურჩენილ-განიერი, მრგვალქედიანი და ქედდაბალი სატევრები, წარმომობით ადგილობრივია, კოლხური კულტურის წიაღში ჩამოყალიბებული, კოლხბრინჯაოს მეტალურგების მიერ შექმნილი, რომელმაც შემდგომ თავისი გავრცელება ჰპოვა მონათესავე ტომებში, შიდა ქართლში და ნაწილობრივ ყობანში. მეორე ნაწილმა კი (ფოთლისებრმა ტარშეურჩენელმა სატევრებმა) აქ გავრცელება ჰპოვა ალბათ, შიდა ქართლიდან. თუმცა ფოთლისებრი სატევრების ადრეული სახეები სრულიად უქედონი, დასავლეთ საქართველოში—რაჭაშიაც (ლარშიაც) აღმოჩენილა.

ს. დურეევის არქეოლოგიურ მასალათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი შუბისა და ხელშუბისპირებია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ იარაღთა შორის ჩვენ ვხვდებით შუბისპირთა განსხვავებულ სახეობებს. მათ შორის შესანიშნავი ხელოვნებით ნაკეთები გრძელმასრიანი შუბებია და ხელშუბისპირი ისეთი, რომლის ქედი დაღარულია და დაღარვის შედეგად სამი წიბური წარმოიქმნება, სხვა სახის ხელშუბისპირთაგან აღსანიშნავია ის ხელშუბისპირი, რომელსაც პირი თითქმის უფრთო აქვს, განიკვეთში რომბული.

აქვეა ფოთლისებრპირიანი მასრაგახსნილი ხელშუბისპირები, რომლის მსგავსი იარაღი ხშირად გვხვდება გვიან ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის კომპლექსებს შორის და აგრეთვე ხელშუბისპირი ფოთლისებრი პირით, რომელსაც პირზე მომრგვალებული და განიერი ქედი მიუყვება.

როგორც აღვნიშნეთ, ს. დურეევის არქეოლოგიურ მასალათა შორის თავისი სილამაზით, ცალკეული ნაწილების პროპორციულობით, პირის შესანიშნავი მოყვანილობით გამოირჩევა ბრინჯაოს შუბისპირები (ინვ. 27—44:1,2). მათთვის დამახასიათებელია გრძელი გახსნილი მასრა (მასრა პირზე გრძელია), მორკალული ფრთები და ორწახნაგა მაღალი ქედი. ერთ მათგანს (ინვ. 27—44:1) მეორისაგან განასხვავებს შემკულობის ხერხები (მიუხედავად დამუშავების

[19] ბ. კუფტინი, დასახ. ნაშრ., სურ. 775.
[20] MAK, T. VIII.

ტექნიკური ხერხებისა და ფორმების ერთგვაროვნობისა). მისი შეუკვრელი მასრის ზედაპირი და ამაღლებული ორწახნაგა ქედი გრავირებულია გადაბმული ამოკაწრული სპირალებით ისე, რომ მასრის ზედაპირი დაფარულია ხუთრიგად ჩამწკრივებული ერთმანეთზე გადაბმული სპირალური ბაზოვანი ჩაღრმავებული ორნამენტით. ხოლო მასრის ნაპირებს პირიდან შუამდე ამკობს ერთმანეთის გადამკვეთი ხაზების მიერ შექმნილი რომბების მწკრივი, ხოლო ორწახნაგა მაღალ ქედზე გადაბმულ სპირალთა თითო რიგია. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრავალრიცხოვან შუბისა და ხელშუბისპირებს შორის ერთეული შემთხვევაა, როდესაც იგი გრავირებულია გეომეტრიული ან ცხოველური სახეებით, ამიტომ ყოველი ასეთი ეგზემპლარის აღმოჩენა და მათი შესწავლა ინტერესს წარმოადგენს. გრავირებული შუბისპირები საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ეგზემპლარია აღმოჩენილი.

ნაოხვამოს ბორცვის გათხრის დროს აღმოჩენილია კარგი ნახელავი მაღალი ხელოვნებით ნაკეთები შუბისპირი, რომლის მასრის ზედაპირი შემკულია გეომეტრიული სახეებით, ლენტური ორნამენტით[21]. ზუსტად ასეთივე ორნამეტით შემკული მასრიანი შუბისპირი აღმოჩენილი ყოფილა აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფ. პეტრეპავლოვსკში[22].

მეტად საინტერესოა ეშერის ბრინჯაოს შუბისპირი[23], რომელსაც გრძელი გახსნილი მასრა აქვს. მასრა გრავირებულია სხვადასხვა მიმართულებით მორბენალი ორი ერთნაირი ცხოველის გამოხატულებით (სურ. 21). ცხოველები პროფილშია, თითოეული მათგანის ორი ფეხი მოჩანს, ცხოველთა ყუდები გრძელია და ბოლოები ამოღუნული. ცხოველები მოქცეულია მასრის „გარდიგარდმო" ამოშვერილ ორ ვიწრო ხოლს შორის, ხოლების ზედაპირი კი დატვიფრულია ტეხილხაზოვანი ამოკაწრული სახეებით. უნდა აღინიშნოს, რომ მასრა და პირის მოყვანილობა აღნიშნული შუბისპირისა ზუსტად იმეორებს ს. დურეევის ორივე შუბისპირის მასრის ფორმას, სიგრძესა და პირის მოყვანილობას. ქ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია შუბისპირის საინტერესო ცალი, რომელიც ზუსტი ანალოგია მასრისა და პირის მოყვანილობით ჩვენი ეგზემპლარებისა. შუბისპირი აღმოჩენილი ყოფილა სტალინირის რაიონში (აღმოჩენის ზუსტი ადგილი და თანმხლები ინვენტარი უცნობია) (ინვ. გ. ი. ე. ს. მ. 3—47:3). წვერი წატეხილი აქვს, ხოლო პირზე მაკვეთრი ქედია გავლებული. მასრაზე გრავირებულია ერთმანეთზე გადაბმული ცხენის ამკარა თაგები—ისინი სულ ხუთია. ცხენებს ყურები აცქვეტილი აქვთ. გორის მუზეუმშიევე აგრეთვე დაცული მეორე ცალი შუბისპირისა (გ. ი ე ს. მ. ი ნ ვ. 11 — 42:2), რომელიც აღმოჩენილი ყოფილა სოფ. აბანოში (?), იგი დურეევის ცალებთან შედარებით მოკლეა, მაგრამ მასრისა და პირის ფორმებით ემსგავსება მათ. მასრა აქაც გრძელია და მისი ზედაპირი გრავირებულია გეომეტრიული და ფანტასტიკური პირდაღებული ცხოველის გამოხატულებით.

საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში დაცულია სამი ეგზემპლარი ორნამენტით გაფორმებული შუბისპირების, ერთი მათგანი (ინვ. 64—14:13)[24]

---

[21] К у ф т и н Б. А., Материалы к археологии Колхиды, том. II, таб. 52.

[22] დასახ. ნაშრომი, სურ. 42.

[23] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XIV.

[24] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, აღნიშნული ეგზემპლარს შევდრომით თვლის გორის რაიონის სოფ. დჯომაგაში აღმოჩენილად და მას სულ სხვა ნომრით (83—14:13) იხსენიებს. მართალია მუზეუმში დაცულია შუბისპირი (93—14:13), რომელიც აღმოჩენილი ყოფილა სოფ. დჯომაგაში,

უცნობი წარმოშობისაა, იგი შესანიშნავი ცალია და თავისი ფორმით (პირის სამკუთხა მოყვანილობით, პირის რომბული განივკვეთით, მკვეთრი ქედით და



სურ. 2. შუბისა და ხელშუბისპირები: 1. სოფ. დეკომაგიდან (საბერეი ოსეთი), 2. ნაოხვამოს მორეევიდან, 3. სოფ. პრიმორსკოეიდან (აფხაზეთის ასსრ) ბ. კეფტინის მიხედვით

გრძელი მახვილით) ზუსტი განმეორება გვეჩვენება ნაოხვამუს ეგზემპლარისა. განსხვავება ორნამენტის სხვადასხვაობაშია. თუკი ნაოხვამუს ეგზემპლარის

მაგრამ აღნიშნული ეგზემპლარის მახვილი არ აქვს შემკული ორნამენტით. იგი მხოლოდ ზედმეტად მოხსენებულ შუბისპირის ფორმას იმეორებს. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 213.

მასრის მთელ ზედაპირზე პარკეტულად ლენტური ორნამენტთა სახეებია გრავირებული. საქართველოს სახ. მუზეუმის ეგზემპლარის მასრაზე მოძრაობაში მყოფი ორი ცხენია, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიაჭენებენ, კუდიც აწეულია ისე, როგორც ეს მორბენალ ცხენს ჩვევია. თავის ოდნავ მოხრილობაც ჭენებაზე მიუთითებს. ცხენები პროფილშია, ჩანს მათი მხოლოდ ორ-ორი ფეხი, მაგრამ კარგადაა გამოყვანილი წინ წაწეული ორ-ორი ყური. ცხენის თავთან (რომელიც მასრისკენაა) მასრაზე ორი ამოკაწრული პარალელური ხაზია გაელებული. ერთი ამოკაწრული ხაზი მხრების მახლობლადაა, ხაზებს შორის მოედანი ერთი წერტილიდან მომდინარე განშტოებული, ოვალური ფოთლისებრი სახეებითაა შემკული. თითქოს ორი წყვილი აკვეტილი ყურია. მასრა გრძელია და გახსნილი, პირი სამკუთხა, მკვეთრი ქედით.

ჩვენთვის ამჯერად მეტად საინტერესოა სამთავროს—შედარებით სტრატიგრაფიულად კარგად შესწავლილ მასალებში აღმოჩენილი შუბისპირები, რომელთა მასრა და ზოგჯერ პირი გეომეტრიული სახეებითაა შემკული. ერთი მათგანი (ინვ. 12—54:1619) აღმოჩნდა 1939 წელს სამთავროს ჩრდილო უბანზე № 55 ორმო-სამარხში. იგი გრძელია (სიგრძე—38.8 სმ. მასრის სიგრძე კი —14,5 სმ). მასრა გახსნილია, ვიწრო და გრძელი პირი აქვს, ქედი მაღალია, ვიწრო და რელიეფურად გამოხატული. პირის განიეკვეთი რომბულია. მასრის ბოლოზე ორი სალტე: შემოვლებული. მასრა პირისაკენ გეომეტრიული სახეებითაა შემკული. ორნამენტთა თანმიმდევრობა ასეთია: ამოკაწრული ხაზებისაგან შექმნილ (1 რიგი) გამრავლების ნიშნისებრ სახეებს ცელის მასრის ირგვლივ შემოვლებული რამდენიმე კონცენტრული ჩაღრმავებული ხაზი, ხოლო მესამე რიგში არის დაშტრიხული კუთხოვანი სახეები. ასეთ ორნამენტთა რამდენიმე რიგია მასრაზე განმეორებული.

სამარხში რამდენიმე ცალი თიხის ჭურჭელია აღმოჩენილი, საინტერესოა მასში რკინის ნაკეთობათა აღმოჩენა—მათ შორის: ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილის, რკინის რაღაც ნივთისა და აგრეთვე ბრინჯაოს ფირფიტოვანი სარტყლისა, რომელიც გეომეტრიული სახეებითაა შემკული, ბრინჯაოს სამაჯურების ნატეხების და ბრინჯაოს ღილებისა.

გეომეტრიული ორნამენტით შემკული შუბისპირი აღმოჩენილია 1939 წელს სამთავროს ჩრდილო უბანზე № 77 სამარხში (ინვ. 12—54:1889). იგი მასრამეკრულია, პირი ფოთლისებრი აქვს, ფრთები საკმაოდ დიდრონი, პირს მოუყვება საკმაოდ განიერი და მრგვალი მასრა. მასრის თითქმის შუა ნაწილზე, ორი სალტეა შემოვლებული, რომელთა ზედაპირი სახოვანი შტრიხებითაა შემკული. მასრის ბოლოზე ირგვლივ რვა, დაახლოებით თანასწორფერდიანი სამკუთხედებია ამოკაწრული, წვერით პირისაკენ მიმართული. სამკუთხედების მოედანი დამრეცი ამოკაწრული ხაზებითაა შეესებული. მასრის გვერდებზე თითო მწკრივი ხახოვანი კუთხეებია ამოკაწრული, რომელთა კუთხეები პირისაკენაა. პირს ამკობს პირის საწყისიდან წვერისაკენ მიმართული სამ-სამი სამკუთხედი. აქაც სამკუთხედები დაშტრიხულია დამრეცი ხაზებით. შუა სამკუთხედი უფრო დიდია და მისი წვერიდან მარჯვენივ და მარცხნივ ორი ნესტარია, რომლებიც ჩქარა ერთდება და აქედან კლაკნილი ხაზი მიემართება ქედის გასწვრივ, წვერის აღწევამდე იგი ქრება. გრავირების ეს უკანასკნელი მოტივი გველის სტილიზებული ვადმოცემა უნდა იყოს. სამარხი ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგება და მდიდრულია. მასში აღმოჩენილია ბოლო ბასრი და მომრგვალებული მახვილი ბრინჯაოსი, თხელფირფიტოვანი განიერი სარტყელი ბრინ-

ჯაოსი. შუაზე ნახერეტიანი სამკუთხა ფორმის ფრთებიანი თხელფირფიტოვანი ისრის წვერები მაშა ბრინჯაოსი. საკინძი დაფენჯრული თავით, კვერთხის თავი, ფრიალო თეფშის ფორმის თხელფირფიტოვანი ნიეთი, მილები სხვადასხვა სიმსხოსი. მოჭიქული ჭურჭელი ორი და რამდენიმე თიხის ჭურჭელი.

მუზეუმის ფონდებში დაცულ შუბისპირთაგან, რომელიც ნათესაობას პოულობს ს. დურევში აღმოჩენილ შუბისპირებთან აღსანიშნავია—სოფ. ზინდისში[35], სურამის მახლობლად 1927 წელს აღმოჩენილი ხელშუბისპირი (ინვ. 13—32 : 36) (ტაბ. III, სურ. 8). მას გრძელი გახსნილი მასრა აქვს. წვერი წვეტიანი და რომბული გახიოკვეთის, ფრთები რკალური მოყვანილობისა. ქედი მაღალი და ორწახნაგა, წიბო მკვეთრია და მომრგვალებული. ფორმით ს. დურევში აღმოჩენილ გრძელმასრიან შუბისპირებთან ახლო დგას თბილისში (ნაძალადევში) აღმოჩენილი შუბისპირი (ტაბ III, სურ. 3). იგი ისე როგორც დურევის შუბისპირები გრძელი და გახსნილმასრიანია, პირი ფოთლისებრია, მომრგვალო ფრთებით, ხოლო ბოლო წაწვეტებული, რაც შეეხება იარაღის დამუშავების ტექნიკური ხერხების ზოგიერთ თავისებურებას, კერძოდ, მისი პირის განიერ ქედზე გაკეთებულ სამ მკვეთრ წიბურებს, რომლებიც შიდა ქართლის ამ ტიპის იარაღისათვის არ არის დამახასიათებელი, დურევისა და საერთოდ საჩხერის და მისი მოსაზღვრე რაიონების არქეოლოგიურ მასალათა შორის ის ჩვეულებრივ გვხვდება. ს. დურევის ტარშეეერჩენელ სატევრის ერთ ეგზემპლარს პირის განიერ და მომრგვალებულ ქედზე სამი მკვეთრი წიბური მიუყვება. ასეთივე წიბური გაკეთებულია ს. დურევის ერთი ხელშუბისპირის ქედზე (ინვ. 27—44:3).

ნაძალადევის შუბისპირთან ერთად აღმოჩენილია ბრონზისანადსხმული კახური ტიპის გრძელი სატევარი. აღნიშნული ტიპის ბრონზისანადსხმული სატევრები კი პირველად ბრინჯაოს პერიოდის მეტალურგიული წარმოებისა.

---

[35] ს. ზინდისში აღმოჩენილ ხელშუბისპირის აღმოჩენის ვითარების შესწავლასთან დაკავშირებით მოგვიანდა გადაგვხედა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გადმოცემულ არქეოლოგიური მასალებისათვის, რომლებიც გატარებულია საქართველოს სახ. მუზეუმის 1932 წ. საინვენტარო წიგნში. ეს მასალები იმ თანრიგის მიხედვით კი არ არის გატარებული თავის დროზე რომ იყო ჩაწერილი სახ-ბის სათანადო დავთრებში, არამედ იარაღთა და ინვენტართა საბეობის მიხედვით და ამდენად დარღვეულია კომპლექსები. დავთრების სათანადო შეჯერების დროს გაირკვა, რომ 1927 წელი ს. ზინდისში სურამის მახლობლად აღმოჩენილი იყო შემდეგი ნივთები:

სატევარი ბრინჯაოსი (ინვენ. 12—32:50 ძვ. № 4430), ტარაშეურჩენელი ქედზე რელიეფური სამი წიბურით, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

სატევრის ნაწილი ბრინჯაოსი (ინვ. 12—32:49 ძვ. 4432) (სანი ნატეხი), ვიწრო პირითა და მაღალი მკვეთრი ქედით.

სატევრის ტარი ბრინჯაოსი (ინვ. 12—32: 48 ძვ. № 4421).

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 12—32:51) ტარშეურჩენელი, დახიანებული.

შუბისა და ხელშუბისპირი სამი ცალი (ინვენ. 13—32:34, 35, 37, ძვ. №№ 4422, ,4423, 4426).

სამაჯურები ბრინჯაოსი (ინვ. 18—32: 184, 197, 198, 189 ძვ. 4433, 4434, 4437 და ა. შ.).

ოქელა მათგანი კეთილშობილი პატინითაა დაფარული, ბოლოებგაწვრილებული და შუაზე გამსხვილებული. ორი მათგანი (ინვ. 18—32: 184, 197) გეომეტრიული სახეებითაა შემკული თავებსა და შუა ნაწილზე.

მაშა ბრინჯაოსი (ინვ. 14—32:32 ძვ. № 4427).

ანკესი ბრინჯაოსი სამი ცალი (ინვ. 14—52:52. 53, 54 ძვ. № 4440, 4441, 4442).

ს. დურევის შუბისპირების პარალელური მასალა პირის ფოთლისებრივ მოყვანილობითა და გრძელი გახსნილი მასრით გვხვდება ეშერის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. გახსაკუთრებით ყურადღების ღირსია, ეშერის ერთ ურნა-სამარხში[26] აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი. სამარხეული ინვენტარი კოლხური კულტურის შესანიშნავი ნიმუშია[27], მისი დამახასიათებელი სახესხვაობებით. მასში გრძელ და გახსნილმასრიანი ფოთლისებრპირიან, და მაღალ მკვეთრქედიანი შუბისპირის გვერდით,[28] რომელიც ახლო ანალოგიაა ს. დურევის გრძელმასრიანი შუბისპირისა, არის ხელშუბისპირი (17 სმ სიგრძე), რომლის პირი აგრეთვე ფოთლისებრია, მაგრამ ფრთები განიერია, ქედიც მრგვალია და განიერი[29]. იგი შეესატყვისება ს. დურევის ხელშუბისპირს (ინვ. 27—44:5). მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ სამარხი ურნის კომპლექსი შეიცავს ტარშეურჩენელ ყუნწიან დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ სატევარს[30], რომლის ანალოგიური სატევრები ს. დურევის არქეოლოგიურ მასალათა შორის ორი ცალია.

როგორც შესადარებელი არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, ეშერის აღწერილი ურნა-სამარხის კომპლექსის ძირითადი იარაღები ახლო ანალოგიას პოულობს ს. დურევის არქეოლოგიურ მასალებს შორის. ძეგლი ზემოთ აღწერილ ნივთებს გარდა შეიცავს კოლხური ტიპის ცულია ერთ ეარიანტს შვეტილი ტანითა და თითქმის სიმეტრიული მოყვანილობის პირით. იგი შესანიშნავადაა გრავირებული. ცულის ლოყაზე ცხოველის სტილიზებული სახეა გამოხატული, იგი ხახადაღებულია და თავაღერილი, ცხოველს ყურები აცქვეტილი აქვს, კუდი გრძელი და ბოლო მოხრილი. ფეხები იმგვარადაა მოხრილი თითქოს ცხოველი გარბისო. ჩლიქები განიერია, ტანი წერტილებითაა შევსებული. ცულის ყელა ზემოთ და ქვემოთ ორ-ორი სალტეა. მათ შორის მთელი მოედანი შევსებულია წრეებისაგან შექმნილი სამი რიგით. შუაში ტენილი ზოლებია გამოყვანილი, ხოლო სატარე ხვრელის გარეთა ნაწილზე თევზის გამოსახულებაა[31]. სამარხში აგრეთვე აღმოჩენილია რკინის შუბისპირი[32] და ტყვიისაგან ნაკეთები საკისრე რგოლი[33]. არ შეიძლება აგრეთვე არ მოვიხსენიოთ ეშერში, ურნა სამარხებში აღმოჩენილი ისეთი შუბისპირები, რომლებსაც ძალზე გრძელი მასრა აქვთ, ხოლო პირი სამკუთხა ფოთლისებრია და რანდენადმე განსხვავებული ს. დურევის ცალებისაგან[34].

ს. დურევის შუბისპირების შესწავლის დროს გვერდს ვერ ავუვლით იმ კომპლექსებს, რომლებიც თრიალეთიდანაა და ხშირად მათში შემავალი ზოგიერთი ნივთი, ახლო ანალოგიას წარმოადგენს ს. დურევის არქეოლოგიურ მასალების ზოგიერთ ტიპთან. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გრძელმასრიანი შუბისპირები.

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ბეშთაშენ-საფარ-ხარაბაში აღმოჩენილი № 19 სამარხის შუბისპირი. იგი გრძელი და გახსნილმასრიანია, მისი ფრთები მორკალულია, ხოლო ქედი ორ წახნაგა, რომელიც მკვეთრი წიბუ-

[26] ბ. კუფტინი, მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, სურ. 36.
[27] იქვე, ტაბ. XX.
[28] იქვე, ტაბ. XX[4].
[29] იქვე, ტაბ. XX[5].
[30] იქვე, ტაბ. XX[3].
[31] იქვე, სურ. 37.
[32] იქვე, ტაბ. XX.
[33] იქვე, ტაბ. XX[7].
[34] იქვე, ტაბ. XV, სურ. 6, 7, 8.

რით მთავრდება[36]. იგი ზუსტ ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს ს. დურეევის შუბისპირებისათვის (ინვ. 27—44:1,2). სამარხში შუბისპირს გარდა აღმოჩენილია სათასმე რგოლი ბრინჯაოსი, კვერთხის თავი, რვაწახნაგა საკინძი, ბრინჯაოსა და ძვლის ისრის წვერები, კაჟის ჩასართები ნამგლისა, დაუმუშავებელი ირმის რქის ძირი და სხვა ნივთები.

ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ბეშთაშენ-საფარ-ხარაბარის № 11 სამარხის ინვენტარი[38], რომელთაგან გახსნილი და გრძელმასრიანი შუბისპირი ზოგიერთი ნიშნებით (გრძელი მასრა, მაღალი წახნაგოვანი ქედი, წაწვეტებული წვერი) ანალოგიას პოულობს ს. დურეევის შუბისპირებთან. კომპლექსი კი შეიცავს ბრინჯაოს კოლხურ ცელს, თხელფირფიტოვან სარტყელს, სარტყლის ბალთას, რომელიც ცხვრის თავის სქემატიური ქანდაკებითაა შემკული, ორ სატევარს, ისრისპირებს და სხვა ნივთებს. შეგვეძლო დაგვესახელებინა თრიალეთის არქეოლოგიური მასალებიდან კიდევ რამდენიმე კომპლექსი, რომლებიც გრძელმასრიანი, მაღალქედიანი, კარგად ნაკეთებ შუბისპირებს შეიცავს (№— 13, 20 და სხვა სამარხებიდან), მაგრამ მოტანილი მასალებიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ქვემო ქართლშიაც საკმაო გავრცელება ჰქონია გვიან ბრინჯაოს პერიოდში, გრძელ და გახსნილმასრიან შუბისპირებს, რომელთაც მორკალური ფრთები აქვს, წვერი საკმაოდ წაწვეტებული და ბასრი, ხოლო ქედი მაღალი, წახნაგოვანი და ზოგიერთი ნათგანი მკვეთრად გამოყოფილი წიბურით მთავრდება.

ს. დურეევის შუბისპირის (ინვ. 27—44:2) მსგავსი ეგზემპლარი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშიაც არის დაცული (ინვ. 1—47:9), იგი ნაპოვნი ყოფილა სოფ. რიეთში 1947 წელს. იგი ნშვენიერი ნახელავია, მას სიმეტრიულად გამოყვანილი ნაწილები—მორკალული ფრთები, წაწვეტებული წვერი და მაღალი წახნაგოვანი ქედი აქვს. მასთან ერთად ნაპოვნია ტარშეფურჩენელი, მაღალქედიანი, ფოთლისებრი სატევრისპირი, სამთავროს უძველეს ირმო-სამარხებისათვის, რომ არის დამახასიათებელი.

როდესაც საკითხი ეხება შუბისა და ხელშუბისპირების შესწავლის საკითხს არ შეიძლება არ გავიხსენოთ გ. გობეჯიშვილის ბიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული შესანიშნავი არქეოლოგიური ძეგლები ბრილოდან, რომელთა შორის მრავლადაა შუბისპირები.

საკმარისია დავასახელოთ № 12 სამარხში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს შუბისპირები, რომელთა შორის შესანიშნავია ხელოვნებით ნაკეთები გრძელმასრიანი, მაღალქედიანი და ოვალურფრთებიანი ეგზემპლარებიც.

№ 12 სამარხის ინვენტარი მრავალფეროვანია თავისი ასორტიმენტით, რომელთა შორის ვხედებით პლასტიკური სახეებით შემკულ ყუამილიან ცულებს, ჩვეულებრივ ყუამილიან ცულებს, ბრინჯაოს სატევრებს, სხვადასხვა ტიპის საკიდებს, რომელთა შორის უმრავლესობა ვერძის თავის სტილიზებული გადმოცემაა, ფაროიმოლოებიანი საკინძებს, მრგვალთავიან ბრინჯაოს საკინძებს, სამაჯურებს და სხვა ნივთებს.

საინტერესო შუბისპირებია აგრეთვე აღმოჩენილი სამხრეთ ოსეთში, ქვასათელის სამაროვანზე, სადაც უკანასკნელ პერიოდში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ო. ჯაფარიძე[37]. იქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალათა შო-

[36] ბ. კუფტინი. არქ. გათხრები თრიალეთში, ტაბ. XV.

[37] ბ. კუფტინი. დასახ. ნაშრომი, ტაბ. X IX.

[37] Джапаридзе О. М., Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის კოლექტიური სამარხებიდან წარმოდგება რამდენიმე ცალი ბრინჯაოს გრძელმასრიანი და საერთოდ გრძელი შუბები. თითქმის ყველა მათგანს ეიწრო პირი აქვთ, ეიწრო ფრთებით და მკვეთრი წახნაგოვანი ქედით[38] (როგორც ბრიტანეთის ისე ქვასათალის ეს შუბისპირები აღრეული ძეგლებია შუა ბრინჯაოს პერიოდისა).

გარდა შუბისპირებისა ს. დურეევის მასალათა შორის ოთხი ცალი ხელშუბისპირია, რომელთაგან ერთი (ინვ. 27—44:3) მომწვანო მონაცრისფერო კეთილშობილი პატინითაა დაფარული და ყურადღებას იმსახურებს როგორც მშვენიერი, საუცხოოდ დამუშავებული ეგზემპლარი. სამწუხაროდ მას მასრის ნაწილიც აკლია და პირისაც წვეროსკენ (მაგრამ დიდი ნაწილი სახეზეა და მასზე საერთო დაკვირვების წარმოება შესაძლებელია). ხელშუბისპირის გახსნილი მასრა ზუსტად მრგვალია და თანაბარი დიამეტრისა. მხრები სწრაფად დაქანებულია, ხოლო ფრთა ეიწრო. დამუშავების ტექნიკის მხრივ საინტერესოა ამ იარაღის ქედი, რომელიც მკვეთრადაა გამოყოფილი და მის ამაღლებულ ნაწილზე კოხტად და პროპორციული სიზუსტით გავლებული სამი წიბური. შუა წიბური მასრამდე აღწევს, მასრაზე ოდნავ გრძელდება და ქრება. ორი დანარჩენი წიბური უახლოვდება რა ფრთების საწყისს, უხვევს და ფრთების დაბოლოებასთან (მასრასთან) წყდება. ასეთი ეიწროპირიანი და ფრთიანი შუბისპირები არქეოლოგიურ მასალებსა და ლიტერატურაში ფიქვიათად გეხვდება. გვიანი ბრინჯაოს ან ოდნავ მოგვიანო პერიოდის ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ მასალათა მიხედვით შუბისპირის ქედთა მკვეთრი წიბურებით შემკობის ერთი შემთხვევა თბილისიდანა გვაქვს (ნაძალადევში აღმოჩენილ მეტად კოხტა და გრძელმასრიანი შუბისპირის ქედზე გავლებულია სამი მკვეთრი წიბური, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი).

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია სოფ. იგოეთში 1940 წელს აღმოჩენილი გრძელი გახსნილმასრიანი შუბისპირი (ინვ. 3164), რომელსაც მომრგვალებული წვერი და ფოთლისებრი პირი აქვს. ქედი მაღალია და წახნაგოვანი, რომელზედაც გატარებულია მკვეთრი სამი წიბური.

1956 წელს ადიგენის რაიონის სოფ. უდის მცხოვრებმა ბ. მაქანდარაშვილმა თავის საკარმიდამო მიწაზე მუშაობის დროს აღმოაჩინა ბრინჯაოს ნივთების განძი. განძი დაცულია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. განძის შემადგენლობაში რამდენიმე ცალი შუბისპირია, მათ შორის არის ისეთი ეგზემპლარები, რომელთა პირის ქედი წიბურებითაა შემკული. გარდა ამისა განძი შეიცავს შესანიშნავ ბრინჯაოს ჭამრის ბალთებს, რკინით ინკრუსტირებულს და გეომეტრიული სახეებით შემკულს, კოლხურ ცულებს, მრავალრიცხოვან სამაჯურებს, რკინის შუბისპირს და სხვა ნივთებს (იხ. დ. კოპორიძე—მუზეუმის ახალი შენაძენი გაზეთი „კომუნისტი" 15/VI—1956 წ.) რადგან საუბარი შუბისპირთა იმ სახეობას შეეხება, რომელთა პირის ქედზე მკვეთრი წიბურებია გავლებული. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ თრიალეთის შუა ბრინჯაოს პერიოდის № XV ყორღანში აღმოჩენილი შესანიშნავად პატინირებული ბრინჯაოს მთლიანმასრიანი შუბისპირი[39], რომელიც ვერცხლისთავა გაწყობილი. მასრა მილისებრია და სატარის დიამეტრი თითქმის ერთნაირია ბოლოსა და პირის შეერთების ადგილას, შუბისპირი სამკუთხა მხრები კი დაქანებულია, პირის უდიდეს ნაწილზე. ფრთა თითქმის თანაბარი სიგანისაა. ქედი წახნაგოვანია და მასზე

[38] იქვე, სურ. 2—6—9.

[39] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1, ტაბ. VI.

სამი წიბურია. წიბურები წვერამდე არ აღწევს, ყველა ისინი მასრაზე გრძელდება, შუა წიბური ყველაზე მკვეთრია.

ამრიგად, თრიალეთში შუა ბრინჯაოს პერიოდის ბრინჯაოს იარაღთა მკეთებელი ხელოსნები შესამკობად იყენებენ ქედზე წიბურების გავლების ხერხს. სხვა სახის ხელშუბისპირთაგან აღსანიშნავია კიდევ ერთი იშვიათი ეგზემპლარი (ინვ. 27—44:6), რომელსაც გრძელი, თანაბარი დიამეტრის მქონე, გახსნილი მასრა და უფრთო რომბული განიკვეთიანი პირი აქვს. იგი ალბათ შესანიშნავი საგმირავი იარაღი უნდა ყოფილიყო, როგორც სიმაგრით, აგრეთვე მახვილი წვეტით. ამგვარი იარაღი ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიურ მასალებსა და ლიტერატურაში იშვიათად გვხვდება. რომბული განიკვეთიანი პირის მქონე ხელშუბისპირის მეტად საინტერესო ეგზემპლარი, საინტერესო არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, აღმოჩენილი ყოფილა სოფ. წეროვანში 1939 წელს. შემთხვევით გზის მშენებლობის დროს. აღნიშნული იარაღი, თანმხლებ ინვენტანთან ერთად, დაკარგულია გორის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში. კოლექცია ძირითადად ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგება. ბრინჯაოს ნივთებს გარდა კომპლექსი თიხის ორ ჭურჭელს შეიცავს, ერთი მათგანი ცილინდრული სასმისია, ხოლო მეორე—კოჭობი. ბრინჯაოს ნივთთაგან აღსანიშნავია: ფოთლისებრპირიანი და ოთხკუთხა განიკვეთის მქონე, რელიეფური წნული სახეებითა და სპირალით შემკული ტარიანი ფოთლისებრი და სამთავროული ტიპის სატევრები, სატეხი ბრინჯაოსი და სხვა ტიპის იარაღები.[10].

ს. დურეევის არქეოლოგიურ მასალათა შორის არის აგრეთვე ხელშუბისპირები, სამკუთხა ფორმის პირით, წვერმომრგვალებული, ოდნავ მორკალული ფრთებით და მრგვალი განიერი ქედით, რომელთა შესახებ ჩვენ არ ვაგრძელებთ ცალკე მსჯელობას, რადგან ისინი შუბისპირთა ჩვეულებრივი სახეა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის საყოველთაოდ გავრცელებული ფორმაა ჩვენი მიწა-წყლისათვის.

ამრიგად, ს. დურეევის რამდენიმე ეგზემპლარ შუბსა და ხელშუბისპირებს შორის არ ჩანს სრული შესატყვისობა, არ ჩანს შუბისპირთა ფორმების ერთგვაროობა, მათი ქედისა და ქედის გაფორმების მსგავსი ტექნიკური ხერხები, არ არის შუბისწვერთა ერთგვაროვნება; შუბები თავისი მაღალი წახნაგოვანი ქედით, რომბული განიკვეთიანი წვერის ნაწილით ფრიად მაგარი და ძლიერი, გამგმირავი თვისებების მატარებელი უნდა ყოფილიყო. ამას უნდა დაემატოს ამ იარაღთა სიკოხტავე, ზოგიერთი მათგანისათვის დამახასიათებელი ლამაზად მორკალული ფრთები. მშვენივრად გრავირებული გრძელი მასრა და ქედი; ხოლო ზოგიერთი მათგანისათვის დამახასიათებელი ქედზე მშვენიერად-პროპორციული სიზუსტით გაელესილი წიბურები და შემდეგ მთელი პირის რომბული განიკვეთი, მიუთითებს ბრინჯაოს პერიოდის აქაური ხელოსნების მაღალ ტექნიკურ გამოცდილებაზე და ხელოვნებაზე. ეს ხელოსნები, როგორც ჩანს, გატაცებული ყოფილან არა მარტო იმით, რომ შეექმნათ სრულყოფილი საბრძოლო იარაღი—საგმირავი იარაღი თავისი გამძლეობით და სიმაგრით, არამედ ისინი ცდილობდნენ ამ თვისებებთან ერთად იარაღში შეზავებული ყოფილიყო იარაღთა სილამაზე. მის ნაწილებს შორის პროპორციულობა, ისინი კოხტა და მიმზიდველი ყოფილიყო; ასე რომ, ზოგიერთი ეგზემპლარის ქედზე გავლებული წიბურები არა მარტო იარაღის შესამკობი საშუალება იყო, არამედ იგი საბ-

[10] Куфтин Б., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года, в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, ტაბ. X. სურ. 1—5.

რძოლო პროცესში იარაღისათვის ფრიად საჭირო ატრიბუტიც უნდა ყოფილიყო (იგი სისხლსადენი სამუალება იყო); ანდა პირზე მკვეთრად აღმართული წახნაგოვანი ქედი არა მარტო სიკოხტავეს მატებდა იარაღს, არამედ იგი იყო იარაღისათვის სიმაგრის, სიმტკიცის მიმცემი უმუალო ელემენტი.

გრაფიკული მოტივებით შუბისპირთა სხვადასხვა ნაწილების შემკობის ფაქტები, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, იშვიათად გვხვდება კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მრავალრიცხოვან შუბისპირთა შორის. ამგვარად გაფორმებული იარაღები, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, არ გვხვდება არც დღევანდელ აზერბაიჯანისა და არც სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. ხოლო ჩრდილო კავკასიაში გეომეტრიული სახეებით გაფორმებული შუბისპირებზე ლაპარაკი კი არა, საერთოდ შუბისპირების არსებობა იშვიათია, რაც მეტად განსაცვიფრებელი მოვლენაა. როგორც ცნობილია, ყობანური და კოლხური კულტურები განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს კულტურათა წამყვანი იარაღის ფორმებში. მათი შემკულობის მოტივებში (მხედველობაში გვაქვს კოლხურ-ყობანური ცულები); მაგრამ საბრძოლო იარაღთა სხვა სახეობებმა—შუბისპირებმა—თუ რატომ არ ჰპოვა ფართო გავრცელება და გამოყენება ჩრდილო კავკასიაში ისე, როგორც ეს კოლხურ კულტურაშია, ძნელი ასახსნელია. იქ რომ სამაგიეროდ სხვა სახის იარაღი იყოს ისეთი, რომელიც შეცვლიდა შუბისპირს, როგორც საბრძოლო საგმირავ იარაღს და კოლხეთში არ იქნებოდა გავრცელებული, მაშინ კანონზომიერად ჩავთვლიდით ამ მოვლენას, მაგრამ ამის მსგავსი არაფერია ყობანურ ძეგლებს შორის.

ამოკაწრული სპირალური ორნამენტი, ლენტური პარკეტული სახეები, რომბული და სხვა სახის გეომეტრიული გამოსახულებანი, ცხოველური შემკულობანი, კოლხური კულტურის წამყვანი იარაღის—ცულების გრავირების ძირითადი სახეებია. შესანიშნავად გაფორმებული მრავალრიცხოვანი კოლხური და ყობანური ცულების ნაწილი გრაფიკული სახეებითაა შემკული და ისინი შესრულებულია ამოკაწვრით ან ჩაღრმავებული ხაზების გაველებით. ასევე გრავირების შესანიშნავი ნიმუშებია შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ თხელფირფიტოვან განიერი სარტყლების ზედაპირზე. მათზე გამოყვანილია გეომეტრიული და ცხოველური მრავალფეროვანი სახეები, ამდენად ჩვენ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ გრაფიკული სახეებით იარაღთა და ნივთთა შემკობის ტრადიცია ღრმად ფესვგადგმული იყო როგორც კოლხურ, ისე აღმოსავლურ-ქართულ კულტურებში და იმდენად ძლიერად, რომ ამ მხრივ კოლხური ცულები შედარებად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო შუბისპირთა ერთი ნაწილის გრაფიკული სახეებით შემკობის მოტივები არ ცილდება იმ გაფორმებას, რომლებიც კოლხური ცულებისათვისაა დამახასიათებელი. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ამ იარაღთა თავისებური შესანიშნავი ფორმები, რომელიც მთლიანად აქ, ჩვენს ტერიტორიაზე შექმნილი და ჩამოყალიბებული სახეებისათვისაა დამახასიათებელი, მისი ფრიალფეროვანი სახესხვაობითა და ტექნიკური გაფორმებით. ამ მხრივ სპეციალურად უნდა შეეჩერდეთ შუბისა და ხელშუბისპირებისა და ზოგიერთი სატევრის ქედზე სპეციალურად გაკეთებულ წიბურებზე, რომელიც გარდა იმისა, რომ ლაზათისა და სილამაზეს მატებდა იარაღს, ამავე დროს სისხლსადენი მაშრები შეიძლებოდა ყოფილიყო.

იარაღის (შუბისპირისა და სატევრის) ტექნიკურ გაფორმებათა მსგავსი მოტივი ჩვენს ტერიტორიაზე უფრო ადრეულ პერიოდში ჩანს, ვიდრე ბრინჯაოს

საუკუნეთა მიწურული. განსაკუთრებით საინტერესო მასალებს იძლევა ამ მხრივ თრიალეთის შუა ბრინჯაოს პერიოდის მდიდრული ყორღანები. სხვადასხვა ყორღანებში აღმოჩენილ ძვირფას არქეოლოგიურ ძეგლთა შორის არის საბრძოლო იარაღთა ცალკეული შესანიშნავი ეგზემპლარები, რომელთა ქედები წიბურებითაა შემკული. ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული № XV ყორღანში აღმოჩენილ შუა ბრინჯაოს პერიოდის ბრინჯაოს შესანიშნავი შუბისპირის შესახებ, რომლის მაღალი წახნაგოვანი და კოხტა ქედი წიბურებითაა შემკული და ეს წიბურები ქედის შუა ნაწილამდე აღწევა.

ჩვენ გვინდა აგრეთვე მოვიხსენიოთ შუა ბრინჯაოს პერიოდის ყორღანებში აღმოჩენილი სატევრები, რომელთა პირი შემკულია წიბურებითა და ვიწრო ღარებით. ერთი ტარშეურჩენელი ყუნწიანი (ყუნწ და წვერმოტეხილი), სამკუთხა პირის მქონე სატევარი აღმოჩენილი ყოფილა № XXIX ყორღანში—ცნობილ ეტლის ნაშთებთან ერთად. პირის შუა, ოდნავ ამაღლებული ნაწილზე—ქედზე გავლებულია სამი წიბური, რომლებიც წვერისკენ ქრება. წიბურების ორივე მხარეზე რამდენიმე ვიწრო ღარია გაკეთებული, რომლებიც პირის შუა ნაწილზე ქრება, ღარებს პარალელურად მიუყვება აგრეთვე წიბურები[41]. XVII ყორღანში კი შესანიშნავი ხელობით ნაკეთები ტარშეურჩენელი ვერცხლის სატევრის პირია აღმოჩენილი. სატევარს სამკუთხა მოყვანილობის პირი აქვს ყუნწი კი ბრტყელია და ოთხკუთხა, ორი ნახვრეტით. პირის შუა ნაწილი ოდნავ შეძაღლებულია და მასზე სამი წიბური და რამდენიმე ვიწრო ხახოვანი ღარია გავლებული[42].

ის ფაქტი, რომ გვიან ბრინჯაოს პერიოდის ბეშთაშენ-საფარ-ხარაბას გზაზე მოქცეულ № 20 ორმო-სამარხში[43] აღმოჩენილია სატევარი (რომლის პირი სამკუთხაა, ყუნწი კი ოთხკუთხა, ხოლო ქედზე გავლებულია წიბური) იმეორებს № XVII ყორღანში აღმოჩენილ ვერცხლის სატევრის ფორმასა და შემკობის მოტივებს, მოწმობს იმას, რომ შუა ბრინჯაოს პერიოდში არსებული სატევრის ფორმები და შემკობის მოტივები განაგრძობენ არსებობას გვიან ბრინჯაოს პერიოდის მიწურულისათვის, ტექნიკურად გაუმჯობესებული სახით.

გვიან ბრინჯაოს პერიოდში—მის მიწურულ სტადიაზე, როგორც ზემოთ ვრცლად გექონდა საუბარი, იარაღთა შემკულობის აღნიშნული მოტივები გვხვდება არა მარტო ქვემო ქართლში, თრიალეთში, სადაც იგი ერთეულებითაა წარმოდგენილი, არამედ მან ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში და განსაზღვრული რაოდენობით შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის, მაგრამ ამჯერად იგი დახვეწილია, ტექნიკურად მშვენივრად ნაკეთები და თვით იარაღიც როგორც საბრძოლო საშუალება გაუმჯობესებულია, ისინი როგორც საძგერებელი თუ საგმირავი საშუალებები ამჯერად უფრო სრულყოფილია და საიმედონი.

ამრიგად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალ საფეხურზე, ხელოსნის მიერ, იმ ტექნიკური ხერხების გამოყენებას საბრძოლო იარაღების (შუბებისა და სატევრების) სრულყოფისათვის, რომელსაც სოფ. დურეევის, ნიგოზეთის, ზინდირის, თბილისისა და ზოგიერთ სხვა ადგილებში აღმოჩენილ ეგზემპლარებზე ვხვდებით, ტრადიცია ბრინჯაოს

[41] ბ. კუფტინი, არქ. გათხრები თრიალეთში ტაბ. CIX 2.
[42] ბ. კუფტინი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. CV 2.
[43] ბ. კუფტინი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. LV3.

ეპოქის სიღრმეში ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, შუა ბრინჯაოს ეპოქაში მაინც.

ჩვენ მიერ განხილული სოფ. დურევის არქეოლოგიური ძეგლები დაახლოებით ერთი პერიოდისა ჩანს. ყოველ შემთხვევაში კოლექციაში შემავალი ცალკეული ნივთების თარიღი არ უნდა იყოს დიდად განსხვავებული ერთი მეორისაგან. ამდენად ჩვენ მოგვიხდება არა ცალკეული ნივთების თარიღის ძიება, არამედ მათი საერთო თარიღის გათვალისწინება. კოლხური ცულის თარიღზე (რომელიც სოფ. დურევიდანაა) უკვე გვქონდა საუბარი. უფრო ადრე ერთ-ერთ ჩვენ სტატიაში მოგვიხდა აგრეთვე შევხებოდით სოფ. დურევის შუბისპირების თარიღს, თბილისში (ნაძალადევში) აღმოჩენილ მსგავს შუბისპირის შესწავლის დროს. მაშინ შესადარებელი მასალებია მოშველიებით ისინი დავათარიღეთ ძვ. წ. XII—XI საუკუნით[44].

ბ. კუფტინი განიხილავს რა ნაოხვამოს იმ შუბისპირს, რომლის მასრა გრავირებულია და მასთან დაკავშირებულ ნივთებს, მიუთითებს, რომ ყველა ეს ლითონის ინვენტარი, როგორც ჩანს მთლიანად თავსდება გვიან ბრინჯაოს ეპოქაში და კერძოდ ხასიათდება კოლხურ-ყობანური კულტურის სამხრეთ ვარიანტით[45].

ეშერის ურნა-სამარხებს, რომლებშიც აღმოჩენილია ჩვენთვის საინტერესო შუბისპირები და სატევრები ბ. კუფტინი ათარიღებს აგრეთვე გვიანი ბრინჯაოს პერიოდით[46], ხოლო ბეშთაშენის სამარხების იმ ჯგუფს, რომლებიც შედგება გრძელმასრიან შუბისპირებისა, კოლხური ცულისა, ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატევრებისა და სხვა ნივთებისაგან, ათარიღებს ძვ. წ. XII—XI საუკუნით[47].

გ. ნიორაძე ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლების იმ ნაწილს, რომელიც ჩვენი განსახილველი ძეგლის თანდართული ჩანს არ აკუთვნებს ძვ. წ. XII საუკუნეზე ადრეულ დროს.[48].

ვითვალისწინებთ, რა ზემოთ მოტანილ მოსაზრებებს და კარგად შესწავლილ კომპლექსებს, რომელთა შემადგენლობაში სოფ. დურევის მასალების მაგვარი ნივთები გვხვდება ჩვენ გვგონია, რომ აღნიშნული ძეგლები უნდა დათარიღდეს ძვ. წ. XII—X საუკუნის ფარგლებით.

---

[44] დ. ჭოტრიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის, ხელნაბეჭდი გვ. 14, იბეჭდება.

[45] ბ. კუფტინი, მასალები კოლხური არქეოლოგიისათვის, ტ. II, გვ. 173—174.

[46] ბ. კუფტინი, მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის ტ. I, გვ. 197.

[47] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 14.

[48] გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის ჰიანბე, XVB, თბილისი, 1948, გვ. 20.

თავი მესამე

პერევის ბანძი

საჩხერის რაიონში აღმოჩენილ ძვ. წ. I ათასწლეულას 1 ნახევრის არქეოლოგიურ ძეგლთაგან მეტად მნიშვნელოვანია სოფ. პერევში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები—განძი. ადგილზე ამ განძის აღმოჩენის ვითარების შესწავლა თვით ამ სტრიქონების ავტორს მოუხდა.

1954 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში მუზეუმის დირექციას აცნობა საჩხერის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. კობახიძემ, სოფ. პერევში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების შესახებ. მე დამევალა საჩხერის რაიონში შემთხვევით აღმოჩენილი აღნიშნული ძეგლის აღმოჩენის ვითარების შესწავლა. 1954 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ვეწვიე სოფ. პერევს. იგი გაშენებულია მდ. ყვირილის ხეობაში, საჩხერიდან აღმოსავლეთით, მისგან 20—22 კილომეტრის დაცილებით, მთაგორიან ადგილას და ესაზღვრება სამხრეთ ოსეთს (ჯავის რაიონს სამხრ. დასავლეთით). ამ მხარეს თავის დროზე მიუქცევია განსვენებული პროფ. ბ. კუფტინის ყურადღება. იგი 1951 წელს საჩხერეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დღიურებში აღნიშნავს, რომ 20 ოქტომბერს მანქანით წასულა დაზვერვებზე მდ. ყვირილის ხეობაში. მისი მიზანი ყოფილა ძველი მეტალურგიული ცენტრების ძიება. ერთ-ერთ ასეთ პუნქტად იგი პერევსაც თვლის. მართალია მას აქ უნახავს წიდათი დაფარული მთელი ფართობი, მაგრამ „სპილენძის გადამდნობი“ ცენტრი თუ ადგილი მაინც ვერ აღმოუჩენია. აგრეთვე ვერ უპოვნია ადგილი, სადაც გადამუშავება შეიძლებოდა ყოფილიყო[1].

წიდათა აღმოჩენა და სხვა მონაცემები შეიძლება გვაფიქრებინებდეს, რომ იქ შესაძლოა ბრინჯაოს მეტალურგია საკმაოდ განვითარებული ყოფილიყო.

განძი, რომელიც შედგება ფრიად საინტერესო ბრინჯაოს ნივთებისაგან (ორი კოლხური ცული, აღმოსავლურ-ქართული ცული და დიდი ზომის რგოლი), საქონლის ძოვების დროს შემთხვევით უპოვნია მოსწავლეებს შ. და კ. მაქასარაშვილებს.

სოფ. პერევის 8 წლიანი სკოლის დირექტორ ვ. ფალავანდიშვილთან და აღნიშნულ მოსწავლეებთან ერთად დავათვალიერეთ აღმოჩენის ადგილი და ჩავატარეთ მცირედი დაზვერვითი სამუშაოებიც.

არქეოლოგიური ნივთები ნაპოვნი იყო მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე სოფ. პერევისა და ჯრიას გაღმა მეტისნეტად დაქანებულ ე. წ. ჯორსაბედის ქედის ერთ-ერთ შეგაკებულ ადგილას, სადაც შლადი ქვების უზარმაზარი ლოდებია აღნართული. საწყისში უზარმაზარი დაახლოებითი 4×4×3 მეტრის სიდიდის ლოდია. ამ ლოდებიდან, როგორც ცოტა ზემოთ ისე ქვემოთ ოდნავი მიფენებია, ამ ადგილს მარჯვნივ ჩაუდია მდ. ყვირილა, ხოლო მარცხნივ—პატარა ღე-

---

[1] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, 1951 წლის საჩხერის რაიონში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დღიურები.

ლე ჯორსაბედა. ადგილის სიმაღლე მდ. ყვირილიდან პირდაპირი ხაზით დაახლოებით 200 მეტრამდე იქნება და ეს ადგილი, ერთის მხრივ, დაჰყურებს სოფ. პერევს (ჩრდ. აღმოსავლეთით), იქვე ძირში ჩრდილოეთით ჯავის რაიონის პატარა სოფელი დრბაყაა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით—სოფ. ჯრია. ადგილი ლამაზია, დაჰყურებს და კონტროლს უწევს ზემოთ დასახელებულ პუნქტებს (სოფლებს). ზემოთ დასახელებული დიდი ლოდის სამხრეთ კედელთან მოსწავლეებს შეუმჩნეიათ კოლხური ცულები, შემდეგ კი რგოლი, დაეწყიათ მიწის ჩიჩქნა და იქვე ამოუღიათ აღმოსავლურ-ქართული ცული.

როგორც მოსწავლეებმა გადმოგვცა, სხვა რამ ნივთი იქ არ ყოფილა. ჩვენმა ჩატარებულმა საცდელმა სამუშაომ არაფერი შედეგი არ გამოიღო და იმ ადგილას დამატებით არქეოლოგიური ნივთი არ აღმოჩენილა, არც ადამიანთა ძვალის რამე ნიშანი იყო შემჩნეული. ამრიგად, არ იყო არავითარი ნიშანი იმისა, რომ არქეოლოგიური ნივთები გვეეარაუდნა როგორც სამარხეული ინვენტარი, მით უმეტეს ასეთ კლდოვან ადგილზე შეუძლებელი იყო სასაფლაო ადგილის გამართვა. სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს ვაჭრის (?) განძთან, რომელიც ალბათ, საშიშროების შემთხვევაში მეპატრონემ დაფლა ისეთ ადგილას, რომლის მიგნება ადვილი იქნებოდა საშიშროების გავლის შემთხვევაში, თუნდაც უზარმაზარი ლოდების მეშვეობით, რომელთა ძირში აღნიშნული ნივთები აღმოჩენილი იყო.

კოლხური ტიპის ბრინჯაოს ცული (ინვ. 13—54:1). ცულის ყუის დაბოლოება მტაცებელი ცხოველის სქემატური და ორიგინალური გადმოცემაა. საერთოდ ცულის ყუა მაღალია და თავისკენ ფართოვდება, იგი დაქანებულია პირის უკანა ნიღრისაკენ, ამდენად მისი წინა წვერი უკანაზე უფრო მაღალია. ყუა მთავრდება მტაცებელი ცხოველის (ჯიქის) სქემატური გამოსახულებით, რომელსაც გრძელი მოხრილი ფეხები აქვს და თითქოს მწოლიარე პოზაშია. მაღლა აწეული კუდი ჰქონია, ყურებიც შეიმჩნევა. ცხოველის თავი ცულის წინა ნაწილისაკენაა. სატარე ხვრელს წვეტიანი ოვალური მოყვანილობა აქვს, მისი წინა პირი—0,6 სმ მაღალია და 0,2 სმ განიერი, ვიდრე უკანა პირი. ხვრელის უკანა და წინა პირი შიგნითაა რამდენადმე შეზნექილი, ამიტომ სატარე ხვრელის კედლები, განსაკუთრებით კი მისი შუა ნაწილი ცულის ყველაზედ ვიწრო ნაწილს წარმოადგენს. სატარის კედლებს გარედან წიბურები გააჩნია; უკანა წიბური იწყება ყუის უკანა წვერიდან და ხვრელის უკანა პირის ოდნავ ქვემოთ ერთდება. წინა წიბური კი იწყება ცხოველის წინა ფეხიდან და აღწევს წინა ნიღრამდე, უკანა ნიღრიდან მომდინარე (ანუ შუა) წიბური, წელის შუა ნაწილიდან, წინა წიბურის პარალელურად მიემართება, აღწევს რა სატარის გარეთა კედლის შუა ნაწილამდე—მიემართება უკანა წიბურის პარალელურად და იღლიის ოდნავ ქვემოთ ერთდება. უკანა ნიღრიდან მომდინარე წიბური, წინა წიბურთან წარმოქმნის ღარს. ასევე უკანა წიბურთან. შუბლი და კანი ორ-ორ წახნაგია. პირი გორდა და ოდნავ ასიმეტრიული. ასიმეტრულობას იწვევს ის გარემოება, რომ უკანა ნიღრი ოდნავ ზევითაა აწეული, ვიდრე წინა ნიღრი. ფხისაკენ პირი თანდათან თხელდება და დაბლაგვულია. სიგრძე—17,3 სმ, სიგანე—5,8 სმ, სისქე—31 სმ. ცულის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—97,5%, კალა (Sn)—1.29%, დარიშხანი (As) —0,4%, (ტაბ. VI, სურ. 1, 2, ან სურ. 3).

ცული კოლხური ტიპისა ბრინჯაოსი (ინვ. 13—54:2). ყუა მაღალია, მასიურია და დაწახნაგებული. სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა, მისი წინა პირი 0,3 სმ მაღალია და 0,2 სმ განიერი, ვიდრე უკა-

ნა პირი, რაც ტარის მკვრივად დაგებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სატარის კედლებს გარედან სამ-სამი მკვეთრი სიმეტრიული წიბური და მათ შორის შესაბამისად ორი ფართო და ღრმა ღარი გაუყვება. წინა და უკანა წიბური წელთან წახნაგების წიბოებად იქცევა და წინა და უკანა ნიღრამდე აღწევს, შუალაკი სცილდება სატარეს და წელთან შემოვლებულ ჩაღრმავებულ ხაზებთან წყდება. შუბლი შეტეილია და ორწახნაგა. ორწახნაგია კაჩაც. ტანი ექვსადაა დაწახნაგებული. პირი გორდაა და ასიმეტრიული, უკანა ნიღრი უფრო მაღალია, ვიდრე წინა, რის გამო პირი მთლიანად კაჩისაკენაა მოქცეული. პირი ფხისაკენ თანდათან თხელდება. ცულის ზედაპირი შემკულია შემდეგი სახეებით: სატარე ხვრე-



სურ. 3. კოლხური ცული ბერეკიდან (ინვ. 13—54:1)

ლის ოდნავ ქვემოთ, შუბლის ორივე წახნაგზე სხივმფრქვეული „მზეა" გამოყვანილი, წელს ირგვლივ ორწყვილად ჩაღრმავებული ხაზების ზოლი უვლის. მათ შორის მოთავსებულ შუბლისა და კაჩის წახნაგების ნაწილზე ოდნავ **შესამჩნევი** ერთმანეთის გადამკვეთი დამრეცი ხაზებია გაკეთებული და იქმნება ბადისმაგვარი სახე. სიგრძე—17,0 სმ, სიგანე—6.5 სმ, სისქე—2,5 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu) — 86,01%, ტყვია (Pb)—1,06,%, კალა (Sn)—11,91%, დარიშხანი (As)—0,3% (ტაბ. VI, სურ. 3, ან სურ 4).

ცული აღმოსავლური — ქართული ტიპისა (ინვ. 13 — 54:3), ბრინჯაოსი. ყუაზე შვერილიანი. შვერილი დაბლაგვეულია, ალბათ ხმარების შედეგად. შვერილის მარცხნივ და მარჯვნივ სამკუთხა წანაზარდებია (ერთი ასეთი წანაზარდი მოტეხილია). სატარე ხვრელი ოვალური მოყვანილობისაა, რისი გარეთა კიდურები ყურებსა ქმნიან, ხოლო შუა ნაწილზე მკვეთრი მაღალი წიბური დაუყვება, რომელიც იწყება ყუის შვერილიდან და ჭრება ყელთან. ყე-

ლის ორთავე მხარე (მხრებისაკენ) და მხრები უწესოდაა აქა-იქ შეჭყლეტილა, რაც ყალიბის ორი ნაწილის ერთმანეთზე უწესო მორგების შედეგი უნდა იყოს. ფრთები „გადაჭრილია" არაერთგვარ სიმაღლეზე და დაბლაგვული, რაც ყელისა და წელის დადაბლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული (გრძელი ფრთები, დაბალი ყელი და წელი ტარის დაგების საშუალებას არ მისცემდა ადამიანს). პირი წარმოადგენს ფართო სეგმენტს, ფხებზე კარგად შეიმჩნევა ლესვის კვალი. ყუა ძალზე დახიანებულია. ცულს წელზე (როგორც ეს № 5 სურათზე ჩანს) ორნამენტი გააჩნდა. სიბრტყეზე მხრებს შორის ოდნავ შესამჩნევი სამი ჩაღრმავებული პარალელური რკალისებრი ხაზი იყო გავლებული, მათ შორის დამრეცი წიწვოვანი ამონაკაწრი, ზოგი მათგანი გადაშლილიყო, ოდნავ ქვემოთ კი ტეხილი ხაზი იყო გაყვანილი. ცული ავი პატინით იყო დაფარული და ქიმიური გაწმენდის შედეგად ორნამენტი თითქმის მთლიანად გადაიშალა. სიგრძე 14,3 სმ, უდ. სიგანე—12,3, უდ. სისქე—3,5 სმ, წონა—800 გრ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—89,67%, კალა (Sn)—9,13%, დარიშხანი (As)—0,4%. (ტაბ. 7, სურ 1 ან სურ. 5).



სურ. 4. კოლხური ცული პერეკეიდან (ინვ. 13—54:2)

რგოლი ბრინჯაოსი (ინვ. 13—54:4) განიერი. შიდა პირი ბრტყელია. რგოლის ჭრილი რკალურია—იგი ოვალურია და თავხსნილი. თავები ერთმანეთისაგან ძლიერაა დაცილებული. უდ. დიამეტრი—გარეგანი—12,2 სმ, უდ. დიამეტრი—შინაგანი—9,5 სმ, რგოლის სიგანე—4,2 სმ, თავხსნილობა—4,8 სმ, საშუალო სისქე 1,5 სმ, წონა—1,065 კგ. რგოლის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—85,%, კალა (Sn)—12,9%, ანთიმონი (Sb)—0,7% (ტაბ. VII, სურ. 2, ან სურ. 6).

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ კომპლექსის გარდა აღნიშნული მხარიდან გვაქვს შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს თოხი. იგი მუზეუმს შემოსწირა პერევის 8 წლიანი სკოლის ყოფილმა დირექტორმა ამხ. ე. ფალავანდიშვილმა. თოხი აღმოჩენილი ყოფილა 1954 წელს მდ. ყვირილის მარცხენა სანაპიროზე, ე. წ. პერევის განძის აღმოჩენის ადგილიდან დაახლოებით 300 მეტრის დაცილებით, პატარა სოფ. ჯრიას მახლობლად, ყანის თოხნის დროს.

თ ო ხ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი წ ე ლ შ ი ნ ო ხ რ ი ლ ი. სატარე ხვრელი მრგვალი აქვს, მაგრამ წინა პირის დიამეტრი ოდნავ დიდია, ვიდრე უკანასი, ალბათ იმიტომ, რომ ტარი მკვიდრად დაგებოდა. პირი გორდაა და საკმაოდ ფართო, ფხა მოცვეთილია, შუა ნაწილში მცირედ ამოტეხილია. სიმაღლე—13,0 სმ, პირის სიგანე—16,0 სმ. თოხის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—94,5%, კალა (Sn)—4,82%, დარიშხანი (As)—0,37% (ტაბ. VII. სურ. 3).



სურ. 5. აღმ. ქართული ცული პერევიდან
(ინვ. 13—54:3)

პერევის განძი ფრიად საინტერესო არქეოლოგიური მასალისაგან შედგება. ერთის მხრივ, იგი წარმოადგენს აღმოსავლურ და დასავლური ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ძეგლების კომპლექსს, მეორე მხრივ, კი იგი შეიცავს კოლხური ცულის ორ სხვადასხვა სახეს. განძი საინტერესოა აგრეთვე იმითაც, რომ მასში წარმოდგენილი კოლხური ცულის ერთი ვარიანტი ხელოვნების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. ცულის ყუა შემკულია ცხოველის (ჯიქის) სქემატური რელიეფური გამოსახულებით.

ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის მიხედვით პერევის განძის ცულთაგან ერთი პირველი ტიპისაა, შვეტილი ტანითა და თითქმის სიმეტრიული მოყვანილობის პირით, მეორე ცული კი მეორე ტიპისაა, მასიური დაწახნაგებული ყუითა და ასიმეტრიული პირით[2]. სანამ უშუალოდ პერევის მასალების საერთო ანალოგი-

[2] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „კოლხური ცული", სკკ. საბ. მუზეუმის ბიულეტენი XVI, 1950, გვ. 41, ჩვენ შრომაში წარმოდგენილი კოლხურ ცულთა კლასიფიკაცია შემდგომში ყოველთვის დამყარებული იქნება ო. ჯაფარიძის აღნიშნულ შრომაზე.

ებზე შევჩერდებით გვინდა ცალკეული ნივთების ზოგიერთი დამახასიათებელი შტრიხების გადმოცემა.

პლასტიკური ორნამენტით შემკული კოლხური ცული, კერძოდ იმგვარი სამკაულით, როგორც პერევის ცულს გააჩნია (იგი შერწყმულია ყუასთან და არა ცალკე ყუაზეა ქანდაკების სახით) იშვიათად გვხვდება საზოგადოდ კავკასიაში, კერძოდ ამგვარი ორნამენტით შემკული ცული არ გვხვდება არც დასავლეთ და არც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ კოლხურ ცულებს შორის, იმ დროს, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა მოპოვებული კოლხური ცული—მათ შორის არის როგორც I, ისე II და III ტიპის ცულები.



სურ. 6. რგოლი ბრინჯაოსი პერევიდან (ინვ. 13—54:4)

არ არის იშვიათი ამ ცულთა შორის ისეთი ცულები, რომლებიც გრაფიკული სახეებით იყოს შემკული. დასავლეთ საქართველოსა და იშვიათად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კოლხურ ცულთა შორის არის ერთეული შემთხვევები ქანდაკებებით შემკული ცულებისა. მაგრამ ისინი რამდენადმე განსხვავებულია ჩვენი ცულის ყუის შემკობისაგან. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალათა შორის არის კოლხურ ცულთა ისეთი ეგზემპლარები, რომელთა ყუაზე ცხოველთა ქანდაკებებია. ისინი პირდაპირ ყუაზე ზემოდან დგანან, როგორც დამოუკიდებელი ფიგურები ამა თუ იმ ცხოველისა, წინააღმდეგ პერევის ცულის ყუაზე გამოყვანილი ცხოველისა, რომელიც შერწყმულია ყუასთან და აგრეთვე მტაცებელი ცხოველის გამოსახულებაა.

ისეთი ცული, რომლის ყუაზე ცხოველის ქანდაკებაა გამოყვანილი აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი ცალია ნაპოვნი. 1951 წელს სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ო. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა სოფ. ოქორის მახლობლად ზემოლისის ძველ სამაროვანზე № 5 სამარხში აღმოაჩინა კოლხური ცული, რომლის ყუაზე კარგად გამოყვანილი ხარის ქანდაკებაა (ტაბ. 8, სურ. 3). ო. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ მისი კლასიფიკაციის მიხედვით ცული მესამე ტიპის კოლხურ ცულს უახლოვდება[3]. ცულის ორივე ლოყა და წელი ორნამენტირებულია, გეომეტრიული სახეებით, რომბით, სამკუთხედებით და წერტილებით. ამავე დროს ცულის ორივე ლოყაზე, სტილიზებული ცხოველია გამოსახული, ცალ ლოყაზე მხოლოდ ცხოველია, ალბათ ცხენი, აცქვეტილი, რომბისებრი მოყვანილობის ყურებით. კისერზედ კარგადაა გამოყვანილი ფაფარი. მეორე ლოყაზე მსგავსი ცხოველია მოცემული, ოღონდ შედა-

[3] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, სამხრეთ ოსეთის 1951 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, გვ. 42.

რეებით პატარა ზომისა[4]. ამრიგად, აღნიშნული ცულის შემკულობა მეტად საინტერესოა იმიტომ, რომ მასზე შერწყმულია გრაფიკული და პლასტიკური სახეები. ერთის მხრივ, გრაფიკული სახით შესრულებული ცხენის (?) სახეები, ცულის ორივე ლოყაზე, ხოლო ყუაზე ფეხზე მდგომი ხარის ქანდაკება. სამარხში ცულის გარდა ყოფილა 9 ცალი თიხის ჭურჭელი, 14 ცალი მძივი სარდიონისა, პასტისა და გიშრისა.

ყუაზე ცხოველთა ქანდაკებით შემკული კოლხური ცულები მოპოვებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე. კერძოდ ერთი ასეთი ცული აღმოჩენილი ყოფილა გუდაუთში 1935 წელს, ქალაქის სასაფლაოს აღმოსავლეთ ქანობზე. აღნიშნული ცულის ყუაზე ცხოველის სამი ერთნაირი ქანდაკებაა გამოყვანილი, რომელთაგან ერთი მოტეხილია.

ა. ლ. ლუკინი აღწერს რა აღნიშნულ ცულს და მის ყუაზე გამოყვანილ ქანდაკებებს ფიქრობს, რომ ისინი ცხენების გამოსახულებები შეიძლება იყოსო[5]. როგორც აღწერიდან ჩანს, ცული შემკულია მხოლოდ ცხოველთა ქანდაკებებით, ხოლო გეომეტრიული სახეები მის ზედაპირზე არ არის გამოყვანილი.

მეორე ასეთი ცული აღმოჩენილი ყოფილა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, ყულანურხვაში. მ. ტრაპში თავის აეტორეფერატში აღნიშნავს, რომ 1948 წელს ყულანურხვაში ძველი სამაროვანის გათხრის დროს ერთ-ერთ სამარხში იპოვნა კოლხური ცული, რომლის ყუა ძაღლის ქანდაკებით არისო შემკული. იგი აღწერს რა აღნიშნულ ცულს ნიუთითებს, რომ აღნიშნული ცული საბრძოლო დანიშნულებისა არ უნდა ყოფილიყო. ამის საბუთად ის ასახელებს შემდეგ მოხაცემებს: გაულესავ პირს, ცულის სიმჩატეს და სკულპტურულ გამოსახულებას, რომელიც ცულის ყუაზეა. № 1 სამარხი, რომელშიაც აღმოჩენილა ცული ძაღლის ქანდაკებით შემკული. მდიდარი ყოფილა ინვენტარით. საკმარისია დავასახელოთ, რომ მასში ხუთი ცალი კოლხური ცული ყოფილა, ერთი მათ შორის ბრინჯაოსტარიანი, ყულანურხვაში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს მ. ტრაპში ათარიღებს ძვ. წ. VII—VI ს[6].

პერეევის ცულის ზუსტი ანალოგია, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, კავკასიის მიწა-წყალზე აღმოჩენილ კოლხურ ცულთა შორის არ გვხვდება, მაგრამ საერთოდ ამგვარი მოტივით შემკული ცულები გვხვდება სათანადო ლიტერატურასა და არქეოლოგიურ მასალათა შორის.

ერთი ასეთი ცული აღმოჩენილი ყოფილა ჩრდილო კავკასიაში სოფ. გალიათში „ფასკეუს“ სამაროვანზე და იმყოფება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (შეგროვებული ძელიხოვის მიერ ინვ. № 21630—22183, ტაბ. 8, სურ. 2)[8].

ცული I ტიპის ცულების ჯგუფში შეიძლება მოვათავსოთ. მას შვეტილი ტანი აქვს, პირიც რამდენადმე სიმეტრიულია, ცულის მთელი ტანი შემკულია გეომეტრიული სახეებით. ყუაზე გამოსახული ცხოველის ქანდაკება, რომელიც უშუალოდ ყუასთანაა შერწყმული და რამდენადმე მის გაგრძელებასაც წარ-

[4] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[5] Лукин А. Л., Археология Бзыбской Абхазии. Гос. Эрмитаж, Труды отд. истории первобытной культуры, 1, Ленинград, 1941, таб. XI, стр. 49.

[6] Трапш М. М., Кулажурхвинский древний могильник, Автореферат, Сухуми, 1951, стр. 5, 6.

[7] იქვე, გვ. 14.

[8] სურათი და ცნობები აღნიშნული ცულის შესახებ მოგვაწოდა მოსკოვის ისტორიულმა მუზეუმმა.

მოადგენს პროფილშია. იგი მტაცებელი ცხოველის შთაბეჭდილებას სტოკებს და უახლოვდება პერეევის ცულის ყუაზე გამოსახული ცხოველის ქანდაკებას. აქაც ისევე როგორც ჩვენ ცულზე, ცხოველს გრძელი მოხრილი ფეხები აქვს, კუდი მაღლა აწეული ჰქონია, ცხოველის თავი აქაც ცულის წინა ნაწილზეა. პერეევის ცულთან შეფარდებით გალიათის ცულის ყუაზე გამოყვანილი ცხოველის რელიეფურ გამოსახულებას წელი უფრო ჩაზნექილი აქვს. წიბურები, რომლებიც საბარის კედლებსა და წელზეა გამოყვანილი ორივე ცულს ზუსტად ერთგვარი აქვს.

ყუის გაფორმებითა და მოყვანილობით პერეევის ცულის მსგავსი მეორე ცული ცნობილია დე ბაის კოლექციიდან[9]. როგორც ტაბულათა აღწერილობიდან ჩანს, ცული კავკასიიდან ყოფილა, მაგრამ საიდან, როდის ან ვის მიერაა აღმოჩენილი არა ჩანს, ფრ. ჰანჩარო აღწერს რა მეექვსე ტაბულაზე წარმოსახულ 4 ნივთს, საერთო სათაურს უკეთებს: „კავკასია—ლურისტანი", შემდეგ, ნივთის შესახებ, რომელიც კოლხური ცულია ფორმას წარმოადგენს, ასეთ ახსნა-განმარტებას იძლევა—საბრძოლო ცული კავკასიიდან, ბრინჯაო (ბარონ დე ბაის კოლექცია, პარიზი)[10].

ცხოველის ქანდაკება ყუასთანაა შერწყმული და პროფილშია. ცხოველი თითქოს ჩამოგავს პერეევსა და გალიათში აღმოჩენილ ცულის ყუაზე გამოყვანილ ცხოველის ქანდაკებებს, მაგრამ ამჯერად ცხოველს წელი არაბუნებრივად აქვს ჩაზნექილი. ბეჭი და ბარკალი ისევ გამოყვანილი, რომ თითქოს გამოყოფილია ცხოველის ტანის დანარჩენი ნაწილისაგან. კუდი განიერია, მოკლე და სწორად გაშვერილი, საერთოდ კი ცხოველი აქ მოძრაობაში ჩახს (ტაბ. 8, სურ. 1). ამრიგად, პირველ ორ ცულის ყუაზე გამოყვანილი ცხოველის ქანდაკებები უფრო რეალისტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტანის ცალკეულ ნაწილებს შორის ჩანს სათანადო პროპორცია, ხოლო დე ბაის კოლექციიდან წარმომდგარ ცულის ყუაზე შედარებით სქემატური ცხოველის ქანდაკებაა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცულის ყუა შემკულია ფანტასტიკური ცხოველის სქემატური გადმოცემით. აქ შემთხვევაში, ისე როგორც გალიათის ცულზე, პლასტიკური და გრაფიკული გამოსახულებანი შერწყნულია ერთ იარაღზე.

ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა შემკულობის აღნიშნული მოტივი.—პლასტიკური სახეებით იარაღთა და სამკაულთა შემკობა ადგილობრივი ტრადიციებიდან მომდინარეობს თუ რომელიმე შორეული კულტურული წრიდან მიმდინარეა ან იქიდანაა გადმოღებული?

საკმარისია გადავხედოთ კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ თუგინდ შუა ბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებს, ამ პერიოდის იარაღებს, რომ ჩვენთვის ამკარა გახდება, შემკულობათა ასეთი მოტივების ტრადიციულობა ჩვენს ტერიტორიაზე — კავკასიის მიწა-წყალზე. კიდევ მეტი, თვით კავკასიის მიწა-წყალზე წარმოიქმნება სპეციფიკური კულტურები, დამოუკიდებელი ლოკალური რაიონები, არა მარტო საერთო თვალთხედვით, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, არამედ, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, „მხატვრულ შემოქმედებითს სფეროშიც", ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს პერიოდში და უფრო ადრეც.

ალ. ჯავახიშვილი, მიმოიხილავს რა წინა ფეოდალური ხანის ქართული ხე-

---

[9] F. Hanêar. Probleme des Kaukasischen Tierstils. Mitteilungen der Anthropologischen gesellschaft. Wien, 1935. ტაბ. VI, სურ. 1.

[10] იქვე, გვ. 294.

ლოვნების ძეგლებს, შუა ბრინჯაოს პერიოდის მასალების ირგვლივ აღნიშნავს, რომ ამ პერიოდშიაც, გეომეტრიულ დეკორთან ერთად გაბატონებული ჩანს სიმბოლიური სამკაულიც, რომელსაც ძლიერი სტილიზაციის წყალობით თითქმის სრულიად აქვს შეცვლილი სახე. ამის დასამტკიცებლად მოპყავს რა ზოგიერთი მაგალითები იგი ასკვნის: ზემოთ განხილული პროცესის საილუსტრაციოდ მასალები, როგორც ვნახეთ, ძირითადად კავკასიის ცენტრალური და მთიანი რაიონიდან იყო მოტანილი და არა შემთხვევით. თუ გავიხსენებთ, რომ უკვე ადრე და შუა ბრინჯაოს პერიოდში ჩრდილო-კავკასიაში და საკუთრივ მთავარ კავკასიონზე კულტურის ანალოგიურ ფორმებს ვხედავთ და იმ ახსნას, რომელსაც ამჟამად აძლევენ შემდგომი პერიოდის ყობანური და კოლხური ლითონის ინდუსტრიის ურთიერთობის საკითხს, გასაგები გახდება, რომ ამ მასალების საშუალებით ჩვენ ვეცნობით სპეციფიკურ კულტურას, განვითარებულს ამ რაიონის სამთამადნო წარმოების ნიადაგზე, რომელსაც სპეციფიკური ტენდენციები ეჩნდება მხატვრულ შემოქმედების სფეროშიც. მისგან განსხვავებით, სამხრეთის რაიონებს საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ, რაც ნათლად გამოიხატა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის გავლენიანებულ კულტურაში[11].

საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილ ადრე ბრინჯაოს პერიოდია სპილენძის ცულთა შორის თითქმის არ გვხვდება ისეთი ეგზემპლარი, რომელიც პლასტიკური სახეებით იყოს შემკული, იშვიათია გეომეტრიული სახეებით შემკული ცულებიც. თუ გვხვდება ორნამენტირებული ცულები და ასეთი ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმეა, ერთი ეშერის დოლმენის ქვედა ფენაში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცული (სურ. 7) და რამდენიმე საჩხერეში აღმოჩენილი. მათი მხოლოთ ყუაა შემკული გეომეტრიული ორნამენტით[12]. იარაღის სატარე ამ ელემენტს წარმოადგენდა, რომელმაც მიიღო თავდაპირველად დამატებითი დეკორი—ცერად ვაელებული პარალელური ჭდეები, ხოლო შემდეგ ჩარჩოში ჩასმული სპირალური სახე[13]. ასეთი ხახოვანი გეომეტრიული ორნამენტით, ეშერის მასალების მიხედვით—ადრე ბრინჯაოს პერიოდის სხვა ნივთებიცაა შემკული, კერძოდ კვი (სურ. 8) „ფიწალი"[14] და სხვ.

საჩხერის ადრე ბრინჯაოს პერიოდის ცულებს შორის ჯერჯერობით ცოტაა ისეთები, რომელთაც დეკორის რაიმე სერიოზული ელემენტი გააჩნდეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი მათგანის ყუაზე გამოყვანილ ოდნავ შესამჩნევ რელიეფურ დამრეც წიბურებს[15]. ერთი ყუამილიანი ცულის სატარის ზედაპირია დაჩრახნილი, ხოლო ყუაზე ზემოდან „ხორთუმისებრი" წანაზარდია, რომელიც ბურთულით მთავრდება[16]. სამაგიეროდ სხვა სახის იარაღთა და სამკაულთა შორის ჩვენ ვხვდებით როგორც გრაფიკული, ისე პლასტიკური სახეებით შემკულ ნივთებს. აქ ჩვენ ვხვდებით სატევრის ტარებს გაფორმებულს წნელი და სპირალური სახეებით (სურ. 9), ზიგზაგი და გრეხილი სახეებით, (სურ. 10). ამავე დროს იმავე საჩხერის გრძელი საკინძების თავის ვანშტოება ბორბლებისმაგვარი დაბოლოებით მთავრდება, ხოლო ერთი მათგანის

[11] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, წინა ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნების ძეგლების მიმოხილვა, ხელნაწერი, თბილისი, 1956, გვ. 24.

[12] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955, ტაბ. X 4.

[13] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

[14] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. X—1—5.

[15] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტომი 2, ტაბ. 1, სურ. 4, ტაბ. 2, სურ 6, 7

[16] იქვე, ტაბ. 1, სურ. 5.

განშტოებაზე, გარდა ბორბლებისა ხარის რქებია მშვენივრად გამოყვანილი. (სურ. 11). ასე, რომ მასზე ჩვენ ვხედავთ ცხოველის—გამწევი ძალის გადმოცემის მშვენიერ ცდას. ამავე დროს ერთ-ერთი განშტოებულთავიანი საკინძი შემკულია გველის რელიეფური მოტივით (სურ. 12), რაც შეეხება უფრო მოგვიანო პერიოდის—შუა ბრინჯაოს პერიოდის ცულებს აქ შედარებით სხვა სურათი გვაქვს. უმჯობესდება ცულის ფორმები, უმჯობესდება მისი სამუშაო და საბრძოლო გამძლეობა, რაც დაკავშირებულია თანადროულ მეტალურგიული წარმოების გაუმჯობესებასთან—იზრდება ბრინჯაოს ცულის შემადგენლობაში ისე-

სურ. 7. ეშერია დოლმენში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცული, რომლის ყის ხვდაპირი ორნამენტირებულია.

თი მინარევები, რომელიც იარაღს სიფიცხეს—სიმაგრეს ანიჭებს, უმჯობესდება, მაღალ საფეხურზე ადის და მრავლდება შემკულობათა მოტივები და სახეები. ამჯერად ვხვდებით როგორც გრაფიკული სახეებით შემკულ იარაღებს, ვხვდებით აგრეთვე პლასტიკური მოტივებით შემკულ ცულებს. „შუა ბრინჯაოს პერიოდში ცულთა მხატვრულ დეკორატიულ გაფორმების ორ ვარიანტს ვხედავთ, რომელთაგან ერთს მივყვავართ სრულ დეკორატიულობამდე, ხოლო მეორეს—სამუშაო იარაღის მხატვრულ დეკორატიულ დამუშავებამდე"[17]. ამ მხრივ მეტად

სურ. 8. ეშერის დოლმენში აღმოჩენილი ცული ორნამენტირებული მასრით

საინტერესოა რაჭაში ბრილის სამაროვანზე გ. გობეჯიშვილის ბოერ მოპოვებული შუა ბრინჯაოს პერიოდის ძეგლები, სადაც დაახლოებით ერთი და იმავე პერიოდის და ერთი სამარხის მასალათა (ცულებს) შორის ვხვდებით ისეთ ცულებს, რომლებიც შემკულობის მოტივებით ღარიბია, მაგრამ სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ[18]. მეორე ჯგუფი შედარებით ნაკლები რაოდენობრივად შემკულია გეომეტრიული და პლასტიკური სახეებით. ერთ მათგანს ყუამილზე ვერძის ხუთი თავი აქვს აღმართული[19] (სურ. 13), ხო-

[17] ალ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
[18] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. X 7, 8, 9.
[19] იქვე, ტაბ. XI, სურ. 2.

ლო მეორე შემთხვევაში ცულს დამატებით ყუამილთან ერთად ვერძის ორი თავი ამკობს, რომელთაგან ერთი ყუაზეა აღმართული, ხოლო მეორე—წელთან.



სურ. 9. სოფ. ქორეთში, ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი სატევარი, რომლის ტარი წნული სახეებითაა შემკული

სურ. 10. საბერეში აღმოჩენილი სატევარი, რომლის ტარი ორნამენტითაა შემკული

ამავე დროს ცულის მთელი ზემო ნაწილი წელამდე შემკულია სოლური ჭედვებით[30].

[30] იქვე, ტაბ. X, სურ. 2.

ლაპარაკობს რა აღნიშნული ცულების შესახებ გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, რომ აქაური ცულები ზოგადად იმ ტიპისაა, როგორიც საჩხერიდან გავიცანით (ლაპარაკია ყუამილიან ცულებზე დ. ქ.), მაგრამ ბევრ მათგანს ეტყობა ხანგრძლივი გარდაქმნა-განვითარების, ზოგჯერ კი აშკარა გადაგვარების კვალი. გვარის თუ ტომის მეთაურთა სამარხებში აღმოჩენილი ცულების ერთ ნაწილს საკუთებით დაუკარგავს სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღის ფუნქცია და ისეთი ფორმა მიუღია, რომელიც მხოლოდ საკულტო-სარიტუალო ან საზეიმოდ გამოსატანი ნივთის შეეფერება[31].



სურ. 11. საჩხერეში აღმოჩენილი საკინძი, ბორბლისმაგვარი დაბოლოებით და ხარის რქების გამოსახულებით

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვა ფორმის ბრინჯაოს ცულებს შორის, რომლებიც ავრეთვე შუა ბრინჯაოს პერიოდით თარიღდება და ნამდვილად საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყვნენ, არ გვხვდება ცხოველური სახეებით შემკული ეგზემპლარები, სამაგიეროდ არის ისეთი ცალები, რომლებიც გეომეტრიული სახეებითაა შემკული, უმთავრესად რელიეფური ხაზოვანი სახეებით და ეს შემკულობის მოტივები უმთავრესად ან ცულის სატარის გარეთა ზედაპირზეა, ან სატარე ხვრელის ძირზე, წინა (შუბლის) მხარეზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ერთის მხრივ, თბილისის (ღრმა-ღელის) საბრძოლო პარადული ცული[32], რომლის სატარე-ხვრელის გარეთა ზედაპირი ორივე მხარეზე შემკულია სამწრიანი მწკრივით. წრიულ რელიეფურ ორნამენტთაგან ორს შუა ადგილას ორ-ორი კოპი აქვს და წრის გამკვეთი დიამეტრი, მესამეს კი შუაზე ერთი კოპი აზის. რაც შეეხება ურეკის[33] და ჭოროხის ცულებს (ინვ. გ. 204 და 15—54:2) მათ სატარე ხვრელის ძირზე, წინა მხარეზე, ორივე გვერდზე, რელიეფური სწორხაზოვანი ერთი წერტილიდან მიმდინარე სამ-სამი ნიშანი ამკობს. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ აღწერილი ცულები თავისი ფორმით (ზედაპირის დამუშავებით, დაწახნაგება, ფორმათა დახვეწა და

[31] მ. გობეჯიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[32] დ. ჭორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I. თბილისი, 1955, ტაბ. XIV, სურ. 1.

[33] დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIV, სურ. 2.

სრულყოფა) მშვენიერია და ჩვენი ეძველესი მეტალურგების მაღალ განვითარებულ ოსტატობაზე ლაპარაკობს.

შუა ბრინჯაოს პერიოდის ცულებს, მათ შემკულობასა და ფორმათა საკითხებს ვრცლად იმის გამო შევეხეთ, რომ, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ,

სურ. 12. საჩხერეში აღმოჩენილი საკინძი გველის რელიეფური მოტივით შემკული

ისინი ითვლებიან პროტოტიპებად, წინამორბედებად იმ ცულებისა, რომლებიც შრომაში ჩვენი განხილვის ობიექტია (ე. ი. კოლხური ცულებისა).

პროფ. გ. ნიორაძე ფიქრობს, რომ ქვიშარის განძიდან ერთი ნაწილი ცულებისა (ადრე აღმოჩენილი), კოლხური ტიპის ცულების პროტოტიპებად შეი-

ძლება დაისახოსო და მათი ხნოვანება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში გადაიქვს[24].

გ. გობეჯიშვილი კი ფიქრობს, რომ ქვიშარის აღნიშნული 12 ცული წინ უსწრებს როგორც კოლხურ-ყობანის, ისე ბრილის ტიპის ყუადაქანებულ და ყუამილიან ნაჯახებს, და ამ უკანასკნელთა გარეგნულ მოყვანილობას ის დაედო საფუძვლად[25].



სურ. 13. ბრინჯაოს ცულები ბრილიდან, პლასტიკური ორნამენტით შენკული

ო. ჯაფარიძე უფრო ვრცლად ჩერდება აღნიშნულ საკითხზე. მიმოიხილავს რა როგორც სხვადასხვა მოსაზრებებს, აგრეთვე თვით ცულების ფორმათა შედარებებს, ბოლოს მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ორივე ჯგუფის ცულები (ერთის მხრივ, ქვიშარის ზემოთ ნახსენები ცულები, რომლებიც თავისი ფორმით ახლოა ბრილის ორნამენტირებულ ცულებთან და მეორეს მხრივ, ურეკისა, ჭოროხისა, მახუნცეთისა და ზოგიერთი სხვა ცულები, დ. ქ.) ზოგიერთი ნიშნით, მართლაც უახლოვდება კოლხურ ცულს და ვფიქრობთ, რომ მართებულად იქცევიან მკვლევრები, რომლებიც მათ კოლხური ცულის პროტოტიპად მიიჩნევენო«[26].

---

[24] გ. ნიბერაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XVB, სურ. 1, 2, გვ. 5.

[25] გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი, ელნაბეჭდი, გვ. 161.

[26] ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVIB, თბილისი, 1950, გვ. 80.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მოსაზრებების მიხედვით კოლხურ ცულებს თავისი საწყისი ფორმები, პროტოტიპები, აქვე, ჩვენსავე ტერიტორიაზე, მოეძებნება უფრო ადრეული პერიოდის ცულებს შორის.

ჩვენ თუ ასე დაბეჯითებით ვლაპარაკობთ ცულთა განვითარების საკუთარ ტრადიციაზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, განვითარების ასეთივე ღრმა და საკუთარი ტრადიციები აქვს ამ ცულების შემკულობის მოტივებს. ცხოველური სახეებით იარაღ-საჭურველთა შემკობას უძველესი პერიოდიდან მისდევდნენ ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები. პროფ. შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, რომ ლითონის ხანის მხატვრული კულტურის ისტორიაში ცხოველთა გამოსახულებებს დიდი ადგილი უჭირავს. საქართველოს და მთელი კავკასიის ხელოვნებაში ცხოველთა გამოსახულება შეადგენს ძირითად თემას; მას თავიდანვე ემჩნევა მეტად თავისებური ნიშნები და გარკვეული მხატვრული სტილი[27], როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ცხოველთა პლასტიკური სახეებით შემკული ყუამილიანი ცულები საკმარისად არის აღმოჩენილი შუა ბრინჯაოს პერიოდის ბრილის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. მაგრამ აქ ცულებს ამკობს არა სხვა რამ, არამედ თითქმის ყოველთვის ეერძის თავის გამოხატულებანი. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთივე სახეებით გაფორმებული ცული აგრეთვე ყუამილიანი ნაპოვნია ჩრდილო კავკასიაში—ფასკაუში[28], რაც შეეხება ამავე პერიოდის სხვა არქეოლოგიურ ნივთებს, ცხოველური სახეებით მრავალი მათგანია შემკული და თვით ცხოველთა ქანდაკებებიც მრავლად გვხვდება. ამრიგად პერეეში (სახნერეში) აღმოჩენილ ცულს, რომლის ყუა ცხოველის (ჯიქის). სტილიზებულ გადმოცემას წარმოადგენს, თავის წინამორბედი გაფორმების მხრივ, ახლობელ მთიან რაიონებში მოეპოვება—რაჭისა და ჩრდ. კავკასიის უფრო ადრეული პერიოდის ბრინჯაოს მეტალურგიულ ნაწარმში.

ჩვენ ამჯერად არ შეგვიძლია ყურადღება არ გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ცხოველური სახეებით შემკული ცულები გვხვდება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებში[29] და ფართოდ იყო გავრცელებული ლურისტანის შუა ბრინჯაოს და მომდევნო პერიოდის არქეოლოგიურ მასალათა შორის.

ლურისტანის შუა ბრინჯაოს და მომდევნო პერიოდის მასალათა შორის, ჩვენ გვხვდება, როგორც პლასტიკური, ისე გეომეტრიული სახეებით შემკული ცულები. დამახასიათებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ცხოველური სახეები ერთ შემთხვევაში თუ დამოუკიდებელი ქანდაკების სახითაა ცულის ყუაზე აღმართული, სხვა შემთხვევაში იგი გვხვდება ყუასთან შერწყმული. მაგრამ როდესაც ჩვენ ელაპარაკობთ ლურისტანისა და კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების (ამ შემთხვევაში ცულების შემკულობათა), ურთიერთობაზე, პირველ ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ თვით ამ ძეგლების ტიპობრივი მსგავსება-განსხვავება, მათი სამეურნეო თუ საბრძოლო გამოყენების ერთგვაროვნება, თუ თავისებურება და შემდეგ მათი დანამატი, შეკაზმულობათა მოტივები, იარაღთა გაფორმების ხერხების მსგავსება თუ თავისებურებანი.

---

[27] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბილისი, 1944, გვ. 30.

[28] МАК в. VIII, გვ. 275, სურ. 210.

[29] И. Алиев, Мидия-древнейшее государство на территории Азербайджана. Очерки по древней истории Азербайджана, Баку, 1956, ტაბ. XVIII.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ლურისტანის ცულებს ვნახავთ, რომ ისინი მრავალფეროვანია თავისი ასორტიმენტით—ზოგიერთი მათგანი თავისი ფუნქციით, ნაწილობრივ ფორმებით და შემკულობათა მოტივებით ეხათესაევება და ახლო პარალელს წარმოადგენს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ხანის ცულებთან. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაშია გვაქვს ლურისტანის ის ცულები, რომელთაც მოგრძო და ვიწრო მილისებრი სატარე გააჩნია, ყუაზე აღმართული აქვთ მოგრძო „საჩხვლეტები", ზოგიერთ შემთხვევაში საჩხვლეტების მაგივრად მათზე ცხოველთა მწკრივია აღმართული. ასეთი ცულები ხშირად შემკულია პლასტიკური სახეებით, რომლებიც ხან ყუასთანაა შერწყმული, ან მასზე აღმართული, ხან კი იარაღის შუბლზეა გამოყვანილი; ხოლო ცულებს სამკუთხა მოყვანილობის ისეთი პირი აქვთ, რომლებიც სამუშაოდ თუ საბრძოლოდ გამოუსადეგარი ჩანს[30].



სურ. 14. ლურისტანის ცულები პლასტიკური და გეომეტრიული სახეებით შემკული შეფერის მიხედვით

კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულებს შორის ლურისტანის ზემოთ აღწერილ ცულთა ანალოგიად შეიძლება მივიჩნიოთ რაჭაში—ბრილში და ჩრდილო კავკასიაში (ფასკაუსა, კუმბულთასა და სხვა აღგილებში) აღმოჩენილი ზოგიერთი ცულები.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ერთის მხრივ, ის იარაღი, რომელიც ცულისა და ნამგლის რაღაც შერეული ფორმით წარმოგვიდგება, გრძელი, მილისებრი სატარით, მოხრილი ტანით, რომლის ბჭრელი ნაწილი ნამგლისებურია შიგნითა მხარეზე (მხოლოდ რკალურად), ზოგიერთ მათგანს მორკალვას გარდა შუა ნაწილზე ფანჯრები გააჩნია[31] (სურ. 15). მეორეს მხრივ მეორე რიგის ყუამი-

[30] F. A. Schaeffer, Stratigraphie comparée et chronologie de l'Asie Occidentale. London, 1948, Andre Godard,—Les Bronzes du Luristan, Paris, 1931, ტაბ. 266 სურ. 2. 3, 4, ტაბ. XVI, ტაბ. XVIII, სურ. 56,57, ტაბ. XIX, სურ. 59.

[31] გ. ჯობეჯ'ი შვილი, დაკაბ. ნაშრომი, ტაბ. XI, სურ. 3, MAK, т. VIII.

ლიანი ცულები ბრილიდან და ფასკაუდან[22] მოხრილი ტანით, ნახევარმთვარისებრი პირით, ზოგჯერ წამოწეული წვერით, რომელთა გრძელი და ვიწრო მილისებრი სატარე ხვრელი ერთ შემთხვევაში შემკულთა ვერძის თავების სქემატური გადმოცემით (სურ. 13), ხან მათი მწკრივით, ხანდახან იარაღის შუა ნაწილზე (შუბლზე) ასეთი ორნამენტია გამოყვანილი, ზოგჯერ ერთ და იმავე ნივთზე (ცულზე) შერწყმულია პლასტიკური და გრაფიკული მოტივებიც. ვაღარებთ რა ლურისტანისა და კავკასიის ზემოთ აღწერილ ცულების ტიპებს ერთმანეთს ჩვენ აშკარად ვგრძნობთ აღნიშნული ცულების მსგავსებას, ახლო დანოკიდებულებას ამ ორი კულტურის წამყვანი იარაღების ცულების ფორმებსა და მათ შემკულობათა შორის. როგორც ერთ, ისე მეორე კულტურაში ეს

სურ. 15. ბრილოში აღმოჩენილი „ცულნამგალა" გ. გობეჯიშვილის მიხედვით

უკვე გადაგვარებულ იარაღად გვეჩვენება. ისინი გამოთიშულნი უნდა იყვნენ სამეურნეო და საბრძოლო საქმიანობიდან. ალბათ, მათ მხოლოდ რიტუალური დანიშნულება შერჩა, ან საპარადო ხასიათი. ისინი შესაძლოა ტომის მეთაურის—ბელადის უფლების აღმნიშვნელი იყო და მხოლოდ მათ გააჩნდათ.

ფრ. ჰანჩარო იხილავს რა კავკასიური და ლურისტანული ცულების ურთიერთობის საკითხს, ჩერდება ჩრდილო კავკასიის რკინის კულტურის ცულებზე (ასე უწოდებს ყუამილიან-მოხრილტანიან და პლასტიკური სახეებით შემკულ გადაგვარებულ ცელებს, დ. ქ.), რომლებიც, როგორც თვითონ აღნიშნავს,

[22] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XI, სურ. 1,2, MAK, ტ. VIII.

განსხვავებულია მისი წინამორბედი ცულებისაგან—უხეშია და მოუხერხებელი და ამდენად არ შეაჩნია შესაძლებლად მისი პრაქტიკული გამოყენება, უპირისპირებს მათ ლურისტანის აგრეთვე ყუამილიან ცულებს, რომელთაც საბრძოლოდ და სამუშაოდ გამოუსადეგი პირი აქვთ და ასკვნის: მემკვიდრეობით ყობანის მომდეგნო კულტურა იჩენს განვითარების იმავე მიდრეკილებას, როგორსაც ლურისტანის. შედეგი ორივე შემთხვევაში ახირებულია—უცნაურია; საგანი სრულიად არ გამოდგება არც სამუშაოდ, არც საომრად[33]. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ფრანც ჰანჩარს, რომ ცულები უხეშია, გამოუსადეგია სამუშაოდ და საომრად და ჩრდილო კავკასიის აღნიშნული ცულები (როგორც თვითონ აღნიშნავს), განვითარების იმავე მიდრეკილებას იჩენს, რასაც ლურისტანული. მაგრამ ვფიქრობთ ფრ. ჰანჩარო ცდება იმაში, რომ ფასკაუსა და ჩრდ. კავკასიის სხვა ადგილებში აღმოჩენილ ჩვენ მიერ განხილულ ცულებს, რომლებიც ბრილში აღმოჩენილ ცულების ერთი ჯგუფის სრული ანალოგიაა, რკინის კულტურის დროისად თვლის — რკინის ხანით ათარიღებს. აღნიშნული ცულები გაცილებით უფრო ადრეულია, ვიდრე ფრ. ჰანჩარო ფიქრობს. ამის დამადასტურებელი ყველაზე ამკარა არქეოლოგიური მასალები მრავლადაა ბრილის სამაროვანზე აღმოჩენილ ძეგლებს შორის[34].

გ. გობეჯიშვილი მიმოიხილავს რა ბრილის ცულების აღნიშნულ ჯგუფს, აღწერს მათ ფორმებსა და შემკულობათა მოტივებს მიუთითებს, რომ ამგვარი სამკაულებით ცულების „დატვირთვა" უკვე იმას მოწმობს, რომ მას ფუნქცია დაუკარგავს და საზეიმო სარიტუალო საგნად ქცეულა. ყუამილიანი ცულების ასეთივე განვითარებაა დადასტურებული ლურისტანში. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ლურისპანის გადაგვარებულ ცულებთან ახლო დგას ბრილში აღმოჩენილი ერთი საგანიც, რომელიც მოყვანილობით მოგვაგონებს პაწია ცულს თუ ნამგალს. საფიქრებელია, რომ ის დროშის ტარს ამკობდა და თანაც მას სიმბოლიკური მნიშვნელობა ჰქონდა[35].

შუა ბრინჯაოს პერიოდის ლურისტანულ და კავკასიურ არა მარტო ყუამილიან გადაგვარებულ ცულებსა და მათ შემკულობის ხერხებს შორის ვნახულობთ პარალელებს, არამედ ისეთ ცულებს შორის, რომლებსაც ნამდვილად სამეურნეო თუ საბრძოლო დანიშნულება ჰქონდათ. ჩვენ ამ შემთხვევაში ვითვალისწინებთ, ერთის მხრივ, თბილისის (ღრმაღელის) ურეკის, ჭოროხისა და ზენითის[36] ზემოთ დასახელებულ ცულებს, ხოლო მეორე მხრივ, ლურისტანის იმ ცულს, რომელსაც აგრეთვე სამეურნეო თუ საბრძოლო ფუნქცია უნდა ჰქონოდა[37].

ალ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ შუა ბრინჯაოს პერიოდის ზოგიერთ ცულებთან (თბილისის, ურეკის, მახუნცეტის) ერთგვარად მაინც დაკავშირებული ჩანს შუა ბრინჯაოს პერიოდის ის პარადული ცულები, რომლებიც ლურის-

---

[33] **Franz Hanéar, Kaukasus. Luristan ESA IX, Helsinki, 1934.**

[34] **გ. გობეჯიშვილის** მიერ ბრილის ნეკროპოლზე გათხრილ სამარხთა შორის საკმარისია დაფასახელოთ მე-12 და 31-ე სამარხი, რომელთა ინვენტართა შორის ზემოთ აღწერილი ორი ტიპის ცულებთან ერთად, მრავლადაა ბრინჯაოს ყუამილიანი სამუშაო ცულები, შუბისპირები, სატევრები და სხვა ნივთები, რომლებიც გაცილებით უფრო ადრეული ჩანს ვიდრე ფრ. ჰანჩარს ჰგონია. ყოველ შემთხვევაში მათი თარიღი არ შეიძლება გასცილდეს შუა ბრინჯაოს ეპოქას.

[35] **გ. გობეჯიშვილი**, დასახ. ნაშრომი, **გვ. 58.**

[36] **დ. ქორიძე**, დასახ. ნაშრომი, **ტაბ. XIV.**

[37] **გოდარდი**, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XVIII, სურ. 54, ტაბ. XVI, სურ. 50.

ტანის ანალოგიებს მოგვაგონებს და მჭიდროდ დაკავშირებულია ყუამილიან ცულებთან (მხედველობაში გვაქვს რაჭის შუა ბრინჯაოს პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი ცულები[39]).

რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა ჩანს გვიანი ბრინჯაოს პერიოდსა და ადრეული რკინის ხანაში. მართალია ფრ. ჰანჩარი ფიქრობს, რომ უეჭველი ნათესაობა არსებობს ა/კავკასიის ამორძალურ ცულებსა და ლურისტანის ალებარდებს შორისო[40], მაგრამ ჩვენ არა გვგონია, აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებელი. რადგან ამ ორ სხვადასხვა ტიპის იარაღს შორის ჩვენის აზრით ხამდვილად დიდი განსხვავება არსებობს. განსხვავებაა როგორც იარაღის ფორმებში, ისევე შემკულობის მოტივებში.

რაც შეეხება კოლხურ-ყობანური კულტურის ყველაზე დამახასიათებელ და წამყვან ძირითად საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების ცულებს, მათ თითქმის არ მოეპოვება პარალელი დღემდის ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. ლურისტანიც არ იცნობს კოლხური ცულის მსგავს იარაღს. მაგრამ ამ პერიოდის იარაღთა შემკულობის მოტივები, შემკულობათა ხერხები და ფორმები ლურისტანისა და კავკასიის სათანადო მასალებისათვის თითქმის ერთგვარია.

ფრ. ჰანჩარი აღნიშნავს, რომ ყობანის ტიპიურ ცულებს პარალელები ლურისტანში არ მოეპოვება, მაგრამ ცულის დეტალებში, გაფორმების ტექნიკურ ხერხებში შეიძლება იპოვნოთ პარალელი. ყობანის ცულები სახელგანთქმულია თავისი მდიდრული გრაფიკით. ეგზემპლარებს ლურისტანიდან, საწინააღმდეგოდ ყობანურისა, პლასტიკური სახეები ამკობსო. შემდეგ განაგრძობს მართალია ლურისტანის მხატვრები გრაფიკულ გაფორმებასაც იყენებდნენ მაგრამ იგი რჩება მასთან მეორე ადგილზე და ამიტომ ამ ორი კულტურის შორის დიდი განსხვავებაა. მაგრამ იარაღის მკეთებლები ყობანიდან და ლურისტანიდან ამ საქმეში დგანან ერთ სიმაღლეზეო[41]. როდესაც ფრ. ჰარჩარი ამ სტრიქონებს წერდა. მისთვის უცნობი იყო შესანიშნავი კოლხური ცულები: აფხაზეთიდან, სამხრეთ-ოსეთიდან, ბერეულიდან და გალიათიდან, რომლებიც პლასტიკური მოტივებითაა შემკული. მისთვის უცნობი იყო შესანიშნავი არქეოლოგიური მასალები ბრილიდან, მათ შორის ცხოველური სახეებით შემკული ცულები და სხვა ნივთები. მისთვის იმ დროისათვის ცნობილი იყო ერთადერთი ყუამილიანი ცული ფასკაუდან, რომელსაც ყუასა და შუბლზე ვერძის თავის გამოსახულება ამკობს[41], დღეისათვის კი როგორც აღვნიშნეთ საკმაო რაოდენობითაა საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიურ ძეგლთა შორის ისეთი ცულები, რომლებიც შემკულია ცხოველური სახეებით—

---

[39] ალ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[40] ფრ. ჰანჩარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[41] ფრ. ჰანჩარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

[41] ფრ. ჰანჩარი, ერთ-ერთ უფრო მოგვიანოდ (1935 წ.) გამოცემულ ნაშრომში— Probleme des Kaukasischen Tierstiel იუსენიებს ერთ ცულა დე ბაის კოლექციიდან, რომელიც მისთვის ცნობილი გამხდარა. ერთი შეორის გვერდით აყენებს, ერთის მხრივ, კოლეურ ცულს დე ბაის კოლექციიდან, რომლის ყუა შემკულია ცხოველის ქანდაკებით, და მეორეს მხრივ, ლურისტანული ალებარდს, რომლის ყუასთან შერწყმულია თითქოს მოძრაობაში მყოფი რაღაც ცხოველის ქანდაკება. სატარის ქვემოთ ცულის ყელზე აგრეთვე გარკვეული ცხოველის რელიეფური გამოსახულებაა.

პლასტიკური ორნამენტით, საყოველთაოდ სახელგანთქმულ, შესანიშნავად გრავირებულ კოლხური ცულების გვერდით.

კოლხურ-ყობანური ცულები ცხოველური ქანდაკებებით ყოველთვის ყუაზეა შემკული. ცულის სხვა ნაწილზე ორნამენტის პლასტიკურ სახეს ჩვენ ვერ ვხედავთ. ამავე დროს, ერთი ნაწილი პლასტიკური ორნამენტით შემკულ ცულებისა, გრავირებულია სხვაადსხვა სახის ორნამენტით, მათ შორის ხშირია ცხოველური სახეებიც. ამრიგად, ერთ და იმავე იარაღზე შერწყმულია პლასტიკური და გრაფიკული სახეები.

ცხოველური (პლასტიკური) სახეებით შემკულ კოლხურ ცულებს შორის ზემოთ გამოვყავით ორი ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული სახე. პირველ ჯგუფში მოვათავსეთ ისეთი ცულები, რომელთა ყუაზე აღმართულია ცხოველთა ქანდაკებები, როგორც ყუისაგან გამოყოფილი „განცალკევებული" ქანდაკებები, ხოლო მეორე რიგის ცულებს ყუაზე აღმართულ „გამოყოფილი" ქანდაკებების მაგივრად, ამკობს ყუასთან შერწყმული ცხოველის ფიგურა. ამ შემთხვევაში ყუის დაბოლოებას მიეღია ცხოველის სახე. იგი შესანიშნავი რეალობითაა შესრულებული. ამ ფაქტთან დაკავშირებულია მეორე ავრეთვე მეტად საგულისხმო მომენტი: ის ქანდაკებები, რომლებიც ცულის ყუაზეა აღმართული თითქმის ყოველთვის შინაურ ცხოველთა სახეებს გადმოგვცემს (ხარი, ცხენი, ძაღლი); ამავე დროს ცულები, როგორც ო. ჯაფარიძე აღნიშნავს სამხრეთ ოსეთში ზემო ლისას სამაროვანზე (ოქორის მახლობლად) აღმოჩენილ კოლხური ცულის შესახებ, რომლის ყუაზე ხარის ქანდაკებაა—უახლოვდება III ტიპის კოლხურ ცულს, ოღონდ წელში ისე მკვეთრად ამოღუნული არ არის[42]. ხოლო ის ცულები, რომელთა ყუასთან შერწყმულია ცხოველის ქანდაკება (პერევის, გალიათისა და დე ბაის კოლექციიდან), პირველი ტიპის კოლხური ცულებია, შვეტილი ტანითა და რამდენადმე სიმეტრიული მოყვანილობის პირით. ხოლო მათ ყუასთან შერწყმული ცხოველები მტაცებელი ცხოველების შთაბეჭდილებას სტოვებს. შესაძლოა ჯიქისას. ო. ჯაფარიძე იხსენიებს რა ცულს გალიათიდან და დე ბაის კოლექციიდან, რომელთა ყუაზე რელიეფურად გამოხატული ცხოველებია, აღნიშნავს, რომ ისინი ეგებ „ბარსი"-ია[43].

ამრიგად, დღეისათვის კოლხურ-ყობანური ტიპის ცულებს შორის მდიდრულად გრავირებული ცულების გვერდით რამდენიმე ეგზემპლარია ისეთები, რომლებიც შემკულია ცხოველური სახეებით, პლასტიკური მოტივებით. ცხოველური სახეებიდან ერთ შემთხვევაში თუ მტაცებლები გვხვდება ცულების ყუაზე, სხვა შემთხვევაში შინაური ცხოველების გამოსახულებებია. ამავე დროს ერთი და იმავე ცულის შესამკობად ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია, როგორც გრაფიკული მოტივები, ისე პლასტიკური სახეები.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ამ პერიოდის ლურისტანის მასალებში?

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, კოლხური ცულები თავისი ფორმებით, სრულიად განსხვავებულია ილებარდისა და სხვა ტიპის იმდროინდელი ლურისტანის ცულებისაგან.

---

[42] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, საშხრეთ-ოსეთია 1951 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, გვ. 42.

[43] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, იქვე, გვ. 44.

ყოლხური ცულები თავისი სხვადასხვა ეარიანტით, არა მარტო სილამაზით, ფორმებით, სჯობნის თანდართულ ლურისტანულ ცულებს, არამედ, როგორც საბრძოლო და სამეურნეო საქმიანობაში გამოსაყენებელი იარაღი.

აქვე შეიძლება აღინიშნოს ყოლხური ცულების შესანიშნავად გრავირება, მისი სხვადასხვა სახეებით შემკობა, რომლის ბადალი იშვიათად თუ მოიპოვება საზოგადოდ და კერძოდ ლურისტანის მასალათა შორის. ამას გრძნობს ფრ. ჰანჩარიც, როდესაც ლაპარაკობს ყობანის სახელგანთქმულ გრაფიკით მდიდარ ცულებზე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მაინც ფიქრობს, რომ იარაღის მკეთებლები ლურისტანიდან და ყობანიდან ერთ სამაღლეზე დგანან. ამის საილუსტრაციოდ მას ერთის მხრივ მოჰყავს იმ ყობანური ცულის შემკულობა, რომელზედაც გამოსახულია ადამიანი მშვილდ-ისრით ხელში გველებზე მონადირე[44] (სურ. 16). და, მეორეს მხრივ, ლურისტანული ცული, რომლის პირზედაც აგრეთვე გრავირებულია აღნიშნული სცენა (ადამიანი მშვილდ-ისრით გველებზე ნადირობს)[45] (სურ. 15). ფრ. ჰანჩარი თვლის, რომ ლურისტანის ერთ-ერთ ცულის ყუაზე (სურ. 15.) აღმართული პლასტიკური გამოსახუ-



სურ. 16. ყობანური ცული, ლოყაზე გველზე ნადირობაა გამოყვანილი ჰანჩარის მიხედვით

ლება, მტაცებელ ცხოველთ თავების რიგი[46] და ყობანის ერთ-ერთ ცულის პირზე გრაფიკული ხერხებით შესრულებული ყელმოღერებული და პირდაღებულ მტაცებელ ცხოველთა თავების მწკრივი[47], (სურ. 17). სიუჟეტით მსგავ-

[44] ფრ. ჰ ა ნ ჩ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, სურ. 36ა.
[45] ფრ. ჰ ა ნ ჩ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, სურ. 36ბ.
[46] A. Godard—Les bronzes du Luristan, Paris, 1931, ტაბ. XVIII, სურ. 56.
[47] ფრ. ჰ ა ნ ჩ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, სურ. 46.

სიაო[48]. ამდენად ჯერ კიდევ არ იყო რა კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ პლასტიკური სახეებით—ყუაზე აღძართული ცხოველთა ქანდაკებიანი ცულები—იგი იძულებული იყო ლურისტანული ცულების პლასტიკური მოტივები დაეპირისპირებია კავკასიურ-ყობანური ცულების გრავირებული მოტივებისათვის.

დღეისათვის კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ კოლხურ ცულთა შორის გვხვდება არა მარტო ისეთი ეგზემპლარი, რომელზედაც ცხოველური გამოსახულების გრაფიკული გადმოცემა იყოს და ისიც ცულის პირზე, არამედ ისეთი ეგზემპლარებიც, რომელთა ყუაზე აღძართულია ცხოველთა მწკრივი პლასტიკურად გამოხატული[49] და ისიც შინაური ცხოველისა. ასე, რომ თუკი



სურ. 17. ყობანური ცული ლოყაზე ფანტასტიკური ცხოველთა გამოსახულების მწკრივი ჰახჩარის მიხედვით

კოლხურ ცულს თანადროულ ლურისტანულ მასალებში ანალოგია არ მოეძებნება, სამაგიეროდ ადვილად შეიმჩნევა ცულების შემკულობათა მოტივების მსგავსება. ისე, როგორც კოლხური ცულების ერთ ნაწილს ლურისტანის ალებარდებსაც ახასიათებს შემკულობათა პლასტიკური მოტივები, ცხოველური სახეებით შემკობა (ცხოველური ქანდაკებით შემკულია ლურისტანის ყუამილიანი ცულებიც).

დამახასიათებელია, რომ ცხოველური სახეები და ქანდაკებები ორივე იარაღისათვის (კოლხური ცული, ალებარდი), იარაღის ყუაზეა გამოყვანილი, ერთ

[48] ფრ. ჰანჩარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.
[49] ლ. ფუკინი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XI, სურ. 1,2.

შემთხვევაში ისინი ყუისაგან გამოყოფილია და მასზეა აღმართული ქანდაკების სახით, მეორე შემთხვევაში შერწყმულია ყუასთან ან მის დაბოლოებას წარმოადგენს. და ეს გასაოცარი მსგავსება ამ ორი კულტურის თანადროულ წამყვან იარაღთა შორის მეფდავხდება ძირითადად მხოლოდ შემკულობის მოტივებში მათ სიუჟეტსა და გაფორმების ხერხებს შორის.

ვამთავრებთ რა ჩვენი მოსაზრებების გადმოცემას პლასტიკური ორნამენტით შემკულ კოლხური ცულებისა და ნაწილობრივ მათი გენეზისის შესახებ, ამავე დროის მათ პარალელებზე განსაკუთრებით შემკულობის მოტივების მიხედვით, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ლურისტანის თანადროულ კულტურასთან ურთიერთობის საკითხი და წარმოვადგინეთ რა ზოგიერთ მკვლევართა მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობთ: მიუხედავად იმისა, რომ უფრო ადრეული პერიოდის ცულებს შორის (შუა ბრინჯაოსა და მისი მომდევნო პერიოდი), როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არის ზოგიერთი შეხვედრები და მსგავსებანი, მაინც არა ჩანს ცულთა სრული დამთხვევა და ერთგვაროობა, რაც შეეხება გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ცულებს, სრულიად განსხვავებული ფორმები გვაქვს კავკასიაში და სხვა ლურისტანში.

სხვა სურათია ცულთა შემკულობის მოტივებისა და მათ გაფორმების საქმეში. აქ თითქოს ჩანს ამ კულტურათა რაღაც უფრო ახლო ურთიერთობის ელემენტები და შეიძლება ითქვას მათი შეხვედრები.

მართლაც შუა ბრინჯაოს პერიოდის იმ გადაგვარებული ცულების შემკულობის მოტივები და ხერხები, რომლებიც სამუშაოდ და საომრად არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული კავკასიასა და ლურისტანში ცხოველური რელიეფური მოტივებითაა შემკული, ხანდახან გეომეტრიული სახეებითაც. პლასტიკური სახეებით ამ პერიოდის ცულთა შემკობა აქაც და ლურისტანში, რაღაც ერთგვარ და განსაზღვრულ პრინციპს ექვემდებარება, ცულის მილისებრი ყუის შემკობა ხდება ერთნაირი ცხოველის ერთი ან რამდენიმე ქანდაკებით ან ყუისა და ცულის შუბლისა ერთად.

იგივე შეიძლება ითქვას გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის მასალებზე. ამ პერიოდის კოლხურ-ყობანური და ლურისტანის ცულების შემკულობის მოტივებს შორის არის შეხვედრები. ერთსა და მეორე შემთხვევაში გვხვდება ცხოველური სახეებით შემკული ცულები, რომლებიც ძირითადად ცულთა ყუაზეა გამოყვანილი.

ერთ შემთხვევაში ცულთა ყუაზე აღმართული ცხოველის ქანდაკების სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში უშუალოდ ყუასთანაა შერწყმული ცხოველის ქანდაკება. ორივე შემთხვევაში გვხვდება აგრეთვე ცულთა გეომეტრიული სახეებით შემკობა.

ამრიგად, როგორც უფრო ადრეულ, ისე მომდევნო პერიოდში ცულთა შემკულობის მოტივებში ჩვენ ვნახულობთ ბევრ საინტერესო შეხვედრებს და დაახლოებას კავკასიურ და ლურისტანულ მასალებში, რაც უთუოდ მოასწავებს ახლო ურთიერთობას ამ ორი მხარის მცხოვრებთა შორის. მათ ხელოსნებს შორის ალბათ, ლურისტანის იარაღთა მკეთებლები გაცნობილი იყვნენ კავკასიურ იარაღთა (ცულის) მკეთებლების ტექნიკურ მიღწევებს და პირიქით ისინი უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებებს ერთმანეთს. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი: მიუხედავად ზოგიერთი მსგავსებისა ადრეული პერიოდის ცულების ფორმებს შორის ვერ ვნახულობთ სრულ შეხვედრებს და

დამთხვევებს. ცულის ყოველ ტიპს როგორც ჩვენთან, ისე ლურისტანში თავისი დამოუკიდებელი იერი და სახე აქვს.

იგივე ითქმის შემკულობის მოტივებზე. როგორც კავკასიის, ისე ლურისტანის შუა ბრინჯაოს და მომდევნო პერიოდის ცულები მდიდარია პლასტიკური და გრაფიკული ორნამენტით. ორივე შემთხვევაში თანადროულ მასალებში შემკულობის ხერხები და ის ადგილები, სადაც ქანდაკებები უკეთდება იარაღს და ზოგიერთი სხვა დეტალები ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ აქაც უიღრესად შესამჩნევ თავისებურებებს ვხედავთ—უმეტეს შემთხვევაში თვით გაფორმების შინაარსში—ცხოველთა ვარიანტებში: როგორც შუა ბრინჯაოს, ისე მომდევნო პერიოდის კავკასიური ცულების შესამკობად ძირითადად შინაურ ცხოველთა ქანდაკებებია წარმოდგენილი (ცხვარი, ბარი, ცხენი, ძაღლი). მტაცებელ ცხოველთა ქანდაკებით შემკულია მხოლოდ სამი ცული—პერევისა, გალიათისა და ცული დე ბაის კოლექციიდან, რომლებიც ძირითადად კატის ჯიშის მტაცებლებია—შესაძლებელია ჯიქი. ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში არა გვაქვს გრაფიკული სახეებით ცულთა შემკობა, სადაც ავრეთვე ხშირად შინაურ ცხოველთა სახეებია, მაგრამ ამავე დროს არის მტაცებელ და ფანტასტიკურ ცხოველთა გამოსახულებებიც. ლურისტანის როგორც ადრეულ, ისე მოგვიანო პერიოდის ცულებზე წარმოდგენილია პლასტიკური ორნამენტი სხვადასხვა ჯიშის გარეული მტაცებელი ცხოველი, ზოგჯერ ფანტასტიკური ცხოველიც კი. თითქმის არა ჩანს შინაური ცხოველია ქანდაკებანი. მტაცებელი ცხოველებიც კი ძირითადში, რომლითაც შემკულია ცულები სხვაა ლურისტანისათვის და სხვაა კავკასიისათვის. თუმცა ზოგჯერ ერთი ჯიშის მტაცებელი ცხოველებით—კატის ოჯახის მტაცებელი ცხოველებითაა აქაც და იქაც შემკული ცულები. მიუხედავად ცულთა შემკობას სტილის ერთგვაროვნისა, სხვადასხვა ცხოველთა სახეების არსებობა ლურისტანის და კავკასიური ცულების შესამკობად უნდა მიუთითებდეს მათი შემქმნელი ხალხის სხვადასხვა იდეოლოგიაზე, სხვადასხვა რწმენაზე—რამაც უთუოდ განაპირობა კავკასიურ ცულებზე უმეტეს შემთხვევაში შინაურ ცხოველთა გამოსახვა—მათთვის საღმერთებელ ცხოველთა გადმოცემა და ასევე ლურისტანის ცულებზე გამოსახული ცხოველები უნდა ყოს ის ცხოველები, რომლებიც იქ მცხოვრებ ადამიანთათვის რაღაცნაირად გამოსახატავი ან საღმერთებელი ძალები იყვნენ.

როდესაც ჩვენ ეიხილავდით კოლხური ცულების შემკობის ხერხებს, მათ გასაფორმებლად გამოყენებულ გეომეტრიულ და პლასტიკურ მოტივებს, ჩვენი მასალების (ცულის) ორნამენტით შემკობის საფუძველის ძიების დროს დავინახეთ, რომ პლასტიკული მოტივებით იარაღ-საგურვლისა თუ სამკაულების შემკობის მოტივები მათი საწყისები, ბრინჯაოს მეტალურგიის სიღრმეში მის საწყის სტადიაში უნდა ვეძიოთ, ყოველ შემთხვევაში ადრე ბრინჯაოს პერიოდიდან მაინც. ადრეულ ეტაპზე იარაღ-სამკაულთა შემკობის რელიეფური მოტივები, უმთავრესად მარტივ სახეს ატარებს. არის ერთეული შემთხვევები, როდესაც სამკაულები (და არა იარაღი) ცხოველური სახეებითაა გაფორმებული ზოგიერთ შემთხვევაში მარტივად მაგრამ შესანიშნავი რეალობითაა გადმოცემული. ასე შეიძლება ითქვას საჩხერის ადრე ბრინჯაოს პერიოდის იმ საკინძის შესახებ, რომლის დაბოლოება საზიდი საშუალებაა და მასში გაძწვეი ძალის (ხარის) ძალზე სქემატური გადმოცემითაა გაფორმებული (სურ. 11). ხოლო

მეორე ასეთივე საკინძი შემკულია გველის რელიეფური გამოხატულებით (სურ. 12). ასე, რომ ალრე ბრინჯაოს პერიოდიდანვე, საჩხერეში მცხოვრები ადამიანები მათ მიერ გაკეთებული ნივთების გაფორმებას საფუძვლად უდებენ ძირითადად რეალისტურ მოტივებს, აფორმებდნენ ნივთს იმ ცხოველის ქანდაკებით ან გამოხატულებით, რომელსაც მათ სამეურნეო ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ან მათ წარმოდგენებზე დიდ ფსიქიკურ ზეგავლენას ახდენდა.

შუა ბრინჯაოს პერიოდისათვის განსაკუთრებით იარაღების—ცულების შესამკობად ძირითადად ქანდაკებები ჩანს და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს ქანდაკებები თითქმის ყოველთვის შინაური ცხოველისა ცხვრისაა და რადგან ასეთი სახეებით გაფორმებული იარაღები ძირითადად მთიან ადგილებიდან მომდინარეობს (რაჭა, ფასკაუ და სხვა), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცხვარი ამ ეტაპზე იქ—მთიან ადგილებში მცხოვრებ ადამიანისათვის დიდი სამეურნეო მნიშვნელობისა იყო, დიდ როლს თამაშობდა მათ ყოფასა და ცხოვრებაში[50].

გვიანი ბრინჯაოსა და მის მომდევნო პერიოდში (ადრეულ რკინის ხანაში) ასეთი სურათი გვაქვს: კოლხური ტიპის იმ ცულებს, რომელთაც შვეტილი ტანი და თითქმის სიმეტრიული მოყვანილობის პირი აქვთ ამკობენ მტაცებელი ცხოველის ჯიქის (ყოველ შემთხვევაში კატის ჯიშის ცხოველით) ქანდაკებით. იგი (ქანდაკება ყუასთანაა შერწყმული) მის თავს წარმოადგენს. მაგრამ ამავე ტიპის ცულის ზოგიერთი ეგზემპლარი (ასეთია გუდაუთიდან) შემკულია სპეციალურად ყუაზე აღმართული ცხენის სამი ქანდაკებით, ხოლო ზემო ლილის კოლხური ცულის ყუაზე აღმართული ხარის ქანდაკებით რომ არის შემკული, ფორმით განსხვავდება პერეცის, გალიათის და გუდაუთის ცულისაგან წელში მოხრილობით და პირის ასიმეტრიულობით. ამრიგად, ერთ შემთხვევაში მტაცებელი და შინაური ცხოველების ქანდაკებით შემკულია ერთი სახის (ე. წ. I ტიპის) კოლხური ცულები, ხოლო აგრეთვე—შინაური ცხოველის—ხარის ქანდაკებით შემკულია სხვა სახის (III ტიპის) კოლხური ცული—ამ შემთხვევაში ძნელია თქმა ცხოველთა ქანდაკებების ასეთი მონაცვლება, მათი სხვადასხვაობა—თარიღით უნდა აეხსნათ თუ მაშინდელ ადამიანთა სხვადასხვა წარმოდგენებით, სხვადასხვა ტომთა ნახელოობით ყოველ შემთხვევაში თარიღით ამ მომენტის ახსნა ამჯერად არსებული მასალების მიხედვით ჩვენ თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან შინაური და მტაცებელი ცხოველის ქანდაკება ერთი ტიპის ცულთა შესამკობად გვხვდება. ამავე დროს შინაური ცხოველების ქანდაკებები სხვადასხვა ტიპის კოლხური ცულების ყუათა შესამკობადაცაა გამოყენებული. თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ სხვა ტომის ხალხთა ხელოსნების მიერაა შექმნილი ვთქვათ ის ცულები, რომლებიც მტაცებელ ცხოველის ქანდაკებითაა შემკული, ხოლო სხვა ტომის ხელოსნების მიერ ის ცულები, რომლებიც შინაური ცხოველების ქანდაკებითაა შემკული, ამ მოსაზრების დამადასტურებელი საბუთებიც არ გაგვაჩნია, რადგან ერთ და იმავე ვიწრო ლოკალურ რაიონში ერთდროულ მასალათა შორის ჩვენ გვხვდება როგორც შინაური, ისე მტაცებელი ცხოველის ქანდაკებებით შემკული იარაღები, სამ-

[50] სპეციალურად განხილვის ღირსია შუა ბრინჯაოს პერიოდის თრიალეთის ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ალოჯახო ნივთები (სასმისები), რომლებიც შემკულია ნადირობის სცენებით და სხვა მოტივებით, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში, ძირითადად მხოლოდ იარაღთა შემკობის საკითხებზე ზოგიერთი მუშაობა და ამდენად ამ დიდ და რთულ საკითხებს არ შევხებივართ.

კაულები და ფართოდ გავრცელებულია იარაღებზე გრავირება როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველის გამოსახულებებისა.

ხომ არ შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ის ერთი ცული პერეიდან, რომლის ყუა ჯიქის გამოსახულებითაა შემკული, შემოტანილი ყოფილიყო რომელიმე მეზობელ ტომიდან, სადაც იარაღთა შესამკობად ძირითადად სწორედ მტაცებელი ცხოველების ქანდაკებები გვხვდება (და ისიც კატის ოჯახის წარმომადგენლებისა). გადაჭრით რაიმის თქმა ამ მიმართულებითაც ძნელია, არ არის უარსაყოფელი ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში (ვეიან ბრინჯაოსა და მისი მომდევნო ხანა) ფართო კულტურული ურთიერთობაა, ტექნიკურ მიღწევათა ფართო გაზიარებაა ქართველურ და მის მოსაზღვრე ტომებს შორის და შესაძლოა, ტექნიკური ხერხები გადმოდებული ყოფილიყო მათგან. მაგრამ ვითვალისწინებთ რა ერთის მხრივ იმ ფაქტს, რომ კოლხურ-ყობანური ტიპის ცულთა ეს სახეობა სწორედ კოლხური კულტურის პირმშოა, ამ კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღი, ამავე დროს იმ ფაქტს, რომ არა ერთი და ორი მემთხეევაა მტაცებელი ცხოველების ქანდაკებების აღმოჩენებისა ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენთვის რამდენადმე საეჭვოდ ჩანს, რომ ერთ და იმავე პერიოდში საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ტომთა ხელოსნები იარაღ-საჭურველის შესამკობად იყენებდნენ როგორც შინაური ცხოველების, აგრეთვე მტაცებელი ცხოველების გამოსახულებებს. ვლაპარაკობთ რა კონკრეტულ ფაქტზე, პერეიის ცულია ყუის კატის ოჯახის მტაცებელ ცხოველის, ჯიქის ქანდაკებით შემკობის შესახებ, ჩვენ არ უნდა დავიიწყოთ ის გარემოება, რომ მტაცებელ ცხოველთა, სპეციალური, შესახიმშავი ხელოვნებით ნაკეთები ქანდაკებები გვაქვს შიდა ქართლიდან, კერძოდ მარტყოფიდან (მცხეთის მახლობლად) და სამთავროს სამაროვანიდან. ერთი მათგანი ნაპოვნი იყო 1951 წელს ზაფხულზე მარტყოფის ხეობაში (მცხეთის რაიონი), ნავთსადენის დაცალეთით რკინიგზის ხიდის ქვემოთ გამავალი გზის შეკეთება-გაფართოებისა დროს[51].

ქანდაკება კულტურულ ფენაში ყოფილა ნაპოვნი (ინვ. 15—31:5). იგი კატის ოჯახისა, შესაძლოა ჯიქისა იყოს. ცხოველი დინამიურ მდგომარეობაშია მას პირი დაღებული აქვს, ენა გადმოგდებული, კბილები შკვეთრად გამოხატული და ოთხი წინა კბილი (ორი ზედა ყბაზე და ორი ქვედა ყბაზე—ისე როგორც ეს ვეფხვს, ჯიქს ან ამ ოჯახის სხვა ცხოველთათვის არის დამახასიათებელი) ყველა დანარჩენ კბილებზე დიდია და გრძელი. სწორედ ენა ქვედა ყბის ამ გრძელ კბილებს შორისაა მოქცეული. ცხვირიც მშვენივრადაა გამოყვანილი და მასზე კარგად შეიჩჩევა ნესტოები. თვალები დაკაკლულია (ბატარა ბირთვების სახით), ყურები ფართოა და დაცქვეტილი, კისერი მოკლეა და სქელი. მხრები (ბეჭი) და გავა მკვეთრად აქვა ამოწეული და გასქელებული, წელი კი ვიწროა და ჩახნექილი, კუდი გრძელი აქვს და ზევით აწეული (კარგად შეიმჩნევა შუა ადგილზე კუდის ვადაკერება, შეკეთება, სადაც იგი რამდენადმე გასქელებულია). ქანდაკება კუდს ეყრდნობა, წინა ფეხები თითქმის ვერტიკალურადაა დაშვებული და თანაბარი სიმსხოსაა, უკანა ფეხები კი წინ აქვს გადადგმული. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკება შედარებით პრიმიტიულია, იგი სინამდვილესთან ახლოა, რეალისტური ნაკეთებია (ტაბ. IX, სურ. 2). ქანდაკების სიგრძე—11,5 სმ, სიმაღლე—7—8 სმ.

---

[51] აღმოჩენის ადგილი და პირობები ადგილზე შესწავლილი აქვს არქ. ტ. ჩუბინიშვილს.

კატის ოჯახის წარმომადგენელის—ჯიქის ქანდაკება[52] ნაპოვნია სამთავროს სამაროვანის სამხრეთ უბანზე კულტურულ ფენაში. ცხოველს წინა მარცხენა ფეხი და თავი აწეული აქვს და მარცხნივ მოღერებული, პირი დაღებული აქვს თითქოს ღრიალებსო. უკანა მარცხენა ფეხი წინ აქვს გადადგმული, ხოლო მარჯვენა უკანა ფეხზე კუდია შემოხვეული. მთელი ტანი კონცენტრული წრეებითაა დაფარული. სხეულის სხვადასხვა ნაწილებს შორის პროპორციულობა იგრძნობა. შესანიშნავი ხელოვნებითაა ნაკეთები და უაღრესად რეალისტური ნახელავია[52].

ჩვენ შეგვეძლო კიდევ რამდენიმე მაგალითის მოყვანა მაგრამ ვფიქრობთ—ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩვენი არქეოლოგიური მასალები არც თუ ისე ღარიბია კატის ოჯახის მტაცებელ ცხოველთა—კერძოდ ჯიქის, ლომის, ქანდაკებებით და ამ ცხოველის ქანდაკებების გამოჩენა ემთხვევა სწორედ ძვ. წ. II ათასეულის მიწურულს და პირველი ათასეულის პირველ საუკუნეებს, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ძვ. წ. I ათასეულის I ნახევრისა.

საამწუხაროდ ჩვენ ვერ მოვახერხეთ გვეძიებინა იმის დასადგენად თუ რასთან იყო დაკავშირებული ჯიქის ქანდაკებების შექმნა, მათი გამოხატულებების შერწყმა თუგინდ ცულის ყუასთან ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ. იგი დაკავშირებული იყო კეთილ და მათ სასიცოცხლო ინტერესებთან თუ ეს მტაცებელი მაშინდელი ადამიანების ფსიქიკაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა როგორც მათთვის საშიში არსება. შესაძლებელია ვიფარაუდოთ, რომ სწორედ ხელოსანი, ვინც ჯიქის ქანდაკებას ქმნიდა ძალის ან სიმარდის სიმბოლოდ წარმოიდგენდა მას. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით გადაჭრით არაფრის თქმა **არ შეგვიძლია ამ საკითხზე**[53].

ამრიგად, ვლაპარაკობთ რა პერეულის და მისი მსგავსი და თანადროული ცულების შემკულობის მოტივებზე, პლასტიკური ორნამენტით მათ გაფორმებაზე, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ შემკულობათა ამ მოტივის ღრმა ტრადიციებზე, რომლებიც მათ წინამორბედ ცულებს გააჩნდა ისე, რომ თუკი კოლხურ ცულს საზოგადოდ თავის წინამორბედი აქვე გააჩნდა შუა ბრინჯაოს პერიოდის ცულებს შორის, ასევე მათი შემკულობის ცხოველურ ტრადიციებსაც ღრმა ფესვები ჰქონდა ჩვენსავე ტერიტორიაზე—იმავე შუა ბრინჯაოს პერიოდის მასალებში, იგი ეითარდებოდა ადგილობრივ ნიადაგზე, საერთოდ თანადროულ მეტალურგიის განვითარების გვერდით. ლაპარაკობს რა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გ. გობეჯიშვილი, მიუთითებს, რომ „ზოგ შემთხვევა-

---

[52] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ფიქრობს, რომ აღნიშნული ქანდაკება დაჭრილ ჯიქს გამოხატავს, რომელსაც მარცხენა ფეხი აუწვია და სიმწრისაგან ღრიალებსო. იხ. მისი შრომა არქ. გათხრები საბჭოთა საქართველოში. გვ. 89.

[53] ჯერჯერობით ჩვენთვის საძიებო რჩება კიდევ ერთი საკითხი—რით ეხება აიხსნას ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში იარაღ-საჭურვლზე ზოგიერთი ცხოველის გამოსახულების გადმოცემა ხდება როგორც გრაფიკულად, ისე ქანდაკების სახით, ხოლო სხვა შემთხვევაში ჩვენ კვლავ ვხვდებით ცხოველთა ქანდაკებებით ნივთების შემკობას, ხოლო ამ ცხოველის გრავირება იარაღზე არ ხდება. მაგალითად შუა ბრინჯაოს და მის მომდევნო ეტაპზე—ადრეულ ბრინჯაოს ან ადრეულ რკინის ხანაში ფართოდ ვრცელდება ცხვირის ქანდაკებით ნივთების შემკობა, ან შრავლადაა ცხვრის დამოუკიდებელი ქანდაკებები, ხოლო ცხვრის გრავირებია შემთხვევა ჩვენთვის ხელმისაწვდომ არქეოლოგიურ მასალებზე არ შეგვხვედრია—იმ დროს, როდესაც ცხენის გამოხატულებანი ქანდაკებების სახითაც გვხვდება ნივთების შესაკობად და აგრეთვე ცხენების გრაფიკული გამოსახულებანი ეზირად ცულებსა, სარტყლებსა თუ სხვა ნივთებზე, ასევე შეიძლება ითქვას ირმებზე და სხვა ცხოველებზე.

ში ცულის ყუას ამშვენებს ამა თუ იმ ცხოველის ქანდაკება (ტაბ. XXXIX სურ. 2). ჩანს, რომ ყუამილიანმა ცულებმა (ტაბ. XI) შემკობის ასეთი წესი ტრადიციის ძალით გადმოსცა გვიან ბრინჯაოს ხანის იარაღს"[54]. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ აქ მცხოვრებნი, ამავე დროს დაკავშირებულნი იყვნენ და იცნობდნენ მეზობელი ტომების მიღწევებს და ისინიც უზიარებდა თავიანთ სამრეწველო, ტექნიკურ და კულტურულ მიღწევებს და გამოცდილებებს თავიანთ მეზობლებს.

ცულის დანიშნულებაზე ლაპარაკი ნაწილობრივ გვქონდა; იგი შესაძლოა რიტუალური დანიშნულებისა იყო. საგულისხმოა ერთი გარემოება: პერეების გახის შემადგენელი ნივთები, გარდა ქანდაკებით შემკული ცულისა, ქიმიური შედგენილობით თითქმის კლასიკურ ბრინჯაოს გახეკუთვნება (9—12% კალის ნარევით), ხოლო ქანდაკებით შემკული ცულის ქიმიური შედგენილობა სრულიად საწინააღმდეგოა—თითქმის სუფთა სპილენძია (სპილენძი 97,6% და კალა—1,2%), ასევე მცირე შედგენილობაა კალისა იმ ცულში, რომელიც ზემოლისის ძველ სამაროვანზეა აღმოჩენილი და რომლის ყუაზე ხარის ქანდაკებაა აღმართული (მასში 3%-ია კალა). ასე, რომ გვიან ბრინჯაოს **პერიოდის ან** ადრეული რკინის ხანის იარაღებში ისიც სამუშაო ან საბრძოლო ცულში **ასეთი** მცირე პროცენტი კალისა შესაძლოა მართლაც გამორიცხავდეს მის საბრძოლო დანიშნულებას. ამას უნდა დაემატოს ის ფაქტი, რომ ყუა შემკულია ქანდაკებით, რომელიც გამორიცხავდა აგრეთვე ყუის გამოყენებას საჭირო შემთხვევაში—სამუშაოდ ან საბრძოლველად.

მ. ტრაპში მიუთითებს, რომ ყულანურხვაში მის მიერ ნაპოვნი ცული, რომლის ყუაზე ძაღლის ქანდაკებაა საბრძოლო დანიშნულების არ უნდა ყოფილიყო. ამაზე ახსნას ის იმაში პოულობს რომ ცულის ყუა შემკულია სკულპტურული გამოსახულებით, იარაღი მჩატეა და პირი გაულესავი აქვს[55].

ა. ლ. ლუკინი, გუდაუთის იმ ცულის შესახებ, რომლის ყუა შემკულია ცხენის სამი ქანდაკებით, ფიქრობს, რომ მხატვარ-ხელოსანმა შეასრულა სოციალური შეკვეთა, ჩამოაცილა რა აღნიშნულ იარაღის ტიპს მისი ძირითადი ფუნქცია, მას ნისცა ახალი საზოგადოებრივი ფუნქცია. მაგრამ იგი ამავე დროს აღნიშნავს, რომ ეს გარემოება არ ჩრდილავს მის ძირითად თვისებას, რომ ის საბრძოლო ცული იყოსო. დაბოლოს ა. ლუკინი ფიქრობს, რომ თუკი ჩვენ ვიმოგეთ იმის დადასტურებას, რომ ჯგუფი ცხენებისა ითვლება ტოტემიდან მომდინარე, გვაროვნულ ნიშნად, მაშინ აღნიშნული ცული შეიძლებოდა ჩაგვთვალა ხელისუფლების ემბლემადო.[56] ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ კოლხური იარაღი ძირითადად სამარი იარაღი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გვხვდება ისეთი ცულები, რომლებიც უთუოდ საკულტო სარიტუალო დანიშნულების ყოფილა. ისინი პრაქტიკული მიზნებისათვის ნაკლებ გამოსადეგნი ჩანს. ამათ რიგს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი ცულიც. გუდაუთის ცულის გარჩევისას ჩვენ უკვე ერთ ადგილას აღნიშნული გვქონდა, რომ იგი შესაძლოა ცხენის კულტთან დაკავშირებული ნივთი ყოფილიყო. ზემოლისას ცულის შესახებ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი ხარის კულტთანაა დაკავშირებული[57].

როგორც ვხედავთ, მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ კოლხურ

---

[54] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.
[55] მ. ტრაპში, დასახ. ნაშრ., გვ. 5,6.
[56] ა. ლ. ლუკინი, დასახ. ნაშრომი, 49, 50.
[57] ო. ჯაფარიძე, სამხრეთ ოსეთის 1951 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, გვ. 44.

ცულთა ის ჯგუფი, რომელთა ყუა ცხოველური ქანდაკებითაა შემკული, პრაქტიკული მიზნებისათვის (სამუშაოდ, საომრად) გამოუსადეგი უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოსაზრებას ბხარს უჭერს თვით ნივთის ქიმიური შედგენილობა. ძნელია გადაჭრით თქმა იმისა იგი რა დანიშნულების იყო—ხელისუფლების ემბლემა თუ საკულტო სარიტუალო, მაგრამ შესაძლოა მართლაც საკულტო დანიშნულებისა იყო. იმდროინდელ ადამიანებს სურდათ წარმოესახათ იმ ცხოველთა სახეები, რომლებიც ყველაზე საყვარელი იყო მათთვის, დიდი ეკონომიური მნიშვნელობისა იყვნენ და ამდენად ყველაზე საპატივცემულო და საღმერთებელიც კი.

კონკრეტულად იყო თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე იმდროინდელი მოსახლეობისათვის ჯიქი სათაყვანებელი ან საშიში, როგორც აღვნიშნეთ, საამისო მასალები ჯერჯერობით არ გვაქვს ნაპოვნი და ამდენად არც შეგვიძლია რაიმე ვთქვათ ამ საკითხზე.

პერევის განძის შემადგენლობაში ბეორე ცალი კოლხური ცულია, რომელიც კოლხური ცულის მეორე სახეობას მიეკუთვნება. ჩვენ ვრცლად არ შევჩერდებით აღნიშნულ ცულზე, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ცული გეომეტრიული სახეებითაა შემკული, რაც საზოგადოდ ჩვეულებრივი მოვლენაა კოლხურ ცულთა მოკაზმულობაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სატარე ხვრელის ოდნავ ქვემოთ, შუბლის ორივე წახნაგზე, სხივმფრქვევი „მზეა" გაფორმებული, რაც ალბათ მზის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ასეთი ორნამენტი—სხივმფრქვევი მზე არც თუ იშვიათია კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში. მეტად საინტერესო მასალები არის ამ მხრივ სამთავროს ორმოსამარხებში აღმოჩენილ მასალათა შორის. ჩვენ დავასახელებთ ერთ მათგანს: სამთავროს სამაროვანის ჩრდილო უბანზე № 192 სამარხში აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი, რომლის მხრებზე რამდენიმე სხივმფრქვევი მზეა გამოყვანილი.[58] სამთავროს მრავალრიცხოვან სათანადო მასალების მიხედვით მზის კულტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია—იგი, როგორც ჩანს, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმდროინდელ სოფლის მეურნეობის ხელშეწყობასთან.

„სამთავროს სამაროვანზე—აღნიშნავს ტ. ჩუბინიშვილი,—იმ შემთხვევაში, სადაც მსგავსად ყორღანული სამარხისა, მზისა და ხარის კულტის თანხვედნაა დამოწმებული, ჩვენი აზრით, მკაფიოდ გამოხატული უნდა იყოს იმდროინდელი სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი—მზისა და ხარის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, სამთავროელთა კულტურაში მზის მძლავრი კულტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გვანიშნებს ორმო სამარხებში მოპოვებული ნივთებს მთელი ჯგუფიც"[59].

აღმოსავლურ-ქართული ცულის განვითარების სქემა წარმოდგენილია ერთ ჩვენს ნაშრომში[60], აღნიშნული სქემის მიხედვით პერევის განძის აღმოსავლურ-ქართული ცული III უკანასკნელ ჯგუფში ექცევა. ეს არის ამ ცულთა არსებო-

---

[58] ტ. ჩუბინიშვილი, სამთავროს ყორღანული სამარხი № 243, გვ. 11, სურ. 6.

[59] ტ. ჩუბინიშვილი, იქვე, გვ. 11.

[60] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები ნაწ. 1, თბილისი, 1955, გვ. 164—173, სურ. 51.

66 ო

თეული, ფულის მოვალეობის შემსრულებელი განსაზღვრული დროის განმავლობაში. სამწუხაროდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი პერიოდის ფონის ერთეულების შესწავლაზე, ფირებულების სხვადასხვა საზომის შესწავლაზე, გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საგნების შესწავლაზე დღემდე სპეციალურად არავის უმუშავნია[61].

აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ პერეევის რგოლის მაგვარი რგოლები ბნელოდ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა შორის გვხვდება. დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით, ასეთი რგოლები აღმოჩენილია შავი ზღვის სანაპიროზე (აღხაზეთის ტერიტორიაზე)[62], დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონში (ლეჩხუმში[63]) და სხვა ადგილებში. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი რგოლები არ გვხვდება. აქაური მასალების მიხედვით უმთავრესად დიდი, განიკვეთში მრგვალი რგოლები გვხვდება[64], თუმცა განიკვეთში მრგვალი რგოლები, რომლებიც შესაძლებელია გაცვლის ერთეულები იყო დასავლეთ საქართველოშიაც გვხვდება[65].

პერეევის მასალებიდან ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ იმ ცულის პარალელები, რომლის ყუა სკულპტურული გამოსახულებებითაა შემკული, ამ ცულის ანალოგიებიც კი ცალმხრივადაა წარმოდგენილი, ვიხილავთ რა ცულის ყუის მხატვრულ გაფორმებას და მის გენეზისს. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მეტნაკლები სიზუსტით წარმოვადგინოთ აღნიშნული განძის ანალოგიები, მისი მსგავსი კომპლექსები. საერთოდ პერეევის მასალების პარალელები გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში იგი უმთავრესად განძების სახითაა ცნობილი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში როგორც განძების, ისე სამარხეული ინვენტარის სახით.

პერეევის განძის უახლოეს ანალოგად შეიძლება ჩითეალოს ლეჩხუმის განძი, რომელიც 1924 წელს ყოფილა აღმოჩენილი სოფ. ოყურეშის მახლობლად, ლიჯობის ძირთან (ტყეში)[66]. განძი, ისე როგორც ჩვენი მასალა, შედგება

---

[61] ჩვენ გავიზრახეთ შეგვეტანა აღნიშნული საკითხი. მიმდინარე წელს ჩვენი ფონდებიდან ავწონეთ 400-ზე მეტი ისეთი რგოლი, რომელიც ეჭვს იწვევდა, რომ იგი შემკულობისათვის განკუთვნილი ნივთი იყო. ასეთი მასალების შერჩევა მოვახდინეთ სხვადასხვა მხარის არქეოლოგიური ძეგლებიდან, ჯერჯერობით არ დაგვიმთავრებია აღნიშნულ საკითხზე მუშაობა. ჩვენ გავეცანით დე მორგანის მასალებს, რომელნიც, სიკილა 8,2 გრ რგოლა უწოდა წინასწარი მონაცემების მიხედვით, მრავალრიცხოვანმა პატარა რგოლების აწონამ და შესწავლამ, რომლებიც ჩვენ საქმეოდ მივიჩნიეთ როგორც შემკულობის აშუალებები, ხუსტად არ დაემთხვა დე მორგანის მოსაზრებას, ამის საწინააღმდეგოდ ამეტყველდა აგრეთვე დიდრონი რგოლებიც, რომლებიც ჩვენი ჭვეკნისათვის თავის დროზე სახომი ერთეული მინა ფუდა ყოფილიყო.

საშუალო გაბარიტებით ჩვენი მასალების ნიმუშების სიკილა 8.6 გრამს უდრიდა, ხოლო ამის მიხედვით (რომელსაც დაემთხვა ნაწილობრივ მასალებიც) მინა, რომელიც 60 სიკილას უდრის 516 გრამია. რაც შეეხება პერეევის რგოლს იგი 1067 გრამია. და ორი მინა შეიძლებოდა ყოფილიყო განსხვავება 33 გრამი ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს 2 მინისათვის, რადგან ხუსტი ფონა და ზუსტი ყალიბის გაკეთება იმდროისათვის ალბათ, ძალზე საძნელო იქნებოდა. ამიტომ მცირედი განსხვავება (ამ შემთხვევაში ერთი შეფარდებული ოცდაპუთმეტთან) მეტი ან ნაკლები მასალოდნელია ყოველთვის ყოფილიყო.

[62] ა. ლ. ლ ე კ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. VII, სურ. 2.

[63] ბ. კ ე ფ ტ ი ნ ი, ურარტული კოლუმბარუმი, ტაბ. XIII-XIV.

[64] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ცხინვალის განძი საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, თბილისი, 1950, გვ. 103, სურ. 5,6.

[65] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ქვიშარის არქ. ძეგლები, გვ. 19—20, სურ. 14—15.

[66] ბ. კ ე ფ ტ ი ნ ი, ურარტული კოლუმბარუმი, ტაბ. XIII—XIV.

I და II ტიპის კოლხური ცულებისაგან, რომლებიც კეთილშობილი პატინითაა დაფარული და ნივთებს პრიალა ზედაპირი აქვთ. ამათგან ზოგიერთი, ფორმით ზუსტად იმეორებს პერევის კოლხურ ცულებს, კერძოდ, მის პირველ ტიპს. განძი შეიცავს თავხსნილ, განიერ შიდა პირგაბრტყელებულ, ჭრილში რკალურ რგოლებს, რომლებიც იმდენად მსგავსია პერევის რგოლისა, რომ ნამდვილად ერთი სახელოსნოდან, ერთი ხელოსნის ნახელავი გეგონებათ. განძი შეიცავს აგრეთვე „ხელეჩოს", ბოლოებგადმოზნექილ დიდრონ რგოლებს და სხვა ნივთებს.

მეტად საინტერესოა აგრეთვე ის არქეოლოგიური მასალები, რომლებიც 1953 წლის დეკემბერში აღმოჩნდა სოფ. ხევში (ჩოხატაურის რ-ნი) განძის სახით. ამჟამად ინახება საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში (ინვ. მე-9—54). განძი შედგება I და II ტიპის კოლხური ცულებისაგან, ზოგიერთი მათგანი გეომეტრიული სახეებითაა შემკული. გარდა ცულებისა განძში წელში მოხრილი თოხია, მილისებრი სატარითა და განიერი პირით. იგი ახლო პარალელია პერევის ბრინჯაოს თოხისა. განძი აგრეთვე შეიცავს ბრინჯაოს წალდს.

პერევის მასალების პარალელების ძიების დროს არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქვიშარის განძი.[67] ქვიშარის განძის ერთი ნაწილი ჩვენს ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ მასში, როგორც გ. ნიორაძე ფიქრობს, დიდი მასიური ორნამენტირებული რგოლი—რგოლი მონეტაა[68], ამავე დროს მასში ჭურჭელ სიტულის ყურიცაა[69], რომელიც, როგორც ქვემოთ გვექნება საუბარი, შედარებით კარგად თარიღდება. ამათ გარდა განძი შედგება I და II ტიპის კოლხური ცულებისაგან[70], ერთი მათგანი I ტიპისა, ნაკლული, სპირალური ორნამენტით, წერტილები შევსებული წრეებითა, ბადისებრი ორნამენტითა და სხვა სახის გეომეტრიული მოტივებითაა გრავირებული[71]. (გარდა ტიპოლოგიური მსგავსებისა, აქაური ცულების შემკულობის ზოგიერთი მოტივები ახლო პარალელს პოულობს პერევის ცულებთან), ამას გარდა განძი შეიცავს რამდენიმე ცალ თოხს მილისებრი ექან გამოშვერილი სატარითა და წელში მოხრილი ტანით, მსგავსად პერევის თოხისა, თითქმის ყველა მათგანს მოცვეთილი პირი აქვს[72], რომლებსაც გ. ნიორაძე ხელეჩოებს უწოდებს[73]. განძი შეიცავს აგრეთვე ხელეჩოებსა, სატეხს, ტყავის დასამუშავებელ იარაღს და ნამგალს[74].

პერევის მასალებიდან ბრინჯაოს რგოლის ზუსტი ანალოგია აღმოჩენილი ყოფილა დაბა ჯაბნაში (აფხაზეთის ასსრ). სამწუხაროდ არ არის ცნობილი აღნიშნული ნივთის აღმოჩენის ვითარება და მისი თანმხლები ინვენტარი.

სპეციალურად გვინდა შევჩერდეთ პერევის მასალების ერთ მეტად საგულისხმო ანალოგიაზე, რომელთა შესახებ პროფ. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ სამარხეულ ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს[75]. ჩვენთვის საინტერესო მასა-

---

[67] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVB.

[68] იქვე, გვ. 19, სურ. 14, 15.

[69] იქვე, გვ. 17, სურ. 11 და 12.

[70] ი ქ ვ ე, სურ. 3 და 4.

[71] დასახ. ნაშრომი, სურ. 5.

[72] იქვე, სურ. 10.

[73] იქვე, გვ. 15.

[74] იქვე, სურ. 8 და სურ. 11.

[75] К у ф т и н Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, გვ. 25.

ლა სოფ. წოისში ყოფილა აღმოჩენილი, ყვირილის ხეობაში, მის მარცხენა შენაკადთან და ინახება ვორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. აღნიშნულ მასალას ჩვენ ყურადღება იმიტომ მივაქცევთ, რომ პერევის განძის რგოლის ანალოგიები ერთეული შემთხვევებია (ლეჩხუმი, აფხაზეთი), ხოლო წოისის მასალებში ორი ცალია მისი ზუსტი ანალოგია[76]. აქვეა I და III ტიპის კოლხური ცულები[77] (ისე როგორც პერევის განძში), რომელთაგან II ტიპის ცული გრავირებულია ცხოველის გამოსახულებითა და გეომეტრიული სახეებით. განძი შეიცავს აგრეთვე ბრინჯაოს ნამგალს[78].

პერევის მასალის ანალოგიები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორისაც მრავლად მოგვეპოვება. ჩვენ მოვიხსენიებთ ზოგიერთ მათგანს და პირველ რიგში იმათ, რომლებიც სტრატიგრაფიული თვალთახედვით საინტერესოა და შედარებით უკეთ თარიღდება. ასეთი მასალები კი უმთავრესად სამთავროსა და ბეშთაშენის სამაროვანიდანა ვვაქვს. მაგრამ სანამ უშუალოდ ასეთ მასალებს დავასახელებთ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ცხინვალის განძი (ინვ. 8—09), რომელიც თავისი შემადგენლობით და ხასიათით ახლო ანალოგიას პოულობს პერევის მასალებთან. ცხინვალის განძი შედგება მრავალფეროვანი მასალისაგან. მასში არის როგორც აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის, ისე დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ძეგლები. დამახასიათებელია აგრეთვე ისიც რომ განძში შემავალი არც აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის და არც დასავლეთ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი წამყვანი იარაღები (ცულები) ერთდროული არა ჩანს. ისინი სხვადასხვა ტიპისაა. ერთის მხრივ, განძის შემადგენელი ხუთი კოლხური ცულისაგან ორი I ტიპისაა. ორი II ტიპისა; ხოლო ერთი III ტიპისა (ტანში ორგზის მოღუნული ცული). აღნიშნული ცულებიდან სამის (II და III ტიპისანი, რომ არიან) მთელი ზედაპირი შესანიშნავადაა მოხატული, გრავირებულია სხვადასხვა ცხოველის სახეებით, და გეომეტრიული ორნამენტით. ასევე აღმოსავლურ-ქართული ოთხი ცულისაგან, რომლებიც განძის ნაწილია, სამი II ტიპისაა, ლამაზად აწედილი მაღალი და წვეტიანი ფრთებით და პირის კოტა მოყვანილობით, ხოლო ერთი III ტიპისაა, ბლაგვი „მოტეხილი" ფრთებითა, ტლანქი ყუით (რომელიც ახლო ანალოგიად უნდა ჩაითვალოს პერევის მსგავსი ცულისა). განძის შემადგენლობაში ხუთი ცალი მასიური, აპირალურად თაეებგადასული რგოლია, რომელთა ზედაპირი შემკულია გეომეტრიული სახეებით (ერთი მათგანი წონით 3 კილოგრამზე მეტია). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი რგოლი მონეტები შეიძლება იყოს. განძი შეიცავს აგრეთვე კომბინირებულ იარაღს (ცულ-ნამგალს?) სატეხსა და ორ ხელეჩოს. ამრიგად, ცხინვალის განძის სახით ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი აშკარა საბუთი იმისა, რომ განძის შემადგენლობაში აშკარად სხვადასხვა პერიოდის მასალა ჩანს.

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი სამი ცალი კოლხური ცულისაგან ერთი I ტიპისაა, ერთი II და ერთიც III. აღნიშნული ცულების თანმხლებ ინვენტარზე ანუ სამარხეულ კომპლექსებზე დაკვირვება ჩვენ საშუალებას მოგვცემს რამდენადმე გავერკვეთ პერევის მასალების დათარიღების საკითხში.

---

[76] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. VII, სურ. 1.

[77] იქვე, სურ. 6.

[78] იქვე, ტაბ. VIII, სურ. 1.

1940 წელს სამთავროს ჩრდილო უბანზე № 208 ორმო-სამარხში აღმოჩნდა I ტიპის კოლხური ცული. სამარხი ძალზე მდიდარია ინვენტარით და გამოტანილია არქეოლოგიურ გამოფენაზე როგორც მონოლითი. სამარხში ბრინჯაოს ორი ნახვილია: ბოლოკვეთილი და წაწვეტებულწვერიანი. ამათ გარდა: მასრაშეკერული შუბისპირი, თხელფირფიტოვანი განიერი ბრინჯაოს ქამარი, ორმის სკულპტურული გამოსახულებანი, მოჭიქული ჭურჭელი, ქვერთხის თავი ბრინჯაოსი, სამარხში რკინის მხოლოდ ერთი წარმომადგენელია, დანა (?) და ბრინჯაოს სხვა ნივთები.

II ტიპის კოლხური ცული აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანის ჩრდილო უბანზე № 260 სამარხში.

სამარხში ცულს გარდა შემდეგი ნივთებია აღმოჩენილი: ბრინჯაოს საკინძები მრგვალ და დაღარულთავიანები, სამაჯურები დიდი რაოდენობით, რომელთა ზედაპირი დაკბილულია, ბეჭდები ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, აგრეთვე დაკბილული ზედაპირით. მძივები სარდიონისა მუქი წითელი და დაწახნაგებული, მძივსაკიდები სარდიონისა მსხლის ფორმის, მძივებ სარდიონისა ოვალური შუაზე გახვრეტილი.

მიუხედავად იმისა, რომ სამარხში II ტიპის კოლხური ცულია და რკინის „წარმომადგენელი" არ არის, როგორც შესადარებელი მასალებიდან ჩანს, იგი **გვიანი ბერიოდისაა.** მძივებისა, მძივსაკიდებისა და ზედაპირდაბილული **სამაჯურების** მიხედვით სამარხი არ შეიძლება იყოს ძვ. წ. VIII საუკუნეზე ადრეული.

ძალზე საინტერესოა. სამთავროს სამაროვანის ჩრდილო უბანზე 1939 წელს აღმოჩენილი № 121 სამარხის ინვენტარი.

მასში III ტიპის კოლხურ ცულთან ერთად აღმოჩენილია: მახვილი რკინისა, დანის მაგვარი ნივთი რკინისა, ბაწი და დეგმა რკინისა; ძვლის ისრის პირები ოთხწახნაგა, ისრის პირები ბრინჯაოსი, გრძელყუნწიანი, ისრის პირები რკინისა, სარტყელი ბრინჯაოსი, რომლის ზედაპირი ძალიანადაა გრავირებული; მასზე გამოყვანილია ცოცხელური სახეები და გეომეტრიული ორნამენტი. სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე სამაჯურები წვრილი მავთულისა, დაკბილულზედაპირიანი, ბეჭდები აგრეთვე დაკბილული ორნამენტით, საკინძი ბრინჯაოსი ოთხბურთულიანი თავით, მძივები სარდიონისა მუქი წითელი ფერისა დაწახნაგებული, კარგად დამუშავებული და მძივსაკიდი სარდიონისა, მსხლის ფორმის.

მიუხედავად იმისა, რომ სამარხში რკინის ნივთები ჭარბობს და მასში III ტიპის კოლხური ცულია, იგი დაახლოებით იმავე დროისა უნდა იყოს, რა დროისაც ზემოთ აღწერილი 260 სამარხის ინვენტარი. ამის საბუთად ჩვენ გვეჩვენება სამაჯურები, ბეჭდები, მძივები და მძივსაკიდები, რომლებიც ზუსტ ანალოგიას პოულობს № 260 სამარხში აღმოჩენილ მსგავს ნივთებთან და რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. VIII საუკუნეზე ადრეული არ შეიძლება იყოს.

ამრიგად, № 260 და 121 სამარხის მიხედვით II და III ტიპის კოლხური ცულები დაახლოებით ერთდროულ სამარხებში გვხვდება.

წალკიდან ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ბეშთაშენ-საფარ-ხარაბას გზა-

---

[19] ბ. კუფტინი, არქ. გათხრები თრიალეთში, გვ. 68, 69, ტაბ. X, IX №-სურ. 69, 70, 71, 72.

ზე აღმოჩენილი № II ორმო-სამარხის ინვენტარი.[79] სამარხში I ტიპის კოლხურ ცულთან ერთად აღმოჩნდა: ქამრის აბზინდა ცხვრის თავის გამოსახულებით, ბრინჯაოს ქამარი, ბრინჯაოს კვერთხის თავი, სატევარი ბრინჯაოსი, დაფანჯრული სატევრის თავი, ბრინჯაოსტარიანი მოკლე სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი (გრძელმასრიანი), ბეჭედი სარდიონისა, დამუშავებული ირმის რქის ძირი და სხვა[80].

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ კიდევ ერთი მეტად საინტერესო კომპლექსი, რომელიც აღმოჩენილი ყოფილა 1930 წელს კასპის რაიონის სოფ. ქვემო-გოსტიბეში (ინვ. 8—30) და რომელიც საკატალოგო ჩანაწერების მიხედვით სამარხეული ინვენტარი უნდა იყოს.

კომპლექსი ოთხი ნივთისაგან შედგება. მათ შორის არის I ტიპის კოლხური ცული, მთლიანადსხმული ერთი ტიპის სატევარი, მასრაგახსნილი (გრძელმასრიანი) შუბისპირი ბრინჯაოსი და თიხის ჭურჭლის ქვემო ნაწილი.

დათარიღებისათვის

როგორც ცნობილია, საზოგადოდ არქეოლოგიურ მასალათა შორის განძების დათარიღების საკითხი მეტად რთული და ძნელია, მით უმეტეს საძნელოა მათთვის აბსოლუტური თარიღის მიყენება. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ განძი თითქმის ყოველთვის შეიცავს თარიღით განსხვავებულ ნივთებს.

ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისღა გვრჩება, რომ განძის ცალკეულ ნივთთა შესადარებელი, სტრატიგრაფიულად შესწავლილი მასალების მოშველიებით მიახლოებით დავადგინოთ ძეგლისათვის (განძისათვის) ორი თარიღი. ზედა და ქვედა ქრონოლოგიური ჩარჩო, ე. ი. თარიღი, რომლის აღრე არ შეიძლებოდა ყოფილიყო განძი (ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი) და ის თარიღი, რომელიც განძში შემავალ ყველაზე ახალგაზრდა ნივთისათვის იქნება სწორი—ტტკუარი (ზედა ქრონოლოგიური საზღვარი), ეს უკანასკნელი კი განძის დათარიღებისათვისაც გამოგვადგება. მაგრამ საუბედუროდ ჩვენი განძი და მასში შემავალი ნივთები ამ მხრივაც არ გვაძლევს სრულიად საკმაოდ დასაყრდენ მასალებს; საქმე იმაშია, რომ საზოგადოდ კოლხური კულტურისა და მათ შორის კოლხური ცულების ზუსტი თარიღი, კოლხური ცულების განსაზღვრული ჯგუფებისათვის თავისი ქრონოლოგიური ჩარჩოების მოძებნა, თვით კოლხური ცულების ცალკეული სახისათვის საკუთარი თარიღის მიკუთვნება დღესდღეობით თითქოს ძალზე ძნელია, ამის მიზეზი საყოველთაოდ ცნობილია, არ არის კოლხურ კულტურათა და მათ შორის კოლხური ცულები სტრატიგრაფიულად საკმაოდ შესწავლილი, არ არის მათი ქრონოლოგიური სქემა დადგენილი. მართალია კოლხური ცულების თითო-ოროლა ეგზემპლარი, რომელთა შესახებ

[79] ამ და ბეშთაშენის სხვა სამარხების ინვენტარს პროფ. კუფტინი უპირისპირებს. სამთავროს სამაროვანის უძველეს ორმო-სამარხებია ინვენტარს და თანადროულად თვლის. არ უნდა იყოს საეჭვო, რომ სამთავროს სამაროვანის უძველესი ორმო-სამარხები: ტარშეურჩენელ ფოთლისებრ სატევრებს, მასრაგახსნილ შუბისპირებს, თავსვია საკინძებს და სხვა არქაული იერის მატარებელ ნივთებს რომ შეიცავენ წინ უსწრებს ბეშთაშენის № 11 ორმო-სამარხის ინვენტარს, მაგრამ № II სამარხის თანდართული ორმო-სამარხები საკმაო რაოდენობით უნდა იყოს სამთავროს სამაროვანზე. № 11 სამარხის თანდართული შეიძლება იყოს ნაწილობრივ მთლიანად სხმული სატევრების შემცველელი, ბრინჯაოს მახვილის შემცველელი ზოგიერთი სამარხები და ზოგიერთი სხვა.

ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, აღმოჩენილია სამარხებში, მაგრამ გადაჭრით უტყუარი თარიღისათვის იგი არ გვაძლევს საკმაო საბუთს. მეორე მხრივ კი ასეთი თითო-ოროლა სამარხი აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიისა, შიდა და ქვემო ქართლში. რაც შეეხება თვით იორაღის სამშობლოს დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, იქ მოპოვებული მრავალრიცხოვანი სხვადასხვა სახის ცულები სტრატიგრაფიული თვალსაზრისით ძალიან ძუნწ ცნობებს გვაძლევს.

კოლხურ-ყობანური კულტურის დათარიღების საკითხს არაერთი საბჭოთა და უცხოელი არქეოლოგი შეხებია. ამ მხრივ ზოგიერთი მათგანის მოსაზრებანი ემთხვევა ერთმანეთს, ხშირად კი ამ საგანზე გამოთქმულ შეხედულებათა შორის დიდი სხვადასხვაობაა.

ფრ. ჰანჩარი ყობანის აყვავებულ კულტურას უკავშირებს ლურისტანის კულტურათა II პერიოდს, იგი შესაძლებლად თვლის ეს კულტურა ძვ. წ. X საუკუნით დათარიღდეს[81], მაგრამ შემდეგ ეკამათება რა ა. ქალიტინსკს ყობანური კულტურის თარიღთან დაკავშირებით, საზოგადოდ ამ კულტურის თარიღად ძვ. წ. XII საუკუნეს აღიარებს.[82] ალ. ლუკინი ცხოველთა (ცხენების) ქანდაკებებით შემკულ ცულს აქცევს ბრინჯაოს დამუშავების III ეტაპში. მას გვიან ბრინჯაოს საუკუნეს უწოდებს, „ყობანის“ სტადიას და ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნად თვლის[83].

მ. ტრაპში, ყულარურხვაში (აფხაზეთის ასსრ) აღმოჩენილ სამარხეულ არქეოლოგიურ მეტად საინტერესო მასალებს, რომელთა შორის კოლხური ცულია ყუაზე ძაღლის ქანდაკებით, ათარიღებს ძვ. VII — VI სს[84].

პროფ. გ. ნიორაძე ქვიშარის არქეოლოგიურ ძეგლებს, ე. წ. ყობანის ტიპის ცულებს (როგორც თვითონ აღნიშნავს დ. ქ.) და მასთან დაკავშირებულ მასალებს, რომლებიც სპერეთის განძის ანალოგიაა, არ მიიჩნია ძვ. წ. XII საუკუნეზე უფრო ადრეულ ძეგლად[85].

ბ. კუფტინი თავის მრავალ ნაშრომში შეეხო კოლხურ-ყობანური კულტურის თარიღის საკითხს, ჩვენ მხოლოდ ორ მათგანს შევეხებით.

იხილავს რა ბეშთაშენის სამაროვანზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს სპეციალურად ჩერდება ბეშთაშენ-საფარ-ხარაბარის გზაზე აღმოჩენილ № 11 სამარხის კომპლექსიდან კოლხურ ცულზე და მასთან დაკავშირებით საერთოდ კოლხურ-ყობანური ცულების საკითხზე—აღნიშნავს, რომ კოლხური ცული ყალიბდება ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე. კავკასიის მთიან რაიონებში, აღნიშნავს იგი, რკინა გაცილებით გვიან ჩნდება არა უადრეს II და I ათასწლეულის მიჯნისა. ამავე ქრონოლოგიურ ზღვართან მივყევართ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხურ-ყობანური ცულის გაფორმებას[86].

უფრო მოგვიანო პერიოდში განმოსულ ერთ-ერთ თავის ნაშრომში ბ. კუფტინმა შეცვალა ეს მოსაზრება და თარიღი. იხილავს რა მალაქლუს არქეოლოგიურ ძეგლებს იგი სპეციალურად ჩერდება კოლხურ-ყობანური კულტურის თარიღზე, რადგან მასში მალაქლუს-ურარტული ხანის ძეგლთა შორის, ბრინჯაოს ჭურჭლის (სიტულის) ყურია აღმოჩენილი, ხოლო სიტულა კოლხური

---

[81] ფრ. ჰანჩარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.
[82] ფრ. ჰანჩარი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.
[83] ა. ლ. ლუკინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.
[84] ვ. მ. ტრაპში, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
[85] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.
[86] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში.

კულტურისათვის დამახასიათებელი ატრიბუტია. კოლხურ-ყობანური კულტურის მის მიერ ამ ნაშრომში წარმოყენებული თარიღის გამართლების მიზნით, ის სპეციალურად შეეხო და განიხილა ლეჩხუმის განძი, რომელიც კოლხური კულტურის შესანიშნავ და წამყვან ნიმუშებს შეიცავს და ამავე დროს მასში სიტულაცაა სამი ცალი.

რადგან მალაკლუს არქეოლოგიური მასალა, რომელიც კარგადაა დათარიღებული სიტულის ყურსაც შეიცავს, ხოლო ლეჩხუმის განძშიც არის სიტულები, ამიტომ მან ჩათვალა ორივე მასალა ერთდროულად და დაათარიღა ვანის ეპოქით, ხოლო რადგან ლეჩხუმის განძი, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლია, ეს თარიღი მიუყენა საერთოდ კოლხურ-ყობანურ კულტურას.

აღნიშნული მასალების შედარების შემდეგ ბ. კუფტინი მიუთითებს, რომ ბრინჯაოს სიტულის ყური, რომელიც ტიპიურია ყობანის კომპლექსებისა და დასავლეთ საქართველოსათვის, ურარტულ კოლუმბარუმის კომპლექსს კავკასიის კულტურასთან აერთიანებს. ეს მონაპოვარი ახალ უტყუარ მასალად ჩაითვლება „ყობანის“ და კოლხეთის ბრინჯაოს თარიღის დასაზუსტებლად,[87] და იგი კოლხურ-ყობანურ კულტურას ვანის ეპოქია სინქრონულად მიიჩნევა[88]. ჩვენ ამჯერად არ შეეუდგებით ამ მოსაზრების ირგვლივ მსჯელობას, რადგან იგი არა ერთხელ იყო საფანადოდ გაკრიტიკებული[89], მაგრამ ჩვენ აქ ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი: რადგან განძების დათარიღება ძალზე ძნელია, ხოლო კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნივთი სიტულა, შედარებით ზუსტადაა დათარიღებული და ვანის ეპოქის სინქრონულია, მაშინ განძებისათვის, რომელშიაც სიტულა შედის ჩვენთვის დღეისათვის ცნობილ არქეოლოგიური მასალების მიხედვით ეს თარიღი იქნებოდა ზღვარი, რომლის აქეთ მათი გადმოტანა აღარ შეიძლებოდა, ე. ი. ამ ნივთის (კარგად დათარიღებული ნივთის) საშუალებით საერთოდ კოლხურ-ყობანური კულტურის თარიღი—მისი ადრეული ან აყვავების პერიოდი კი არ უნდა გვეცოდინა, არამედ მისი ერთი გაშაზღვრული პერიოდი, მისი მოვვიანო პერიოდი, რადგან როგორც ცნობილია, სიტულა კოლხური კულტურის გვიანდელ პერიოდში ჩნდება, თუ ეს მოსაზრება გასაზიარებელი იქნება, მაშინ ჩვენ საშუალება გვექნება დაგვედგინა დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი განძების (ლეჩხუმის, ქვიშარის და სხვ.) ქვედა საზღვარი, რომლებიც ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებს შეიძლება დავუკავშიროთ და ამის საშუალებით განვსაზღვროთ სხვა განძების თარიღიც, მსგავსი დასახელებული განძებისა, რომლებიც სიტულას არ შეიცავენ და მათ შორის პერეების განძიც. ამავე თვალსაზრისით არ შეიძლება არ შევეხოთ ე. ი. კრუპნოვის მოსაზრებას ა/კავკასიის ბრინჯაოს კულტურის თარიღის საკითხთან დაკავშირებით.

ე. ი. კრუპნოვი თავის ერთ-ერთ შრომაში ცდილობს მოგვცეს ა/კავკასიის ბრინჯაოს კულტურის თარიღის საკითხი. საანალიზოდ იგი მიუთითებს ორ მომენ-

---

[87] Куфтин Б. А., Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Кура Араксский энеолит. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIII-B თბილისი, 1947. გვ. 68.

[88] იქვე, გვ. 26, 27, 68.

[89] ა) თ. ჯაფარიძე, კოლხური ცული. გვ. 84.
ბ) დ. ქორიძე, თბილისის არქ. ძეგლები, გვ. 202—203.

ტზე: ერთი—ხოჯალის № II ყორღანში აღმოჩენილი მძივის შესახებ, რომელზედაც ადადნირარის სახელია ამოკვეთილი; აღნიშნული ასურელ მეფეს ავტორი უკავშირებს მეფეს ადადნირარ მეორეს, რომელიც მეფობდა 763—755 წლებში და ასკვნის, რომ ა/კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ერთი ყველაზე ადრეული თარიღი ძვ. წ. VIII საუკუნეა. მეორე მიუთითებს კარმირ-ბლურზე აღმოჩენილ აღმოსავლურ-ქართული ცულია ტუფისაგან გაკეთებულ ყალიბზე, რომელთანაც ყოფილა ურარტუს მეფე რუსა II-ის ლურსმნულწარწერიანი ფრაგმენტი (ძვ. წ. VII საუკუნე) და ასკვნის—ეს არის ა/კავკასიის ბრინჯაოსათვის მეორე დასაყრდენი თარიღი[90]. ჩვენ ერთხელ გვქონდა მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. არ მიგვაჩნდა რა აღნიშნული მოსაზრება სწორად და დამაჯერებლად[91] ჩვენ ნაშინ მივუთითებდით იმაზე, რომ აღმოსავლურ-ქართული ცული ა/კავკასიაში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა როგორც საბრძოლო და სამეურნეო იარაღი. იგი თავისი ყველაზე ადრეული ფორმით, დიდრონი ყუაზე შვერილიანი საბრძოლო ცულის სახით გვხვდება იმ დროს, როდესაც კახური შედგენილტარიანი სატევარი იყო ხმარებაში (თბილისი, ნავთლუღის № 1 სამარხის კომპლექსის მიხედვით) ან სამკუთხა ფოთლიანებრ ტარშეურჩენელი განიერქედიანი სატევარი (მეტეხის კომპლექსის მიხედვით ინვ. 5—37), ე. ი. ძვ. წ. XIII საუკუნის ძიწურულიდან მაინც. ამ მომენტიდან მან განვითარების რამდენიმე ეტაპი განელო და ბოლოს უკვე ალბათ ძვ. წ. VIII საუკუნეში ან VII საუკუნის დასაწყისში ჩვენ გვხვდება ფხეში და გადაგვარებული აღმოსავლური ქართული ცული, რომელიც ამ დროიდან, როგორც ბრინჯაოს იარაღი ალბათ ქრება, მას ცვლის მასზე ძლიერი, ამ ეტაპზე ნამდვილად გაბატონებული, სამეშაოდ და საბრძოლად ეკეთ გამოსაყენებელი რკინის იარაღები.

დროის ამ დიდ მონაკვეთში თვეიდანვე საგულგასმო იყო ცულის ყალიბების არსებობაც, ხოლო მისი აღმოჩენა ძვ. წ. VII — VIII საუკუნის მასალებში არ იქნებოდა გასაკვირველი. ამდენად ამ მონაცემების მიხედვით არ შეიძლება ლაპარაკი ა/კავკასიის ბრინჯაოს კულტურის საერთო თარიღზე, ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს სხვა საკითხი. თუკი კარმირ-ბლურზე აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული ცულის ყალიბი არ შეგვიძლია მივიღოთ ბრინჯაოს კულტურის აყვავების ან მისი მომდევნო პერიოდის თარიღის დასაყრდენ მასალად, იგი ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ აღმოსავლურ-ქართული ცულის ზედა საზღვრად, მის უკანასკნელ სტადიად, ე. ი. ეს მასალა იმის მაუწყებელია, რომ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეში კიდევ არსებობს უკვე გადაგვარების—დაკნინების გზას დამდგარი აღმოსავლურ-ქართული ცული.

ტ. ჩუბინიშვილი იხილავს რა ქვემო კოსტიბეში 1930 წელს აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლს (იხ. 8—30), რომლის შემადგენლობაში I ტიპის კოლხური ცულია—აღნიშნავს, „ჩვენთვის ცნობილ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ ეს კომპლექსი გვიანი ბრინჯაოს ხანის იმ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს, როცა ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე

[90] Курпнов Е. И., Калакентский могильник-памятник древней Албании, Труды Гос. Ист. Музея, выпуск XI, сборник статей по Арх. СССР, Москва, 1940, გვ. 15.

[91] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 203—204.

„განვითარებული ბრინჯაოს ხანის“ კომპლექსებში უკვე რკინის ინდუსტრიის საწყისი ელემენტებიც იჩენენ თავს-“[92].

ო. ჯაფარიძე თავის მონოგრაფიაში „კოლხური ცული“ ვრცლად ჩერდება კოლხური ცულისა და, საერთოდ კოლხური კულტურის თარიღის საკითხზე. იგი მიუთითებს, რომ კოლხური კულტურის ასაკის დადგენისათვის ჯერჯერობით მყარი დასაყრდენი არ მოგვეპოვება. სადღეისოდ ხელთ მყოფი მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ კოლხური კულტურა განვითარებულ ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, რაც ქრონოლოგიურად ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით შემოიფარგლება[93]. ეკამათება რა ბ. კუფტინს, ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ძვ. წ. VIII—საუკუნეში ჩვენში იწყება ინდუსტრიაში რკინის გაბატონება და ვფიქრობთ, რომ ეს პერიოდი კოლხური კულტურის მიწურულია და არა მისი აყვავების ხანა[94] საერთოდ კი კოლხური კულტურის ქვედა საზღვარი მას მოაქვს ძვ. წ. XIII—ს-მდე. „რაც შეეხება ამ კულტურის ზედა საზღვარს, იგი, ვფიქრობთ რკინის ხანის დასაწყისამდე უნდა მივიტანოთ, ე. ი. დაახლოებით ძვ. წ. VIII[95] სმ-მდე“. რაც შეეხება კოლხური ცულების ცალკეულ ტიპებს, მათთვის სპეციალური თარიღები შრომაში არ არის, ოღონდ—სხვადასხვა მასალების გათვალისწინებით ო. ჯაფარიძე ფიქრობს, შესაძლოა პირველი ტიპის კოლხური ცული ყველაზე არქაული იყოს[96].

ამრიგად, არა მარტო კოლხური კულტურის ცალკეული წამყვანი იარაღების ტიპებისათვის, არამედ საერთოდ კოლხური კულტურის თარიღის დადგენის საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ჯერჯერობით არ გვგვაჩნია სათანადო მასალები, სტრატიგრაფიულად კარგად შესწავლილი ძეგლები, რომლებიც თარიღის გასაღებს მოგვცემდა. მაგრამ დღეისათვის ჩვეხთვის ხელმისაწვდომი მასალებისა და ზემოთ მოტანილი მოსაზრებების გათვალისწინებით ჩვენ გვინდა წინასწარული მოსაზრების წარმოდგენა.

რა თქმა უნდა ძალზე ძნელი ხდება იმის გარკვევა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ცულების სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტები შექმნილია დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ამ ცულთა განვითარების სხვადასხვა საფეხურია, თუ ერთ პერიოდში შექმნილი სხვადასხვა ფორმის იარაღები.

ჩვენს ხელთ არსებული განძების მიხედვით, ძირითადად I და II ტიპის კოლხური ცული გვხვდება ერთად, ერთ კომპლექსში, ერთი შემთხვევაა, როდესაც განძის შემადგენლობაში (ცხინვალის განძი) სამივე ტიპის კოლხური ცულია.

ჩვენს ხელთ შესასწავლად ნაოლოდ I ტიპის კოლხური ცული რომ ყოფილიყო, მაშინ მისთვის მიახლოებითი თარიღის მისაკვლევად შეგვეძლო წიგნებიდან რამდენიმე სამარხეული კომპლექსისათვის. ასეთი კომპლექსები მოპოვებულია სამთავროს სამაროვანსა, ქვემო-გოსტიბესა და ბეშთაშენში.

სამთავროს № 208 მდიდრული სამარხი, ბეშთაშენის № II სამარხი და ქვემო გოსტიბეს სამარხეული კომპლექსი, რომელიც 1930 წელსაა აღმოჩენილი, შეიცავენ I ტიპის კოლხურ ცულებს და ისეთ ინვენტარს, რომლებიც დამახა-

---

[92] ტ. ჩუბინიშვილი. გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVIB, გვ. 13.

[93] ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 82.

[94] ო. ჯაფარიძე, იქვე, გვ. 84.

[95] იქვე, გვ. 85.

[96] იქვე, გვ. 80.

სიათებელია ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნისათვის, გვიანბრინჯაოს პერიოდის იმ სტადიისათვის, როდესაც ამ კულტურაში ჩნდება „რკინის ინდუსტრიის საწყისი ელემენტები“.

მაგრამ ჩვენ ხომ ისეთი კომპლექსი გვაქვს პერეევიდან, სადაც I ტიპის—კოლხურ ცულთან ერთად მეორე ტიპის კოლხური ცულიცა გვაქვს, ხოლო II ტიპის კოლხური ცულის დათარიღებისათვის თითქმის არ გაგვაჩნია კომპლექსური მასალა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამთავროს სამაროვანის ჩრდილო უბანზე აღმოჩენილ № 260 ორმოსამარხის ინვენტარს. მიუხედავად იმისა, რომ № 260 სამარხის კომპლექსში რკინის იარაღი ან სამკაული არ არის, იგი მაინც მოგვიანო პერიოდისაა, როდესაც სამთავროს მოსახლეობა რკინას კარგად იცნობს, დაუფლებულია მის დამუშავების ტექნიკას და რკინის ინდუსტრიის განვითარების შედეგად, რკინის იარაღ-საჭურველმა თითქმის გამოდევნა ბრინჯაოს იარაღები.

საქმე იმაშია, რომ სამარხის ინვენტარის ნაწილი (დაკბილული ზედაპირიანი სამაჯურები, ასეთივე ბეჭდები, სარდიონის კარგად დამუშავებული, დაწახნაგებული მძივები, სარდიონის მსხლის ფორმის მძივსაკიდები, თავებმრგვალი და დაღარული საკინძები), სამთავროს ძეგლების მიხედვით ძ. წ. VIII საუკუნეზე ადრეული სამარხებში არ გვხვდება. რ. აბრამიშვილი თავის საფუძვლიან ნაშრომში, „რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოში“, რკინის მეტალურგიის განვითარების, მისი ჩასახვიდან, ვიდრე სრულ ათვისებამდე, ჰყოფს 5 პერიოდად. ჩვენ არ შევუდგებით თითოეული ამ ეტაპის ჩამოთვლას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეოთხე ეტაპს იგი ათარიღებს ძვ. წ. VIII და VII საუკუნის პირველი ნახევრით[97], და აღნიშნავს: „ეოთხე ეტაპის ძეგლები, როგორც რკინის საგნები, ისე სხვა ნიკთები, ძლიერ განსხვავდება წინა ეტაპის ძეგლებისაგან. შედარებით პირველი სამი ეტაპისაგან, მეოთხე ეტაპის როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცის სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება შემკულობა, სამკულთაგან, მეოთხე ეტაპის სამარხებისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოს სამაჯურები, ზედაპირი დაღარული და ხუთწახნაგა სარდიონის მძივები. ამ მხრივ შესანიშნავი მაგალითია სამთავროს ჩრდილო უბანზე— 1939 წელს აღმოჩენილი № 121 სამარხი. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სამარხში ინვენტარის დიდი ნაწილი რკინისაგანაა ნაკეთები, ბრინჯაოს ნივთთაგან III ტიპის კოლხური ცულია და ზოგიერთი სხვა ნივთები, მაგრამ ამავე სამარხში აღმოჩენილი დაკბილულზედაპირიანი სამაჯურები, ბეჭდები, მძივები და მძივსაკიდები ზუსტად ისეთები, როგორებიც 260 სამარხშია აღმოჩენილი. ეს მომენტები, ან ორ სამარხს და მაშასადამე მათ ინვენტარს, კერძოდ II და III ტიპის ცულებს ერთი პერიოდისად წარმოაჩენს და ძათი ქვედა თარიღი არ ცილდება ძვ. წ. VIII საუკუნეს.

ზემოთ აღწერილ სამარხეულ არქეოლოგიური ძეგლებზე დაკვირვება დამაფიქრებელია; თითქოს I ტიპის კოლხური ცულები უფრო ადრეული, ხოლო II და III ტიპის კოლხური ცულები უფრო მოგვიანო პერიოდისა ჩანან. მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ჯერჯერობით კიდევ ნაადრევად მიგვაჩნია. საერთოდ საგარაუდოა, რომ კოლხური ცულების სხვადასხვა ვარიანტები შესაძლოა ერთდროულად კეთდებოდა, ნოგვიანო პერიოდში მაინც.

---

[97] დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

სამარხეული ინვენტარის თარიღების დადგენა ძალიან საჭირო საქმეა, მაგრამ ამჯერად მისი პირდაპირ მიყენება განძების დათარიღებისათვის იქნებ შეცდომა იყოს, იმიტომ, რომ როგორც აღვნიშნეთ, განძებში ხშირად სხვადასხვა პერიოდის მასალები კრებულია. ცხინვალის განძი I, II და III ტიპის კოლხურ ცულებთან ერთად II და III ტიპის აღმოსავლურ-ქართულ ცულებსაც შეიცავს. ამდენად მისი ერთ ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჩაყენება, რომელიმე ერთი სახის კარგად დათარიღებული იარაღის საშუალებით არ იქნებოდა სწორი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეძიებთ ძეგლის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს. ცხინვალის განძის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დასადგენად კი გამოგვადგება III ტიპის კოლხური და აღმოსავლურ ქართული ცული, რომელიც დაახლოებით ძვ. წ VIII საუკუნეს უნდა ემთხვეოდეს.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ბერეევის განძის დათარიღების საკითხში. მასში II ტიპის კოლხური ცული და ავრეთვე III ტიპის აღმოსავლურ-ქართული ცულია, რომელთა მიახლოებითი თარიღი უნდა მივიღოთ განძის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად, რაც ავრეთვე უნდა ემთხვეოდეს დაახლოებით ძვ. წ. VIII საუკუნის საწყისს.

თუკი პირველი ტიპის კოლხური ცული ამ ძეგლისათვის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი შეიძლება იყოს, რომლია იქითაც არ შეიძლება მისი ასაკი წავიდეს და იგი, ალბათ, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს ეკუთვნოდეს, მაშინ გამოდის, რომ ამ მასალის თარიღი რამდენიმე საუკუნით უნდა განვსაზღვროთ. რა თქმა უნდა ეს არ იქნებოდა განძის შენახვის მიახლოებითი თარიღიც კი. ჩვენ ბოლოს და ბოლოს იმ აზრისა ვართ, რომ განძის შენახვის თარიღი განვსაზღვროთ იმ ხიფთის ასაკით, რომელიც ყველაზე ახალგაზრდაა მასალათა შორის. საერთოდ კი საეჭვოებელია, რომ ბერეევის განძი უნდა დავათარიღოთ დაახლოებით ძვ. წ. XII — IX საუკუნით.

და ბოლოს ბერეევის განძის სახით ჩვენ გვაქვს შერეული კომპლექსი, აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული კულტურის წამყვანი იარაღების ერთობლიობა, რაც ფრიად საყურადღებოა იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები შედარებით იშვიათი მოვლენაა. ვაცილებით ნაკლები, ვიდრე დასავლურ-ქართული, კულტურისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ძეგლების გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. თუკი შიდა ქართლი აღმოსავლურ-ქართული კულტურის სფეროში შემავალი რაიონი იყო, ის ადგილი, სადაც ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული კულტურის ფართო შეხვედრები, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თუგინდ მის აღმოსავლეთ რაიონებშიაც არ ხდებოდა ასე ფართოდ ამ კულტურათა შეხვედრები. მართალია, ჩვენ გვაქვს თითო-ოროლა შერეული განძი, რომელიც დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებშია აღმოჩენილი (ბეკათუბნის, სოფ. ზემო სიმონეთისა და სხვა), მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ამ თითო-ოროლა და ყოველ ასეთ ახალ აღმოჩენას და მის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ორი კულტურის ურთიერთობის გარკვევის საქმისათ-

ვის, მათი ერთიერთ დამოკიდებულების შესწავლის საქმისათვის. შერეული კომპლექსი კი მით უმეტეს, ძვირფასი მასალაა ამ საკითხის გარკვევისათვის.

გარდა ამისა, პერეევის განძის I ტიპის კოლხურ ცულს, როგორც პლასტიკური სახით გაფორმებულ იარაღს, თავისი ახლო ანალოგია მოეპოვება ჩრდილოკავკასიაში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის.

ანრიგად, პერეევის განძი მეტად მნიშვნელოვანი კომპლექსია, რომელიც შეიცავს. როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, ამავე დროს იგი ეხმაურება და ახლო ურთიერთობაშია ჩანს ჩრდილო კავკასიის თანადროულ მსგავს კულტურულ ძეგლებთან.

თავი მეოთხე

სოფ. ძალვათას არქეოლოგიური ძეგლები

1938 წელს სოფ. ძალვათაში (ხაჩერის რ-ნი) მიწის გადაბრუნების დროს 1 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა არქეოლოგიური ძეგლები (ინვ. 1 — 38).

კოლექცია შედგება ბრინჯაოს სამი ცალი კოლხური ცულისაგან (მათ შორის ერთი პატარაა) და თოხებისაგან. თოხები დაზიანებულია, შესაძლოა ზოგიერთი მათგანი წარმოების წუნიც ყოფილიყო. ამათ გარდა არის დიდი რაოდენობით ბრინჯაოს ზოდები.

ცული კოლხური ტიპისა ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:1), ყუა მომაღლო, განიერი და დაბლაგვული აქვს. შესაძლოა თავის დროზე ორწახნაგა იყო, მაგრამ ჟღნობის შედეგად დაჩლუნგდა. ყუა უშუალოდ გადადის სატარეში; ხვრელს წვეტიანი ოვალური მოყვანილობა აქვს. მისი წინა პირი ოდნავ მაღალი და განიერია, ვიდრე უკანა პირი (რაც ალბათ ტარის მჭიდროდ დაკვებასთან იყო დაკავშირებული); სატარე კედლებს სამი წიბური და ორი ღარი გაუყვება. სამივე წიბური წელთან ქრება. შუბლი ორწახნაგაა, ორწახნაგაა კაჩიც. საერთოდ კი წელი ექვსწახნაგა, პირი გორდაა და ასიმეტრიული; უკანა ნიღრი უფრო მაღალია ვიდრე წინა. პირი ფხისაკენ თხელდება. მიუხედავად დაბლაგულობისა პირს ალესილობა ეტყობა. პირი რამდენადმე დაზიანებულია. სიგრძე—14,8 სმ, უდ. სიგანე—7,0 სმ, უდ. სისქე—3,0 სმ. ცულის ქიმიური შედგენილობა. ასეთია: სპილენძი (Cu)—91, 45%, კალა (Sn)—6,28%, დარიშხანი (As)—0,88%, ტყვია (Pb)—0,21% (ცხრ. 10, სურ. 1).

ცული კოლხური ტიპისა ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:2), მაღალი, დაბლაგვული ყუით. ყუა სატარეში გადადის. ხვრელს წვეტიანი ოვალური მოყვანილობა აქვს. სატარის კედლებს გარედან სამი წიბური და ორი ღარი გაუყვება. სამივე წიბური ცილდება რა სატარე ხვრელის დონეს, წელთან ქრება. შუბლი და კაჩი ორ-ორწახნაგაა. პირი გორდაა და ასიმეტრიული, უკანა ნიღრი უფრო დაბალია ვიდრე წინა. პირი ფხისაკენ თხელდება და დაბლაგვულია, ტანიც აქაიქ დაზიანებულია. სიგრძე—17,0 სმ, პირის უდ. სიგრძე—7,4 სმ, უდ. სისქე—3,0 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—93,4%, კალა (Sn)—4,15%, დარიშხანი (As)—1,55% (ცხრ. X, სურ. 3).

ცული კოლხური ტიპისა ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:3), პატარა, ყუა დაბალი და სოლური აქვს და იგი უშუალოდ სატარეში გადადის. სატარე ხვრელს წვეტიანი ოვალური მოყვანილობა ჰქონია (ამჟამად იგი დეფორმირებულია). სატარის კედლებს გარედან ოდნავ შესამჩნევი სამი წიბური გაუყვება, რომლებიც ხვრელის ბოლოზე, ყელთან ქრება. წიბურს შორის ორი განიერი ღარია წარმოქმნილი. შუბლი და კაჩი ორ-ორ წახნაგაა. წელი კი ექვს წახნაგა. პირი გორ-

და, ოდნავ ასიმეტრიული. პირი ფხისაკენ თხელდება და ბასრია. ლოყა ერთ მხარეზე ჟანგის (?) სქელი ფენითაა დაფარული (შესაძლოა წიდით?). სიგრძე—9,0 სმ, პირის უდ. სიგანე—4,0 სმ, უდ. სისქე—1,4სმ. ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—97,65%, კალა (Sn)—0,69%, დარიშხანი (As)—0,59%. (ტაბ. X, სურ. 2).

თოხი ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:4), წელში მოხრილი, მრგვალი სატარე ხვრელით; სატარე ხვრელის წინა პირის დიამეტრი ნაკლებია, ვიდრე უკანა. პირს შუა ადგილზე წიბური გაუყვება. პირის ნაწილი ჩამომტვრეულია. სიგრძე—8,6 სმ, სატარე ხვრელის დიამეტრი—2,8 სმ (ტაბ. X, სურ. 4).

თოხი ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:5) წელში მოხრილი, მრგვალი სატარე ხვრელით. ხვრელის წინა პირის დიამეტრი ნაკლებია, ვიდრე უკანასი. პირს სიგრძეზე წიბური გაუყვება. პირს დიდი ნაწილი აკლია (ჩამომტვრეულია). სიგრძე — 7,5 სმ. ხვრელის დიამეტრი—2,3 სმ (ტაბ. X, სურ. 6).

თოხი ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:6), წელში მოხრილი, სატარე ხვრელში ჩადუღებულია ბრინჯაოს ნატეხები (წუნი?), მაგრამ აშკარად შეიმჩნევა—მრგვალი სატარე ხვრელი ჰქონია. პირს სიგრძეზე წიბური გაუყვება. პირის დიდი ნაწილი ჩამომტვრეულია. სიგრძე—7,6 სმ (ტაბ. X სურ. 5).

თოხი ბრინჯაოსი (1—38:7), წელში მოხრილი, მრგვალი მილისებრი სატარე ხვრელით. პირს სიგრძეზე ოდნავ შესაჩნევი წიბური გაუყვება. ხვრელის წინა ნაწილის დიამეტრი ოდნავ ნაკლებია, ვიდრე უკანასი. პირს დიდი ნაწილი აკლია. სიგრძე—8,0 სმ. სატარე ხვრელის დიამეტრი—2,8 სმ. ნივთის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu)—95, 56%, დარიშხანი (As) — 0,49% (ტაბ. X, სურ. 7).

თოხი ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:8). პირს დიდი ნაწილი აკლია და ამიტომ არ შეიმჩნევა წელში მოხრილი იყო თუ არა. პირს სიგრძეზე წიბური გაუყვება. სატარე ხვრელი მრგვალია. მისი წინა ნაწილის დიამეტრი ნაკლებია, ვიდრე უკანასი. ყველა თოხის სატარის წინა ნაწილის დიამეტრი მეტია ვიდრე უკანასი. ეს იმიტომ, რომ ტარი მკვეთრად დაგებოდა იარაღს (ტაბ. X, სურ. 8). თოხის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი (Cu) 96,6%, დარიშხანი —0,55%.

ნივთის ნატეხი ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:9,9 ბ), ბრტყელია და უფორმო.

თოხი ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:12), წელში მოხრილი, მრგვალი მილისებრი სატარე ხვრელით; ხვრელს უკანა ნაწილის დიამეტრი რამდენადმე დიდია წინაზე. პირს სიგრძეზე წიბური მიუყვება, პირმოკვეთილია. იგი ერთ მხარეზე ჩამომტვრეულია (ტაბ. X, სურ. 9). სიგრძე—8,7 სმ, სატარე ხვრელის დიამეტრი—2,7 სმ.

ზოდები ბრინჯაოსი (ინვ. 1—38:10, 11, 13, 14), დიდი რაოდენობით. (20 კგ მეტია), უმეტესი უფორმოა (ტაბ. 11).

სოფ. კალეთას არქეოლოგიურ მასალათაგან, პირველ ყოველისა, ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს თოხები. თოხი აღმოჩენილია აგრეთვე მდ. ყვირილას მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ჯრიის მახლობლად (საჩხერის რაიონი, (ტაბ. 7. სურ. 3).

ჩვენ არ გაგვიზრახავს ბრინჯაოს თოხის სპეციალურად ფართოდ შესწავლა-განხილვა, რადგან ამ საკითხზე სპეციალურად მუშაობს ო. ჯაფარიძე[1]. მაგრამ რადგანაც ჩვენ მიერ შესწავლილ მასალათა შორის საკმაო რაოდენობითაა ეს სამუშაო იარაღი, ზოგადად მაინც გვინდა შევჩერდეთ ამ იარაღთა ზოგიერთ პარალელებსა და მათ თარიღებზე.

სოფ. ჯრიას მახლობლად აღმოჩენილ თოხს, როგორც საზოგადოდ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ბრინჯაოს თოხებს მილისებრი სატარე ხვრელი ახასიათებს, რომლის უკანა ნაწილი ოდნავ გამოშვერილია. პირი განიერია, მხრები სწრაფად გაგანიერებული, დამახასიათებელია, რომ აღნიშნულ ეგზემპლარს პირის უკანა ნაწილზე (შიგნით) წიბური არ გააჩნია. წელში ოგი საკმაოდ მოხრილია. სოფ. ჯრიას ამ ეგზემპლარს ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალათა შორის საკმაოდ მოეპოვება ანალოგიები.

დაახლოებით სამი ამგვარი თოხი I ტიპის კოლხურ ცულებთან ერთად აღმოჩენილი ყოფილა სოფ. ხანში (ბაიკოდუკის რაიონი, ინვ. 8—38). მეტად საინტერესოა სოფ. ხევში (ჩოხატაურის რაიონი, ინვ. 9—54) 1953 წელს აღმოჩენილი განძის შემადგენელი ბრინჯაოს თოხი, რომელიც ჩვენი ეგზემპლარის ახლო ანალოგიაა. თოხს გარდა განძის შემადგენლობაში I და II ტიპის კოლხური ცულებია და ბრინჯაოს წალდი.

სოფ. ჯრიას თოხის ზუსტი ანალოგია (ორი ცალი) აღმოჩენილი ყოფილა ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრაში (ნივთები ინახება საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში, ინვ. 78—13), თოხებს გარდა კოლექცია შეიცავს გრძელმასრიან ხელშუბისპირს და ტარშეურჩენელ ფოთლისებრ სატევარს. სამწუხაროდ საინვენტარო წიგნში არ არის მითითება იმის შესახებ, კოლექცია 78—13 კომპლექსია თუ ნაკრები მასალა.

თავისი შემადგენლობით, მასალათა სხვადასხვაობით და სიუხვით ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ციხისძირის განძი (ინვ. 93—07). მრავალრიცხოვან თოხებს შორის, რომელსაც განძი შეიცავს, არის განიერპირიანი თოხები, ტრაპეციული ფორმის თოხები და ისეთებიც, რომელთა მხრები სწრაფად იშლება. ზოგიერთ მათგანს პირის უკანა ნაწილზე გააჩნია წიბურები, ზოგიერთს კი არა. ერთი ნაწილი თოხებისა წელში მოხრილი, მეორე კი არა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში თოხებს, რომლებიც სამკუთხაა და წვერისაკენ ვიწროვდება; ამ განძის შემადგენლობაში ყველა სხვა ფორმის თოხები გვხვდება, რაც კოლხური კულტურისათვისაა დამახასიათებელი. განძის შემადგენლობაში თოხებს გარდა არის: სეგმენტური იარაღი, ბრტყელი ცულის ნატეხი, სპილენძის ზოდები და სხვა ნივთები.

სოფ. კალეთაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ახლო ანალოგი-

---

[1] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI B, 1950, გვ. 109—121.

ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ბიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, 1953, გვ. 173—213.

ები, მათ შორის თოხების პარალელები, მრავლად გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლთა შორის. თოხები—წელში მოხრილი, რომელთა უკანა ნაწილზე სამი წიბურია გამოყვანილი, ქვიშარის განძის შემადგენლობაში რამდენიმე ცალია[2]. მაგრამ ქვიშარის განძის შემადგენლობაში ისეთი თოხებიცაა, რომელსაც უკანა ნაწილზე წიბური არ გააჩნია.

განძში თოხებს გარდა I და II ტიპის კოლხური ცულებია: ბრტყელი ცულები, ნამგალი, სამაჯურები, რგოლი მონეტა და სიტულას ყური.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ორი საინტერესო განძია დაცული.

ერთი მათგანი ზემო სიმონეთში ყოფილა აღმოჩენილი.[3] განძი საინტერესოა იმით, რომ იგი შერეული კომპლექსია, ერთი მხრივ, მასშია აღმოსავლურ ა/კავკასიური კულტურის ელემენტები; განჯა-კარაბაღული მახვილებისა და აღმოსავლურ-ქართული ცულის სახით, ხოლო მეორე მხრივ, კოლხური კულტურის ზოგიერთი სახეები: სეგმენტისებრი იარაღის, ბრინჯაოს წალდის უკანა, ნაწილზე სამწიბურიანი თოხის ნატეხის. ბრინჯაოს ზოდების და სხვა სახით.

მეორე განძი სოფ. რფიშკვეთში (ქუთაისის რაიონი) ყოფილა აღმოჩენილი[4]. იგი შედგება მხოლოდ I ტიპის რამდენიმე კოლხური ცულისა, დიდი რაოდენობით სეგმენტისებრი იარაღისა, ერთი თოხის ნატეხისა, რომლის უკანა ნაწილზე სამი წიბურია, განიერი რგოლის, ისეთი როგორიც პერევშია აღმოჩენილი, რამდენიმე ნამგლის ნატეხისა და სხვა.

საინტერესოა აგრეთვე სოფ. კოდის-წყაროში (დუშეთის რ-ნი) აღმოჩენილი ორი თოხი მესამე ტიპის აღმოსავლურ-ქართულ ცულთან ერთად[5].

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ერთი საძარხეული კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში ბრინჯაოს თოხია, პირის უკანა ნაწილზე სამი წიბურით, საძარხი აღმოჩენილია ქვემო ქართლში (თრიალეთი) მარალინდერესის საბაროვანზე[6].

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ შესანიშნავი ცულების გვერდით, ამ კულტურის ერთ-ერთი წამყვანი და ძირითადი ფორმაა ფართოდ გავრცელებული სამეურნეო იარაღი ბრინჯაოს თოხი.

ბრინჯაოს თოხები სხვადასხვა სიდიდისა და ფორმისაა. ზოგი მათგანი განიერპირიანია და წელში მოხრილი, ზოგიერთი მათგანი ტრაპეციის ფორმისაა და ა. შ.

ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ ბრინჯაოს თოხები მრავლად იყო გავრცელებული კოლხიდაში, იმ დროს, როდესაც ივი არა ჩანს არც ქედის გადალმა და არც მცირე აზიაში. კოლხიდაში სულ მცირე ერთდროულად ამ ია-

---

[2] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, სურ. 10.
[3] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, სურ. 5.
[4] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, სურ.4.
[5] იქვე, სურ. 8.
[6] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, სურ. 50.

რალის სამი სხვადასხვა სახე იყო ხმარებაში, რაც მათ დიფერენცირებულად გამოყენებას მოწმობსო[7].

ო. ჯაფარიძე არ ეთანხმება პროფ. ბ. კუფტინის აღნიშნულ მოსაზრებას, იგი ეყრდნობა რა ურეკის განძიდან მიმდინარე (ამ ადრეული პერიოდის კომპლექსის თოხებს) სამკუთხა ფორმის წაწეტიბულწვერიანი თოხის არსებობას, მიუთითებს, რომ შეიძლება პირვიწრო თოხები წინ უსწრებენ პირფართო თოხებს... საფიქრებელია, რომ თოხს პირი შემდეგში თანდათან გაუფართოვდა[8].

ჩვენი აზრით, პირვიწრო (სამკუთხა პირიანი) თოხები ხმარებაში იყო, როგორც ადრეულ პერიოდში, ისე პირფართო თოხების დროსაც, მათი გამოყენების პერიოდში. რაც შეეხება თვით პირფართო თოხებს, მათი დიფერენცირება არსებული მასალების მიხედვით ძალზე ძნელი და თითქმის შეუძლებელი ჩანს, რადგან პირფართო თოხებს, რომლებსაც პირის უკანა ნაწილზე სამი წიბური გაუყვება და ისეთ პირფართო თოხებს, რომლებსაც ეს წიბურები არ გააჩნია გვხვდება ერთდროულ მასალების გვერდით. ხანდახან ერთ კომპლექსშია აღნიშნული თოხების სხვადასხვა ტიპები.

ასე მაგალითად, როგორც პირფართო, უკანა პირზე წიბურების არმქონე, ისე წიბურებიანი თოხები გვხვდება როგორც I, ისე მეორე ტიპის კოლხურ ცულებთან ერთად, იგი გვხვდება ისეთ მასალასთან, რომელიც გვიანი ბრინჯაოს პერიოდისათვისაა დამახასიათებელი და გვხვდება ისეთებთანაც, რომლებიც ძვ. წ. VIII საუკუნით ან უფრო მოგვიანო პერიოდით შეიძლება დათარიღდეს. ამ იარაღთა ზედა ქრონოლოგიური საზღვრის საძიებლად საკმარისია მოვიხსენიოთ თრიალეთში მარალინდერესის სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხის კომპლექსი, რომელშიც ბრინჯაოს თოხიცაა და თარიღდება ვანის ეპოქით[9]. აქვე შეიძლება დავასახელოთ ქვიშარის განძი, რომელშიაც ბრინჯაოს თოხებს გარდა, სიტულას ყური და ზოგიერთი სხვა ისეთი ნივთია, რომელიც ძვ. წ. VIII—საუკუნეზე ადრეული არ შეიძლება იყოს, მაგრამ იქვეა ისეთი ნივთები (I ტიპის კოლხური ცული, ბრტყელი ცული და სხვა), რომელთა ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი გვიან ბრინჯაოს პერიოდში უნდა ვეძიოთ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სოფ. კალეთაა არქეოლოგიურ ძეგლთა შორის კოლხური ცულების იმ ვარიანტის არსებობა, რომელიც II ტიპის ქვეტიპად ითვლება.

არ შეიძლება არ გავიზიაროთ ო. ჯაფარიძისა და სხვა მკვლევართა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ბრინჯაოს თოხი გარკვეულ გენეტიკურ კავშირშია მომდევნო ხანის საქართველოში გავრცელებულ რკინის თოხებთან[10].

მ. მ. ივაშჩენკო აღნიშნავს, რომ რკინის თოხი, მიუხედავად მისი დაშლისა ფორმით მოგვაგონებს ბრინჯაოსას, მაგრამ უხეში და უფრო მასიურია მასზე[11].

---

[7] Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XII B. გვ. 317, სურ. 15.

[8] ო. ჯაფარიძე, დახვარვითი ექსპედიცია ცაგერში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI B, 1950, 116—117.

[9] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 50—52.

[10] ო. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, გვ. 199.

[11] Иващенко М., Материалы к изучению культуры колхов, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, თბილისი, 1941, გვ. 52.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქორეთში აღმოჩენილი რკინის მოზრდილი თოხი, რომელსაც მილისებრი სატარე ხვრელი აქვს, თანაბრად დაშანებული მხრები, განიერი თითქმის გორდა პირი და კარგად ეტყობა პირის შეკეთების—მასზე გადაბმის კვალი (ტაბ. XVII) ბრინჯაოს თოხების მემკვიდრეა—მათთან გენეტიკურ კავშირში იმყოფება.

შესადარებელი მასალების გათვალისწინებით კალვათას გაჩნია მიახლოებით შეიძლება დავათარიღოთ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებით.

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲑᲐᲚᲗᲔᲑᲘ

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ გვინდა შევჩერდეთ საჩხერის რაიონის სხვადასხვა უბანში აღმოჩენილ ქამრის ბალთებზე.

ᲑᲐᲚᲗᲐ ᲥᲐᲛᲠᲘᲡᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡᲘ აღმოჩენილია ქორეთში (ტაბ. XII, სურ. 1 ან სურ. 18). სწორკუთხედის ფორმის (9, 8 სმ × 9,3 სმ) ჩარჩო შემკულია ერთი წყება წნული ორნამენტით. მის ყოველ კუთხეზე აღმართულია მრგვალი, თითო დაბალი ბორცვი. ჩარჩოს შიგნით ცხოველთა რელიეფური სახეებია გამოყვანილი, ძალზე სტილიზებულად. ბალთაზე კარგად შეიმჩნევა ორი ცხოველი, რომელთაგან ერთს უკავია ბალთის ცენტრალური არე, ხოლო მეორე მოთავსებულია მის მუცლის ქვეშ. ცენტრალური ფიგურის თავი უკანაა მობრუნებული და პროფილშია მარჯვნივ, ფეხები მოხრილია იმგვარად, რომ ცხოველი თითქოს მოძრაობაშია და უკანა ფეხები უახლოვდება წინას. წინა ფეხები არაბუნებრივადაა მოხრილი თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ წვივი ძალიან გრძელი ჩანს, ხოლო ბარძაყი შედარებით მოკლე. წელი გრძელია და გაწვრილებული. ოეძო და მკერდი განიერია. კისერი ძალზე გრძელი აქვს, თავი პატარა და პირი დაღებული აქვს. თავზე გამოსახული ბურთულები შესაძლოა თვალს გამოსახავდნენ. კისერზე, თავის მახლობლად აღმართულია პატარა სვეტი. ასევე რამდენიმე სვეტი (სამი) აღმართულია ყელის სხვადასხვა ადგილიდან, ზოგი დამრეცად და ზოგიც ვერტიკალურად. ასეთივე სვეტი აღმართულია ავრეთვე ტუჩიდან და ვაუიდან. ტანის ზემო ნაწილზე გადახლართულია რამდენიმე ზოლი, რომლებიც შესაძლოა რქების გადმოცემა იყოს. ცენტრალური ცხოველის მუცლის ქვეშ მოჩანს რაღაც ცხოველი. გარკვევა იმისა, თუ რა ცხოველი უნდა იყოს, ბალთის ცენტრალურ არეზე მისი ძალზე სტილიზაციის გამო ძნელია. შესაძლოა იგი ირმის სქემატური გადმოცემა იყო. ჩარჩოს ერთი მხარე ჩამოჭრილია.

ᲥᲐᲛᲠᲘᲡ ᲑᲐᲚᲗᲐ (ინვ. 2—36:2) სოფ. ორგვეთში (საჩხერის რ-ნი) ყოფილა აღმოჩენილი. 1904 წელს მიწის სამუშაოს დროს, მასთან ერთად ყოფილა ბრინჯაოს საჭაღელი, ცხენის თავების ქანდაკებებით შემკული და დუგმისებური რგოლი.

ბალთა კვადრატულია (12×12 სმ), რომელსაც ირგვლივ განიერი ჩარჩო უვლის (1,9 სმ სიგანისა). ჩარჩო შემკულია რელიეფური ხაზოვანი სპირალების ორი მწკრივით. სპირალურ მწკრივებს ერთმანეთისაგან ყოფს ორი სწორხაზობრივი რელიეფური ზოლი. ჩარჩოს კუთხეებში აღმართულია მაღალი კონუსური შვერილები, რომელთა ფუძეების ირგვლივ სალტისგვარად სამ-სამი რგოლია შემოვლებული. ჩარჩოს შიგნითა მოედანზე ოთხი ცხოველის სტილიზებუ-

ლი გამოსახულებაა. ცენტრალური ფიგურა ყველაზე დიდია. მის ცალკეულ ნაწილებს შორის პროპორცია არ არის დაცული. ტანის წინა და უკანა ნაწილი (მკერდი და გავა) ძალზე მსუქანია, წელი გავასთან ძალზე ვიწროვდება და საერთოდ იგი მოკლეა. მკერდი ძალზე დაშვებულია, ასევე დაშვებულია უკანა ნაწილიც. მკერდსა და გავაზე ჩაღრმავებული სპირალური ხვეია. ცენტრალური ცხოველის ფეხები დაბალია და ტანთან შედარებით წვრილი. წინა ფეხებს მუხლებთან წინ გაშვერილი წანაზარდები აქვს, ხოლო უკანა ფეხებს უკან გაშვერილი გრძელი წანაზარდები. ცხოველი თავაღერილია, იგი წინაა მიმართული. ბალთის ერთი ნაწილი (ცენტრალური ფიგურის წინა და ზემო ნაწილი) აკლია და ამიტომ რამდენადმე გაურკვეველია თავისი ფორმა. დარჩენილი ნაწილის მიხედვით თავპირი მოკლე ყოფილა, ხოლო თავზე ზემოთ სამკუთხა შვერილია აღმართული. ტუჩსა და შვერილს შორის მრგვალი ნახვრეტია, რომელიც ალბათ ცხოველის თვალს გამოხატავს.-კისერზე აღმართულია მოკლე წა-

სურ. 18. ბალთა ჭაბრისა სოფ. ჭორეთიდან

ნაზარდი, რომელიც იტოტება სამად. შერჩენილია მარცხენა ტოტი, რომელიც უკან მიემართება, იყოფა ორ შტოდ და რგოლებით მთავრდება, უერთდება რა ჩარჩოს შიდა ნაპირს (განშტოებანი შესაძლოა რქების იმიტაციად იყოს). კისერზე აღმართული მთავარი ღერძია უკან იწყება უკან გადაბრილი განშტოება, რომელიც მთავარი ფიგურის ზემოთ გამოყვანილ ცხოველის წინა ფეხს უერთდება. იგი შესაძლოა ყურს გამოხატავდეს. „ყურთან" იწყება გრეხილი (შესაძლოა ფაფარის იმიტაცია), მიუყვება ცენტრალური ცხოველის კისრის, წელისა და გავის გარემოხაზულობას, მიაღწევს „კუდამდე" და წყდება. „კუდი" მთავარი ფიგურის გარემოხაზულობის პარალელურად მიემართება კისრისაკენ, წელთან იგი ოდნავ დაბლა ეშვება. უერთდება გრეხილს და სპირალური ხვეულით მთავრდება. ახელია თქმა, თუ რა ცხოველთან უნდა გვქონდეს საქმე.

მას თითქოს რქებიც აქვს, ფეხები მოკლე და რაღაც უჩვეულო, ტანი კი უფრო ირმისას გავს. საერთო ნიშნებით უფრო საკარაუდებელია ირმის ფანტასტიკური გადმოცემა.

ცენტრალური ფიგურის ზემოთ, ჩარჩოს ძოვდნის მარცხენა ნაწილზე გამოყვანილია ცხოველის ქანდაკება, იგი პროფილშია და წინა და უკანა მარჯვენა ფეხი მოჩანს. ფეხები ძალზე გრძელია, წინა ფეხი წინაა გაშვერილი და ცენტრალური ფიგურის კუდის დაბოლოება—სპირალზეა დაბჯენილი, ხოლო უკანა ფეხი მუხლშია მოხრილი და აგრეთვე ცენტრალური ფიგურის კუდის შუა ნაწილზეა დაბჯენილი. ჩვენ თვალწინ მოძრაობაში მყოფი ცხოველია. მუხლიდან აღმართული შვერილი უკანა ფეხს ჩარჩოსთან აკავშირებს. ცხოველი მსუქანი ჩანს, კისერიც საკმაო განიერია. თავის ზემოთ და ქვემოთ სამკუთხა წანაზარდებია, შუაზე კი ჩაღრმავებული წერტილი, რომელიც ცხოველის თვალს გამოხატავს. თავიდან წინ გაშვერილია სამი გრძელი შტო—ერთი მათგანი (ქვედა) ცენტრალური ფიგურის ყურს უერთდება, შუა ცენტრალური ფიგურის მარცხენა რქას, ხოლო ზედა—ჩარჩოს; კისრიდან იწყება უკან გადახრილი განშტოება,



სურ. 19. ბალთა ქამრისა, სოფ. არგვეთიდან (ინვ. 2-36;.)

რომელიც ჩარჩოს უერთდება და შესაძლოა ყურს გამოხატავს. კუდი გრძელი აქვს და მოხრილია, იგი გავის პარალელურად მიემართება და წელის პირდაპირ ჩარჩოს უერთდება. კუდის ბოლო დახვეულია. ცენტრალური ფიგურის მუცლის ქვეშ პატარა ცხოველის სქემატური გადმოცემაა. მას მოგრძო კუდი აქვს დახვეული ბოლოთი. იგი ჩარჩოს უერთდება, წინა ფეხი წინაა გაშვერილი და ცენტრალური ფიგურის ბარძაყს უერთდება. უკანა ფეხი უერთდება რა ბალთის ჩარჩოს აგრეთვე წინაა გაშვერილი და მიდგმულია მთავარი ფიგურის ჩლიქთან. თავი მაღლაა აღმართული, ხახა დაღებულია, თავზე ჩაღრმავებული ადგილია, რომელიც თვალის გადმოცემაა. თვალის ორივე მხარეზე შვერილებია. ერთი მათგანი მკერდს უერთდება, მეორე კი—ბარძაყს. ცენტრალური ფი-

გურის წინ დაახლოებით ვერტიკალურად, აღმართულია აგრეთვე პირდაღებული ცხოველია ქანდაკება, რომლის გრძელი კუდი ხვეული ბოლოთი მთავრდება და ჩარჩოს უერთდება. ხოლო უკანა ფეხი წინაა გაშვერილი, ისე, რომ მკერდს უერთდება. დაღებული პირის ზემო ნაწილი ცენტრალური ფიგურის, ტუჩს უერთდება. ბალთის მარჯვენა კუთხის დიდი ნაწილი ჩამომტვრეულია (სურ. 19).

ბალთა ქამრისა ბრინჯაოსი (საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილი). ბალთის ზომები: 10.5×10.2 სმ, ჩარჩოს სიგანე 1.5 სმ. ჩარჩო შემკულია წნული რელიეფური ორნამენტის ორი რიგით. მწკრივებს ერთმანეთისაგან ყოფს ვიწრო ბოლი. ჩარჩოს კუთხეებთან აღმართულია კონუსური მოძალლო შვერილები.

ბალთის შიგნითა მოედანი უკავია ფანტასტიკური ცხოველის სამ გამოსახულებას. ცენტრალური ფიგურა ყველაზე დიდია. იგი რელიეფურია და პროფილში მარჯვნივ. ტანის წინა და უკანა ნაწილი (მკერდი და გავა) ძალზე სქელია და დაშვებული. წელი მოკლეა და ვიწრო. მკერდსა და გავაზე ჩაღრმავებული კონცენტრული წრეებია ორ რიგად. ცენტრალური ცხოველის ფეხები დაბალია და მუხლთან მოხრილი. წინა ფეხებს მუხლთან წინ გაშვერილი, ხოლო უკანა ფეხებს უკან გაშვერილი გრძელი და კონუსური წანაზარდები აქვს. ერთი წინა და ერთი უკანა ფეხის წანაზარდი ჩარჩოს უერთდება. ფეხი ოთხად განშტოებული ჩლიქებით მთავრდება. რომლებიც ჩარჩოს შიდა პირს უერთდება. ცხოველი თავაღერილია და წინ მიმართული. თავის შუაზე წერტილისებრი ჩაღრმავებაა. რომელიც თვალის გამოსახულება უნდა იყოს. თავის ზემოთ და ქვემოთ სამკუთხა წანაზარდებია, ტუჩი ორადაა განშტოებული და დაღებულსა ჰგავს. როგორც ზედა, ისე ქვედა ტუჩი ჩარჩოს უერთდება. კისერზე აღმართულია ორი წანაზარდი. თითოეული მათგანი ორად იტოტება და ისინი რგოლებით მთავრდება და უერთდება ჩარჩოს შიდაპირს. აღნიშნული განშტოებანი რქათა სტილიზებული გადმოცემა უნდა იყოს. კისერზე „რქების“ უკან იწყება უკან გადახრილი განშტოება. რომელიც მთავარი ფიგურის ზემოთ გამოყვანილ ცხოველის წინა ფეხს უერთდება. იგი ალბათ, ყურის გადმოცემაა. „ყურთან“ იწყება გრეხილი. მიუყვება ცენტრალური ცხოველის კისრის, წელისა და გავის გარე მოხაზულობას. მიაღწევს „კუდამდე“. კუდი გრეხილის გაგრძელებას წარმოადგენს. იგი მთავარი ფიგურის გავის პარალელურად მიემართება, წელს ეხება და ბოლოვდება სპირალური ხვიათი. მიუხედავად ფანტასტიკურობისა, სხვადასხვა ნაწილების უნივეველი გადმოცემისა, ცხოველის საერთო სახე ირემს გამოხატავს.

ცენტრალური ფიგურის ზემოთ გავისაკენ გამოყვანილია რაღაც ცხოველის (ძაღლის ?) ქანდაკება, იგი პროფილში და ორი ფეხი მოჩანს—ერთი წინწინ გაშვერილი ფეხი, ირმის კუდის დაბოლოება—ხვიაზეა დაბჯენილი, ხოლო უკანა ფეხი აგრეთვე კუდზეა დაბჯენილი, მის საწყისთან. ცხოველი მორბენალი ჩანს, კუდი მოხრილია, ტანის პარალელურად მიემართება და ხვიათი მთავრდება. ძაღლის ყელი განიერია. თავის შუა ნაწილზე წერტილისებრი ჩაღრმავებაა, რომელიც თვალის გადმოცემაა. თვალის პირდაპირ ქვემოთ სამკუთხა წანაზარდია. თავზე დამრეცად აღმართული ყური და ორად განშტოებული წანაზარდია გამოყვანილი. პირი დაღებულია და ზემო ტუჩი რქას უერთდება, ხოლო ქვედა ტუჩი—ყურს. მუცლის ქვეშ ფრინველის გამოსახულებაა. რომელიც ნისკარტით ბარკალს ეხება, ფეხი დაბჯენილია ცენტრალური ფიგურის

უკანა ფეხის წვივზე, ხოლო კუდი წინა ჩლიქთანაა მიბჯენილი. ირმის წინ სპირალია გამოყვანილი (სურ. 20)[1].

ბალთა ქამრისა ბრინჯაოსი (აღმოჩენილია საჩხერის რაიონის სოფ. ჭალაში). ჩარჩო შემკულია წნული რელიეფური ორნამენტის ორი რიგით, მწკრივებს ერთმანეთისაგან ყოფს ვიწრო ზოლი. ჩარჩოს კუთხეებთან, ისე როგორც საერთოდ ყოველ ბალთაზე, აღმართულია კონუსური მომაღლო შეერილები.

ბალთის შიგნითა მოედანი უკავია ფანტასტიკური ცხოველის ოთხ გამოსახულებას. როგორც საერთოდ ამჯერადაც ცენტრალური ფიგურა ყველაზე დიდია, იგი რელიეფური და პროფილშია მარჯვნივ. ტანის წინა და უკანა ნაწილი (მკერდი და გავა) ძალზე სქელია და დაშვებული, წელი შედარებით მოკ-

სურ. 20. ბალთა ქამრისა სოფ. ქორეთიდან

ლეა და ვიწრო. მკერდსა და გავაზე ჩაღრმავებული კონცენტრული წრეებია ორ რიგად, მათ შორის კი ჩაღრმავებული წერტილი. ცენტრალური გამოსახულებას ფეხები ტანთან შედარებით მოკლე აქვს და მუხლში მოხრილი, ამავე დროს მოხრილი მუხლებიდან წინა ფეხებს წინ გაშვერილი, ხოლო უკანას უკან გაშვერილი გრძელი კონუსური წანაზარდები აქვს. ერთი წინა ფეხის წანაზარდი ფრინველის კუდს, ხოლო უკანასი ჩარჩოს უერთდება. ფეხის ტერფზე ოთხი ჩლიქი თუ ბრჭყალი (?) ჩანს, რომლებიც ჩარჩოს შიდაპირს უერთდება. ცხოველს აღერილი თავი წინ მიუმართავს. სახეზე წერტილისებრი ჩაღრმავებაა, რაც ალბათ, თვალს გამოსახავს. სახეს ზემოთ და ქვემოთ სამკუთ-

[1] სურათი დახატულია ს. ქორეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის მ. გოგატიშვილის მიერ. მის მიერვა დახატული სურ. № 21.

ხა წანაზარდები აქვს. ქვედა წანაზარდის წვერი ფრინველის ნისკარტს ებჯინება, რომელიც ცხოველის წინაა. პირი უცხაურადაა დაღებული და ორივე ტუჩი ჩარჩოს შიდა პირს უერთდება. თავიდან აღმართულია ორი რამდენადმე დამრეცი წანაზარდი, თითოეული მათგანი თავის მხრივ ორად იტოტება და რგოლებით მთავრდება. რგოლები ეხება ჩარჩოს შიდაპირს. ეს განშტოებები თავისი ტრიბუტებით ცხოველის დატოტვილ რქათა სტილიზებული გადმოცემა უნდა იყოს. „რქების" უკან იწყება უკან გადაგრეხილი განშტოება, რაც ყური უნდა იყოს. ყურთან იწყება გრეხილი, მიუყვება ცენტრალური ფიგურის კისრის, წელისა და გავის გარე მოხაზულობას და აღწევს კუდამდე. კუდი, რომელიც გრეხილის გაგრძელებას წარმოადგენს, ზევითაა აღერილი. ერთხან გავის პარალელურად მიემართება. შემდეგ წელს უერთდება და სპირალური ხვიათი მთავრდება. მიუხედავად ცხოველის ფანტასტიკურობისა, სხვადასხვა ნაწილების (კუდი, თავი, ფეხები, რქები და სხვა) ოჩვეულო გადმოცემისა ცხოველის საერთო სახე ირეკს გამოხატავს.

ცენტრალური ფიგურის ზემოთ გავის მხარეზე გამოკვანილია ცხოველის (ძაღლის) ქანდაკება, იგი პროფილშია, მარჯვენე და მისი მხოლოდ ორი ფეხი მოჩანს ერთი უკანა და ერთიც წინა. წინა ფეხი ძალზე გრძელია, წინაა გაშვერილი, თათებით ყელს ეხება, ხოლო ფეხი კუდის ხვიას ეყრდნობა. უკანა ფეხი, რომელიც მუხლშია მოხრილი ფეხით კუდზეა დაბჯენილი, ხოლო კუდი, ზევითაა აწეული გავის და წელის პარალელურად მიემართება და ხვიათი მთავრდება, პირდაღებულია, სახის ქვემოთ სამკუთხა წვერილია. თავის უკან დამრეცი შვერილია წარმართული, რომელიც ყურს უნდა გამოხატავდეს. თავის ზემოთაც რაღაც წანაზარდებია.

ცენტრალური ფიგურის მუცლის ქვეშ და წინ ნაშვენივრად გამოკვეთილი ფრინველების ქანდაკებებია გამოყვანილი. დამახასიათებელია, რომ ცენტრალური ცხოველის წინ ჩვენ თითქმის არ შეგვხვედრია ფრინველის ქანდაკება (სურ. 21).

საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმში საკატალოგო ჩანაწერების მიხედვით საჩხერეში აღმოჩენილი ქაბრის ორი ბალთა უნდა იყოს. ჩვენ მოვახერხეთ გავცნობოდით მხოლოდ ერთ მათგანს (ს. ს. ხ. მ. ინვ. №—140). იგი პროფ. ე. თაყაიშვილის მიერაა ჩამოტანილი საჩხერიდან და ნაპოვნი ყოფილა სამარხში. ბალთა სწორკუთხაა და რამდენადმე დაზიანებული. მისი ჩარჩო შემკულია ხაზოვანი რელიეფური სპირალური სახეების სამი მწკრივით. მწკრივები ეროი მეორისაგან გამოყოფილია სწორხაზოვანი ვიწრო რელიეფური ხოლით. ჩარჩოს კუთხეებზე აღმართულია მაღალი კოხტასტური შვერილები. ბალთის ცენტრალური მოედანი დაკავებული აქვს ფანტასტიკური ცხოველების ოთხ გამოსახულებას. ცენტრალური ცხოველი პროფილშია მარჯვნივ და რელიეფურადაა გამოსახული, ტანი და ფეხები შესანიშნავად გადმოგვცემს ცხენის შესაბამია ორგანოებს სათანადო პროპორციულობით და ცხენის ფიგურა სავსებით რეალურადაა წარმოდგენილი. კისერი მაღლა აქვს აწეული, ხოლო თავი წინაა მიმართული. თავი მოგრძოა და ზედა ენა ჩარჩოსთანაა შეერთებული, თავი ნაკლულია და ზენოდან რა უნდა ყოფილიყო არა ჩანს. ცხენს თავზე აღვირი აქვს წამოცმული, პირი დაღებული აქვს. თავის წინა ნაწილზე წერტილოვანი ჩაღრმავებაა, რაც შესაძლოა თვალის გადმოცემა იყოს, თუმცა იგი არ ემთხვევა თვალის ადგილს. თავიდან იწყება გრეხილი, იგი მიუყვება კისერს, წელსა და გავის და გადადის კუდში, ცხენის წნული კუდი აღარ თავსდება ში-

და მოედანზე და ჩარჩოზე გადადის. კუდის საწყისიდან აღმართული ზოლი სწრაფად უხვევს და მიემართება გვერდისა და წელის პარალელურად, იგი მთავრდება სპირალური ხვიათი. ცენტრალური ფიგურის ბეჭსა და გავაზე დაშტამპულია კონცენტრული წრეები. ცენტრალური ფიგურის ზემოთ, ფანტასტიკური ცხოველის გრძელი ტანია და ხარის თავი, რომლის ლამაზი და დიდრონი რქები ჩარჩოსთანაა შეერთებული. წინა ფეხით იგი ცენტრალური ფიგურის კისერზეა დაყრდნობილი, კუდი მოხრილია, ტანის პარალელურად მიემართება და წელთან ხვიათი მთავრდება. ცხოველის წინ, რაღაც ცხოველი უნდა ყოფილიყო. იგი ამგვარადაა დახიანებული, რომ აღწერა შეუძლებელია. მუცლის ქვეშაც ფანტასტიკური ცხოველის (შეიძლება კვიცის) სქემატური გადმოცემაა, რომელიც ფეხებით ჩარჩოზეა დაყრდნობილი (ტაბ. XIV. სურ. 1).

ბალთა ქამრისა ბრინჯაოსი აღმოჩენილი ს. ქორეთში (ტაბ. XIV, სურ. 2 ან სურ. 22), სწორკუთხა, დიდი ზომისა (16,015.0 სმ). მისი ფართო **ჩარჩო** (2,3 სმ. სიგანისა) შემკულია ხაზოვანი, რელიეფური სპირალური სახეების მწკრივით. ჩარჩოს კუთხეებზე აღმართულია მაღალი კონუსური შვერილები, რომელთა უკეცები შემოსილტულია რელიეფური ხაზოვანი წიბურით. ბალთის

სურ. 21. ბალთა ქამრისა სოფ. ჭალადან

ცენტრალური არე (მოედანი) დაკავებულია ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებებით, ცენტრალური ფიგურა რელიეფურად პროფილშია წარმოდგენილი. სხეულის წინა და უკანა ნაწილი (გავა, მკერდი) ძალზე მსუქანის და სქელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფეხები ტანთან შეფარდებით ძალზე მოკლე და ულუსური ჩანს და ამდენად მკერდი ძირს დაშვებული გვეჩვენება. წელი მოკლეა და მსხვილი. კიაერი მაღლაა აწეული და თან მოხრილია, თავი კი წინაა მიმართული. თავი მოგრძოა და ერთი შეხედვით ცხენისას ჰგავს. პირი დაღებუ-

ლი აქვს. ყური წინ და მაღლაა მიმართული. ყურის ძირთან მოზრდილი ნახვრეტია. იგი თვალს წარმოსახავს. ტუჩსა და თვალს შორის რელიეფური წნულია (?), რომელიც გადადის მკერდზე—გაყვება მკერდს და ბეჭის თავთან ერევა. იგი შეიძლება აღვირისა და სამკერდულის წარმოსახვა იყოს. ყურის ზემოდან აწყვება წნული ზოლი, იგი მიუყვება ცხენის კისერს, გრძელდება წელამდე და იქ წყდება. კისრის ზემო ნაწილზე წნულია. წნულისაგან შექმნილი ორი რკალი ცხოველს აკავშირებს ჩარჩოსთან (ეს წნულები ცხოველის ფაფარს ხომ არ უნდა გამოხატავდეს?). ჩარჩოსა და ცხოველის კისრის ზემო ნაწილს შორის იქმნება სამი ფანჯარა. ცენტრალური ფიგურის ბეჭზე და თეძოზე დაშტამპულია კონცენტრული წრე. ამავე გამოსახულების ზემოთ (ზურგზე), მოთავსებულია ფანტასტიკური ცხოველის სტილიზებული გამოსახულება. ცხოველის უკანა ნაწილი დაზიანებულია (ამოტეხილია უკანა ფეხის ზემონაწილი), ცხოველი გრძელია, წინა ნაწილი ძალზე გაბიერია და დაბლა ეშვება. მკერდიდან დაბლა მიემართება ერთი მოკლე ფეხი (?), უერთდება რა ცენტრალური ცხო-



სურ. 22. ბალთა ს. ჭორეთიდან

ველის ბეჭის თავს, უხვევს და მაღლა მიემართება, რომელთანაც ვიწრო ბოლო ზოლით დაკავშირებულია ცხოველის მკერდი. უკანა ფეხი მოხრილია ისე, რომ ეხება ცხოველის მუცელს და ცენტრალური ცხოველის ზურგს უერთდება. ცხოველს, კისერი მაღლა აქვს აწეული და მიუხედავად დაზიანებისა ჩანს, რომ ყელის გაგრძელებას წარმოადგენს ჩარჩოზე აღმართული ცხოველის—ხარის—თავი დაგრეხილი, უკან მიმართული რქებით, რომელიც ჩარჩოს გარეთა ნაპირზეა დამაგრებული; ცხოველის კუდი (?), როგორც ჩანს, ჯერ მაღლაა აღმართული, შემდეგ მიემართება დამრეცად და ზურგს ეხება. შემდეგ კი დახვეულია

სპირალურად. ისე, რომ ცხოველია ზურგს ჩარჩოსთან აკავშირებს. ცენტრალური ფიგურის ძუცლისა და მკერდის ქვეშ რაღაც ცხოველის (კვიცის?) სქემატური გამოსახულება. ისე, რომ თავი მიბჯენილია ცენტრალური ფიგურის უკანა ფეხების ქვეშ (ძუძუს ადგილას), გავა კი უახლოვდება ცხოველის წინა ფეხს, ტანი ძოგრძოა, ფეხები ტანის პროპორციულია და ებჯინება ჩარჩოს. თავის შუა ნაწილი გახვრეტილია და თვალს გადმოგვცემს, მისი პირი თითქოს დაღებულია. ცენტრალური ფიგურის უკანა ფეხსა და ზემოთ აღწერილ ცხოველის წინა ფეხს შორის ერთმანეთზე გადაბმული სამი უწესო რგოლია (სამი მრგვალი ფანჯარა). ჩარჩო დაზიანებულია. ერთი კუთხე და მასზე აღმართული კონუსური შვერილი აკლია. ჩარჩოს ერთი მხარე დაზიანებული ყოფილა და შეკეთებულია. უკანა მხარეზე ოვალური რგოლია (ქამარზე დასამაგრებლად), ენა მოტეხილია.

ბალთა ქამრისა აღმოჩენილი ყოფილა შემთხვევით საჩხერის რაიონის ს. სპეთში (ორა ხევაში). (სურ. 23), ძალზე დაზიანებულია, მაგრამ მასზე მაინც შეიძლება ზოგიერთი რამის გარჩევა (სიგანე—12,5 სმ). ჩარჩო განიერია (1,8 სმ) და მასზე სამწყვილა რელიეფური წნული ხოლია გაყვანილი. ხოლები ერთი მეორისაგან გამოყოფილია ორ-ორი ხაზოვანი ხოლით. ჩარჩოს კუთხეებზე აღმართულია დაბალი კონუსური შვერილები. მათი ძირი შემოსილტულია ორ-ორი კონცენტრული ხაზით. ნიუხედავად დაზიანებისა ჩანს, რომ ერთი მეორის გადამკვეთი წნული ხოლებით ბალთის შინაგანი მოედანი ოთხკვადრატად ყოფილა გაყოფილი. ხოლების გადაკვეთის ადგილას აღმართულია დაბალი კონუსური შვერილი, რომელსაც ძირზე ერთი ხაზოვანი სალტე უვლია. ყოველ კვადრატში ერთი და იგივე ცხოველი ხარია გამოყვანილი. ხარი პროფილშია და ძალზე სტილიზებულია. ბალთის მარცხენა ზემო მხარეზე შემორჩენილ მთლიან კვადრატებზე გამოყვანილი ხარის გამოსახულების მიხედვით მოჩანს მისი ორივე წინა ფეხი. მარცხენა (?) წინა ფეხი თათებით ბოლოვდება, ხოლო მარჯვენა წინა და უკანა წინ გაშვერილი ფეხი ერთი მეორეზეა მიდგმული. ხარია თავი მობრუნებულია ისე, რომ პირდაპირ იყურება და გრძელი. უკან გადაწეული და მოხრილი რქები აქვს, ისინი ჩარჩოს უერთდება. ტუჩი განიერი აქვს. ხოლო ყურები ჰორიზონტალურად გაშვერილი. კუდი მაღლაა აშვერილი, კუთხესთან მოხრილი და ხარის მარჯვენა რქამდე აღწევს და ხვიათი მთავრდება. ხარის წინ გველის სქემატური გამოსახულებაა, მაღლა აღმართული თავით.

ამრიგად, ჩვენს ხელთ საჩხერის რაიონში აღმოჩენილი შვიდი ბალთაა. ისინი ამ რაიონის სხვადასხვა კუთხიდანაა. ყველა ისინი შემთხვევითაა აღმოჩენილი. ბალთები ერთგვარი (ერთი ჯგუფისა) არ არის, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ისე, რომ შვიდი ბალთის ოთხი განსხვავებული სახეობა გვაქვს, სხვადასხვა ცხოველით, ანდა სხვადასხვა პოზაში მყოფი ერთნაირი ცხოველებით გაფორმებული.

ერთი მათგანი, შედარებით მცირე ზომის ბალთა (სურ. 18) გაფორმებულია ირმის ფანტასტიკური გამოსახულებით, თავმობრუნებული გრძელი, თანდათან გაწვრილებული კისრით და პირდაღებული. მკერდი და გავა შედარებით სქელია და მას ერთნაირი სიმსხოს მოგრძო წელი აკავშირებს. მუცელ ქვეშ ფრინველია, ხოლო ბალთის ზემო ნაწილი ორწყება რქების განშტოებას აქვს დაჭერილი.

მეორე ბალთის ცენტრალური მოედანი (სურ. 19) ძირითადად აგრეთვე ირმის ფანტასტიკური გამოსახულებითაა გაფორმებული და ამას გარდა სამი ცხოველის მცირე ქანდაკებებია ბალთის არეზე, მაგრამ ამჯერად ირემი თავმობრუნებული კი არ არის, არამედ იგი თავაწეულია, რქები სამად განშტოებულია, დაბალ ფეხებზე დგას, გავასა და მკერდს შედარებით მოკლე წელი აერთებს, გავის ზემოთ, მუცლის ქვეშ და ირმის წინ რაღაც ცხოველის—ძაღლის (?) ქანდაკებებია, ამჯერად, პირველთან შედარებით, აშკარად ჩანს ხელოსნის ცდა, უფრო რეალური ირემი გამოხატოს.



სურ. 23. ბალთა ქამრისა სოფ. სპეთიდან

მესამე ბალთაც (სურ. 20) დაახლოებით იმგვარადვეა გაფორმებული, როგორც წინ განხილული ბალთა. აქაც ცენტრალური ფიგურა ირმის ფანტასტიკური გამოსახულებაა. იგი თავაწეულია, მაგრამ ამჯერად ირემს წელი უფრო გრძელი აქვს და განვითარებული, რქები კი ორად განშტოებული. მუცელ ქვეშ ნაცვლად ძაღლისა ფრინველის სქემატური გადმოცემაა. დამახასიათებელია ცენტრალური ფიგურის წინ ცხოველის ნაცვლად სპირალის გამოხატვა. ამჯერად კიდეე უფრო მიახლოვებულია ხელოსანი სინამდვილეს.

მეოთხე (სურ. 21) ბალთა ცენტრალური ფიგურით უახლოვდება II და III ბალთას. აქაც ცენტრალური ფიგურა ირემია წინ გაშვერილი თავით. დამახასიათებელია ის, რომ დანარჩენი ბალთებისაგან განსხვავებით ცენტრალური ცხოველის წინაც ფრინველია გამოსახული.

მეხუთე ბალთა (ტ.-ბ. XIV, სურ. 1) განსხვავებულია წინ განხილული ბალთების ცენტრალური ფანტასტიკურ ცხოველთა გამოსახულებებიდან. ამჯერად ხელოსანმა შეცვალა არა მარტო ცხოველის ფორმა, არამედ შინაარსიც, ნაცვლად ირმისა მან გამოსახა მისთვის საყვარელი არსება, მისი დამხმარე შინაური ცხოველი ცხენი. ამჯერად ცხოველის— ცხენის ფიგურა შედარებით რეალურა-

და ა გადმოცემული, პროფილშია მარჯვნივ; თავი მაღლა აქვს აწეული და წინ მიმართული; მას აღვირი აქვს თავზე წამოცმული. ამჯერად ცენტრალური ცხოველის ზემოთ გამოხატულია გრძელტანიანი ცხოველი, ხარის თავით, რომლის გრძელი ლაბაში რქები ჩარჩოზე გადადის. ცხენის წინ და მუცელ ქვეშ ფანტასტიკურ ცხოველთა გამოსახულებებია.

მეექვსე ბალთაც (სურ. 22) ოგრეთვე ცხენია რელიეფური გამოსახულებითაა შემკული. ამ შემთხვევაშიაც სიუჟეტი დაახლოებულია ცხოვრებასთან მათ ყოფასთან და ცხენის ქანდაკებაც უფრო რეალურია. იგი საკმაოდ მსხვილ ფეხებზე დგას და კარგად შეიმჩნევა ჩლიქებიც. პირში აღვირამოდებულია და კუდიც დაბლაა დაშვებული. ჩარჩოს ზემო ნაწილზე ხარის თავია დიდრონი რქებით, ხოლო ცხენის მუცლია ქვეშ ოგრეთვე რეალისტურად გამოყვანილი კვიცის მშვენიერი ქანდაკება.

მეშვიდე ბალთა (სურ. 23), რომელიც საკმაოდ დაზიანებულია, ხარის თოთხი ერთნაირი ქანდაკებითაა გაფორმებული, ხარები პროფილშია, თავები მობრუნებული აქვთ და დიდრონი რქებით სალტეებთანაა დაკავშირებული. აქაც I—II და III ბალთის სიუჟეტთან და გამოსახულებების შესრულებასთან შედარებით უფრო რეალისტურ მოძღვნტთან გვაქვს საქმე. ხელოსანმა გამობატა ხარები, ეს მათი ცხოვრებისათვის მეტად საჭირო ცხოველები და მათი გადმოცემა უფრო რეალისტურია, ვიდრე იმ ცხოველთა (ირმის) გამოსახვა, რომელიც არ იყო ადამიანებთან ისე ახლო დაკავშირებული. არ მოქონდათ ადამიანისათვის იმდენი სარგებელი რამდენიც შეეძლო მოეტანა ხარს ან ცხენს როგორც გამწევ ან საჯდომ საშუალებებს და თან ზოგიერთი მათგანი მშვენიერი საკვებიც იყო ადამიანისათვის. საჩხერის რაიონში აღმოჩენილ ყველა სახის ბალთებს მოეპოვება მეტ-ნაკლები რაოდენობით სათანადო ანალოგიები.

სოფ. ქორეთში აღმოჩენილი პატარა ბალთის (სურ. 13) ზუსტი ანალოგები საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში დაცულ არქეოლოგიურ ძსალებს შორის გვხვდება რამდენიმე ეგზემპლარად.

ერთი მათგანის (ინვ. 91—12:1) აღმოჩენის ადგილი და ვითარება არ არის ჩვენთვის ცნობილი. იგი ნაყიდი ყოფილა თბილისის ბაზარზე. ბალთის ჩარჩო, ისე, როგორც ქორეთისა, შემკულია ერთ წყება წნული ორნამენტით. ბალთის ცენტრალურ არეზე გამოყვანილია ფანტასტიკური ცხოველის (ირმის) თავმობრუნებული სტილიზებული ქანდაკება. მისი თითქმის ყველა დეტალი, მათ შორის მუცლის ქვეშ გამოქანდაკებული ფანტასტიკური სტილიზებული ცხოველიც ზუსტად იმეორებს ქორეთის ზემოთ მოხსენებულ ბალთის არეზე გამოყვანილ ცხოველთა ცალკეულ დეტალებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქორეთის ბალთის ცენტრალური ფიგურის კუდი, რომელიც ზევითაა აღერილი და უკან გადმოწეული, ხვეულით მთავრდება და გავას ეხება, ხოლო თბილისის ბაზარზე შეძენილი ბალთის ცენტრალური ფიგურის კუდი ხვიათი არ ბოლოვდება, თუმცა ისიც მაღლაა აღმართული და გავას უერთდება. თავის მოხრილობაშიც არის ოდნავ განსხვავება. თუ მუზეუმის ეგზემპლარის ცენტრალური ფიგურის ყელი თანდათანობითაა მოხრილი, ქორეთის ცალის ცენტრალური ფიგურის ყელი ჯერ მაღლა— ვერტიკალურადაა აღმართული, ხოლო მოხრის შემდეგ ჰორიზონტალურად მიემართება (ტაბ. XII, სურ. 2).

მუზეუმში დაცული მეორე ბალთა (ინვ. 4—38:1) საინვენტარო ჩანაწერების მიხედვით იმერეთში ყოფილა აღმოჩენილი, მაგრამ სად, როდის და ვის

მიერ ან რა პირობებშია აღმოჩენილი არ არის ცნობილი. იგი თაეისი ფორმით და შემკობის ხერხებით უახლოვდება ს. ქორეთისას (ტაბ. XII, სურ. 3).

ს. ქორეთის ბალთის ახლოს პარალელები ბრავლადაა აღმოჩენილი რაჭაში ბრილის სამაროვანზე გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების დროს. ჩვენ დავასახელებთ რამდენიმე მათგანს:

1939 წელს ბრილის სამაროვანზე № 8 ქვაყუთის ტიპის სამარხის გათხრის დროს აღმოჩენილი ორი ბალთა.[2] მართალია ისინი ზოგიერთი დეტალებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ძირითადად ერთი ტიპისანი არიან.

ორივე გაფორმებულია ირმის ფანტასტიკური გამოსახულებით თავმობრუნებულია და წელი გაწვრილებული. ხოლო მკერდი და გავა გამსხვილებული აქვს. ძუცლის ქვეშ ფრინველია, ხოლო ბალთის ზემო ნაწილი რამდენიმე წყება რქების განშტოებას აქვს დაკავებული. ისინი დეტალებით განსხვავდება ქორეთის ეგზემპლარისაგან. ქორეთის ბალთის ცენტრალური ფიგურის წელი და კისერი უფრო გრძელია, ვიდრე ბრილის № 8 სამარხის აღნიშნული ბალთების ცხოველებისა. იმავე დროს ქორეთის ეგზემპლარის ცენტრალური ფიგურის მუხლის მოხრილობის ადგილს არ გააჩნია ისეთი წანაზარდები, როგორიც ბრილის ბალთების ცენტრალურ ცხოველს აქვს.

სამარხში ბალთებს გარდა აღმოჩენილია: ფიბულა არბალეტური ტიპისა, გაორებული რკალით, ორ ადგილას რკალზე დახვეული ჰქონია წვრილი მავთული; ბეჭდის ფრაგმენტი, მის ბუდეში ჩასმული ყოფილა შუშის თვალი, მასზე ამოკვეთილი ყოფილა ადამიანის თუ ღვთაების თავის პროფილი.[3] დანის პირის ნატეხი რკინისა, რგოლის ფრაგმენტები, გიშრის მძივები, შუშის მოოქვრილი მძივები, ამ მხრივ, საინტერესოა აგრეთვე 1939 წელს ბრილის სამაროვანზე გათხრილი № 20 ქვაყუთის ტიპის სამარხის კომპლექსი[4] სამარხში აღმოჩენილი ყოფილა ქამრის ბალთა ბრინჯაოსი. იგი ძირითადში ტიპობრივად ემთხვევა ქორეთის ბალთას, ორივე ბალთის ცენტრალურ ფიგურას (ირემს) თავი მოხრილი აქვს და რქათა შტოებით დაკავებულია ჩარჩოს მთელი მოედანი ვავასა და კისერს ხვევით. განსხვავება იმაშია, რომ ბრილის ამ ეგზემპლარის ცენტრალური ფიგურის წელი უფრო მოკლეა, ვიდრე ქორეთის ეგზემპლარზე გამოსახული ფიგურისა. კისერიც ოდნავ განსხვავებულადაა მოხრილი, ხოლო მუხლებს წანაზარდი აქვს და განსხვავებულია ცენტრალური ფიგურის მუცელქვეშ გამოყვანილი გამოსახულება, რომელიც ფრინველსა ჰგავს. ბალთის ცენტრალური ფიგურის ბეჭსა და გავაზე ჩაღრმავებული სპირალური ხვია, რაც ქორეთის ეგზემპლარს არ გააჩნია.

სამარხში ბალთას გარდა აღმოჩენილი ყოფილა: სამაჯური ბრინჯაოსი, გახსნილი თაეები სპირალური ხვეულებით ბოლოვდება. მისი შიგნითა ნაწილი ბრტყელია, გარე ნაწილზე მიუყვება ორი ღრმა ღარი, რის შედეგად წარმოიშვება სამი ზოლი, ზოლები დაფარულია წვრილი ჭდეული ორნამენტით. მძივები წვრილი, ცისფერი ეგვიპტური პასტისა, ფრაგმენტი ბრინჯაოს სამკაულისა.

ბოთანი თიხისა, ლეგა, პატარა, სფერული ტანით, ყური მიმაგრებულია ჭურჭლის განიერ ნაწილზე, მას განიერ ნაწილსა და მხრებზე ირგვლივ შემოვლებული აქვს კონცენტრული ხაზები და სხვა ნივთები.

---

[2] გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი. 1942. გვ. 98—99.

[3] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

[4] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—74.

1940 წელს ბრილის სამაროვანზე ქვაყუთის ტიპის № 1 სამარხში აღმოჩენილი ბალთაა, ძირითადად ანალოგიას პოულობს ქორეთის ბალთასთან. ორივე შემთხვევაში ცენტრალური ფიგურა პროფილშია მარჯვნივ, თავმოხრილია და ჩარჩოს ზემო ნაწილი დაკავებულია რქებითა და მისი შტოებით. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ბრილის ეგზემპლარის ჩარჩო შემკულია სპირალური მწკრივით, ხოლო ცენტრალური ფიგურის წელი ძალზე მოკლეა, მოკლეა მოღერებული კისერიც, ბუხლის მოხრილი თაველებიდან კი წანაზარდებია. სამარხში ბალთასთან ერთად აღმოჩენილია: 2 ცალი ყაყარე ოქროს წვრილი და თავებგაბსხვილებული მაეთულის, რვოლი ბრინჯაოსი, მძივები შუშისებრი პასტისა მოშავო ფერის, რომლებიც შემკულია თითო თეთრი ზოლით.

ს. ქორეთის ბალთის ახლო ანალოგია აღმოჩენილი ყოფილა სოფ. მანგლისში (ინვ. 66—08:69). იგი უფრო დიდია ქორეთის ბალთაზე, ჩარჩოც უფრო განიერი აქვს და შემკულია ორწყება რელიეფური წნული ორნამენტით. ცენტრალური ფიგურა და მუცლის ქვეშა ორივე ფრინველი ბალთისათვის ერთნაირია, იმ განსხვავებით, რომ მანგლისის ეგზემპლარს ქორეთის ბალთის ცენტრალური ფიგურისაგან განსხვავებით მოკლე კისერი აქვს, ხოლო მკერდსა და გავაზე კონცენტრული წრეები (ტაბ. XII, სურ. 4).

ბალთას გარდა მანგლისის კომპლექსი შეიცავს ქამრის მეორე ბალთას, ზარაკებს, ირმისა და რაღაც ცხოველის ქანდაკებებს (ამათ გარდა სამ რგოლიან ბალთას, სპირალურ ხვიასა და მძივებს).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული ბალთათა ისეთი ეგზემპლარები, რომლებიც ახლო ანალოგიას პოულობს სოფ. არგვეთში აღმოჩენილ ბალთასთან (სურ. 19.) ერთი ამგვარი ბალთა აღმოჩენილი ყოფილა 1868 წელს რაჭაში, სოფ. ახალისოფლის მახლობლად, შემაღებულ ადგილს საელიოში (ინვ. 6—02:109 № 1022) (ტაბ. XIII, სურ. 1). ს. არგვეთის ქამრის ბალთის (სურ. 19) ახლო ანალოგია აღმოჩენილია 1938 წელს შოშვეთის ნეკროპოლის გათხრის დროს № 12 სამარხში. სამარხი ორმო-სამარხის ტიპის ყოფილა[9].

სამარხში გარდა ქამრის ბალთისა აღმოჩენილია: საკიდი ბრინჯაოსი, ალუმინული, ერთ ბოლოზე ყუნწით, მძივები: შუშისა, სარდიონისა და ბრინჯაოსი.

ს. არგვეთის ბალთის ახლო ანალოგია აღმოჩენილი ყოფილა აგრეთვე შოშვეთის სამაროვანზე 1936 წელს გათხრილი ქვაყუთის ტიპის № 1 სამარხში. ქამრის ბალთასთან ერთად სამარხში აღმოჩენილია: სასმისი თიხისა, პირგანიერი, ძირისაკენ თანდათან შევიწროებული და ყურიანი.

ფიბულა ბრინჯაოსი, ბრგეალი, ნიკი ზედაპირი რელიეფური კონცენტრული ზოლებითაა შემკული. ფიბულის მეორე მხარეზე თაეის დროზე დამაგრებული ყოფილა ნემსი (შესაბნეელ).[10] ცხვრის თუ თხის თაეის გამოხატულება ბრინჯაოსი, ვერძის სკულპტურული გამოხატულება და ირმის სკულპტურული გამოხატულება ბრინჯაოსი.

ს. არგვეთის ბალთის ანალოგია აღმოჩენილი ყოფილა სურამის მახლობლად, ხაშურის რაიონში (ინვ. 43—06:1). იგი დაზიანებულია (აკლია ჩარჩოს თითქმის ნახევარი), განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ცენტრალური ფიგურის ზემოთ ნაცვლად ძაღლისა, გრძელრქიანი ხარისთაეია გამოკვანი-

[9] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74—76.

[10] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79—83.

ლი. ჩარჩო რამდენიმე წყება წნული რელიეფური ორნამენტითაა შემკული (სურ. 24).

სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილი მეორე ბალთის (სურ. 20) ზუსტი ანალოგია რამდენიმე ეგზემპლარია ჩვენთვის ხელმისაწვდომი.

ჩვენ ვფიქრობთ, ს. ქორეთის აღნიშნულ ბალთაზე გამოყვანილი ცხოველის ცალკეული ნაწილების დაზუსტებით ხელოსანს კიდევ უფრო დაუახლოვდა სინამდვილეს და რეალობას. ამჯერად აღარ არის ირმის რქები სამ ტოტა, ის ჩვეულებრივ ორ შტოდ იყოფა, რომელიც შემდგომ იყვ იტოტება.

ს. ქორეთის ამ ეგზემპლარის ახლო ანალოგია აღმოჩენილი ყოფილა მანგლისში (ინვ. 66—05:70) და ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში

მანგლისის ბალთაზა ამ ეგზემპლარს ჩარჩო შემკული აქვს ორწყება წნული რელიეფური ორნამენტით. ცენტრალური ფიგურა ორივე ბალთაზე ზუსტად ერთგვარია, ერთნაირია ყველა მათი ნაწილები — ერთნაირია ცენტრალური ფიგურის ზემოთ და მუცელ ქვეშ გამოქანდაკებული ცხოველებიც—განსხვავება მცირედია. ცენტრალური ფიგურის წინ მანგლისის ეგზემპლარს, ცხოველის ჭანდაკება უზის, ხოლო ს. ქორეთისას სპირალური გამოსახულება (მანგლისის აღნიშნული არქეოლოგიური კომპლექსის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი) (ტაბ. XIII, სურ. 2).



სურ. 24. ბალთა ქამრისა სერმის ბახლობლად აღმოჩენილი (ინვ. 43—06)

1939 წელს ს. ბრილის სამაროვანზე № 25 სამარხში[7] აღმოჩენილია ბალთა, რომლის ცენტრალურ ფიგურას (ირემს) ორი რქა აქვს.

ორრქიანი ირმის ცენტრალური ფიგურა, გამოქანდაკებულია ბრილის სამაროვანზე 1939 წელს № 27 სამარხში აღმოჩენილ ბალთაზე. აღნიშნული ბალთა რამდენადმე ანალოგიას პოულობს ს. ქორეთში აღმოჩენილ ბალთასთან.

[7] გ. ჯობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—90.

განსხვავება იმაშია, რომ ბრილის აღწერილი ბალთის ცენტრალური ფიგურის ზემოთ ფრინველის გამოსახულებაა, ხოლო წინ აღმართულია გველის დაკლაკნილი ფიგურა. ბალთას გარდა საბარხში აღმოჩენილია შემდეგი ინვენტარი: ხანჯალი ბრინჯაოსი—წაკეთილი კოხუსისებრი, კრძელი სამკუთხა ყუნწით და კორპესი სამკუთხედებითაა დაფანჯრული.

ფიბულა, ორწილადი ფიბულების ტიპის.

ღილი ვერცხლისა,

მძივები პასტისა, ორი მთვანი სფეროსებრია და დაღარული.

შუბისა—სფეროული. წერილი, მწვანე—ერთი მძივი ცილინდრულია, დაღარული ხედაპირით, ორი ფრიალაკედი ღია ლურჯი ფერისაა.

მძივები მინისებრი პასტისა, ფერადი თვლებითაა შემკული, ქარვის მძივები და სხვა ნივთები.

ს. ქირეთის იმ ბალთის ანალოგია (სურ. 22), რომლის ცენტრალური ფიგურა ცხენს გამოხატავს რამდენიმე ეგზემპლარია დაცული საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში, ერთი ასეთი ბალთა (6—02:108) აღმოჩენილი ყოფილა 1868 წელს რაჭაში სოფ. ახალისოფლის მახლობლად შემაღლებულ ადგილას ასასფლათზე.

ბალთის ჩარჩო შემკულია სამწყვილი სპირალების მწკრივით. ბალთის კუთხეებში აღმართულია კოხუსური შვერილები. ცენტრალური ფიგურა (ცხენი) საკმაოდ მსუქანი ჩანს, თავაღერილია, თავზე წამოცმული აქვს აღვირი, პირი დაღებული აქვს, ყური კი აცქვეტილი. თვალი გამოხატულია ჩაღრმავებული წერტილით, კისერს ზემოდან ოთხი ვერტიკალური სვეტია აღმართული, რომლებიც ჩარჩოს უერთდებიან. უკანა სვეტები შეერთებულია ზოლით. ცხენის კუდი ორ ეტეეი ბალთის შიდა მოედანზე და ჩარჩოზე გადადის, რომელიც ჩვეულებრივ დაბლაა დაშვებული. ყურიდან კისრის გაყოლებით გრეხილი ხაზია გაყვანილი. ბეჭსა და თეძოზე კონცენტრული წრეებია ამოკაწრული. ფეხები ცხენის ნორმალურ ფეხთა გადმოცემაა.

ცენტრალური ფიგურის გვის ზემოთ ხარის ქანდაკებაა კრძელი ტანით, რომელსაც კუდი მოხრილი აქვს. გვის პარალელურად მიემართება, წელთან უერთდება და მთავრდება ხვიათი. თავი სცილდება ჩარჩოს, რომელსაც განიერი ტუჩი და გრძელი რქები აქვს, რომელიც ჩარჩოს უერთდება. წინ პირდაღებული ცხოველია (ძაღლი ?) გამოხატული. მუცელ ქვეშ ფანტასტიკური ფრინველის თუ ცხოველის განსახულებაა. მას თვალები დაკაკლული აქვს და ზურგზე ჩანს ფრთები და კუდი თითქოს გაშლილი აქვს (ტაბ. XIV, სურ. 3).

ცხენის გამოსახულებით გაფორმებული ქამრის ბალთა (ინვ. 13—28:1) აღმოჩენილი ყოფილა 1928 წელს მაისში მიწის ხვნის დროს შორეთში.

ბალთა რამდენადმე დაზიანებულია, აკლია წინა ნაწილი (სალტე და ზოგი სხვა ნაწილი) ჩარჩო განიერია და შემკულია ოთხწყვილა სპირალთა რიგით, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ხაზოვანი რელიეფური ზოლებით. ბალთის შერჩენილ ორ კუთხეზე აღმართულია კოხუსური შვერილები, რომელთა ძირი გრეხილითაა შემოსილტული.

ცენტრალური ფიგურა საკმაო რეალურად გადმოცემული ცხენის ქანდაკებაა. იგი მაუქანია და პროფილშია მარჯვნივ. მკერდსა და თეძოზე კონცენტრული წრეებია ამოკაწრული. ფეხები დაბალია და არანორმალური. ერთი წინა და ერთი უკანა ფეხი ჩვეულებრივი ცხენის ფეხის შთაბეჭდილებას სტოვებს, ისინი მარცხენა ფეხები უნდა იყოს, მარჯვენა ფეხები კი ქვემოთ იტოტება

ორად. თავყელი აწეული აქვს და წამოგებული აქვს აღვირი. ლაგამი პირში აქვს ამოდებული. კისერზე დამრეცად 5 წყება გრეხილი აქვს შემოსილტული, კისრის გასწვრივ გრეხილი ზოლია გაფლებული. კუდი ზემო ნაწილში გრეხილისებრია. ქვემოთ კი ბრტყელია. თავარი ფიგურის გავის ზემოთ, ცხოველის (?) ხარის ქანდაკებაა გამოყვანილი, მოგრძო ტანა გაბიერტუჩიანი თაეი აქვს მიმაგრებული, რომელიც ჩარჩოსაგან გამორჩეულია. თავზე აღმართული გრძელი რქები ჩარჩოზეა მიმაგრებული.

მთავარი ფიგურის მუცლის ქვეშ ფანტასტიკური ცხოველის (ძაღლის) სქემატური გამოსახულებაა. იგი თავაღერილია და პირდაღებული, გრძელი კუდი ხვიათი თავდება, ხოლო ფეხებით ჩარჩოზეა დაყრდნობილი (სურ. 25).

რაც შეეხება საჩხერის რაიონის სოფ. სპეეთში აღმოჩენილ ქამრის ბალთის ზუსტ პარალელებს, რომლის შიდა მოედანი ხარის ოთხ ქანდაკებას შეუვსია, ჩვენს ფონდებში და ხელმისაწვდომ არქეოლოგიურ მასალათა შორის თითქმის ვერ ვხვდებით.



სურ. 25. ბალთა ქამრისა. 1926 წ. შოშეთშია აღმოჩენილი (ინვ. 13—28:1)

სოფ. სპეთის ბალთის ზუსტი ანალოგიები გამოქვეყნებული აქვს პროფ. ბ. კუფტინს თავის ნაშრომში „მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის[8]. ერთი ასეთი ბალთის სურათი მას გადმოღებული ეკ. ეიხვალდის სურათებიდან, რომელიც ეიხვალდს ქუთაისში ჩიუხატავს იმერეთ-სამეგრელოში მოგზაურობის დროს 1825—1826 წლებში. მეორე დიუბუა დე-მონპერესაგან, რომელიც დიუბუას მითითებით სოფ. მღვიმევში (ყვირილის ხეობა) ყოფილა აღმოჩენილი.

[8] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი, მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის, ნაწ. 1, სურ. 19, გვ. 80, 81.

რაც შეეხება ხარის ქანდაკებით შემკულ ბალთებს (ოღონდ ერთით), ასეთები გამოქვეყნებული აქვს უვაროვას[9], რომელსაც ისინი შეუძენია. გამყიდველის გადმოცემით ბალთები სოფ. ღებიდან უნდა ყოფილიყო.

ხელოვნების შედევრები, ბრინჯაოსაგან ნაკეთები ქამრის ის ბალთები, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი ჩვენს ტერიტორიაზეა შექმნილი, ჩვენი უძველესი წინაპრების მეტალურგ-ხელოსნების მიერაა შექმნილი და ჩამოსხმულ-გამოჭედილი. მისი წარმოქმნა-ჩამოყალიბების არეალი საქართველოს ტერიტორიას არ სცილდება. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ სხვა მხარეში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალათა შორის არსად არ გვხვდება ამგვარი ბალთები. გ. გობეჯიშვილი, სპეციალურად იხილავს რა ქამრის აღნიშნულ ბალთებს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბრილისა და შოშვეთის აღმოჩენები, ამასთანავე მუზეუმში დაცული სათანადო მასალები იმაზე მიუთითებენ, რომ ბრინჯაოს აჟურული ბალთები ქამრისა ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებით წარმოადგენს ქართული უძველესი ხელოვნების პირმშოს, მისი აყვავებული შემოქმედების ნაყოფს... რომ მათი სამშობლო საქართველოა და ამიერიდან ჩვენთვის საინტერესო ნიმუშებს უნდა ეწოდოს ბრინჯაოს ქართული ბალთები[10].

აკად. შ. ამირანაშვილი მიუთითებს, რომ ქართული ბალთები, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების საშუალებითაა ნაპოვნი და აგრეთვე შემთხვევითაა აღმოჩენილი, უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, თავისი სემანტიკური და მხატვრული სტილის ნიშნებით კოლხური ხელოვნების წრეს ეკუთვნის. მასალების შედარებითი შესწავლა არკვევს, რომ კოლხური ტიპის ბალთები საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებისა და სხვა მოსახლეობის მხატვრულ შემოქმედებაში არსად ცნობილი არ არის.[11]

ბალთები, იცვლებოდა რა მისი გაფორმება თავისი არსებობის სხვადასხვა საფეხურზე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილა ხმარებაში. გ. გობეჯიშვილი სემანტიკური და სტილისტური განვითარების მიხედვით დღემდე ცნობილ ყველა ბალთებს აერთიანებს 4 ჯგუფში, რამდენიმე საფეხურში და მიუთითებს, რომ ბრილისა და შოშვეთის ნეკროპოლიდან წარმომდგარი ის კომპლექსები, რომლებთანაც ერთად ბრინჯაოს ქართული ბალთები აღმოჩნდა ეკუთვნის ისტორიული განვითარების საკმაოდ გრძელ მონაკვეთს[12].

გ. გობეჯიშვილი I ჯგუფის ბალთებში განვითარების ორ საფეხურს ხედავს. I ჯგუფის I საფეხურად იგი თვლის პატარა ზომის ბალთებს, რომლის ცენტრალური მოედანი უკავია თავმობრუნებულ ირემს, ხოლო I ჯგუფის II საფეხურად ისეთ ბალთებს, რომელზეც ცენტრალური გამოსახულება I საფეხურთან შედარებით უფრო რეალისტური ნიშნებით ხასიათდება; განსაკუთრებით ეს წეიმჩნევა რქების მოყვანილობაში, ისინი შედარებით მოკლეა და სპირალური ხვეულებით თუ რგოლებით ბოლოვდება.

II ჯგუფის ბალთებს შემდეგ საფეხურად ყოფს:

ა საფეხური — ბალთის ცენტრალური ფიგურა წარმოადგენს ირმის გამოსახულებას—მას წინ მიმართული თავი აქვს. ამჯერად ცენტრალური ცხოველის ზემოთ ხარის თავის ან ძაღლის გამოსახულებაა.

---

[9] MAK—ტ. VIII, ტაბ. CXXXIV, სურ. 1,2.

[10] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

[11] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[12] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 198—199.

ბ საფეხური—ცენტრალური ცხოველი ქვლავ ირემია, მაგრამ წინა საფეხურისაგან განსხვავებით მას მორბენალი პოზა აღარ აქვს.წვრილი წელი აქვს. მათი ფეხები ზოგჯერ ჩლიქებით ბოლოვდება. ამ შემთხვევაში ცენტრალური ფიგურის წინ ყოველთვისაა ცხოველი (ძაღლი, გველი ან ფრინველი) და მუცელ ქვეშაც—ძაღლი, ფრინველი, ცხენი ან გველი.

გ საფეხური მას წარმოდგენილი აქვს ერთადერთი ბალთით, სადაც ცენტრალური ფიგურა ფანტასტიკური ირემია, მას აქვს სიმეტრიულად განლაგებული ორი თავი და ერთი საერთო სხეული. ცხოველთა თავების წინ გამოსახულია დაკლაკნილი თითო გველი, სპირალური ხვეულით დაბოლოებული კუდით ცენტრალური ცხოველის ყელზე გამოსახულია ძაღლის გამოსახულება დაღებული პირით. ცენტრალურ ცხოველზე კი ზის ანთროპომორფული არსება.

III ჯგუფში არჩევს შემდეგ საფეხურებს:

ა საფეხური ცენტრალური ცხოველის ტანი და თავი ქვლავ ტანტასტიკურია, რქები ნახევარ მთვარის ფორმისა, ჩნდება ფანაზარდები შუბლზე, კუდი დაწნეულია და დაბლა დაშვებული, ჩნდება სამკერდელები ცენტრალური ცხოველის მკერდზე და კისერზე. ამდენად იგი ცხენს უახლოვდება. ცენტრალური ცხოველის ზემოთ თაყმობრუნებული ხარია, წინ ძაღლია, მუცელქვეშ კი ფრინველი.

ბ. საფეხური—ცენტრალური ცხოველის ტანის მოყვანილობა ახლო დგას ცხენის ტანის მოყვანილობასთან და ფეხებიც დაუბაწვრეველი ჩლიქებით მთავრდება, კუდიც ცხენისმაგვარი აქვს. დაღებულ პირში ლაგამი აქვს ამოდებული. ყური არ გაანია. ცენტრალური ცხოველის ზევით და წინ ზუსტად ისეთივე გამოსახულებებია, როგორც წინა საფეხურზე, ხოლო მუცელ ქვეშ კვიცია.

გ საფეხურის ცენტრალური ფიგურა კიდევ უფრო უახლოვდება ცხენს — ზემოთ და წინ ისეთივე ცხოველებია, როგორც წინა საფეხურზე, მუცლის ქვეშ კვიცი, ფრინველი ან ძაღლი.

დ საფეხური—ცენტრალური ცხოველი სავსებით რეალისტურად გამოსახული ცხენია. მასზე ზის მეზარადმოსილი მხედარი, ცხენის გავაზე ფრინველია—თავით მარცხნივ მიჭცეული.

IV ჯგუფი. ცენტრალური გამოსახულების მიხედვით ამ ჯგუფის ბალთებს იგი არსებითად ანსხვავებს წინმავალი ჯგუფების ბალთებისაგან. ცენტრალური ფიგურა ამ შემთხვევაში ხარია, მობრუნებული წინ წამოწეული თავით—უზარმაზარი ლამაზად მოყვანილი რქებით[13].

გ. გობეჯიშვილი დასაშვებად თვლის აგრეთვე იმას, რომ IV ჯგუფი, ე. ი. ხარის გამოსახულებით შემკული ბალთები მოთავსდეს I ჯგუფის შემდეგ[14].

შ. ამირანაშვილი იზიარებს გ. გობეჯიშვილის მოსაზრებებს და უძველესად თვლის იმ ძეგლებს, რომელზედაც ცენტრალური ცხოველი გამოსახულია არარეალური ნიშნებით. ადრინდელ ჩანას ის აკუთვნებს ხელოვნების მუზეუმის იმ ბალთას, რომელზედაც ფანტასტიკური ირმის გამოსახულებაა რბენის პროცესში აყვრულ ფონზე[15].

---

[13] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237—247.

[14] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

[15] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93—94.

განვითარების შემდეგ ეტაპზე ირმის ფანტასტიკური გამოსახულება ჭარბობს. მხატვრული თვალსაზრისით იგი დიდ ცვალებადობას განიცდის. ბალთების მორთულობაში ირმის თავშებრუნებული გამოსახულება ჭარბობს. ორწყვილად განლაგებულ რქების გაშტოებას ბალთის ზედა არე მთლიანად მოკავებული აქვს. ცხოველის კიაფი მეტად მოხრილი და გადაჭარბებულად დაწვრილებულია; ბალთებზე გამოსახული ფანტასტიკური არსება, როგორც დღემდე ცნობილი ყველა მასალის განხილვიდან ჩანს, თანდათან ცხენის გამოსახულებაში გადადის. ირმის ფანტასტიკური გამოსახულება თანდათანობით ღებულობს ცხენის ატრიბუტებს, ფაფარს, ჩლიქებს, კისერს და განვითარების გვიანდელ ეტაპზე ცხენის გამოსახულება მთლიანად შეცვლის ირემს[16].

აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სრულიად ჩამოყალიბებულ ხელოვნების მხრივ საკმაო ბალალ საფეხურზე მდგომ ბალთებს, აქვე ჰქონოდათ წინაპრები, ქამრის უფრო მარტივი ბალთების სახით. ჩვენ მსჯველობაში გვაქვს ქამრის მრავალრიცხოვანი ბალთები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს ნორის გვხვდება და ძირითადად ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნით ან I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება. მეტად საინტერესოა ქამრის ის აბზინდები, რომლებიც 1914 წელს ყოფილა აღმოჩენილი სოფ. ჯავისთავში (ბორის რაიონი) და ინახება საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში (ინვ. 64 — 14:1) ერთი მათგანი (ინვ. 64 — 14:1) გარემოხაზულობით წარმოადგენს ჯიხვის ძალზე სტილიზებულ გამოხატულებას და ჭვირულია. ჯიხვს მაღლა აწეული თავი აქვს, რქები დიდი, უკან გადაგრეხილი, ბოლო ჩახვეული და გვიანთან შეერთებული, ხოლო კულ-მკერდი გამოზნექილი აქვს; სტილიზებულია მაგრამ ჩანს, რომ წაჩოქილია; ოთხივე ფეხი ჩოკეცილი აქვს და მუცელთან შეერთებული. უკანა ნაწილზე რგოლი და კავი აქვს მიმაგრებული. სიმაღლე—7 სმ (ტაბ. XV, სურ. 2), მეორე (ინვ. 64—14:2) ასეთივეა ოღონდ უფრო პატარა ზომისა[17].

ჩვენ ვფიქრობთ, აღნიშნული და სხვა მსგავსი აბზინდები, რომლებიც სწორედ ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნის ან I ათასწლეულის I ნახევრისაა და თავისი ფორმით ოთხკუთხა, ან კვადრატული წესიერი გარშემოწერილობისა კი არ არის, არამედ სწორედ ამა თუ იმ გარეული ან შინაური ცხოველის სტილიზებულ გადმოცემას (ამა თუ იმ ცხოველთა ფორმის გარშემოწერილობა აქვს) წარმოადგენს, იქნებ საფუძვლად დაედო იმ ნაშვენიერი ბალთების შექმნას, რომლებიც მრავალად ინახება ჩვენს მუზეუმებსა და სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებში. შესაძლოა შედარებით მარტივად ნაკეთებმა ჭვირულმა ბალთამ, რომელიც გარშემო წერილობით ერთი ცხოველის სქემატური გადმოცემაა, დროთა განმავლობაში გარკვეული ევოლუცია — თანდათანობით განვითარება განიცადა და განვითარების გარკვეულ საფეხურზე მან მიიღო წესიერი ოთხკუთხედის ფორმა. ამჯერად იგი გაფორმებისა და შემკობის მხრივ უკვე უფრო რთული ხდება. ბალთას გაუჩნდა ჩარჩო, რომელიც რელიეფური სახეებითაა შემკული. განვითარების ამ სტადიაზედაც ყველავ ფართოდ იყენებენ ჩვენს ტერიტორიაზე ბრინჯაოს კულტურის სიღრმეში, მის აღრეულ ეტაპზე არსებულ შემკულობის მოტივებს, წნულ და სპირალურ ორნამენტებს ჩარჩოს შესამკობად. აღნიშნული სახეების

[16] ნ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 94—95.

[17] არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტომი II, თბილისი, 1955, ტაბ. XXIX$_{ა,ბ}$.

გარდა ბალთათა გასაფორმებლად გამოყენებულია დედალი დუგმისებრი სახვები. ბალთის შიდა მოედანი კი ცხოველთა სახეებითაა გაფორმებული.

თუ ადრეულ ეტაპზე ჩარჩოს მოედანი ნაკლებ დატვირთულია და ფანჯრების აქურულობა თვალში საცემია—თანდათანობით უფრო მოგვიანო სტადიაზე ბალთის მოედანი მთლიანად იტვირთება ცენტრალური და დამატებითი ცხოველების გამოსახულებათა მჭიდრო განლაგებით. მათი ცალკეული ატრიბუტებით და არა სხვა რომელიმე ორნამენტული გამოსახულებით. ამასთანავე, როგორც შემჩნეულია უფრო ადრეულია ის ბალთები, რომლებიც შედარებით პატარა ზომისაა და რომლის ცენტრალური მოედანი თავმობრუნებულ ირემს უკავია და მას სპირალური კომპოზიცია აქვს[18]. შ. ამირანაშვილი მართალია იზიარებს გ. გობეჯიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უადრესია ის ბალთები, რომელთა ცენტრალური მოედანი თავმობრუნებულ ფანტასტიკურ ირემს უკავია. ამავე დროს, როდესაც იგი მაგალითს ასახელებს — ყველაზე ადრეულად თვლის ხელოვნების მუზეუმის იმ ბალთას, რომლის მოედანი ფანტასტიკური ირმის გამოხატულებას უკავია.[19] იგი გამოსახულია რბენის პოზაში, აქურულ ფონზე; ცხოველის მაღლა აწეულ სტილიზებულ კუდზე გამოსახულია ძაღლი მოძრაობის პოზაში. ირმის ორ ნაწილად განშტოებული რქები სტილიზებულია ორმაგი ხვეულებით—ირმის თავი წინაა გაშვერილი და ებჯინება ჩარჩოს და ორადაა გაყოფილი. ცხოველის თავსა და წინა ფეხს შორის მოთავსებულია დუგმის მაგვარი რელიეფური ნიშანი[20]...

ვითვალისწინებთ რა ზემოთ გახხილულ მოსაზრებებს და ჩვენს დაკვირვებას საჩხერის რაიონში აღმოჩენილ ბალთების ნიმართ—ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბალთათა განვითარების სურათი საკმაო მკაფიო შეიმჩნევა. იქ აღმოჩენილ ბალთებს შორის—საჩხერეში აღმოჩენილ ბალთებს შორის ოთხია ისეთი ეგზემპლარი, რომელთა ცენტრალური მოედანი სხვადასხვა პოზაში მყოფ ირმის ფანტასტიკურ გამოსახულებას უკავია.

სტილისტური და შინაარსობრივი განვითარების მიხედვით აქაც ამკარად ყველაზედ ადრეული უნდა იყოს პატარა ზომის (თითქმის კვადრატული) ის ბალთა, რომლის ცენტრალური მოედანი დაკავებულია ირმის ფანტასტიკური გამოსახულებით. ცხოველს გრძელი, ვიწრო წელი და უკან მობრუნებული თანდათან გაწვრილებული კისერი აქვს. ბალთა ხშირფანჯრიანია—კისრისა და თავის ზემო ნაწილი არაჩვეულებრივ სტილიზაციაქმნილ რქათა რამდენიმე განშტოებას დაუკავებია, ხოლო მუცლის ქვეშ თავისუფალი არე ფრინველის სქემატურ გადმოცემას უკავია. ეს ცხოველი სინამდვილიდან შორსაა, იგი დაცილებულია რეალური არსებისაგან—ნამდვილი ირმისაგან.

ბალთათა განვითარების შემდგომი საფეხური უნდა იყოს სამი ბალთა (სოფ. არგვეთიდან, სოფ. ჭალიდან და სოფ. ქორეთიდან), რომელთა ცენტრალური მოედანი აგრეთვე ირემთა ფანტასტიკურ გამოსახულებებს უკავია და რომლებიც განსხვავებულია წინაღწერილი ბალთის გაფორმებასთან შედარებით. ამ ბალთების ცენტრალური მოედანი ნაკლებშვირეულია და მოედანიც არა ორი ცხოველის, არამედ ორ შემთხვევაში ოთხი, ხოლო ერთ შემთხვევაში სამი ცხოველის გამოსახულებას დაუბერია—შეუვსია. ცხოველის კისერი, თა-

[18] ა). გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 237, ბ) შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[19] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. 61.

[20] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

ვი და რქებიც შედარებით რეალისტური. კისერი მოკლეა და თავიელი წინ მიმართული, ხოლო რქები ერთ შემთხვევაში სამად განშტოებული, ხოლო მეორე შემთხვევაში ორად განშტოებულია, რომლებიც შემდგომ იტოტება და რგოლებით მთავრდება. აღნიშნული ბალთების გაფორმებაში დიდი სხვაობა არა ჩანს, ყოველ შემთხვევაში ცენტრალური ცხოველები თითქმის ერთნაირია, ცალკეული დეტალების განსხვავება იმაშია, რომ სოფ. ქორეთის ბალთის ცენტრალურ ცხოველს გრძელი და ეიწრო წელი აქვს შედარებით არგვეთის ბალთის ცენტრალურ ცხოველის წელთან და რქებიც ქორეთის, და ჭალოს ბალთის ცენტრალურ ცხოველს ორი აქვს, ხოლო არგვეთისას—სამი. ასევე განსხვავება ამ ბალთებს შორის ის არის, რომ ს. ქორეთის ბალთის ცენტრალური ცხოველის მუცელ ქვეშ ფრინველია, წინ კი სპირალური გამოხატულება. ს. ჭალის ბალთაზე ფრინველია, როგორც მუცელ ქვეშ აგრეთვე წინ, ხოლო არგვეთის ეგზემპლარს ცენტრალური ფიგურის მუცელ ქვეშ და წინ ერთნაირი ცხოველები — ძაღლებია გამოყვანილი. ჩვენ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეგვიძლია აღნიშნულ ბალთებზე — შესაძლოა ისინი ერთი განსაზღვრული პერიოდისა იყოს.

ადრეული სტადიისათვის დამახასიათებელი ბალთის დეკორატიულ-მხატვრული გაფორმება და არა სინამდვილის რეალური ასახვა გვიანდელ საფეხურზე ადგილს უთმობს არსებული სინამდვილის ასახვის ცდას, განსაკუთრებით ეს ეტყობა იმ ბალთებს, რომელზედაც გამოხატულია ცხენი კვიციოთურთ[21].

საჩხერის რაიონში აღმოჩენილი ბალთებისგან ორი გაფორმებულია ცხენის გამოსახულებით — ორივე შემთხვევაში ბალთის ცენტრალური ფიგურა ცხენია და მუცლის ქვეშაც კვიცია გამოყვანილი. მაგრამ ამ შემთხვევაში ს. ქორეთის ეგზემპლარის ცენტრალური ფიგურა და მისი ცალკეული ნაწილები რეალისტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. საჩხერის ეგზემპლარს, ჩვეულებრივ კუდთან ერთად, შემორჩენია მეორე კუდი, რომელიც ზურგისკენ უხვევს, ზურგის პარალელურად მიემართება და ხვიათი მთავრდება (ადრეული სახეებისათვის რომ არის დამახასიათებელი).

ს. სპეთში (ორა ხევაში) აღმოჩენილი ბალთა, რომელზედაც ხარის ქანდაკებებია აღბეჭდილი ძნელი სათქმელია განვითარების რომელ საფეხურს მივაკუთვნოთ, ადრეულია იგი თუ გვიანდელი. გ. გობეჯიშვილი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გადაჭრით არაფერს ამბობს ამ ტიპის ბალთების შესახებ. მას შესაძლებლად მიაჩნია. იგი ნოთაესდეს ბალთათა განვითარების მე-2 ჯგუფში. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ, ზოგჯერ იმ ბალთებზე, რომლის ცენტრალური ფიგურა ირემს გამოხატავს, ხოლო თავი წინ აქვს მიმართული, ცენტრალური ფიგურის გავის ზენო ნაწილზე ხარის თავია გამოხატული. ასე, რომ ხარის თავის გამოსახულება ბალთის ადრეულ სახეებზე გვხვდება. იმ ბალთებს, რომელთა ცენტრალური მოედანი ხარის ქანდაკებებს უკავია, ხარის ქანდაკებები თავქვაბრუნებულია, ისევე როგორც ადრეულ ბალთებზე ირმის თავები.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოლხური მონეტების მრავალი ეგზემპლარი მშვენიერად გამოსახული ხარის თავებითაა შემკული. ამავე დროს თუ თვალს გადავავლებთ საერთო არქეოლოგიურ მასალებს, ხარის ქანდაკებები, ხარის გამოსახულებები, ცნობილია ძველთაგანვე. იგი გვხვდება ცალკეული გამოსახულებების სახით ენეოლითის პერიოდში, მაგრამ ამჯერად იგი ნაკეთებია

[21] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

თიხისაგან. ხარის თავის ან ხარის ქანდაკებები ლითონის განვითარების როგორც ადრეულ, ისე მომდევნო სტადიაზე საკმაო რაოდენობითაა ცნობილი.

ამჯერად არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ზემოლისის სამაროვანზე აღმოჩენილი კოლხური ტიპის ცულთა ერთი სახეობა, რომლის ყუის ამკობს მასზე აღმართული ხარია ქანდაკება. იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები თარიღდება ძვ. I ათასეულია პირველი ნახევრით[22] და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნის ან ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური მასალები, განსაკუთრებით კოლხური ცულები, მათ შემქმნელ ხელოსნებს შეუმჩნია ქანდაკებებით, რომლებიც ყოველთვის რეალისტურია. თუ ხელოსანს მტაცებელი ცხოველი უნდოდა გადმოეცა, იგი უთუოდ ნამდვილად გამოობატავს ან ჯიქს, ან კატის ოჯახის სხვა მტაცებელს. ანდა იგი ცულის ყუაზე აღმართავს ხარის, ცხვრის ან ძაღლის ქანდაკებებს[23]. რაც შეეხება ცულების შემკობას გრაფიკული გამოსახულებებით, ამ შემთხვევაში ფანტასტიკური ცხოველების გვერდით გვხვდება რეალისტური გამოსახულებები. არა მარტო ამ ეტაპზე (ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდში), არამედ შუა ბრინჯაოს პერიოდში ცულები ხომ ჯიხვის ან ცხვრის თავების ქანდაკებებითაა შემკული? ასეთი სურათი თუ გვაქვს ბრინჯაოს აყვავების პერიოდში ან ეფერო ადრეულ ხანაში, არ არის გამორიცხული, რომ უფრო მოგვიანო პერიოდში ერთ და იმავე დროს ბრინჯაოს ქამრის ბალთების შემკობა ხდებოდა, როგორც შიხაური ცხოველებით, ისე გარეული ცხოველებით, როგორც რეალისტურად შესრულებული გამოსახულებებით, ისე ფანტასტიკური გამოსახულებებით. ამდენად შესაძლებელია ყელზოღერგებული ეკანმობრუნებული თავიანი ირმის ქანდაკებიანი ბალთის გვერდით მაშინდელი ხელოსნები ქმნიდნენ აკეთებდნენ ხარის ქანდაკებებით (რომლებსაც აგრეთვე თავი მობრუნებული აქვთ) გაფცრომებულ ქამრის ბალთებს.

ქამრის ბალთების, სახესხვაობათა თარიღის დადგენა ჩვენ ხელთ არსებული მასალებია მიხედვით ძნელი ხდება.

მართალია, ამ მხრივ რამდენადმე მდგომარეობას გვიმსუბუქებს ბრილისა და შოშვეთის სამაროვანზე აღმოჩენილი კომპლექსები, რომელთა შორის ქამრის ბალთებიცაა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნული ბალთების თარიღზე—მაგ. ითითეული სახის დათარიღებაზე. პროფ. ბ. კუფტინი იხილავს რა ქამრის ბალთების თარიღის საკითხს, მათ გვიანი ელინისტური და რომაული ეპოქით ათარიღებს, მიუთითებს რა იმაზედ, რომ ბალთების თარიღის გადაწევა ძნელია ძვ. წ. I საუკუნის იქით. იგი მანგლისის ბალთებს მათი თანამხლები ინვენტარით ამავე დროით ათარიღებს[24]. ბ. გობეჯიშვილი თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში ყველა ტიპის ბალთების ზოგად თარიღს ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისით იწყებს,

[22] ო. ჯაფარიძე, სამხრეთ-ოსეთის 1951 წლის არქ. კვლ. ანგარიში.

[23] შ. ამირანაშვილი, თავის წრომაში ქართული ხელოვნების ისტორია 1, გვ. 93 აღნიშნავს, რომ ბალთების შედარებითი ისტორიულ-მხატვრული შესწავლა ადასტურებს, რომ უძველესია ის ძეგლები, რომლებზედაც ცენტრალური ცხოველი გამოსახულია არარეალურ ნიშნებით. ქართული სახვითი ხელოვნების მასალების შესწავლა ადასტურებს, რომ ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდში ჭარბობს ცხოველთა გამოსახვა არარეალური ატრიბუტებით. ბრინჯაოს სარტყელთა მოჭედილობაზე და აგრეთვე კოლიერ-ყიბარეულ ცულებზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები ძოძრავ ბოხაში.

[24] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 26.

ხოლო ძისი ზედა ქრონოლოგიური საზღვარი დაჰყავს ახ. წ. III საუკუნის გასულამდე[25].

არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ქამრის აეტრული ბალთების მარტივი სახეები ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისებს მის პირველ ნახევარს უნდა ეძთხეოდეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ბალთები, რომლებიც მოხაზულობით უშუალოდ ცხოველს წარმოგვიდგენს. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ასეთი მარტივი ბალთები უფრო მოგვიანო პერიოდშიაც აგრძელებს არსებობას. რაც შეეხება იმ ბალთებს, რომელთა ცენტრალურ მოედანზე წარმოსახულია ფანტასტიკური ცხოველთა სხვადასხვა ვარიანტი, ზოგჯერ ერთ და იმავე ცხოველთა სხვადასხვა ფორმით გადმოცემა, მათი თანდათანა განვითარებისადმი თვალყურის მიდევნება, უადრესი და ძომდევნო სახეების ერთმანეთისგან გარჩევა, რამდენადმე მაინც ხერხდება, მაგრამ ყოველ ამ სახეობათა ცალკე ეიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში ნოთავსება ძალზე ძნელდება სათანადო მასალების უქონლობით. ჩვენ მაინც გვგონია, რომ აღნიშნული ბალთების არსებობის ხანა ძვ. წ. უკანასკნელი მეოთხედისა და ახალი წ. აღრ. საწყისს საუკუნეებს უნდა ეოიცავდეს.

[25] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური ვათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 106.

თავი მეექვსე

ლომის თავის ქანდაკება ქვისა

ლომის თავის ქანდაკება კირქვისაგანაა ნაკეთები[1] (ნაპოვნია შემთხვევით საჩხერის რაიონის სოფ. საირხეში, სკოლის დირექტორ გ. გელბახიანის მიერ, მუზეუმში პროფ. ბ. კუფტინის მიერაა მოტანილი). შესაძლოა თავი მთლიანი ცხოველის ქანდაკების ნაწილია (რომელიც ჯერჯერობით არ არის მიკვლეული) და არა ცალკე გაკეთებული. ამაზე მიუთითებს რიგი მომენტებისა: თუ თავის მარცხენა მხარე შემორახულია დაახლოებით პირვანდელი სახით (როგორც იგი ხელოსანს გაუკეთებია), უკანა ნაწილი ჩამომტვრეული ჩანს; ქანდაკების საყრდენზე „ფუძეზე" დაკვირვება იმაზედ მიგვითითებს, რომ მასზე აღტვრეულია დიდი ნაწილი. ეს აშკარად შეიმჩნევა ქანდაკების მარჯვენა ნაწილისა და მისი საყრდენის ამჯერად არსებული მდგომარეობით. მარჯვენა ნაწილი ქანდაკებისა იმდენად დაფერდებულია, რომ მარცხენასთან შეფარდებით 3—3,5 სმ-ით დაბალია (და ამდენად დამრეცი), ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ეს ნაწილი (მარჯვენა) თავისა ვერტიკალურადაც დაზიანებულია და ნაკლული მთელ სიგრძეზე.

ქანდაკება სქემატურია, მისი მარცხენა ნაწილი, რომელიც რამდენადმე პირვანდელ სახეს ინარჩუნებს შესანიშნავადაა ორნამენტირებული. ნესტო კარგად არის გამოკვეთილი და იგი ოთხწახნაგა პრიზმის ფორმას გვაგონებს. ნესტოს სიმაღლე—4,5 სმ, სიგრძე—5,0 სმ, სიგანე ქვევით 1,4 სმ, ზევით 1,6 სმ, მაგრამ აქვე შეიძლება ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება: როდესაც ხელოსანი ნესტოს უკეთებდა ქანდაკებას, მას ზემო ნაწილში—(1,40 სმ სიმაღლეზე), როგორც ჩანს, ძალიან გაგანიერებია იგი (სიგანეს—2,2 სმ-მდე მიუღწევია), ამიტომ იქ შეუწყვეტია ვერტიკალურად ჭრა, კუთხე გაუკეთებია, რამდენადმე სიღრმეში (დაახლოებით 0,5 სმ) გადაუნაცვლებია და შემდეგ ისევ ვერტიკალურად აღუმართავს ნესტოს მიმართულება. ნესტოს ქვედელი ნაპირისაკენ საკმაოდ სქელია და გამოკვეთილი. მასზე რამდენადმე გადაცილებულია გარე ნაწილი. თვალის ადგილას ძალიან ღრმა ცილინდრული ფოსოა (სიმაღლე 3,5 სმ), დიამეტრი 3,0 სმ. თვალის ქვემო ნაწილი სადაა, გაშლილია, რამდენადმე წინ და ქვემოთ საკმაოდ მოზრდილი განიერი ამობურცულობაა, საერთოდ მარცხენა მხარე შემკულია რელიეფური ზოლების სამი მწკრივით. ერთი მათგანი წინა ნაწილზეა; იწყება საყრდენიდან (ფუძიდან) და აღწევს შუბლამდე, ზოლები ჰორიზონტალურადაა განლაგებული, ქვემოთ უფრო გრძელებია, შუბლისაკენ

[1] გეოლოგიური მონაცემების მიხედვით ამგვარი კირქვები გავრცელებულია ზემო იმერეთში, რაჭაში. კერძოდ მრავლად გვხვდება ალვანი კირქვების ქანები საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში და ისინი ასაკით ე. წ. ცარცულ პერიოდს განეკუთვნება.

მცირედ, მაგრამ თანდათან მოკლდება, ხოლო ზემო ნაწილზე ისინი მთელ შუბლს გადასდევს; მეორე მწკრივი, რომელსაც ერთ მხარეზე წიბური, ხოლო მეორე მხრიდან ღარი ფარგლავს, იწყება ისევ ფუძიდან, მიემართება ზემოთ,



სურ. 26. ლომის თავის ქანდაკება (პირდაპირ).

რკალურად, მწკრივში თითქმის თანაბარი სიგრძის ზოლებია, ვიდრე დაუახლოვდებოდეს თვალს, თვალის მახლობლად ისინი თანდათან მოკლდება და ბოლოს ქრება. უკანასკნელ (მესამე) მწკრივს (?) მეორისაგან გამოყოფს ღარი —



სურ. 27. ლომის თავის ქანდაკება (პროფილში)

იგი საკმაოდ დაზიანებულია, დაბრეცადაა გაკლებული, მაგრამ უკანასკნელი მწკრივის ზოლები გრძელი უნდა ყოფილიყო, რომლებიც შუბლიდან მომდინარე ხანს და კისრისაკენ ნიემართება. ამრიგად, ქანდაკების მარცხენა მხარის ან

ნაწილია სადა, რომელიც თვალს ესაზღვრება და მომეტებით ბის ქვემოთაა, ხოლო წინა, უკანა და შუბლის ნაწილი მშვენივრადაა ორნამენტირებული რელიეფური სწორხაზობრივი ზოლებით; იგი, როგორც ჩანს ლომის „ფაფარის" გადმოცემაა და იმდენად კარგადაა დამუშავებული ეს ორნამენტი, რომ ძნელია ერთიმეორისაგან გაარჩიოთ თითოეული ზოლი. საკმაო სიზუსტითაა მათ შორის პროპორციულობა დაცული და საკმაოდ ფაქიზი ხელოვნებითაა შესრულებული.

როგორც ჩანს, ქანდაკების მარჯვენა მხარე ძალზე დაზიანებულა, დროთა განმავლობაში თანდათან დაშლილა ამ მხარეზე ორნამენტი და შესაძლოა აქაც ნამომტვრეულიც იყოს. ნესტო აქაც ისეთივეა, როგორიც მარცხენაა, მაგრამ მას არ გააჩნია ისეთი „ჩარჩო", როგორიც მარცხენა ნესტოს გააჩნდა, თვალიც დაზიანებულია. ნესტოებს ერთმანეთისაგან აყოფს სოლური კედელი, ზემოთ შედარებით სქელი და ქვემოთ თანაბრომიერად და თანდათან გათხელებული. მარჯვენა ნესტოსა და თვალს შორის ფანჯარაა (ალბათ დაზიანების შედეგად). უნდა ვივარაუდოთ, რომ თვალის ღრმა და საკმაო დიამეტრის მქონე ფოსოში ჩასმული იყო თვალი—რაღაც ნივთიერება, რომელიც ამოვარდნილა დროთა განმავლობაში. ისე, როგორც თვალი, შესაძლოა ნესტოც რამდენადმე ინკრუსტირებული იყო. ქანდაკების დაზიანების გამო ძნელია თქმა, თუ როგორი დამუშავებული იყო კისერი, ქეჯა ყბა და თავის სხვა ნაწილები (ტაბ. XVI, სურ. 1, 2, ან სურ 26, 27).

ამრიგად, სოფ. საირხეში 1951 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ლომის თავის (არასრული) ქანდაკება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლია ხელოვნების თვალსაზრისით. იგი უთუოდ საკმაოდ დახელოვნებული სკულპტორის ნიერაა ნაკეთები. ამაზე მეტყველებს მშვენივრად გამოკვეთილი თავი და საოცაროდ და უაქიზად შესრულებული ორნამენტი, რომლითაც გაფორმებულია ქანდაკება.

როგორც ცნობილია, საქართველოს ფაუნა არ იცნობს ლომს, თითქმის არ არის ცნობილი გაბათხარ მასალებითაც ამ საშიში მტაცებლის ნამთები (ჩონჩხი), თუ არ მივიღებთ მხედველობაში პალეოლითურ სადგომებში (ოღვინევი, საკაჟია და სხვა) აღმოჩენილ ლომის ძვლებს. არ გვაქვს ეჭვი ამ წარმომადგენელის არც ქანდაკებანი და არც ეროვნული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით შუა ბრინჯაოს პერიოდამდე. ამ მხრივ ჩვენი ტერიტორიისათვის ყველაზე ადრეულია ლომთა ის გამოსახულებანი, რომლებიც თრიალეთის შუა ბრინჯაოს პერიოდის მდიდრული ყორღანიდან წარმომდგარ, ოქროს ხორვაზეა გამოსახული. მასზე ორი წყვილი ლომის რელიეფური გამოსახულებანია წყვილ-წყვილად ერთმანეთისაკენ მიქცეული, ისინი სტილიზებულია პროფილში, ორი მარჯვნივ და ორიც მარცხნივ, ყველა ზუსტად ერთნაირი ეანრით გამოყვანილი (ტაბ. XVI სურ. 3) პირდაღებულია და კუდაწეული.[1] უფრო მოგვიანო პერიოდის მასალებისგან პირველ რიგში აღსანიშნავია ე. წ. ადრეული რკინის ხანის დროინდელი სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ავრეთვე აღმოჩენილია თრიალეთში ბეშთაშენ საფარ-ხარაბას ვაზაზე, გათხრილ ქვაყუთის ტიპის № 34 სამარხში[2]. იგი

[1] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში.
[2] დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXVI

ოკანის დანის ტარის „ბუდეში“ უნდა იყოს, როგორც ამის შესახებ მიუთითებს ბ. კუფტინი[4].

ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში საკმაოდ მრავლდება ლომის გამოსახულებები არქეოლოგიურ მასალებში და ეს უმთავრესად გვხვდება სამკაულების შესამკობად, გვხვდება მონეტების გასაფორმებლად და სხვ. იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება ბრინჯაოს ისეთი სამაჯურები, რომელთა თავები ლომის თავთა სტილიზებულ გადმოცემას წარმოადგენს. ბრინჯაოს სამაჯურთაგან ამ მხრივ დამახასიათებელია ბალაკლუს (იგდირის მახლობლად) პეტროვის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად რომ არის მოპოვებული (ინვ. 30—14) და თარიღდება ძვ. წ. I ათასეულის I ნახევრით. სამაჯურის თავები თითქმის ყოველთვის უხეშია და ძალზე სტილიზებული.

ლომის გამოხატულებით ყურადღების იმსახურებს ყოლხური მონეტების ერთი სახეობა. მონეტებზე სხვადასხვა პროფილშია ლომის თავები წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში თავი მარცხნივ პროფილშია და ივი მეტისმეტი გაბრაზებული ჩანს. პირი დაღია და საშიში გამომეტყველება მიეცა. ენა გადმოგდებული აქვს, ყბილები და განსაკუთრებით ეშვები საკმაოდ მკვეთრად მოჩანს. თვალებიც დაბრიალებულია და ამდენად კიდევ უფრო აძლიერებს მხეცის მძაფრ და გაკაფთრებულ გამომეტყველებას. წარბები აბურძგლია. მეტად საინტერესოა ლომის ფიფარი, რომელიც ამ რიგადაა განლაგებული. თითოეული ზოლი არათანაბარი სიგრძეა, მოკლე რელიეფური ხაზების მწკრივს შეიცავს. მეორე შემთხვევაში ლომის თავი გვხვდება მარჯვენა პროფილში, მხოლოდ ივი ზუსტად იმეორებს ლომის გამოხატულების იმ დეტალებს, რომელიც მარცხენა პროფილში მყოფ ლომის თავს ახასიათებს (ტაბ. XVI სურ. 4, 8), ნოეტაზე გვხვდება აგრეთვე ლომი მთელი ტანით, ოღონდ მობრუნებული თავითა და პირდაღებული იმგვარად, როგორადაც ზემოთ აღწერილ პროფილში მყოფ ლომის თავების დეტალებისათვისაა დამახასიათებელი. ამის ერთი შემთხვევა, როდესაც ლომის თავი მონეტაზე პირდაპირია, თუმცა სტილისტურად ივი ახლო დგას ზემოთ აღწერილ მონეტებთან, რომლებზედაც ლომის თავებია გამოსახული. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სწორედ სანზერის ლომის თავის გასაფორმებლად გამოყენებული ორნამენტი, ძალზე მსგავსია მონეტაზე გამოსახული ლომის უაფრისა.

აღნიშნულ მონეტებს ნუმიზმატი დ. კაპანაძე ძვ. წ. VI—V საუკ. ათარიღებს[5].

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ახალგორის განძიდან ოქროს აბეურული ყელსაბამი, რომელიც რთული შემადგენლობისაა. ყელსაბამის I რიგი 33 ორშიგი ოქროს მძივისაგან შედგება. მძივები ერთმანეთზეა მიმაგრებული (მორჩილული). ორშაგ მძივებზე მიმაგრებულია ხუთ სართულად განლაგებული საკიდებისა და მძივების წყება. I წყებაა ოქროს რგოლები, რომელზედაც გამობმულია ვიწრო ოთხკუთხა ფირფიტები; ფირფიტების ქვედა ნაწილზე რგოლებია, რომელზედაც ორი ყუნწით გამობმულია საკიდი ოქროსი (ასეთი თერთმეტია), ბრტყელი და გახიერი, ივი დაჭეტილია და გამოხატავს ლომის თავებს პროფილში მარჯვნივ და ისინი ძალზე სქემატურია[6].

[4] იქვე, გვ. 65.

[5] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა.

[6] Смирнов Ь. И., Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, таб. 21, рис. 5.

კიდევ შეიძლებოდა ჩვენი ტერიტორიიდან რამდენიმე მაგალითების მოყვანა მაგრამ აღარ გავაგრძელებთ—აღვნიშნავ.ი მხოლოდ იმას, რომ თუ ჩვენთან ლომის გამოსახულების გამოჩენა ემთხვევა ბუა ბრინჯაოს პერიოდს, წინა აზიის უძველეს სამყაროში ლომის ქანდაკებანი, ლომის გამოხატულებანი უძველესი დროიდან გვხვდება ვითარცა სიმბოლო ძლიერებისა და საერთოდ ლონიერების ნიშნისა და ხშირად ღვთაების სახითაც წარმოდგენილი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ეგვიპტის ძველი სამეფოს პერიოდში (2980—2475) გრანიტისაგან ნაკეთებმა ლომის თავის ქანდაკებამ, რომელიც დაცულია ქაიროს მუზეუმში[1]. ლომი პირდაპირ იცქირება, ცხვირი რელიეფურია და მშვენიერადაა გამოკვეთილი, თვალები საკმაოდ ჩაღრმავებულია, საკმაო სიზუსტითაა გადმოცემული ცხოველის წარბები, ყურები აცქვეტილი აქვს, ხოლო ყელზე ფაფარი ტალღისებურად აქვს განლაგებული. აღნიშნული ქანდაკება თავის დროზე ეგვიპტეში ე. წ. მზის ტაძარ Hiyceppa-ში ყოფილა დადგმული. ეგვიპტეში უფრო მოგვიანო პერიოდშიც ჩანს ასეთი ქანდაკებები. შესანიშნავი ქანდაკება ლომისა მჯდომარე პოზით ცნობილია ამენხოტეპ III ტაძარიდან, რომელიც ამჟამად ინახება ბრიტანეთის მუზეუმში[2] და ეკუთვნია ეგვიპტის იმპერიის I პერიოდს (1580—1350).

ლომის ქანდაკებებით მდიდარია აგრეთვე აპენინის ნახევარკუნძული, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილის მცხოვრები ეტრუსკები, რომლებიც აქ დასახლებულან ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და როგორც ფიქრობენ მცირე აზიიდან უნდა ყოფილიყვნენ მოსულნი[3].

ეტრუსკები მაღალი ხელოვნების მქონე ხალხი ყოფილა და ხელოსნებს ბრინჯაოს ორა ერთი და ორი ქანდაკება შეუქმნიათ, მათ შორის შესანიშნავი ხელოვნებითაა ნაკეთები ბრინჯაოს ლომის თავი, რომელიც მთლიანი ლომის ქანდაკების ნაწილია და თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულით. ლომი პროფილშია მარჯვნივ, პირდაღებულია და ბაიფურებული ჩანს. პირდაღებულ ლომს ენა გადმოგდებული აქვს, ეშვები მკვეთრადაა გამოშვერილი, თვალიც საკმაო მკვეთრად გამოიყურება (დაბრიალებულია). მთელი კისერი დაუბრუნია ტალღისებრად განლაგებულ ვიწრო ხაზებისაგან შემდგარი ზოლებით[10].

მრავლად გვხვდება ლომის სკულპტურული გამოსახულებანი მესოპოტამიის მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის უძველესი პერიოდიდან დაწყებული. შესანიშნავი ხელოვნებით ყოფილა შესრულებული ლომის ის ქანდაკება, რომელიც ასურელ საღვთო ტაძრის ნინურტას შესასვლელთან ყოფილა დადგმული[11]. ლომი მდგომარე პოზაშია, წინა ფეხები მიდგმულია ერთმანეთთან, უკანა მარცხენა ფეხი წინ აქვს გადადგმული. პირი გაღებული აქვს და გაბრაზებული ჩანს. შუბლიდან ქვედა ყბამდე რელიეფური ხაზოვანი ზოლების მწკრივია გამოყვანილი. ასევე საინტერესოა, კედლის რელიეფური გამოხატუ-

[1] Брестед Д. Г., История Египта с древнейших времен до персидского завоевания, том 1, Москва, 1915, გვ. 57 და 112, სურ. 57.

[2] Брестед Д. Г., დასახ. ნაშრ., ტომი II, გვ. 42, სურ. 133.

[3] Государственный Эрмитаж., Путеводители по выставкам, Культура и Искусство Античного Мира, Москва, 1956. გვ. 54.

[10] დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIX, სურ. 2.

[11] Древний Восток, составил И. Л. Снегирев под редакцией Акад. В. В. Струве, Ленинград, 1937, таб. 144.

ლება მკვდარი და მომაკვდავი ლომებისა ნინევიის სასახლის დარბაზიდან, სადაც გამოსახულია მეფის ნადირობა[12].

ქვისაგან ნაკეთები ლომის ქანდაკებები მრავლად გვხვდება აგრეთვე ხეთურ სამყაროდან. ჩვენ დავასახელებთ ერთ მათგანს. ლომის სკულპტურა შესანიშნავი ხელოვნებით ნაკეთები და აგრეთვე პირდაღებული-ზენდეირლის კარებთან ყოფილა გაკეთებული[13].

მრავლადაა აღმოჩენილი ლომის სკულპტურული გამოსახულებანი ურის არქეოლოგიური გათხრების დროს. იგი გვხვდება ბრინჯაოს პერიოდის ლურისტანის არქეოლოგიურ ძეგლებს შორისაც. აბრიგად, უდავოა, რომ ლომის ქანდაკებათა წარმოქმნის საშშობლო ძველი აღმოსავლეთია, წინა აზია, სადაც უძველესი პერიოდის ძეგლებს შორის ვხვდებით, როგორც თვით ქვის სხვადასხვა ქანებისაგან ნაკეთებ ლომის ქანდაკებებს, აგრეთვე მათ რელიეფურ გამოსახულებებს სასახლის კედლებსა თუ შესასვლელებთან. მრავლადაა ამ მტაცებლის ბრინჯაოსაგან ნაკეთები ქანდაკებები და ხშირად ძვირფასი ლითონისა თუ ბრინჯაოსაგან ნაკეთებ სამკაულებს ამკობდა ლომის გამოხატულებები. ლომის ქანდაკებანი ასე მრავლად გავრცელება წინა აზიის ძველ სამყაროში არ არის გასაკვირველი, რადგან იგი (ლომი) სწორედ ამ სამყაროს მკვიდრია და ფსიქიურად უდიდეს გავლენას ახდენდა იქ მცხოვრებ ადამიანებზე, როგორც უძლიერესი არსება. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ სამყაროში ლომის ქანდაკებებს უმეტეს შემთხვევაში რელიგიურ-სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ზოგ შემთხვევაში იგი წარმოდგენილი იყო ღვთაების სახით, ზოგჯერ ძალისა და ძლიერების სიმბოლოდ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლომის ქანდაკებები ხშირად დადგმული იყო ტაძარში ანდა იგი წარმოადგენდა სასახლეებში უმთავრესად კედლის რელიეფურ მხატვრობას, ან სასახლის ეზოში ან სასახლეში შესასვლელებთან, ქანდაკებების სახით. ზოგ მხარეში (ეტრურია) ლომის ქანდაკებას დგამდენ სამაროვნის შესასვლის წინ; ლომი, უძველესი ადამიანის წარმოდგენით ამ მხარეში, იცავდა მიცვალებულის ნეშტს[14].

ლომის ქანდაკებების ან მათი გამოსახულებების გავრცელება ჩვენ სამყაროში (ჩვენი ხელოსნების მიერ ლომის სკულპტურული, რელიეფური თუ გრაფიკული გამოსახულების რეალისტურად გადმოცემა საკმაოდ ძველ დროში შუა ბრინჯაოს პერიოდიდან) შესაძლოა, შედეგია იმ ურთიერთობისა, რაც ჩვენი ქვეყნის უძველეს მცხოვრებლებს ახლო აღმოსავლეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან ჰქონდათ უძველესი პერიოდიდან მოკიდებული. არა მარტო ბრინჯაოსა და ანტიკურ ხანაში, არამედ უფრო ნოგვიანო პერიოდში ფეოდალურ ხანაში—ტაძრებზე ხშირად გვხვდება ლომის გამოსახულებანი. ზოგიერთ კუთხეში ტაძრებში „დასვენებული" ყველაზე უძლიერესი ხატები ლომის სახელს ატარებდა. როგორც ეთნოგრაფმა ნ. რეხვიაშვილმა გადმოგვცა, მთიულეთში უძლიერეს ხატს ლომისა ერქვა. გურიაში—შუასურების

[12] დასახ. ნაშრომი, ტაბ. 153—157.

[13] დასახ. ნაშრომი, ტაბ. 191,2.

[14] Государственный Эрмитаж, путеводитель по выставкам, გვ. 55.

ტაძარში დასვენებულ ხატს ლომის კარელი ერქვა. როგორც გადმოგვცემენ იგი მიჰქონდათ ადგილიდან ადგილზე დასაფიცებლად—სიმართლის დასადგენად და ვინც წაიღებდა 5 მანეთი უნდა გადაეხადა. ამრიგად, ლომი როგორც ძლიერი არსება ჩვენს ქვეყანაშიც ყოფილა უძველეს დროიდან სიმბოლიური და საფასეველებელი არსება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ქანდაკება უნდა იყოს იმ ტაძრიდან, რომელიც სოფ. საირხეში ითხრება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მიერ და როგორც ფიქრობენ თარიღდება დაახლოებით ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით.

თავი მეშვიდე

სოფ. ქორეთის და საჩხერის სხვა ადგილებში შემთხვევით აღმოჩენილი ძვირფასი არქეოლოგიური ნივთები

სოფ. ქორეთში, შარვაძეების უბანში, 1952 წელს მიწის ბარვის დროს აღმოჩენილა შუბისპირი ბრინჯაოსი. შუბისპირი გრძელმასრიანია, მასრას შეუკვრელი მილის მოყვანილობა აქვს, გახსნილობა ბოლოსაკენ მეტია, პირიაკენ იგი თანდათან ვიწროვდება და პირის დასაწყისში მასრა შეკრულია. ფრთებს შორის მოქცეული მილი, რომელიც სატარის გაგრძელებას წარმოადგენს, ორწახნაგა ამაღლებული ქედის სახით გაუყვება პირს, რომელიც წვერისაკენ თანდათან დაბლდება. მასრის ბოლოზე ორი სამსჭვალი აქვს. მხრები დაკანონებულია, ფრთები ოდნავ მორკალული. მასრა შუაზე გადატეხილი, ცალი ფრთაც დაზიანებულია. შუბის ქიმიური შედგენილობა ასეთია: სპილენძი—(Cu)—91,6%, დარიშხანი (As)—6,4% (ტაბ. 17, სურ. 1 ან სურ. 2).

ქვემოთ აღწერილი ბრინჯაოს ნივთები აღმოჩენილია სოფ. ქორეთის სხვადასხვა უბანში.

ისრის პირი ბრინჯაოსი (სურ. 29). სკვითური ტიპისა, ორფრთიანი, მრგვალმასრიანი, მასრაზე კეი აქვს. სიგრძე—3,9 სმ (ტაბ. 17, სურ. 3).

ისრის პირი ბრინჯაოსი სკვითური ტიპისა, აბზაანაგა პირამიდული (სამფრთიანი). მრგვალმასრიანი, სიგრძე—2,5 სმ (ტაბ. 17, სურ. 2).

ფიბულა ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი ორწილადი, მშვილდი ნელისებურად აქვს მორკალული, შუაში შედირებით მსხვილია, ნაპირებისაკენ თანდათან წვრილდება. ენის ბუდე დიბრტყელებულ და მოღუნულ მშვილდის ბოლოს წარმოადგენს, რომელშიაც მყარად ჯდება ნემსის წვერი; მრგვალგანიკვეთიანი ნემსის ბოლო ნაწილი რამდენიმე წყებადაა დახვეული მშვილდზე; ფიბულა სადაა, სიგრძე—4,3 სმ (ტაბ. XVII, სურ. 6).

ბრინჯაოს ნივთი (ტაბ. XVII, სურ. 4). იგი ჭირისა და წელის მოყვანილობის მიხედვით კოლხური ცულის იმიტაციი უნდა იყოს. სატარე ნაწილის ადგილას წინა და უკანა ნაწილისაკენ მრგვალი შვერილებია „ყუა" მრგვალია. სიგრძე—3,0 სმ.

რგოლი (?) ბრინჯაოსი წვრილი მავთულისა (ტაბ. XVII, სურ. 5). თავები ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებულია და გახვრეტილია, სადაა (შუაზე გატეხილია).

საჩხერის რაიონიდანაა ოვრეთვე ფიბულა ბრინჯაოსი (მაგრამ სად, რომელ ადგილას ან რა პირობებშია აღმოჩენილი პროფ. ბ. კუფტინის საველე ჩანაწერების მიხედვით, არ გაირკვა).

იგი შესანიშნავი ხელოვნებითაა ნაკეთები (სურ. 30). მრგვალგანიკვეთიანია

ერთიანი (ერთწილადი). რკალის შუა ნაწილი მსხვილია, ბოლოებისაკენ თანდათან წვრილდება. ხემსის (ენის) ბუდე დაბრტყელებულ და მოღუნულ მშვილდის ბოლოს წარმოადგენს, რომელშიაც მყარად ჯდება ხემსის წვერი. ხემსი, რომელიც რკალის უშუალო გაგრძელებაა ტეხილთან ხვიას ქმნის. რკალის ზედაპირი შემკულია რამდენიმე წყება ოდნავ შესამჩნევი წაწვოვანი და წერტილოვანი ორნამენტით. გაბრტყელებული ბოლოც გარედან შემკულია წერტილოვანი სახეებით. რკალს ბოლოებთან რელიეფური ზოლი უვლის. სიგრძე— 7,0 სმ.

სურ. 28. მარგალსნილი შუბისპირი ბრინჯაოსი სოფ. ქორეთიდან

სურ. 29. ისრისპირი ბრინჯაოსი სკვითური ტიპისა, ორფრთიანი, სოფ. ქორეთში აღმოჩენილი



სურ. 30. ფიბულა ბრინჯაოსი სოფ. ქორეთში აღმოჩენილი

პროფ. ბ. კუფტინის ჩანაწერების მიხედვით ქვემოთ აღწერილი ბრინჯაოს ცხოველის ორი ქანდაკება და რგოლი აღმოჩენილი ყოფილა სოფ. დარყაში (საჩხერის რაიონი) 1931 წელს.

ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი, ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა, ფიგურა სქემატურია. მაგრამ იგი ფეხების მოყვანილობით, აწეული კუდითა და მოღერებული თავ-ყელით მოძრაობაში მყოფი გვეჩვენება, თითქოს მიჭენობს. თავის, ყურებისა და გავის მოყვანილობით ქანდაკება ცხენისა უნდა იყოს. ფეხები ტანთან შედა-

რებით არაპროპორციულია (მოკლეა). ცხოველი მსუქანია, გაეა საკმაოდ გახიერია, წელი ვიწროა, ყურები აცქვეტილი აქვს, თვალები გადმოკარკლული, პირი კი დაღებული. სახე გრძელია, კუდი საკმაოდ მაღლა აქვს აწეული და მოხრილია შუა ნაწილში, თაეი მოღერებული აქვს. კისრის ზემო ნაწილის მთელ სიგრძეზე ფაფარი შეიმჩნევა. ცხოველის ქანდაკებას სიგრძეზე მილისებრი მოხრდილი ნახვრეტი აქვს. ფერდი ერთ მხარეზე მცირედ ამომტვრეულია (ტაბ. XVIII, სურ. 2 ან 31) სიგრძე—4,5 სმ, სიმაღლე—3,8 სმ.



სურ. 31. ა) ცხენის ქანდაკება ბრინჯაოსი ბ) თხის ქანდაკება ბრინჯაოსი სარხერის რაიონის სოფ. დრაყაშია აღმოჩენილი გ) რგოლი ბრინჯაოსი

ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი. უკან გადაწეული რქებითა და მოგრძო მოხრილი სახის მიხედვით ცხოველი თხა ან ჯიხეი შეიძლება იყოს. სხეულის ნაწილები ურთიერთ შორის არაპროპორციულია. ეგი შედარებით დაბალ ფეხებზე დგას. საკმაოდ გამოკვეთილია ბეჭები და გაეა. გრძელი



სურ. 32. კვერთხის თავი ბრინჯაოსი სარხერის რაიონის სოფ. ჭალიდან

ტანი მთელ მანძილზე თანაბარი სიგანისაა, თავყელი მოღერებულია. რქები გრძელია, უკანაა გადაწეული და ბოლოები ერთმანეთს ეხება. თვალები გადმოკაკლულია, ცხოველის გრძელი სახე მოხრილია. ტანის სიგრძეზე მილისებრი

მოზრდილი ნახვრეტია. წინა და უკანა მარჯვენა ფეხი ნაკლულია (ტაბ. XVIII, სურ. 3). სიგრძე—5,6 სმ, სიმაღლე—4,8 სმ.

რგოლი ბრინჯაოს მავთულისა, მობირდაპირე მხარეზე ორი წანაზარდი აქვს (ტაბ. XVIII, სურ. 1). დიამეტრი — 2,5 სმ.

კვერთხის თავი ბრინჯაოსი. მისი ქვემო ნაწილი კონუსური მოყვანილობისაა, ოდნავ მოყრილი ბოლოთი, ირგვლივ პროპორციულად განლაგებული ლურსმნის თავისებრი ოთხი კაბით. ზემო ნაწილი მილისებრია და წელში გამოყვანილი. შიდა ნაწილი ფუყეა. სიგრძე—3,2 სმ, უდ. დიამეტრი—2,8 სმ.

კვერთხი აღმოჩენილია საჩხერის რაიონის სოფ. ჭალაში. საჩხერიდან აღმო-



სურ. 33. ა) საკინძი ბრინჯაოსი ბ) მძივები მინისა გ) რგოლები ბრინჯაოსი სოფ. ჭალაში აღმოჩენილი

სავლეთით, დაახლოებით 10 კმ დაცილებით, მდ. ყვირილას ნაპირზე—ხიდის კეთებისას მიწის სამუშაოების წარმოების დროს 1955 წელს, მასთან ერთად ყოფილა ირმის რქის ძირი დამუშავებული და სასმისი თიხისა.

საჩხერის რაიონის სოფ. ჭალაში შემთხვევით აღმოჩენილი ყოფილა შემდეგი ნივთები[1]:

[1] ნივთები შეკრიბა სოფ. ჭალის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა კ. აბაშიძემ.

რგოლები ბრინჯაოსი. ორი ცალი ბოლოებგაწერილებული, შესაძლოა საყურე იყოს. ერთი დეფორმირებულია (სურ. 33_{2-3}).

საკინძი ბრინჯაოსი. ღერო განივკვეთში მრგვალია, წვერისაკენ თანდათან წვრილდება, თავი გაძსხვილებულია და ოვალური, რომლის ირგვლივ სიმეტრიულად განლაგებული ოთხი ბურთულაა. ერთ მხარეზე ბურთულთან, ზონარგასაყრელი ნახვრეტია გაკეთებული. გატეხილია (სურ. 33_1). მძივები მინისა 6 ცალი. ორი ცისფერია და მრგვალბრტყელი, ოთხი ნაცრისფერი, მათ შორის ერთი სფერულია, სამი მრგვალბრტყელი (სურ. 33_1).

საჩხერის რაიონის სოფ. საირხეში (ადგილი „სელონათ ხარი") მეწყერის ჩამოტანილ მიწაში ჩაპოვნილ ყოფილა შემდეგი ნივთები: ქანდაკება ბრინჯაოსი, ირმის სქემატური გამოსახულებაა, თავყელმოღერებული. ხუთად განშტოებული რქები ბოკლია ტანის სისქე (სიგანე) ერთნაირია წინა და უკანა ფეხებთან. ცხოველის ტანი განივკვეთში ოვალური, ამდენად შიდა ნაწილი ღარისებურად ამოღრმავებულია. ფეხები სქემატურია და ერთგვარი სიმსხოსია როგორც ზემოთ, ისე ჩლიქთან. ზურგზე მოზრდილი ყუნწია მიმაგრებული. გავა სამკუთხა—ირემი მოძრაობაში მყოფი ჩანს. მარჯვენა ფეხების სიმოკლის გამო იგი დამრეცია (სურ. 34_1). სიგრძე—5,0 სმ, სიმაღლე—3,5 სმ.

ქანდაკება ბრინჯაოსი, ირმის სქემატური გამოსახულება, თავყელ აწეულია და წინ გაშვერილი სახის მიხედვით იგი თითქოს გარბისო. რქები ექვსადაა დატოტვილი და ზაღლა აღმართული. გავა გამოკვეთილია, ტანი განივკვეთში რკალურია შიდა ნაწილი ამოღრმავებულია. კუდი მოკლეა, თითქოს წაწყვეტილიო. ზურგზე მოზრდილი ყუნწი აქვს. სიგრძე—4,8 სმ, სიმაღლე—3,0 სმ (სურ. 34_2).

ზარაკი ბრინჯაოსი, თხელფირფიტოვანი, კონუსური. ყუნწი და ენა რკინისა ჰქონია და მოძტვრეულია. დაზიანებულია. სიმაღლე—2,3 სმ, უდ. დიამეტრი—3,0 სმ (სურ. 34_7).

ზარაკი ბრინჯაოსი, თხელფირფიტოვანი, კონუსური, აკლია ზემო ნაწილი. უდ. დიამეტრი—3 სმ (სურ. 35_3).

ხვია სპირალური, თხელფირფიტოვანი ბრინჯაოსი (7 ხვია)

ზანზალაკი ბრინჯაოსი თხელფირფიტოვანი, პატარა კონუსური. აკლია ენა და ყუნწი. დაზიანებულია. სიმაღლე—1,4 სმ, უდ. დიამ.—1,5 სმ (სურ. 34_6).

მძივები 9 ცალი მინისა, კარბონატული ჯიშის ქვისა და მინისებური პასტისა. მძივი მინისებური პასტისა დიდია, სფერული და ზედაპირი დალარული. მინისა 7 ცალია, 6 სფერულია და მოლურჯო, ერთი კი დიდია და ცილინდრული, შავია და ინკრუსტირებული. ქვისა პრიზმულია და წაბნაგებზე სამ-სამი წრეა ამოკაწრული წრეთა შუაში კი ჩაღრმავებული წერტილებია (სურ. 34_4).

ბრინჯაოს საკიდი, რომელიც ცხოველის თავის (თხის, ჯიხვის?) სქემატური გადმოცემაა, 1957 წელს სოფ. სპეოში (საჩხერის რაიონი) შემთხვევით ყოფილა აღმოჩენილი, თავის ნაწილები არაპროპორციულია. სახე მოგრძო, ბრტყელია და ტუჩიდან თვალებამდე თანაბარი სისქე-სიგანისა, თვალები დიდრონია და გადმოკაკლული, შუბლის ზემოდან მრგვალი მოკლე შვერილია, შუბლის პერპენდიკულარულად აღმართული, ყურები გრძელი და აცქვეტილი, ორი შტო რქა იწყება რა თავის ზემოდან, ჯერ უკანაა გადახრილი, შემდეგ ერთ ხვიას აკეთებს და ზაღლა მიემართება. რქებს აერთებს ხიდური, და ამავე დროს ისინი მიმაგრებულია ყურებთან. სიგრძე—5,5 სმ. (სურ. 35).

ს. ქორეთში აღმოჩენილ ოდნავ მორკალულ, ფრთიან, გრძელ და გახსნილმასრიანი შუბისპირის შესახებ ჩვენ აღარ გეუგრძელებთ მსჯელობას, რადგან ამ შრომის მე-3 თავში ჩვენ სპეციალურად განვიხილეთ ამ ტიპის შუბისპირები. აღნიშნული შუბისპირი დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღია, რომელიც გვიან ბრინჯაოს პერიოდის პირმშოა.



სურ. 34. ა) ირმის სქემატური გამოსახულება ბრინჯაოსი ბ) ირმის სქემატური გამოსახულება ბრინჯაოსი გ) ხვიე სპირალური ბრინჯაოსი დ) მძივები მინისა, კარბონატური ქიბის ქვისა და მინისებრი პარტისა ე) ზარაკი ბრინჯაოსი ვ) ხანსალაკი ბრინჯაოსი ზ) ზარაკი ბრინჯაოსი სოფელ სპირხვდან საჩხერის რაიონში

საჩხერეში აღმოჩენილ ერთწილად ფიბულას (სურ. 30) მრავლად მოეპოვება პარალელები აღმოსავლეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის, კიდევ მეტი რაოდენობითაა ასეთი ფიბულები აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიაში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებში.

გ. გობეჯიშვილი იხილავს რა დასავლურ-ქართული კულტურის ძვ. წ. I ათასწლეულის მასალებს, პირველ რიგში იხსენებს ბრილის საბარხეებში აღმოჩენილ ძეგლებს—იქ აღმოჩენილ სხვა ნივთთა შორის იგი ასახელებს რქადახ-

ვეულ ვერძის თავის ქანდაკების, მშვილდის მსგავს საკინძს (ფიბულას), სარტყლის სწორკუთხოვან აბზინდს და თავხვია სამაჯურს (ტაბ. X), რომლებიც ზედმიწევნით ანალოგიას პოულობს ყობანის ცნობილ სათანადო ნივთებთან[2].

ე. წ. „ყობანური" ერთწილადი ფიბულა, მსგავსი საჩხერის ეგზემპლარისა აღმოჩენილია თრიალეთში ძარალ-დერესის სამაროვნის გათხრის დროს. მასთან ერთად, სამარხში ყოფილა ბრინჯაოს თოხი, სავარცხელი, რგოლები, სარდიონის მძივები და სხვა ნივთები[3].

აღნიშნულ მასალებს ბ. კუფტინი ვანის ეპოქის სინქრონიულად თვლის[4].

ერთწლედი ფიბულა[5] ე. წ. „ყობანური" ტიპისა აღმოჩენილია სოფ. პრიმორიაში (გუდაუთის რაიონი) ურნა სამარხში, რომელიც ახლო ანალოგიას პოულობს საჩხერის ფიბულასთან. სამარხში ფიბულის გარდა აღმოჩენილია კოლხური ცულები, ერთ მათგანია ლოყაზე ფანტასტიკური ცხოველის სახეა გრავირებული.[6] სატევარი ბრინჯაოსი, რომლის ტარი და პირი ცალ-ცალკეა ჩამოსხმული-გამოჭედილი და შემდეგ მორგებულ-მიკავშირებული.[7] შუბისპირები გრძელმასრიანი და სხვა ნივთები, რომელსაც პროფ. ბ. კუფტინი ათარიღებს ვეიანი ბრინჯაოს პერიოდით[8].



სურ. 35. ცხოველის თავი რქებით, ბრინჯაოსი

საჩხერის ფიბულის ზუსტი ანალოგია მრავლადაა აღმოჩენილი ყობანისა და ჩრდ. კავკასიის სხვა ადგილებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ეგზემპლარს შორის. შეტად დაწახასიათებელია ყობანში აღმოჩენილი ერთი ეგზემპლარი. იგი, ისევე როგორც ჩვენი ეგზემპლარი ერთწილადია, რკალის შუა ნაწილი გამსხვილებულია და წემკულია წიწვოვანი სახეებით, მაგრამ ჩვენი ფიბულისგან განსხვავებით მის რკალს შესანიშნავად გამოყენებული ვერძის თავის სამი სკულ-

[2] გ. გობეჯიშვილი არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 90.
[3] ბ. კუფტინი, დასახ. ნაშრომი, სურ. 50.
[4] დასახ. ნაშრ., გვ. 50.
[5] ბ. კუფტინი, კოლხეთის არქ. (?) სურ. 4.
[6] იქვე, სურ. 24.
[7] იქვე, სურ. 5.
[8] იქვე, გვ. 133.

პტურული განოსახულება ამკობს.[9] ამას გარდა ყობანში მრავლადაა აღმოჩენილი ჩვეულებრივი მარტივი ფიბულები მსგავსი სიჩხერის ცალისა[10], ნოტანილი და სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ ერთწილადი ფიბულის არსებობა სიჩხერულის მსგავსი რომ არის, ე. წ. I ათასეულის საწყისს, მის პირველ საუკუნეებს ეკუთვნოდა და ამავე პერიოდით უნდა დავათარიღოთ ჩვენ მიერ განხილული ეგზემპლარიც.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ რკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა შორის გვხვდება როგორც ორფრთიანი, ისე სამწახნაგა პირამიდული ან სამფრთიანი და მრგვალმასრიანი ისრისპირები. ისინი ბეტ-ნაკლები რაოდენობით გვხვდება როგორც შიდა ქართლის, ისე ქვემო ქართლის და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. უფრო ბევრი რაოდენობით ისეთი ე. წ. სკვითური ისრისპირები შიდა ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის გვხვდება. ს. მაკალათიამ დვანის ნეკროპოლის გათხრების დროს რამდენიმე ცალი სკვითური ტიპის ბრინჯაოს ისრის წვერი აღმოაჩინა. № 2 სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი ცალი ისრისპირი, მასრიანია და სამწახნაგა[11], ხოლო № 11 სამარხში აღმოჩენილია ერთი სამწახნაგა და მეორე ორფრთიანი[12]. აბრეგად, დვანის სამაროვანზე აღმოჩენილია როგორც ორფრთიანი, ისე სამფრთიანი, მრგვალმასრიანი და კაუჭიანი ისრისპირები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ისრისპირები. აქ ისინი სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი—არის ორფრთიანი, სამფრთიანი და სამწახნაგა პირამიდული, კაუჭიანი და უკაუჭო. 1939 წ. ჩრდილო უბანზე № 27 სამარხში აღმოჩნდა ორ ათეულამდე ბრინჯაოს ისრისპირი, სკვითური ტიპისა, მრგვალმასრიანი. მათ შორის 16 ცალი ორფრთიანია, კაუჭიანი, 4 სამფრთიანი, რომელთაგან ორს კაუჭი აქვს. სამარხში ისრისპირებს გარდა აღმოჩენილია: ცული რკინისა, რომელსაც აქვს გრძელი და წვრილი მალალი და წანახეული ყუა; ხანჯალი რკინისა, რომლის სიგრძე 47 სმ უდრის, შუბისპირი რკინისა, დანისპირი რკინისა, ოდნავ მორკალული, საკინძი ბრინჯაოსი და სხვა ნივთები.

1939 წელს ჩრდილო უბანზე № 106 სამარხში აღმოჩენილია ისრის წვერები ბრინჯაოსი: ორ და სამფრთიანი 5 ცალი, უფრთო, სამწახნაგა, პირამიდული ერთი ცალი; სამარხში აღმოჩენილ სხვა ინვენტარისგან აღსანიშნავია: ბუნიკი ბრინჯაოსი, ოროლის პირი რკინისა, დანა რკინისა, რგოლი ბრინჯაოსი, ისრისპირი ძვლისა სამწახნაგა, სამაჯურები ბრინჯაოსი, მაშა ბრინჯაოსი და სხვა ნივთები.

ხოლო 1940 წელს ჩრდილო უბანზე 194 სამარხში აღმოჩენილია 2 ცალი სკვითური ისრისპირი კაუჭიანი. მასთან ერთად სამარხი შეიცავდა შემდეგ ინვენტარს: რკინის შუბისპირს, ბრინჯაოს საყურეს, სხვადასხვა სახის მძივებს და სხვა.

თრიალეთში, ბეშთაშენის სამაროვანზე მხოლოდ ერთი ცალი სამწახნაგა სკვითური ისრის წვერია აღმოჩენილი.[13] ამათ გარდა სამთავროს კიდევ 5 სამარხ-

---

[9] МАК вып. VIII, рис. 53.

[10] იქვე, ტაბ. XXX$_3$, ტაბ. XXXI 5—8 და ტაბ. XXXII 1—9.

[11] ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბილისი, 1948, გვ. 22, სურ. 4, ტაბ. II.

[12] იქვე, ტაბ. XI$_4$.

[13] ბ. 	ფტინი, არქ. გათხრები თრიალეთში ტ. 44, სურ. 41.

შია, სკვითური ისრისპირები აღმოჩენილი. სკვითური ისრისპირები ნაპოვნია მინგეჩაურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ რამდენიმე ეგზემპლარი. იქ აღმოჩენილი ყოფილა, როგორც ორფრთიანი, აგრეთვე სამწახნაგა და სამფრთიანი ისრისპირები, მათ შორის მხოლოდ ერთს აქვს კავი[14].

სკვითური ისრისპირები მრავლადაა აღმოჩენილი კარმირ-ბლურიანი გათხრის დროს. დიდი რაოდენობით სამ და ორფრთიანი ისრისპირებისა ციტადელის ჩრდილო. დასავლეთ ნაწილში ყოფილა მოპოვებული, ერთი ისრისპირი აღმოჩენილი ყოფილა აგრეთვე 24-ე შენობის გაუფასურებულ დროსაც[15].

შეგვეძლო კიდევ რამდენიმე მაგალითის მოყვანა, მაგრამ ვფიქრობთ ეს-ეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ძვ. წ. I ათასეულის შუა ხანებში ფართო კულტურული ურთიერთობა ვლინდება ა/კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებისა ჩრდილოეთის ხალხებთან, კერძოდ, სკვითურ სამყაროთან.

სკვითური ისრისპირების თარიღის საკითხი მეტ-ნაკლებად გარკვეულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში. პროფ. ბ. კუფტინი თვლის, რომ აღმოსავლეთ ევროპაში „სკვითური“ ისრისპირების (ორფრთიანი და სამწახნაგა—გრძელმასრიანი კვეთა და უკავოთ) გამოჩენა ხდება დაახლოებით ძვ. წ. VIII—VII საუკუნის მიჯნაზე, ხოლო ჩვენთან ოდნავ მოგვიანებით[16].

ს. მაკალათია დგინია ნეკროპოლზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს, რომელიც შეიცავს სკვითურ ისრისპირებსაც ათარიღებს ძვ. წ. VII—VI საუკუნის მიჯნით[17].

ხოლო ს. მ. კაზიევი მინგეჩაურში აღმოჩენილ სკვითური ისრისპირებს, ათარიღებს ძვ. წ. VII—VI საუკუნით. თვლის რა კაუჭიან ისრის წვერებს უფრო ადრეულად[18].

რ. აბრამიშვილი თავის ერთ ნაშრომში „საამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის“, ჩვენში გავრცელებული სკვითური ისრისპირებიდან გამოყოფს ადრეულ და მომდევნო სახეებს და იმ ვარიანტს სკვითური ისრისპირებისა, რომლის მსგავსი ა. ქორეთიდან გვაქვს ათარიღებს ძვ. წ. VI საუკუნით[19].

ბ. პიატროვსკი მიუთითებს, რომ ურარტუს სახელმწიფოს დანგრევა ხდება ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში სკვითების შესევის შედეგად და მაშასადამე იქ აღმოჩენილი სკვითური ისრის წვერებიც ამ დროისა უნდა იყოს[20].

სათანადო შესადარებელი მასალების მიხედვით ჩვენ მიგვაჩნია, რომ ს. ქორეთში აღმოჩენილი „სკვითური“ ისრისპირები დათარიღდეს ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულით და VI საუკუნის 1 ნახევრით.

შინაურ და გარეულ (მათ შორის ნტაცებელ) ცხოველთა ბრინჯაოს ჭანდაკებები მრავლად გვხვდება კავკასიისა და სხვა ადგილებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. განსაკუთრებით მრავლად ჩანს ასეთი ძეგლები შუა

---

[14] Казиев С. М., О некоторых типах оружия из Минеералуи. Мат. Культура Азербайджана, Баку, 1951. IV, სურ. 1—9.

[15] Пиотровский Б. Б., Кармир-Блур I. Ереван, 1950 გვ. 96, სურ. 55, გვ. 96, სურ. 63.

[16] ბ. კუფტინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44—46.

[17] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

[18] ს. კაზიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[19] რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ.

[20] ბ. პიატროვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

ბრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული. შინაური ცხოველთა ქანდაკებებიდან საკმაო ოდენობით გვხვდება ცხვრის, თხის, ხარის, ცხენის, ხოლო გარეული ცხოველებიდან ირმის, ჯიხვის და სხვა ცხოველთა გამოსახულებები. საჩხერის რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ცხოველთა იმ ოთხ ქანდაკებიდან, რომელიც ჩვენი გასინჯვის საგანია, ორი ირმის ქანდაკებაა, ერთიც თხისა, ხოლო ერთი ცხენისა. ირმის ქანდაკებები ძალზე მარტივი და სქემატიურია, თუკი ძვ. წ. I ათასეულის 1 მეოთხედის სამთავროს მდიდრულ სამარხებში ირმის ქანდაკებები შედარებით კარგი ხელოვნებითაა ნაკეთები, მშვენივრად გამოყვანილი რქებით და სხვა ნაწილებით, რომლებსაც არ გააჩნია ზურგზე საკიდი რგოლები, ს. საირხეში აღმოჩენილი ეგზემპლარები უკვე იმდენად სქემატურია, რომ ტანიდან თითქოს ცხოველის ზემო ნაწილიაო (ტყავი) შერჩენილი. ასევე უცნაურია რქების დატოტვაც, ფეხების მოყვანილობა და სხვა. საირხეში აღმოჩენილი ირმის ქანდაკებათა ახლო ანალოგია მანგლისის კომპლექსშია (ინვ. 66—08). მასში შემავალი ირმის ორივე ქანდაკება ძალზე სქემატურია და ზურგზე საკიდი რგოლები გააჩნია. კოლექცია შეიცავს აგრეთვე ქამრის ორ ბალთას. ერთი მათგანის ცენტრალურ მოედანზე თავმომარჯვებული ირმის ფანტასტიკური გამოსახულებაა, ხოლო მეორეზე ცენტრალურ ფიგურად ისევ ირმის გამოსახულებაა, ოღონდ თავი წინ აქვს მიმართული. კოლექცია აგრეთვე შეიცავს სპირალურ ხვიას, სამ რგოლიან ბალთას, ზანზალაკებს ბრინჯაოსას და მძივებს.

პროფ. ბ. კუფტინი აღნიშნულ კომპლექსს ათარიღებს ძვ. წ. I საუკუნით[21].

მეტად საინტერესოა ამ მხრივ ალფ. შოშეთში 1936 წელს გათხრილი ქვაყუთის ტიპის № 1 სამარხის ინვენტარი.

სამარხში აღმოჩენილი ირმის სკულპტურული გამოსახულება ახლო ანალოგიას პოულობს ს. საირხის ირმის ქანდაკებებთან. ამავე დროს სამარხში აღმოჩენილია: ბალთა ქამრისა, რომელზედაც ცენტრალური ცხოველი ირეკნია წაბ მიმართული თავითა და სამად განშტოებული რქებით: ცხვრის თუ თხის თავის სკულპტურული გამოსახულება, ვერძის სკულპტურული გამოსახულება და სხვა ნივთები[22].

არქეოლოგიურ ნივთებს ზანზალაკებს, სპირალურ ხვიას და მძივებსაც მრავალრიცხოვანი პარალელები მოეპოვება ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. ერთი მათგანი ჩვენ უკვე დავასახელეთ. მანგლისის კომპლექსი (ინვ. 66—08) სხვა ნივთთა შორის შეიცავს სპირალურ ხვიებსა და ზანზალაკებს.

რაჭის მასალებიდან დავასახელებთ ბრილის სამაროვანზე 1939 წელს აღმოჩენილ ქვაყუთის ტიპის № 27 სამარხია ინვენტარს. სამარხის ინვენტართაგან ჩვენთვის საინტერესოა ზანზალაკი ბრინჯაოსი, წაკვეთილი კონუსისებრი, მაღალი სამკუთხა ყუნწით, სამკუთხოვნად დაფანჯრული.

მძივები პასტისა—ორი მათგანი სფეროსებრია და ზედაპირი დაღარულია[23], რომელიც ახლოგიას პოულობს ს. საირხის მსგავს ნივთებთან. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა აგრეთვე ბრილის № 27 სამარხში აღმოჩენილი ფიბულა ბრინჯაოსი, ორწილადი, მშვილდისებრი რკალით, რომელიც ძალიან ახლო ანა-

[21] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 24—28.

[22] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ.

[23] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93—97.

ლოგიას პოულობს სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილ მსგავს ფიბულას-თან.

ბრილის № 27 სამარხში აგრეთვე აღმოჩენილია ქამრის ბალთა, ბრინჯაო-სი, რომლის ცენტრალური ფიგურა ირმის ფანტასტიკური, სტილიზებული გამოსახულებაა წინ მიმართული თავით და ორად განშტოებული რქებით. ცენტ-რალური ცხოველის ზემოთ და მუცელ ქვეშ ფრინველის გამოსახულებაა, ხო-ლო წინ გველის გამოსახულება. სამარხში აგრეთვე აღმოჩენილია შუშის მძი-ვები და მძივსაკიდები სხვადასხვა ფორმისა.

გ. გობეჯიშვილი, მძივების, აფერული ზანზალაკების, მინიატურული ორ-ნამენტული ფიბულისა და ახვა ძოწაცემების მიხედვით № 27 სამარხს რომაუ-ლი ეპოქით ათარიღებს, ამავე პერიოდისად თვლის შოშვეთის № 1 სამარხს[24].

ირმის ქანდაკებებით მდიდარია ყობანის არქეოლოგიური ძეგლები, აქ ისინი აღმოჩენილია როგორც უფრო ადრეული პერიოდის (გვიან ბრინჯაოს და მისი მომდევნო ხანის) ძეგლებს შორის ისე უფრო გვიანდელ მასალებში[25].

შინაურ და გარეულ ცხოველთა მრავალი ქანდაკება ყოფილა აღმოჩენილი რუხტის სამაროვანზე. იქ სხვა მასალათა შორის ეხვდებით ირმის მეტად სტი-ლიზებულ და ეხებ ქანდაკებებს, ჯიხვისა, თხის და სხვა ცხოველთა ქანდაკე-ბებს[26]. რუხტაში აღმოჩენილი ირმის ქანდაკებები ახლო პარალელია ს. საირ-ხის ირმის ქანდაკებებისა.

კიდევ შეიძლებოდა მაგალითების მოყვანა, მაგრამ მოტანილი მასალები საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ბრინჯაოს ირმის ქანდაკებებით მდიდა-რია როგორც საქართველოს, ისე ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიური ძეგლები.

საერთოდ ს. საირხის ჩვენ მიერ გახსნილი არქეოლოგიური ძეგლები ერთიანროული ჩანს. შესადარებელი მასალების გათვალისწინებით და სხვა მონა-ცემების მიხედვით იგი შეიძლება დათარიღდეს ძვ. და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით.

რაც შეეხება სახეერის რაიონის სოფ. დარყაში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლს, რომლის შესადგენლობაში ცხენისა და თხის სკულპტურული გამოსა-ხულება და ერთი რგოლიანი წანაზარდებით, ძნელია მათი ზუსტი თარიღის დადგენა.

ზუსტი ანალოგია დარყაში აღმოჩენილ თხის სკულპტურული გამოსახუ-ლების მოეძებნება. კომუნთაში (ჩრდილო კავკასია), აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის[27]. მას ისე როგორც დარყის ეგზემპლარს თავი აუღერია, გრძე-ლი თავპირი და ოდნავ მოხრილი შიგნით, გრძელი ტანი და აწეული კუდი აქვს. კომუნტას არქეოლოგიურ ძეგლების შორის ბრაგლადაა ცხოველთა სკულ-პტურული გამოსახულებანი, სხვადასხვა ფორმისა და ტექნიკით ნაკეთები, სა-ერთოდ ამ მასალათა შორის ენდა იყოს სხვადასხვა პერიოდის ძეგლები, რო-გორც ძვ. წ. I ათასწლეულის მიწურულისა, ისე უფრო მოგვიანო პერიოდისა. ძეგლში არის ირმის გამოსახულება ეზარმაზარი რქებით, რომელზედაც სამა-ზანზალაკია ჩამოკიდული[28].

---

[24] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ.

[25] MAK II VIII, ტაბ. XI 4—5 XXXV—10, 11, და სხვ.

[26] MAK II VIII, ტაბ. CV, სურ. 8—17.

[27] MAK II VIII, ტაბ. CXVIII, სურ. 17.

[28] დასახ. ნაშრ., სურ. 236.

რაც შეეხება ცხენის ცალკეულ გამოსახულებებს მრავლად გვხვდება ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა 1910 წლის ბამბარასულში მოპოვებული ძეგლები, რომლებიც მიწის გასუფთავების მისი ამოძირვის დროს იყო ნაპოვნი. იქ აღმოჩენილი არქეოლოგიურ მასალათა შორის 15 ცალი ცხენის სკულპტურული გამოსახულებაა[29] თუმცა ისინი განსხვავდებიან სოფ. დარყაში აღმოჩენილ ცხენის ქანდაკებებისგან, რომელიც მოძრაობის (ვენების) პროცესს გადმოსცემს. თუმცა უფრო ადრეულია. ლუკინი მათ აკუთვნებს ადრეულ რკინის ხანას[30] სათანადო წესადარებელი მასალების გათვალისწინებით ისინი და ცხენის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ს. დარიანი აღმოჩენილი ეგზემპლარები არ უნდა იყოს უფრო ადრეული, ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეები.

საჩხერის ტერიტორიიდან გვიან ბრინჯაოს თუ მომდევნო ხანის თიხის ჭურჭელი მუზეუმში თითქმის არ არის დაცული. ჩვენ გაგვაჩნია ერთადერთი ცალი თიხის ჭურჭელი—მათარა. რომელიც შემთხვევითაა აღმოჩენილი სოფ. არგვეთში, ნ. გაბაძის საკარმიდამო მიწაზე, იგი ანტიკური პერიოდისა ჩანს. წითლადაა გამომწვარი. პირი ოდნავ გადმოშლილი აქვს, ყელი ვიწრო და დაბალია, ტანი მრგვალ-ბრტყელი, ორყურა. ზონარგასაყრელი პატარა ყურის ორივე ბოლო მხრებზეა (მრგვალ ნაწილზე) მიძერწილი. ბრტყელი ნაწილი (ორივე გვერდი) შემკულია ჭდეების წყებით, რომლებიც კონცენტრულადაა განლაგებული ორ რიგად; მასზე კარგად შეიმჩნევა ჭურჭლის კეთების ტექნიკა, რადგან ჭურჭელს ძალზე ვიწრო ყელი ჰქონია. ბრტყელი გვერდი დიდ ქონია, საიდანაც ხდებოდა ჭურჭლის გასწორება და ფორმის მიცემა. გატეხილია. სიმაღლე—24,0 სმ, სიგანე—19,0 სმ (ტაბ. XV, სურ. 3).

მშვენიერად ნაკეთებია თიხის ის ჭურჭელი, რომელიც აგრეთვე ანტიკური პერიოდისა ჩანს და ინახება საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლაში. ჭურჭელს პირაყელი და ტანია დიდი ნაწილი ცილინდრული აქვს, ძირისკენ ოდნავ ფართოდაა შევიწროებული და ბრტყელი ქუსლით მთავრდება. ორყურაა, ყურების ზემო ნაწილი, რაღაც ცხოველის თავის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. ტანს ირგვლივ კონცენტრული ჩაღრმავებული ზოლები აქვს შემოვლებული (სამი). მთელ ტანზე ერთმანეთის გადამკვეთი პრიალა ზოლებია გავლებული და მრავალრიცხოვანი რომბები წარმოიქმნება.

საინტერესოა საჩხერის რაიონის სოფ. საირხეში 1956 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ლაგანი, საყბეურებითურთ.

საყბეურები წარმოადგენს სწორ, ოდნავ გვერდებდაკეთხულ (ან შებრტყელებულ) ღეროებს, საყბეურს ჩამოტეხილი აქვს მეტ-ნაკლებად ნაწილები და თითოეულს ღეროზე გაკეთებული აქვს სამია რგოლი სიმეტრიულად განლაგებული (1 სმ ერთმანეთისაგან დაცილებით).

შუა რგოლი შედარებით დიდია, რომლის შუა ნაწილი ხმარებისაგან გაცვეთილა და ბაწვრილებულა. ერი საყბეურს ორ პატარა რგოლში გაყრილი აქვს ბრინჯაოს სქელი ფირფიტისაგან დამზადებული ორმხრივ პატარა რგოლებით დაბოლოებული ნაწილი. ფირფიტის ის რგოლი, რომელიც საყბეურის პატარა რგოლებშია გაყრილი გახსნილი ყოფილა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს

[29] ა. ლ. ლუკინი. დასახ. ნაშრ., გვ. 63, ტაბ. XVI—XX.

[30] ა. ლ. ლუკინი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ფირფიტა ცალკეა დამზადებული და შემდეგ ერთმანეთში გაყრილი და დაკვერილი.

თვით ლაგამი სამი ნაწილისაგან შედგება. თითოეული ნაწილი ცალკე ჩამოსხმული და შემდეგ ერთმანეთთან დაკავშირებული. ლაგმის შუა ნაწილი წარმოადგენს მრავალგანივკვეთიან ბრინჯაოს ღეროს, რომელსაც ორივე მხარე დაბოლოებული აქვს რგოლებით. ღეროს რგოლის საწყისთან ერთ მხარეზე ვერტიკალურად აღმართული აქვს პატარა რგოლები (ჯაჭვის ჩამოსაკიდებლად). ღერო გაყრილია სახიდის თვალის ბიგვარ სქელ სიბრტყეში, რომლის ნაპირები გასცილებია თვით ნივთის სისქეს, ხოლო სიბრტყეზე არა ერთნაირი სიმაღლის რელიეფური კონცენტრული ბაზებია შემოვლებული. ლაგმის დანარჩენი ორი ნაწილი წარმოადგენს ისეთივე მრგვალ განივკვეთიან ღეროებს ორმხრივი რგოლებით, ხოლო ღეროს, ერთს ორი, ხოლო მეორეს სა-

36. ოიხის ბურჯელი

მი სქელი ფირფიტის ირგვლივ დაკბილული რგოლები აქვს ჩამოცმული. ლაგმის იმ რგოლებში, რომლითაც ლაგნები დაეკავშირდება საყბეურებს, თითო მრავალგანივკვეთიანი ბოზრდილი (3,0 სმ დიამეტრის მქონე) რგოლებია გაყრილი. ლაგმისა და საყბეურთა ნაწილები ცალ-ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგ ერთიმეორესთან დაკავშირებული, როგორც ჩანს, ჭედვის საშუალებით ლაგმის სიგრძე—16,5 სმ.

ლაგმის ასეთი რთული აღნაგობა, მასზე მოზრდილი და პატარა რგოლების, დაკბილული რგოლების გაკეთება იმაზე მიგვითითებს, რომ იგი დამზადებულია ისეთი ცხენისათვის, რომელიც გასახედნი, ძნელად დასამორჩილებელი უნდა ყოფილიყო, ანდა ისეთი ცხენისათვის იყო ვანკუთვნილი, რომელიც ომში მიყავდა მეპატრონეს. ლაგმის შუა ნაწილზე პატარა რგოლების დანიშ-

ნულება, როგორც მასალიდან ჩანს (იხ. სურამის ცალი), იმაში მდგომარეობდა, რომ მასზე ჩამოკიდული ყოფილიყო ჯაჭვები.

ბრინჯაოს მაგვარი ლაგმები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე და ზოგჯერ კომპლექსურ მასალათა შორისაც. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა ახალგორის განძიდან მომდინარე ბრინჯაოს რამდენიმე ლაგამი, რომლებიც ჩვენი ეგზემპლარის უშუალო პარალელს წარმოადგენს დეტალებითაც კი[51]. ჩვენი ლაგმის ახლო პარალელს წარმოადგენს აგრეთვე სურამის მახლობლად აღმოჩენილი ცალი[52], დაახლოებით ამდაგვარი ლაგმების რამდენიმე ცალი აღმოჩენილია ალგეთის სამარხებში[53]. ყველა ეს ლაგმები თარიღდება ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით და ამდენად სახხერეში აღმოჩენილი ლაგამიც შეიძლება დათარიღდეს ამავე პერიოდით.



სურ. 37. ლაგამი ბრინჯაოსი

[51] Я. И. Смирнов-Ахалгорийский клад. Тифлис, 1934, გვ. 54, 55.

[52] იქვე, გვ. 64.

[53] ბ. კუფტინი, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ტაბ. XII და ტაბ. XIII.

დასკვნა

გვიან-ანტიკური ძეგლების განხილვით ჩვენ დავამთავრეთ საჩხერის რაიონში მოპოვებული იმ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა, რომლებიც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული და ს. ქორეთის (საჩხერის რაიონი) სასკოლო მუზეუმის ფონდებს შეადგენენ. შესწავლილი ძეგლების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი არ სცილდება გვიან ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების დიდი ნაწილი შემთხვევით მონაპოვრებს წარმოადგენენ, ისინი აშკარად მეტყველებენ იმაზედ, რომ ამ მხარეში უფრო ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი მეტალურგიული წარმოების მაღალი დონე, გვიან ბრინჯაოს პერიოდსა და მის მომდევნო ხანაშიაც ვითარდება, რომ იგი ამ პერიოდისათვის კიდევ უფრო უმჯობესდებოდა, იხვეწებოდა და მაღალ საფეხურზე ადიოდა. აქაური ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები აშკარად მეტყველებენ იმაზედ, რომ უფრო ადრეულ პერიოდში აქ მცხოვრებმა ტომმა თავიანთი მეტალურგიული თუ კულტურული განვითარება მემკვიდრეობით გადასცა მათ შთამომავალთ—მათ მემკვიდრეებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ითვისებდნენ რა თავისი წინამორბედების შემოქმედებას, მათ მიერ შექმნილ კულტურას ავითარებდნენ მათ ტექნიკურად, მატებდნენ ლაბათსა და სილამაზეს.

გვიან ბრინჯაოს პერიოდის როგორც ადრეულ საფეხურზე, ისე მის მომდევნო პერიოდში საჩხერის ტერიტორიაზე მცხოვრები ხელოსნები სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღებს ქმნიან. აქ აღმოჩენილია ტარშეურჩენელ ფოთლისებრი სატევრების სხვადასხვა სახეობა, რომლებიც საბრძოლო თვისებებით მის წინამორბედ ამ ტიპის იარაღებთან შედარებით გაუმჯობესებულია.

ტარშეურჩენელ ფოთლისებრ სატევრისპირებს შორის წარმოდგენილია ისეთი სატევრები, რომელთაც სამკუთხა ფორმის ტარდასაგები გააჩნია, ხოლო პირი უქუდო აქვთ (ტაბ. I სურ. 1, 2); არის ვიწრო მკვეთრქედიანი სატევრები, რომელთაც აგრეთვე სამკუთხა ტარდასაგები გააჩნია (ტაბ. I სურ. 3); არის ისეთებიც, რომელთაც განიერი ქედი აქვთ, ხოლო ტარის დასაგებ განიერ სამკუთხა ნაწილსა და სათანადო სამანჭვლეებს გარდა შერჩენილია ყუნწიც, რაც ალბათ გადმონაშთია უფრო ადრეული პერიოდის ტარშეურჩენელი მარტივი სატევრების ყუნწისა. როგორც ფიქრობენ, სატევრთა აღნიშნული სახეობის მასიური წარმოება შიდა ქართლის მეტალურგებს ეკუთვნის; მაგრამ ასეთი იარაღები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. ისინი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ მის სიღრმეშიაც ცოტაა აღმოჩენილი, სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში მის მთიან ზოლში, შიდა ქართლის შედარებით მახლობელ რაიონებში საკმაო რაოდენობითაა მოპოვებული. ამასთანავე ჩრდილო კავკასიაში ამ სახის სატევრების აღმოჩენის ფაქტები იმაზედ მიუთითებს, რომ სწორედ დასავლეთ საქართველოს ეს რაიონები ერთგვარი ხიდი იყო დამაკავშირებელი ზოლი ჩრდილო კავკასიისა და შიდა ქართლის ტომებს შორის, რომ მათ შორის ტექნიკური და კულტურული მიღწევების გაზიარება ამ გზებით ხდებოდა.

უფრო მოგვიანო პერიოდში საჩხერის ტერიტორიაზე ვრცელდება. ერთი მხრივ, მოგრძო ტარშეურჩენელი სატევრები, რომელთაც სამკუთხა პირი, განიერი მომრგვალებული ქედი აქვთ, ოღონდ მის ამაღლებულ ნაწილზე ორი

ვიწრო ღარის გაკვლების შედეგად სამი მკვეთრი წიბურია წარმოშობილი, მეორე მხრივ, წარმოდგენილია ისეთი ცალებიც, ოღონდ იშვიათად, რომელთათვისაც დამახასიათებელია მომრგვალებული და განიერი ქედი (რომელიც ჭრილში რკალისებრია), ვიწრო ფხა თითქოს ოდნავ შესამჩნევი ღარით გამოყოფილი ქედისაგან (ტაბ. II, სურ. 2). განსხვავებით დასავლეთ საქართველოს ამ დროისათვის დამახასიათებელ უმეტესი სატევრებისა, რომლებსაც სატარე ვიწრო აქვს და მთავრდება ღეროვანი გრძელი წანაზარდებით, ხოლო სამანჭველები ერთიმეორის მახლობლად აქვთ ყუნწის პირზე გადასვლის ადგილას, ამ ეგზემპლარებს პრტყელი და განიერი სატარე გააჩნიათ, ხოლო ტარის დასამაგრებელი სამანჭველები იმ ადგილასაა, სადაც მხრები გადადის ფხებში.

სატევართა აღნიშნული ფორმების ანალოგიები უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილშია აღმოჩენილი. ასეთი ფორმის სატევრები ათეხაზეთის ტერიტორიაზედაც არის, გვხვდება შიდა ქართლშიც (ს. ზინიდისშია აღმოჩენილი), თრიალეთის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის (ბეშთაშენი, საფარ-ხარაბის სამაროვნიდან) და ბოლოს ერთეული შემთხვევები ასეთი სატევრებისა ყობანშიაც გვხვდება.

ამრიგად, ტარშეურჩენელ სატევრების ის ჯგუფი, რომელთაც განიერი და მრგვალი დაღარული ან დაუღარავი ქედი გააჩნია, კოლხური კულტურის წიაღში უნდა იყოს შექმნილი. თუ მის აღმოჩენის სიმრავლეზე ვილაპარაკებთ, ყველაზე მეტად დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში— კერძოდ ყვირილის აუზშია აღმოჩენილი. საიდანაც, როგორც ჩანს, ერცელდებოდა მის მოსაზღვრე რაიონებსა და ადგილებში.

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი საბრძოლო საჭვერებელ იარაღთა მეორე ჯგუფია—შუბისპირების რამდენიმე ეგზემპლარი (სურ. 28), როგორც ჩანს, ფურცლოვანი ბრინჯაოს გამოკვერვის შედეგად უნდა იყოს მიღებული. არის მასრაგახსნილი ისეთი შუბისპირიც, რომელიც ჩამოსხმული უნდა იყოს და მომრგვალებული ლამაზი ფხები გააჩნია. ამგვარი შუბისპირები ფართოდ იყო გავრცელებული შიდა ქართლის და მის მოსაზღვრე რაიონებში გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურზე.

მომდევნო ხანაში (ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნა) საჩხერის ტერიტორიისათვის დამახასიათებელია შესანიშნავი ხელოვნებით ნაკეთები გრძელი და გახსნილმასრიანი შუბისპირები (ტაბ. III. სურ. 1,2), რომელთაგან ერთის მასრა და ქედი გეომეტრიული სახეებითაა (სპირალებით და რომბებითა) გრავირებული; ხოლო მეორე ცალს, ქედის ამაღლებულ ნაწილზე, საკმაოდ მკვეთრად გამოყვანილი სამი წიბური გაუყვება. შუბისპირთა ქედის ამგვარი წიბურებით წემკობის ფაქტები იშვიათი მოვლენაა ამ პერიოდის შუბისპირებისათვის. რაც შეეხება შუბისპირების ორნამენტებით, ხანდახან კი ცხოველური სახეებით შემკობის ფაქტები, ცნობილია როგორც შიდა და ქვემო ქართლის, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (განსაკუთრებით აფხაზეთში) აღმოჩენილ ამავე ტიპის მსგავს იარაღებზე.

ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის დასაწყისში აქ საკმაოდ ფართოდ ყოფილა გამოყენებული კოლხური ტიპის ცულები, მისი სახესხვაობით. ერთის მხრივ, აქ აღმოჩენილია კოლხურ ცულთა ის სახეობა, რომელსაც შვეტილი ტანი და სიმეტრიული პირი გააჩნია. ხოლო ცულის ყუის დაბოლოება მტაცებელი ცხოველის (ჯიქის) სქემატური ორიგინალური გადმოცემაა (ტაბ. VI. სურ. 1, 2).

როგორც ცნობილია, აღნიშნული ტიპის ცულები სწორედ კოლხური კულტურისათვისაა დამახასიათებელი. ხოლო პლასტიკური და გრაფიკული სახეებით იარაღთა და სამკაულთა შემკობის ტრადიცია ხვენს ტერიტორიაზე კერძოდ თვით საჩხერის ძეგლებისათვის მეტალურგიის განვითარების ადრეულ საფეხურზეა დამახასიათებელი. ამ დროიდან მოკადებული იგი თანდათან ვითარდებოდა და მემკვიდრეობით გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეზე და ამდენად პირველის ცული, რომელსაც ამშვენებს ყუაზე შერწყმული ჯიქის ქანდაკება, შექმნილი უნდა იყოს ადგილობრივ ნიადაგზე, ადგილობრივი მეტალურგების მიერ—საერთოდ მეტალურგიის განვითარების წიაღში.

დანარჩენი ცულები (ტაბ. IV, სურ. 5, ტაბ. VI, სურ. 3 და ტაბ. X, სურ. 1, 2, 3) კოლხურ ცულთა იმ ვარიანტს ეკუთვნის, რომელთაც მასიური დაწახნაგებული ყუა და ასიმეტრიული პირი გააჩნია. ამ ტიპის ცულები ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც კოლხური, ისე ყობანური კულტურისათვის და უმთავრესად სამეურნეო დანიშნულებისა უნდა იყოს, ვიდრე საბრძოლო.

სამეურნეო იარაღთა სხვა სახეობიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს თოხები. იგი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა აქ (ტაბ. VII, სურ, 3 და ტაბ. X, სურ. 4, 5, 6, 7, 8, 9). ისინი ერთი სახისაა, პირფართო, წელში ოდნავ მოხრილი და მილისებრი სატარე ხვრელით. აქ საკმაო რაოდენობით თოხების აღმოჩენის ფაქტი იმაზედ მიუთითებს, რომ ამ პერიოდში საჩხერის რაიონში მცხოვრები ტომებისათვის მიწათმოქმედება მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება სამკაულებს, ყურადღებას იმსახურებს ერთწილადი ფიბულა ბრინჯაოსი, რომლის მსგავსი ნივთები საკმაოდაა აღმოჩენილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ იგი მაინც დამახასიათებელი უნდა იყოს ყობანური კულტურისათვის, სადაც იგი როგორც სამრავლით, ისე თავისი სახესხვაობებით იქცევს ყურადღებას.

უფრო მოგვიანო პერიოდის მასალათა შორის საყურადღებოა ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევრის მეცხენეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლები. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა, მეტად ლამაზი, შესანიშნავი ხელოვნებით ნაკეთები ლაგამი ბრინჯაოსი (სურ. 37) და ცხენის სკულპტურული გამოსახულება (სურ. 31). გარდა ცხენის გამოსახულებისა, საჩხერიდან რამდენიმე ცალი საკიდია, რომელთა შორის აღსანიშნავია თხისა, ირმისა და ჯიხვის თავის ქანდაკებები, რაც იმ დროისათვის ფართოდ იყო დამახასიათებელი როგორც მთიან კოლხეთისათვის, ისე ბარის იბერიისათვის, და აგრეთვე ყობანური კულტურისათვის.

საკმაო რაოდენობითაა საჩხერის ტერიტორიიდან ქამრის ბრინჯაოს ბალთები. მრავალრიცხოვანი ამდაგვარი ბალთების შესწავლისა და განხილვის საფუძვლებზე გ. გობეჯიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „მათი სამშობლო საქართველოა და ამიერიდან აღნიშნული ნივთებს უნდა ეწოდოს ბრინჯაოს ქართული ბალთები"[1]. როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი რაოდენობით ამდაგვარი ბალთები მთიანი კოლხეთის, განსაკუთრებით რაჭის, მიწის წიაღმა შემოგვინახა. ამ ტრადიციას არ ღალატობენ საჩხერის ხელოსნები და აქაც ბალთათა განვითარების სურათი საკმაოდ მკაფიოდ შეიმჩნევა.

აქ აღმოჩენილ ბალთებს შორის ოთხია ისეთი ეგზემპლარი, რომელთა ცენტრალური მოედანი სხვადასხვა პოზაში მყოფ ირმის ფანტასტიკურ გამოსახულებას უკავია.

[1] გ. გობეჯიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 237.

რამდენიმე ბალთის ცენტრალური მოედანი აგრეთვე ირემთა ფანტასტიკურ გამოსახულებებს უკავია. მაგრამ განსხვავებულია წინარე განხილულ ბალთებისაგან—ბალთების ცენტრალური მოედანი ნაკლებ ჭვირულია და მოედანიც არა ორი ცხოველის, არამედ ორ შემთხვევაში—ოთხი, ხოლო ერთ შემთხვევაში სამი ცხოველის გამოსახულებებს შეუფესია.

ორი ბალთა გაფორმებულია ცხენის გამოსახულებით—ცხენის გამოსახულებაა ცენტრალური ფიგურა და მეცელ ქვეშ კვიცია. ამ შემთხვევაში ცენტრალური ფიგურა და მისი ცალკეული ნაწილები რეალისტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. არის ხარის ოთხი ქანდაკებით შეფენილი ბალთაც. ამ ბალთების ქვედა ქრონოლოგიური საზღვრები არ უნდა სცილდებოდეს ძვ. წ. III საუკუნეს, ხოლო ზედა ქრონოლოგიური საზღვრები გვიანი ანტიკური ხანით განისაზღვრება.

ამრიგად, გვიანი ბრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული დღევანდელი საჩხერის ტერიტორია წარმოადგენდა იმ ადგილს, სადაც ხდებოდა ფართო შეხვედრები იბერულ-კოლხურ და ყობანური კულტურებისა. იქ შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლები ძალზე ახლო ურთიერთობას ჰპოებენ იბერულ და ყობანურ თანადროულ კულტურასთან, ზოგჯერ იმდენად, რომ ზოგიერთ ნივთის იგივეობაზედაც კი შეიძლება ლაპარაკი.

როგორც ჩანს, საჩხერული იმდროინდელი მეტალურგები კარგად იყენებენ გაცნობილი მეზობელი ტომების კულტურულ და მეტალურგიულ გამოცდილებას, ითვისებდნენ მათგან ახალს — უკეთესს და თითონაც უზიარებდნენ მათ თავიანთ მიღწევებსა და გამოცდილებებს.

ДРЕВНЕЙШИЕ ПАМЯТНИКИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ ИЗ САЧХЕРСКОГО РАЙОНА

Резюме

Настоящая работа посвящена археологическим памятникам, обнаруженным в верхнем течении р. Квирилы (Сачхерский р-н) и относящимся к позднебронзовому периоду и к последующей за ним эпохе, вплоть до IV—V вв. н. э. Рассматриваемые здесь материалы хранятся в Государственном Музее Грузии им. акад. С. Н. Джанашиа Акад. Наук Гр. ССР и в школьном Музее сел. Корети (Сачхерский р-н).

Район верхнего течения р. Квирилы издавна привлекал внимание исследователей, как место весьма богатое археологическими находками и как один из значительнейших центров древнеметаллургического производства на территории Грузии.

На археологические памятники из Сачхере впервые обратил внимание Е. С. Такайшвили, который в 1910 г. произвел здесь, на месте случайной находки бронзовых предметов, разведочные раскопки. Им были раскопаны погребения курганного типа, в которых были обнаружены весьма интересные предметы, относящиеся к периоду раннеи бронзы: медные топоры, лезвия кинжалов, булавки и т. д. Е. С. Такайшвили тогда же совершенно верно оценил значение находок и определил их, как памятники, предшествующие кобанской культуре[1].

[1] Такайшвили Е. С., О Сачхерском кургане Шорапанского уезда. Изв. Кавказского отделения Московского Археологического Общества вып. 3, Тифлис, 1913.

В изучении сачхерских памятников большую заслугу имеет проф. Б. А. Куфтин, который в 1936 г. ознакомился в местом, где производил раскопки Е. С. Такайшвили, а с 1939 г. в течение нескольких лет сам производил здесь археологические исследования в виде обычных стационарных раскопок и в виде маршрутных экспедиций. В результате этих работ им был обнаружен многочисленный и ценный археологический материал, относящийся к раннебронзовому и к более поздним периодам. Часть материала была изучена и опубликована проф. Б. А. Куфтиным[2], часть же он опубликовать не успел.

Над изучением археологических памятников Сачхере и прилегающих к нему районов долгое время работает доцент О. М. Джапаридзе, интересующийся в основном памятниками ранней металлургии. Им в Сачхере были обнаружены энеолитические предметы, а также очень интересные материалы эпох ранней и поздней бронзы.

I глава книги посвящена памятникам ранних стадий позднебронзового периода; здесь рассматриваются материалы, обнаруженные Е. С. Такайшвили в Сачхере в 1910 г., к которым относятся: бронзовые листовидные кинжалы без рукоятки (табл. I, 1, 2, 3) и орнаментированные браслеты (табл. 1, 4, 5). Здесь же рассматриваются случайные находки 1957 г. из с. Корети: наконечники копий с раскрытой втулкой, листовидные кинжалы без рукоятей, поясная бляха, булавки с закрученными головками, сердоликовые бусы и т. д. (табл. II).

В II главе рассматриваются случайно найденные находки из сел. Дуреви (Сачхерский р-н), датирующиеся XII—X вв. до н. э. Сюда входят следующие предметы: а) колхский топор грубого варианта, являющийся рабочим орудием, распространенным в горных районах Западной Грузии (табл. IV, 5); б) крупный кинжал без рукоятки (табл. IV, 3); в) кинжал трехугольной формы без рукоятки с широким полукруглым ребром, на котором выделяются три продольные грани (табл. IV, 1); г) листовидный кинжал без рукоятки с высоким ребром (табл. IV, 2); д) наконечники копий прекрасной формы с длинными раскрытыми втулками (табл. III, 1, 2), хребет и втулка одного из этих копий украшены рядом выгравированных спиралей и ромбов; е) наконечники дротиков различных типов, из которых наиболее интересный отличается от остальных ромбовидным сечением лезвия и раскрытой втулкой, имеющей на всем своем протяжении одинаковый диаметр (табл. III, 6). В этой группе дротиков имеются и обыкновенные экземпляры с листовидным лезвием и длинной втулкой. На гребне одного из этих дротиков имеются три продольные грани (табл. III, 4).

В III главе рассматривается клад из села Переви (Сачхерский р-н), который состоит из двух топоров колхского типа, одного восточногрузинского топора и большого бронзового круга. Один из колхских топоров отличается выпрямленным туловом и почти симметричным лезвием; на обухе у него помещено скульптурное изображение барса (?). Второй же колхский топор отличается массивным граненным обухом и несимметричным лезвием (табл. VII, 3). Восточногрузинский топор орнаментирован (табл. VIII, 1) и имеет на обухе выступ.

---

[2] Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция, 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 64—827.

[3] Джапаридзе О. М., Ранний этап древней металлургии в Грузии, Тбилиси, 1955, стр. 76—96 (на груз. яз.).

Бронзовый круг, являющийся, по-видимому, меновой единицей, отличается своей шириной и плоской внутренней поверхностью.

В IV главе рассматривается, также бронзовая мотыга, случайно найденная в этом же селе. Она имеет изогнутую форму и широкий рабочий край (табл. VIII, 3).

Рассмотренные в этой главе находки на основании сравнения с аналогичным материалом датируются XII—IX вв. до н. э.

В IV главе опубликованы случайные археологические находки из села Калути (Сачхерский р-н). Это: два крупных и один маленький бронзовых топора (табл. 1, 2, 3); несколько плохо сохранившихся мотыг (табл. X. рис. 4, 5, 6, 7, 8, 9); и большое количество бронзовых слитков. Все эти предметы, возможно, являлись частью одного клада, однако, точных сведений относительно этого мы не имеем. Материал, рассмотренный в V главе может быть датирован первой четвертью I тысячелетия до н. э.

В V главе рассматривается бронзовые поясные бляхи, обнаруженным в Сачхерском районе.

В VI главе рассматривается случайно найденная в селе Саирхе (Сачхерский р-н) голова льва, сделанная из известняка (табл. XVI; рис. 1, 2).

VII глава посвящена случайным отдельным археологическим находкам, обнаруженным в различных пунктах территории Сачхерского района.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლები საჩხერიდან: 1. სატევარი ბრინჯაოს ინვ. 94—10:50 2. სატევარი ბრინჯაოსი ინვ. 94—10:49 3. სატევარი ბრინჯაოსი ინვ. 94—10:51 4. სამაჯური ბრინჯაოსი (განიერი). ინვენ. 94—10:26 5. სამაჯური ბრინჯაოსი (განიერი) ინვ. 94—10:27.

ტაბ. II. 1957 წ. სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები.

ტაბ. III. სოფ. დურეში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები: 1. შუბისპირი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:22. შუბისპირი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:1 3. შუბისპირი ბრინჯაოსი ინვ. 13—28:27, თბილისში აღმოჩენილი 4. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:3 5. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:4 6. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი, ინვ. 37—44:6 7. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:5 8. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი ინვ. 13—22:36 სოფ. ხინდირიდან.

ტაბ. IV. 1. სატევარი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:7 2. სატევარი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:8 3. სატევარი ბრინჯაოსი ინვ. 27—44:27 4. სატევარი ბრინჯაოსი ინვ. 12—32:50 სოფ. ზინდირიდან 5. ცული კოლხური ბრინჯაოსი ინვ. 27—14:12.

ტაბ. V. ჭიათურის რაიონის სოფ. ნიგოეთში აღმოჩენილი. არქეოლოგიური ძეგლები (ინვ. 17—51).

ტაბ. VI. 1. კოლხური ცული ინვ. 13—54:1 2. დეტალი (ყუის ნაწილი), ინვ. 13—54:1 3. კოლხური ცული ინვ. 13—54:2 პერევიდან.

ტაბ. VII. 1. აღმოსავლურ-ქართული ცული, ინვ. 13—54:3 2. რგოლი ბრინჯაოსი, ინვ. 13—54:3 პერევიდან 3. თოხი ბრინჯაოსი.

ტაბ. VIII. 1. კოლხური ცული დე ბაის კოლექციიდან, ფრ. ჰანჩარის მიხედვით 2. კოლხური ცული ბრინჯაოსი, ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. 3. კოლხური ცული ბრინჯაოსი, სოფ. ოყურის მაბლობლად ზემოლორის სამაროვანზე აღმოჩენილი.

ტაბ. IX. 1. ჯიქის სკულპტურული გამოსახულება მარტვილიდან 2. შუაბრინჯაოს პერიოდის პარადული ცული თბილისიდან, რომლიც ყუა ორნამენტირებულია.

ტაბ. X. სოფ. ქალვათაში (საჩხერის რ-ნი) აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები 1. კოლხური ცული ბრინჯაოსი 2. კოლხური ცული ბრინჯაოსი (პატარა) 3. კოლხური ცული ბრინჯაოსი 4, 5. 6, 7, 8, 9. თოხები ბრინჯაოსი 10, 11. ფრაგმენტები ბრინჯაოს ნივთისა.

ტაბ. XI. სოფ. ქალვათაში (საჩხერის რ-ნი) აღმოჩენილი ბრინჯაოს ხოდები სხვადასხვა სიდიდისა.

ტაბ. XII. 1. ბალთა ქამრისა სოფ. ქორეთიდან 1,2 ნატ. სიდიდისა (საჩხერის რ-ნი) 2. ბალთა ქამრისა აღმოჩენის ადგილი უცნობია, 1/2 ნატ. სიდიდისა ინვ. 91—12:1 3. ბალთა ქამრისა იმერეთშია აღმოჩენილი 2/2 ნატ. სიდიდისა ინვ. 4—38:1 4. ბალთა ქამრისა. მანგლისია მაბლობლად თეთრი წყაროს რაიონშია აღმოჩენილი ინვ. 66—08:69.

ტაბ. XIII. 1. ბალთა ქამრისა, რაჭაში სოფ. ამბალოფლის მაბლობლადაა აღმოჩენილი (ინვ. 6—02:109 ან 1022 2. ბალთა ქამრისა მანგლისის მაბლობლად აღმოჩენილი (ინვ. 66—08:70). 3. ბალთა ქამრისა სურამის მაბლობლად, ხაშურის რაიონშია აღმოჩენილი. ინვ. 43—06:1

ტაბ. XIV. 1. ბალთა ქამრისა საჩხერედან (მეტეხის მუზეუმი ინვ. 140). 2. ბალთა ქამრისა ს. ქორეთიდან (საჩხერის რ-ნი).

ტაბ. XV. სოფ. ჯავისთავში აღმოჩენილი ქამრის აბზინდები, ინვ. 64—14:12. თიხის ჭურჭელი არგვეთიდან:

ტაბ. XVI 1. ლომის თავის სურათი. 2. ლომის თავის სურათი პროფილში 3. ლომების გამოსახულება თრიალეთში XV ყორღანში აღმოჩენილ შტანდარტის შესამკობად (ოქროსი) 4, 5, 6. 7, 8 ბოლბური მონეტები—ლომის თავის გამოხატულებებით.

ტაბ. XVII. სოფ. ქორეთში (საჩხერის რ-ნი სავადასტვა ტბანში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნეკლები, რომლებიც ინახება ს. ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში. 1—6, ბრინჯაოს იარაღები და სამკაულები. 7—16. რკინის იარაღები.

ტაბ. XVIII. სოფ. დარყაში (საჩხერის რ-ნი) აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები 1—3 და მანგლისის ნახლობლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები (ინვ. 66—08).




5 სმ
0







ტაბ. X











ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი პირველი

გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლები საჩხერიდან . 8

თავი მეორე

სოფ. ღურევში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები 17

თავი მესამე

პერევის განძი 37

თავი მეოთხე

სოფ. კალვათას არქეოლოგიური ძეგლები 79

თავი მეხუთე

საჩხერის რაიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთები 85

თავი მეექვსე

ლომის თავის ქანდაკება ქვისა 108

თავი მეშვიდე

სოფ. ჭორეთისა და საჩხერის სხვა ადგილებში შემთხვევით აღმოჩენილი ეროვნული არქეოლოგიური ნივთები 115

დასკვნა 129

Древнейшие памятники материальной культуры из Сачхерского района (რეზიუმე) . . . . . .

ტაბულების აღწერილობა 135

Доменти Леонтьевич КОРИДЗЕ

Древнейшие памятники материальной культуры
из Сачхерского района

რედაქტორი ალ. ჯავახიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ლ. გელოვანი

გადაეცა წარმოებას 6.10.1960; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 31.5.1961; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆;
ქაღალდის ფურცელი 4,90; საბეჭდი ფურცელი 13,40; საავტორო
ფურცელი 11,16; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 11,42;
შეკვეთა 1459; უე 02801; ტირაჟი 1000
ფასი 85 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

ფასი 85 კაპ.